

გორის სასწავლო უნივერსიტეტი

აწნოლდ ჩიქოგავას სახელონის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

პროფესორ გენადი ბუჩქულაძის ხსოვნისადმი  
მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია  
(სამეცნიერო კონფერენციის მასალები)



წინამდებარე კრებული მოიცავს გორის სასწავლო უნივერსიტეტისა და არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ 2011 წლის 22 დეკემბერს გორის სასწავლო უნივერსიტეტში პროფესორ გენადი ბურჭულაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამენციერო კონფერენციის მასალებს, აგრეთვე მოგონებებს პროფესორ გენადი ბურჭულაძეზე.

### **სარედაქციო კოლეგია:**

ვიანორ ახალაია, მთავარი რედაქტორი  
ვაჟა შენგელია, მთავარი რედაქტორის მოადგილე  
ავთანდილ არაბული  
ნოდარ არდოტელი  
ლევან აზმაიფარაშვილი  
გიორგი გოგოლაშვილი  
მარიამ კობერიძე  
ნიკოლოზ ოთინაშვილი  
მარიკა შერაზადიშვილი  
ელენე ხოჯევანიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა: გიორგი ყაზიშვილი

## შინაარსი

### პროფესორ გენადი ბურჭულაძის გახსენება (მოგონებები)

ვიანორ ახალაია - არ დავიწყებ მოყვრისა (პროფესორი გენადი ბურჭულაძე) – 6

თამარ გოგოლაძე - სიტყვა ხელისგულზე (ეძღვნება ბატონ გენადი ბურჭულაძის ხსოვნას) – 16

მარიამ კობერიძე - გენადი ბურჭულაძე – მასწავლებელი და კოლეგა – 19

შოთა ქურდაძე - პროფესორ გენადი ბურჭულაძის გახსენება – 25

ვაჟა შენგელია - გენადი ბურჭულაძის ხსოვნას – 32

იზა ჩანტლაძე - უნიჭიერესი კავკასიოლოგი და უღალატო მეგობარი – 36

ლევან აზმაიფარაშვილი - სიტყვაწარმოებითი -ლ'ი სუფიქსის შესახებ ხუნძურში – 41

იოსებ ალიშარაშვილი - ხიდისთავის ლოკალიზაციისა და ძველი ტოპონიმების დაზუსტების ცდა – 47

ვიანორ ახალაია - უკავშირო რთული ქვეყნობილი წინადადების სტრუქტურული აგებულება და აზრობრივი მიმართება ზანურში – 60

დავით ახლოური - სოფელ ახლოურთის ტოპონიმები (ისტორიულ-ენათმეცნიერული ანალიზი) – 72

ქეთევან ბარბაქაძე - ბასკურ-კავკასიური ეთნოგრაფიული პარალელების კვლევის საკითხები – 81

**მანანა ზუკია** - ქართველურ-აფხაზური ლინგვოკულტურული ურთიერთობის ისტორიიდან - III ნაგებობების აღმნიშვნელი ლექსიკა - 90

**გიორგი გოგოლაშვილი** - ნასახელარ ზმნათა ფუძის საკითხისათვის (საკითხის დასმის წესით) - 98

**ზურაბ ვახანია** - რიტორიკული ნაწილაკები ქართულ ენაში - 102

**ალექსანდრე კვახაძე** - საერთო აფხაზურ-ადიღური ბილაბიალების რეფლექსი აფხაზურ-აბაზურ, უბიხურ და ჩერქეზულ ენებში - 113

**მარიამ კობერიძე** - ბგერათა დაკარგვის ზოგიერთი შემთხვევისათვის ფრონეს ხეობის ქართლურში - 121

**ლევან კოჭლამაზაშვილი** - ფარინგალიზებულ ხმოვანთა დიაქრონიული ანალიზი ლეზგიურ ენებში - 127

**რომან ლოლუა** - პიროვანი შეთანხმების სისტემისათვის უდიურ ენაში - 134

**ანა მესხი** - ინგლისური ენის პირის ნაცვალსახელთა წარმომავლობა (პირველი პირის მხოლოდითი რიცხვის ნაცვალსახელის საფუძველზე) - 147

**ალექსანდრე მღებრიშვილი** - ქართულ-დაღესტნურ ლინგვისტურ ურთიერთობათა ისტორიიდან (იბერიულ-კავკასიური ენების დაღესტნური ქვეჯგუფის ლაკურ-დარგულ ენათა მკვლევარი პროფ. გენადი ბურჭულაძე) - 165

**ნიკოლოზ ოთინაშვილი** - ქსნის ხეობის სტატისტიკური აღწერის ზოგიერთი მორფოლოგიური თავისებურება - 173

**ინგა სანიკიძე** - მთვარის თაყვანისცემის რამდენიმე ასპექტის შესახებ - 178

**მედეა სალიანი** - სვანურ ნუმერატივთა ფრაზეოლოგიური აქტივობა (ქართულთან შეპირისპირებით) - 195

**გიორგი სოსიაშვილი** - შიდა ქართლის ზოგიერთი ტოპონიმის შესახებ - 211

მურმან სუხიშვილი - უნებლიობის გამოხატვისათვის ქართულში  
– 218

ნათია ფონიავა - ჯანჯუხას ეტიმოლოგიისათვის – 227

ნატო შავრეშიანი - სვანურის სინტაქსის შესწავლის  
ისტორიისათვის – 231

მარიკა შერაზადიშვილი - ნაწილაკი - ფრაზეოლოგიზმი -  
არატრადიციული (სიტუაციური) სინტაქსის კომპონენტი – 243

ნატო წულეისკირი - ენა და სოციალური მოტივაცია – 248

ნინელი ჭოხონელიძე - კერტ სიტყვის ომონიმური ცალების  
ისტორიისათვის 1. ყურძნის მტევნის ღერო; 2. ბუბუს თავი – 256

გიორგი ხორბალაძე - გოდერძი ჩოხელის ენისა და სტილის  
ზოგიერთი ასპექტი – 267

ელენე ხოჯევაანიშვილი - დავით ბატონიშვილი და ზოგიერთი  
ცნობა მისი „მცირე ღრამმატიკის“ შესახებ – 272

**ვიანორ ახალაია**  
გორის სასწავლო უნივერსიტეტი

**არ დავიწყება მოყვრისა**  
(პროფესორი გენადი ბურჭულაძე)

ბოლო წლებში იმდენი ახლობელი ადამიანი გამოგვაკლდა, იმდენი ღირსეული პიროვნება წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ ძნელიც კია ვინმეს განსაკუთრებული გამორჩევა. და მაინც, თუ ვინმემ დაგვწყვიტა გული მოულოდნელი წასვლით, ეს გენადი ბურჭულაძე იყო.

წუთისოფელს ნაადრევად განერიდა ბატონი გენადი ბურჭულაძე - ერთ-ერთი გამორჩეული ქართველოლოგი და კავკასიოლოგი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ცნობილი სპეციალისტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა კათედრისა და ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი.

გონებადამჯდარი მეცნიერი, მკვლევარი ქართველური და კავკასიური ენებისა, ნაღდად, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, მის ღრმად პროფესიონალურ, მართლაცდა ზოგთათვის მიუწვდომელ მეცნიერულ დასკვნა-შედეგებს დღესაც და მომავალშიც, ყავლი არ გაუვა, ყოველთვის ანგარიშგასაწევ, გასათვალისწინებელ-გასაზიარებელი იქნება სპეციალისტებისათვის.

ერთი უბრალო გადახედვაც კი ბატონი გენადის მეცნიერული ნაშრომების მშრალი ნუსხისა გაკვირვებას იწვევს: როდის და როგორ მოასწრო ამდენის გაკეთება? მეცნიერული ინტერესების მრავალფეროვნებაც გაცეხს, თვალსაწიერის სიფართოვეც. მისი პირველი სამეცნიერო ნაშრომი - „სახელთა ოდენ პრეფიქსული წარმოებისათვის ქართულში“ 1962 წელს არის დაბეჭდილი და მეორე კურსის სტუდენტს ეკუთვნის. მას შემდეგ

გენადი ბურჭულაძემ საოცრად ნაყოფიერი მეცნიერულ-შემოქმედებითი მოღვაწეობით იცხოვრა და 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი დატოვა. აქედან 7 მონოგრაფიაა.

დაიბადა 1940 წლის 11 აპრილს ქ. ოზურგეთში. 1947 წელს შეიყვანეს ოზურგეთის ეგ. ნინოშვილის სახელობის ვაჟთა (შემდეგ 1 საშუალო) სკოლაში, რომელიც 1958 წელს ოქროს მედლით დაამთავრა. 1958-1963 წლებში სწავლობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილებაზე. 1964-1967 წლებში სწავლას აგრძელებს უნივერსიტეტის ასპირანტურაში კავკასიურ ენათა განხრით.

1968 წლიდან მუშაობას იწყებს ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის უფროს მასწავლებლად. 1972-1976 წ.წ.-ში ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე ჯერ დოცენტის მოვალეობის შემსრულებელია, შემდეგ - დოცენტი.

1976 წლის ივლისიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელია, შემდეგ - წამყვანი მეცნიერ-მუშაკი, გარდაცვალებამდე კი - მთავარი სპეციალისტი.

1986 წლიდან ბატონ გენადის იწვევენ ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე, სადაც ჯერ პროფესორის მოვალეობის შემსრულებელია, შემდეგ კი - პროფესორი. 1991 წლიდან დევნილი უმაღლესი სასწავლებლის პრორექტორი იყო სასწავლო-სამეცნიერო დარგში.

1970 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1981 წელს კი სადოქტორო დისერტაცია.

ამ თითქოსდა მშრალ ბიოგრაფიულ მონაცემებთან დგას პიროვნება, მოქალაქე, მეცნიერი, რომლისთვისაც დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა მახასიათებელი იყო როგორც სამეცნიერო მოღვაწეობაში, ისე საზოგადოებრივ საქმიანობაში, სტუდენტებთან და მეგობრებთან ურთიერთობებში.

ჩვენს უპირველეს ცოდნის ტაძარს, თბილისის უნივერსიტეტს მის ცხოვრებაში გამორჩეული და სათაყვანო ადგილი ეჭირა. აქვე გვინდა მოვიხმოთ ვრცელი ამონარიდი ბატონი გენადის მეგობრის ბესარიონ ჯორბენაძის სიტყვიდან, რომელიც წარმოთქმულია ცნობილი ენათმეცნიერის გიორგი როგავას სამგლოვიარო მიტინგზე:

„ქართველი ხალხის უპირველესი და უმაღლესი ტაძარი თბილისის უნივერსიტეტია, რომელმაც მისი დიდი დამაარსებლის წყალობით ერთად შეანიჭა ყოველივე ის, რაც ქართველი ხალხის გონებას შეუქმნია საუკუნეთა მანძილზე და რაც საფუძვლად დაედო ქართველთა სულიერ აღორძინებას.

უნივერსიტეტი ჩვენი ეროვნული თვითშეგნების ბურჯი გახდა და ეს, უწინარეს ყოვლისა, იმ დიდი ერისკაცების დამსახურებაა, რომლებიც მსოფლიოს ნებისმიერ სამეცნიერო დაწესებულებას დაამშვენებდნენ. სწორედ მათ მიერ ჩადგმულ ბალავარზე აღიზარდა ახალი თაობა, რომელმაც ღირსეულად განაგრძო თავისი მასწავლებლების გზა...

თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებელთა უდიდესი დამსახურება ის იყო, რომ ისინი არ ჩაკეტილან ვიწრო ჩარჩოებში და ვრცელი სამეცნიერო პროგრამა დაუსახეს მომავალ თაობას: ქართული ენისა და ლიტერატურის კვლევა მსოფლიო, და უწინარეს ყოვლისა, კავკასიური ენებისა და კულტურის კონტექსტში.

და თუკი ამ ამოცანას წარმატებით განხორციელება ეწერა, მხოლოდ იმის გამო, რომ ღირსეულმა მასწავლებელმა იმ ღირსეულ მემკვიდრეებს გაუკვალეს გზა მეცნიერებაში, რომლებიც სულ მალე მათი სულიერი თანამშრომლები გახდნენ“. (ბ. ჯორბენაძე, „ბურჯი ეროვნებისა“, 1995, № 5)

ბატონი გენადი იყო ივანე ჯავახიშვილის, არნოლდ ჩიქობავას, ვარლამ თოფურიას და სხვა გამოჩენილ კლასიკოს კავკასიოლოგთა იდეების და საქმეების ღირსეული გამაგრძელებელი, დიდი დამფასებელი და პოპულიზატორი, ერთგვარი მემპტიანეც, ღირსეულ პედაგოგთა ღირსეული მემკვიდრე.

ეს ნათლად ჩანს მის ერთ-ერთ უკანასკნელ წიგნში „დიდ წინაპართა ნაკვალევზე“, რომელიც ერთდროულად ეფუძვნება



სკრუპულოზურ კვლევასა და ადამიანურ მადლიერებას. ბატონმა გენადიმ შეძლო ჩვენს წინაპართა, ღვაწლმოსილ ადამიანთა მეცნიერული საქმიანობისა და მათი მოქალაქეობრივი პოზიციის, პიროვნული ღირსების სრული სურათი დაეხატა მომავალი თაობებისათვის.

ავტორი მეცნიერული სინდისიერებით, პასუხისმგებლობითა და სიყვარულით, უხვი ფაქტობრივი მასალის მოხმობით მოგვითხრობს ივ. ჯავახიშვილზე, აკ. შანიძეზე, არნ. ჩიქობავაზე, გ. ახვლედიანზე, ვ. თოფურიაზე, ს. ჯანაშიაზე და სხვებზე. არც თავისი თანამედროვენი ავიწყდება, ისინი ვისთანაც ერთად აგრძელებდა ქართული ენათმეცნიერების დიდ ტრადიციებს: ქ. ლომთათიძე, გ. როგავა, ე. ბაბუნაშვილი, რ. გაგუა, თ. გამყრელიძე, შ. გაფრინდაშვილი, ბ. გიგინეიშვილი, ივ. გიგინეიშვილი, გ. თოფურია, ო. კახაძე, თ. უთურგაიძე, ალ. მაჰომეტოვი, ი. ბრაუნი, ჰ. ფენრიხი და სხვანი.

დიდი სიფაქიზე და ადამიანურ ფასეულობათა წარმოჩენა გასდევს ლაიტმოტივად ამ წიგნს. სწორედ ეს აღნიშნა თავის მშვენიერ რეცენზიაში მისმა საყვარელმა სტუდენტმა და შემდეგ კოლეგამ უდროოდ გარდაცვლილმა, უნიჭიერესმა ლელა მელაძემ: არნ. ჩიქობავა... იბერიულ-კავკასიური ენების მკვლევარი, რომელმაც „დაიპყრო კავკასია ომებისა და შეტაკებების გარეშე.“ ცნობილია მისი უდიდესი წვლილი ქართული ენის დიალექტთა კვლევის სფეროში; ასევე მნიშვნელოვანია მისი ნაშრომები ქართულ და ქართველურ ენათა შესწავლის პროცესში სინქრონული და დიაქრონული თვალსაზრისით, ავტორია შრომის „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“, რომელშიც „გამოვლინდა ქართული ენის სინტაქსის სპეციფიკა და ... სინტაქსი ჩამოყალიბდა მეცნიერების დარგად...“ იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერულ კვლევას არნ. ჩიქობავამ ჩაუყარა საფუძველი. „ყველა მთის იბერიულ-კავკასიური ენა ცალ-ცალკე და ერთმანეთთან კავშირში ერთიანი სამეცნიერო პროგრამით მხოლოდ ჩვენში, საქართველოში შეისწავლებოდა“ (გ. ბურჭულაძე)... არნ. ჩიქობავას, წიგნში, შეიძლება ითქვას, წერილების სერია ეძღვნება. ავტორის ცოცხალი შთაბეჭდილებები, დიდ მასწავლებელთან ერთად განვლილი არაერთი წლის განცდა, გამოცდილება თითქოს შეუმჩნეველი, მაგრამ მკვეთრი ხაზებით

მერწავს იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ფუძემდებლის, როგორც მეცნიერისა და პიროვნების პორტრეტულ შტრიხებს. არნ. ჩიქობავას ფუნდამენტურ გამოკვლევათა ანალიზის გვერდით წიგნის ავტორი გვთავაზობს დიდი ენათმეცნიერის კვლევის ძირითად პრინციპებს, გვაწვდის ძალზე საინტერესო მასალებს იმ დისკუსიის შესახებ რომელიც ნ. მარის იაფეტური თეორიის წინააღმდეგ გაიმართა...

შემდეგ ლელა აგრძელებს: პროფესორი გ. ბურჭულაძის წიგნში დიდი მასწავლებელი ცხოვრობს თავისი მოქალაქეობრივი სინდისით, მორალური სისპეტაკით, ადამიანური მიმტევებლობით, უკომპრომისობით, მაგრამ ასევე კომპრომისის უდიდესი უნარით, რომელიც ნათლად გამოვლინდა რუს ენათმეცნიერებთან კამათისას. რაოდენ სასიამოვნოა, რომ ამ პროცესების აქტიური თანამონაწილე ბრძანდებოდა ბატონი გენადი, რომელმაც, წარმოდგენილი მასალების მიხედვით, ქართული ენათმეცნიერების დაცვის საქმეში გარკვეული წვლილი შეიტანა... და არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ მეცნიერული ჭიდილის ძალა იმპერიამ პატარა საქართველოდან იგრძნო... და კიდევ ერთი - არნ. ჩიქობავამ რამდენიმე ათეული წლით ადრე ჩამოაყალიბა მოსაზრება, რომელსაც დღეს ცალსახად ითვალისწინებს განათლების რეფორმა: „უმაღლესი სკოლის მთავარი ამოცანა ის არის, რომ სტუდენტს აზროვნება ასწავლის, ინფორმაციის სისრულეს ვერავითარი სასწავლებელი ვერ უზრუნველყოფს (შესასწავლს რა გამოლევს). ცოდნის შევსებას კი ახალგაზრდა შემდგომშიც შეძლებს, თუ მთავარი იცის და აზროვნება თავის დარგში შეუძლია.“ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ლოგიკური უნარ-ჩვევების ტესტი ხომ სწორედ ამ მოთხოვნათა გათვალისწინებით დაემატა.

...იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ერთი დიდი მოთავეთაგანი, პროფესორი ვ. თოფურია, გ. ბურჭულაძის ერთ-ერთი მასწავლებელი ბრძანდებოდა, განუზომელია მისი ღვაწლი ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა სტრუქტურისა და ისტორიის, დიალექტოლოგიისა და ლექსიკოლოგიის, ეპიგრაფიკისა და ქართველური ენის სწავლების სფეროში, წიგნის ავტორი განსაკუთრებული სიყვარულით მოგვითხრობს ცნობილ მკვლევარზე, რომლის „შრომები ლაკურის შესახებ

მნიშვნელოვანია როგორც ლაკურის ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის საკითხთა კვლევისა და გადაჭრის თვალსაზრისით, ასევე ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერებისათვის.” (ლელა მელაძე, ლიტერატურულ-კრიტიკული და პუბლიცისტური წერილები, 2011, გვ. 132-133)

ბატონმა გენადიმ ღირსეულად გააგრძელა მისი დიდი მასწავლებლის აკადემიკოს ვარლამ თოფურის მიერ გასული საუკუნის 30-იან წლებში დაწყებული სამეცნიერო პედაგოგიური საქმიანობა და განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ენათმეცნიერული თვალსაზრისით ერთ-ერთი უნიკალური ენის ლაკურის შესწავლაში. სწორედ ლაკურ ენაში მონოგრაფიებისათვის მიენიჭა მას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო პრემია. თუ რაოდენ ძალუმი შრომა გაუწევია ავტორს, წიგნების დასახელების ჩამოთვლაც კი მოწმობს: 1. „ბრუნვათა შედგენილობისა და არსებით სახელთა ბრუნების პროცესების ძირითადი საკითხები ლაკურ ენაში“ (1986); 2. „ლაკური ზმნა“ (1987); 3. „ზმნური სიტყვაწარმოება ლაკურ ენაში“ (1993); 4. „პირის დაბოლოებათა წარმომავლობა ლაკურში“ (2002). მონოგრაფიებში სწორედ ამ ენის სტრუქტურისა და ისტორიის ურთულესი საკითხებია ისტორიულ ასპექტში განხილული, მიღებული შედეგები საინტერესოა როგორც იბერიულ-კავკასიური, ასევე ზოგადი ენათმეცნიერებისათვის, რამდენადაც ისინი ენათმეცნიერების თეორიულ პრობლემებს ეძღვნება. ენის ნორმების ერთი შეხედვით სქემატური ჩარჩოს მიღმა ავტორმა დაგვიტოვა ბრწყინვალე გამოკვლევები, დიდძალი, ზღვა ენობრივი მასალის შემცველი, ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე მიღებული დასკვნებით.

ბატონი გენადი თავისი ცხოვრებითა და საქმიანობით განამტკიცებდა კავკასიის ხალხთა მრავალსაუკუნოვან, ღრმად სულიერ ერთიანობასა და მეგობრობას. სჯეროდა და სწამდა იმ გზისა, რომელსაც ბალავარი ჩაუყარა დიდმა ივანე ჯავახიშვილმა და არნოლდ ჩიქობავამ, როცა ჩვენმა ქვეყანამ ხმლისა და მკლავის ნაცვლად გული და გონება დაუდო საფუძვლად კავკასიის ხალხთა ვაჟკაცურ, ხანდახან წინააღმდეგობრივ, მაგრამ, უმეტესად, ერთმანეთის თანადგომის ტრადიციას.

ძლიერ განიცდიდა 90-იანი წლებიდან, როცა ჭირდა კავშირების დამყარება და ურთიერთობა ჩრდილო კავკასიელ მეგობრებთან. მათგან თითოეულ წერილს, ტელეფონის ზარს გულწრფელი აღტაცებით ხვდებოდა.

გარდა კავკასიურ ენათა სტრუქტურისა და ისტორიის, იბერიულ-კავკასიური ენათა საერთო ლექსიკის საკითხებისა, ბატონი გენადის ენათმეცნიერული ინტერესების სფეროს მიეკუთვნებოდა ქართული ენის მორფოლოგია-სინტაქსის, ქართული დიალექტური ლექსიკის, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკვანძო საკითხების ანალიზი. ამ საკითხებზე მისი ნაშრომები იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნესა“ და „მომამბეში“, „იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში“, „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხებში“, „საენათმეცნიერო მიუზიკში“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში, „ქართულ ენასა და ლიტერატურაში“, „ბურჯი ეროვნებისადმი“ და ასევე „კოპროსი იაზიკაზნანიაში“, „იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერების წელიწდეულში“. აღსანიშნავია წლების განმავლობაში მისი აქტიური მონაწილეობა რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონფერენციებში.

არის ერთი საერთო ნიშანი, რომელიც გენადი ბურჭულაძის ყველა ნაშრომს ახასიათებს, იქნება ეს მონოგრაფია, მოცულობით პატარა ნაშრომი თუ წერილი, ეს არის კვლევითი ხასიათი ამ ნაშრომებისა.

მიუხედავად ბატონი გენადის მრავალმხრივ ნაყოფიერი მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობისა, იგი ახერხებდა ეცხოვრა მუდამ თანამედროვე პუბლიცისტის ცხოვრების რიტმით. მხედველობაში გვაქვს რადიოგადაცემა „ენაი შემკული და კურთხეული“, რომელიც ბატონი გენადისა და ჟურნალისტ თამაზ ხმალაძის ინიციატივითა და ძალისხმევით შეიქმნა და, რომელშიც იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიისა თუ იბერიულ-კავკასიური საენათმეცნიერო სკოლის ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი საკითხები გააშუქა. როდესაც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ირგვლივ მის ანალიზს, დროის, მოვლენის, გარემოებების პიროვნების მისეულ აღთქმას და განსჯას ვუსმენდით, მიხვდებოდით, რომ რიგ საკითხებზე მის შეფასებას, თუნდაც

მწვავეს, მხოლოდ მისი ეროვნული თვითშეგნება, მოვლენათა ღრმად განსჯის უნარი, დიდი გამოცდილება და გონიერება განაპირობდა.

მეც მქონდა საშუალება მონაწილეობა მიმეღო ერთ-ერთ ასეთ გადაცემაში. ვსაუბრობდით ცხინვალზე, დევნილებზე, დევნილ ცხინვალის ინსტიტუტზე. მაშინ იმედი გვქონდა და ღრმად გვწამდა, რომ სულ მალე იგი კვლავ დაიდებდა ბინას ცხინვალში. (სამწუხაროდ, ჩვენს მაშინდელ სურვილს აღსრულება არ ეწერა, ეს სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება დღეს საერთოდ აღარ არსებობს, შეუერთეს გორის უნივერსიტეტს). გავიხსენეთ ოსი კოლეგები და მეგობრები, პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა საინსტიტუტო სამეცნიერო სესიასაც შევხებით, ითქვა, რომ სტუდენტობა კარგი გვყავს. ბევრი ვაჟი, სამაჩაბლოდან რომ დადის ლექციებზე, თავის მშობლიურ კერასაც იცავს და სწავლასაც ახერხებს. ბატონი გენადი სკოლაში ქართული ენის სწავლების საკითხსაც შეეხო, აღნიშნა: რა დასამალია, სკოლაში განსაკუთრებით ქართული ენის გრამატიკის კურსი ისწავლება ფორმალურად... მეორეცაა, ზოგს ჰგონია, რომ გრამატიკა ეს მხოლოდ ბრუნვათა და ზმნის უღვლილების ტაბულათა გაზეპირება ან მხოლოდ მართლწერის საკითხთა დასწავლაა... არა და, ავიწყდებათ, რომ გრამატიკა ახალგაზრდას აჩვევს აბსტრაქტიზებული აზროვნების უნარს, უვითარებს ენობრივ ალღოს, რასაც არც თუ უმნიშვნელო როლი ეკისრება უცხო ენათა სტრუქტურის გარკვევაში, მათ დაუფლებაში და სხვა...

წიგნებში „დიდ წინაპართა ნაკვალევზე“, „შეიცან თავი შენი“, „არნოლდ ჩიქობავას იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერის შესავალი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ სწორედ რადიოგადაცემის გზადაგზა შევსებული მასალები შევიდა.

პროფესორი გ. ბურჭულაძის სახელი განუყოფელად არის დაკავშირებული ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხანმოკლე სირთულეებით აღსავსე ისტორიასთან. არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერთანამშრომელი საოცარი ერთგულებით, მოქალაქეობრივი შეგნებით იდგა ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის ჩამოყალიბების სათავეებთან და პროფესიონალიზმით, გამოცდილებით, ხშირად სამაგალითო თავდადებით, კვეთდა მომავლის კონტურებს. (ლ.

მელაძე, ლიტერატურულ-კრიტიკული და პუბლიცისტური წერილები, 1911, გვ. 136)

იყო რა პრორექტორი სასწავლო-სამეცნიერო დარგში, აღსანიშნავია მისი დამოკიდებულება პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობის პროცესთან, რომლის სასურველ მიმართულებას განსაზღვრავდა დიდი მეცნიერის საოცარი ენერგია, პედაგოგიური ტაქტი და ალლო.

ბატონი გენადი სხვა ძირითად საენათმეცნიერო საგნებთან ერთად კითხულობდა ლექციების კურსს „ქართველურ ენათა შედარებით გრამატიკასა“ და „იბერიულ-კავკასიურ ენათა საერთო ლექსიკიდან“. იმავე სალექციო კურსს იგი უძღვებოდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან და მაგისტრანტებთან. ლექციები გამოირჩეოდა თეორიული სიღრმით, პრაქტიკული განზოგადებით, სიზუსტით და მისაწვდომობით. ენის ნორმების ერთი შეხედვით სქემატური ჩარჩოს მიღმა მიმზიდველი თხრობა იცოდა, ახსნა - ნათელი და ლოგიკური. ამას თვალების შუქიც ემატებოდა. საკმარისი იყო მისი ერთი დანახვა, ერთი წინადადებაც კი და მიხვდებით, თქვენს წინაშე გულმართალი, კეთილი, წრფელი ადამიანი იდგა. წარბშეკრული, გაჯავრებულიც გვინახავს, მაგრამ წყენა მალევე გადაუვლიდა.

ბატონი გენადის დაკარგვა დიდი დანაკარგი და დარტყმა იყო როგორც საზოგადოდ ქართული მეცნიერებისათვის, ოჯახისთვის, ასევე პირადად ჩემთვის. ის ჩემი უახლოესი მეგობარი და მრჩეველი იყო. ჩვენ წლების განმავლობაში ერთად ვხელმძღვანელობდით ჯერ ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტს, შემდეგ კი უნივერსიტეტს.

თუ საჭირო იყო, თუ ზნეობა და პატიოსნება ითხოვა, შენ გვერდით იდგა, დასამალი და სათვალთმაქცო არაფერი სჭირდა. ჩვენი ერთად მუშაობის პერიოდში მას მრავალი ძალზე მძიმე და მისთვის ძნელად შესასრულებელი სამუშაო უტვირთია და ბრწყინვალედ გაურთმევია თავი. არაკეთილსინდისიერთაგან და მოშურნეთაგან დაუმსახურებელი წყენა და ტკივილიც მიუღია.

გულგაშლილი და ხელგაშლილი მასპინძლობა იცოდა. მახსოვს, ცხინვალიდან ახალგამოსულები ვიყავით, თავისთან მიგვიწვია ბატონები კორნელი დანელია, გიორგი გოგოლაშვილი,

ცხინვალელი კოლორიტი მიხეილ ცოტნიაშვილი და თქვენი მონა-  
მორჩილი. მოლხენასთან ერთად გაიმართა სჯა-ბაასი ქვეყნის ბედ-  
იღბალზე, წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე. გენადის მეუღლე  
ბრწყინვალე დიასახლისი ქალბატონი ციცი გულუხვი და  
თავაზიანი მასპინძლობით თავს დაგვტრიალებდა.

დღეს რომ ცოცხალი იყოს ბატონი გენადი, იმ დღეთა  
მოგონება სიცოცხლეს გაგვიათკეცებდა, უსაზღვრო ხალისს  
მოგვგვრიდა და უჩვეულო ენერგიით აგვავსებდა.

მართალი გითხრა, ასე მგონია, ბედნიერი ხარ, ამ ყველაფერს  
რომ განერიდე და გაასწარი (უპირველესად შენი საყვარელი  
ვაჟკაცის, ლაშას გარდაცვალებას, რამაც ყველას თავზარი დაგვცა).  
თუმცა, შენი ამბავი რომ ვიცი, მეეჭვება, იქაც მოსვენებული იყო...

## თამარ გოგოლაძე გორის სასწავლო უნივერსიტეტი

### სიტყვა ხელისგულზე (ემღვნება ბატონ გენადი ბურჭულაძის ხსოვნას)

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ კოსმიური სამყარო, რომელშიც აზრის გამომხატველი სფეროს ირგვლივ რიალებენ არსებითი სახელები, ზმნები, ნაწილაკები თუ შორისდებულები... რიალებენ და, მიზიდულობის ძალით უკავშირდებიან რა ერთიმეორეს, სფეროს სარტყელებად ეკვრიან... მეცნიერი სწორედ ამ სამყაროში ხელით მორიალუ სიტყვებს იჭერს, გონების მიკროსკოპის ქვეშ აკვირდება, ასაბუთებს ან უარყოფს რაიმეს მის შესახებ და ისევ აბრუნებს აზრის სფეროს გარშემო სასრიალოდ... სწორედ ასე წარმომიდგება ბატონი გენადი ბურჭულაძე, მასწავლებელი, კოლეგა და, უპირველესად, ადამიანი... სიტყვები, რომლებიც მის ბადეში მოხვდებოდა ნაზად ლაგდებოდა ხელისგულზე, გულისა და ტვინისაკენ მიმავალ ხაზთან ახლოს, ექცეოდა დაკვირვების ქვეშ და, ცოდნის მიკროსკოპით გადიდებული, იქცეოდა ახალ აზრად, აზრის სფეროს გამამდიდრებელ წიგნ-კრებულად, გამოკვლევად...

ბატონი გენადი ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლის ბოლო წელს გავიცანი, სტუდენტებმა შევიყვარეთ და მივიღეთ ახალგაზრდა ლექტორი, რომელსაც სიმწიფის ყველა ნიშანი ჰქონდა სახეზე: ცოდნა, გამოცდილება და მისი სტუდენტებთან გაზიარების უკიდურესი უმუშალობა... ასე მივიღეთ ბატონი გენადი, რომელთანაც ბევრი მეგობრობდა, ბევრიც შორს იდგა მოკრძალებით... ჩემთვის იგი ყოველთვის მასწავლებლად დარჩა, რომელსაც ვხვდებოდი მარადი მორიდებით, შიშით, არაფერი შემშლოდა მეცნიერებისაკენ მიმავალ გზაზე... ასე უნდა გავმხდარიყავი ენათმეცნიერი, რადგან ბატონი გენადი ძალისხმევით ქართული ენის კვლევისაკენ გამიწია გულმა, მაგრამ თავად მე შევფერხდი: არ ვიცოდი მეგრული, სვანური,



დამოუკიდებლად მესწავლა ჩემს პირობებში სავსებით შეუძლებლად მეჩვენა და ამის გარეშე კი ჩემი მეცნიერებაში მოღვაწეობა წარმოუდგენლად მიმაჩნდა. ასე „დავივიწყე“ ჩემი სწრაფვა „ენათმეცნიერებისაკენ“ და ისევ „ლიტერატურათმცოდნეობას“ მივუბრუნდი...

თუმცა შემდგომ არაერთხელ უბრძანებია ბატონ გენადის, ეს ენათმეცნიერი უნდა გამხდარიყო და აქაც არ შეაჩერა მზრუნველობა ჩემს მიმართ, გზა გამიკაფა ენათმეცნიერების ინსტიტუტისაკენ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობით...

მასხოვს ავადმყოფმა წიგნი ჩამომიტანა გიორგი შარვაშიძეზე, სპეციალურ კონფერენციაში მოხსენების მზადების პროცესში...

შემდგომ, კოლეგა, მასწავლებელი და კოლეგა, მზრძანებელიც, თბილისი, მოსიყვარულეც, უაღრესად კოლეგიალური...

მუდმივად თავისი ყოფილი სტუდენტ-კოლეგების სამეცნიერო ცხოვრების ცენტრში იყო, აინტერესებდა ყოველივე და რჩევასაც უკიდურესად სწორს გამიზნავდა მათთვის...

ადამიანი იყო თავისი ადამიანური სისუსტეებით, მაგრამ უკიდურესად დიდებული მეოჯახე, მშობლების აღერსს მოკლებული შეეთვისა მეუღლის მშობლებს, უყვარდა მეუღლე და შვილები თავგანწირვამდე, როგორადაც შეეძლო. ქართული, ადამიანური ყოფის აუცილებელ კრიტერიუმად ოჯახი მიაჩნდა და ამისკენ მიილტვოდა მთელი თავისი არსებით...

საოცარი მეცნიერი იყო. მისი გამოკვლევები მაცებდა ღრმა ერუდიციით, სიახლითა და მიმზიდველობით. იყო (ძალიან მიჭირს წარსული ფორმის გამოყენება ბატონ გენადის მიმართ) თავისი მასწავლებლის, განსაკუთრებით არნოლდ ჩიქობავას, ვარლამ თოფურიას, ღირსეული მოსწავლე და მათი ხაზის გამაგრმელებლი...

თუნდაც მისი რადიო-ინტერვიუების ციკლი ავიღოთ. როგორ აწვდიდა მსმენელს სათქმელს, რა უშუალოდ, სიბრძნითა და სიბრძნის სიმარტივით, ან თუნდაც რატომ არ წყვეტდა ცხინვალის ლტოლვილ უნივერსიტეტში მოღვაწეობას სიცოცხლის ბოლომდე? მისგან ვიღებდით ყოველივე სიახლეს მეცნიერებაში, მისგან ვსწავლობდით და ვჭარმაგდებოდით...

გამუდმებით თანამშრომლობდა „ლიტერატურულ ცხინვალში“, აქ ხშირად თავისი „გუნდით“ იბეჭდებოდა მისი და სხვათა წერილები.

საოცარი მეგობრობა იცოდა. არაერთხელ უთქვამს ბატონ შოთა ქურდაძეს, როგორ დამაკლდაო მეგობარი, ახლობელი, საოცარი მეცნიერი ბატონი გენადის სახით.

სწავლასა და ცოდნის შეთვისებაში გაატარა თავისი შეგნებული ცხოვრება, ასევე იცოდა რა ესწავლებინა და როგორ, გაეკაფა გზა სიტყვის მეცნიერების ლაბირინთებისაკენ. ბევრი დააკვალიანა, ბევრს გაუხსნა გზა... მაგრამ უცოდინარს ვერ იტანდა, უცოდინარს, რომელსაც არ სურდა სწავლა და ამბიცია კი დიდი ჰქონდა.

ამიტომ ვეკრძალვოდი ყოველთვის მის აზრს და ვიცოდი, არასოდეს შეცდებოდა რჩევაში, სწორი გეზის მიცემაში...

მძიმედ, მძიმედ მიდიოდა მისი ბოლო წლები. მაინც არ ეშვებოდა საწერ მაგიდას, ისევ და ისევ „დადიოდა სათევზაოდ“ სიტყვათა სამყაროში, ისევ იდებდა ხელისგულზე „დაჭერილ სიტყვას“ და უკიდურესი დაკვირვებით სწავლობდა მას საჩვენოდ, სამომავლოდ, მეცნიერების წინსვლისათვის...

ბევრი სიტყვა ვერ შემოგწირეთ, ბატონო გენადი, მაგრამ გული მაინც გრძნობს კვალად თქვენს უკმარისობას, ასეც გაგრძელდება სიცოცხლის ბოლომდე.

## მარიამ კობერიძე გორის სასწავლო უნივერსიტეტი

### გენადი ბურჭულაძე - მასწავლებელი და კოლეგა

ძალიან ძნელია სათქმელს თავი მოვუყარო, რადგან ან იმას ვერ ვიტყვი, რაც უნდა მეთქვა, ან ისე ვერ ვიტყვი, როგორც უნდა მეთქვა. მე მხოლოდ პროფესორ გენადი ბურჭულაძის პიროვნებისა და ადამიანობის შესახებ მინდა ვთქვა ჩემი სიტყვა, როგორც ყოფილმა სტუდენტმა და კოლეგამ, იმ ადამიანობის შესახებ, რომლის ზნეობრივი გაკვეთილები ბატონ გენადის თავისი წინაპრებისაგან აქვს მიღებული, როგორც მათი გზის გამგრძელებელსა და დამფასებელს.

მის პიროვნებაში თავმოყრილი იყო უზრალოება და თავმდაბლობა, სიკეთე და სითბო, ფაქტების მყარი ცოდნა და ღრმა მეცნიერული აზროვნება, დაუღალავი შრომისა და სიკეთის უშრეტი ენერჯია. ამას იგრძნობდა ყველა, ვისაც კი ოდესმე ამ ადამიანთან ჰქონია ურთიერთობა.

ბატონ გენადის ლექცია იყო საინტერესო და სასიამოვნო. სტუდენტები თითქმის არ აცდენდნენ, განსაკუთრებული შემთხვევის გარდა. საგანი რთული გახლდათ - ზოგადი ენათმეცნიერება, რომელიც განსაკუთრებულ შრომასა და მეცადინეობას მოითხოვდა. ლექტორი ცოდნას გასაგებად და საინტერესოდ გვაწვდიდა. ლექცია მისთვის მოვალეობის მოხდა არ იყო, ან უზრალო დატვირთვა, ეს იყო მისია, შინაგანი სურვილი მომავალი თაობის აღზრდისა, ის სურვილი, რომელიც დიდი წინაპრების - ბატონი არნოლდისა და ბატონი ვარლამისაგან ჰქონდა მიღებული. ამას ისეთი სითბოთი და სიყვარულით იტყოდა თავის მასწავლებლებზე, რომ მუდამ გაკვირვებული ვიყავით. არ გვახსოვს სტუდენტებს არც ერთი შემთხვევა, რომ ლექცია გაეცდინოს, ან დაეგვიანოს, ან ვინმესთვის ცივად და უხეშად ეთქვას რამე, ეს იყო მამაშვილური დამოკიდებულება, რომელიც უფრო მეტს გვავალდებულებდა და დიდ მოწიწებას გვაგრძნობინებდა მის მიმართ. ეს მოწიწება და მორიდება არ

შეცვლილა კოლექციალურ ურთიერთობაშიც. არც მერე არ მახსოვს ბატონ გენადის მიერ გულგრილად გაკეთებული საქმე, მოვალეობის მოხდის მიზნით ლექციაზე შესვლა. მით უმეტეს ავადმყოფობდა, მაგრამ ლექციებს მაინც არ აცდენდა. სტუდენტებს უყვარდათ. თავისი საქმე დიდ ენერჯიას აძლევდა. არავინ იცოდა, როდის ასწრებდა ამ ყველაფერს. არასოდეს ლაპარაკობდა გაკეთებულ სიკეთეზე. მისთვის სტუდენტის ცოდნა იყო ლექტორის შემფასებელი. დიდი ცოდნა მაშინ არის კარგი, თუ სტუდენტი გაიგებს, თორემ მართო საგნის დიდი ცოდნა ლექტორისა არაფერს ნიშნავსო. გავიდა წლები და მართლაც ასეა, სტუდენტის ცოდნაა ლექტორის შეფასების მთავარი საზომი.

მახსენდება ერთი შემთხვევა. ბატონი გენადი მკურნალობის მორიგ კურსს გადიოდა. მთხოვა დაუსწრებელი სწავლების ფილოლოგიის სპეციალობის მეხუთე კურსელებისათვის ზოგადი ენათმეცნიერება წამეკითხა. სასწავლო გეგმის მიხედვით ლექციები მათ უტარდებოდათ ოქტომბერ-ნოემბერში, ხოლო გამოცდებს აბარებდნენ ივნისში. თავი არ დამიზოგავს, რომ ლექციები კარგი გამომსვლოდა. როცა სტუდენტებმა გამოცდა ბატონ გენადის ჩააბარეს, დამიძახა და მითხრა: „რა ასწავლე, მამა, ასეთი ამ სტუდენტებს, რომ ამდენი ხუთი არასოდეს დამიწერიასო“. რა თქმა უნდა, ხუმრობით, მაგრამ მაინც შემიფასა ჩემი შრომა, რადგან პირში არ უყვარდა ქება.

ბატონ გენადი ხშირად იმეორებდა გიორგი ახვლედიანის ნათელა ქუთელიასადმი ნათქვამ სიტყვებს: „დაიხსომე ერთხელ და სამუდამოდ: არასოდეს ეძებო ის, რაც სტუდენტმა არ იცის, ეძებე ის, თუ რა იცის“. აი, მასწავლებლისა და მოწაფის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის დაუწერელი კანონის ანიცა და ჰაეც. რომელსაც დიდ წინაპართა ნაკვალევზე ზედმიწევნით ასრულებდა ბატონი გენადი. ამიტომ იყო, რომ მუდმივად სტუდენტებში ცოდნას ეძებდა და კოლეგებში კარგს. არავის ახსოვს მას კოლეგაზე ცუდი ეთქვას, ან მხარი დაეჭიროს ავის მთქმელისათვის აუგის თქმაში. ის იყო ზედმიწევნით ობიექტური და სამართლიანი. ეს ადვილი არ არის, მაგრამ მაინც იყო ასეთი - სხვისი ცოდნის შემფასებელი და დამფასებელი.

ბატონი გენადი ასე წერს თავის დიდ მასწავლებელზე: „არნოლდ ჩიქობავას წილად ხვდა ბედნიერება ჯერ ივანე

ჯავახიშვილის სტუდენტი ყოფილიყო, ხოლო შემდეგ მისი კოლეგა. ამიტომ, ბუნებრივია, რომ არნოლდ ჩიქობავასათვის მეცნიერული და ზნეობრივი სისპეტაკის ნიმუში სწორედ ივანე ჯავახიშვილია, რომლის პორტრეტი მისი სამუშაო ოთახის მუდმივი ბინადარია. დღეს პატივცემული არნოლდი თვითონაც ასეთსავე პიროვნებას წარმოადგენს მისი მოწაფეებისა თუ კოლეგებისათვის. იგი მუდამ მზადაა მათ დასახმარებლად და გასამხნეებლად. იშვიათად ნახავდით კაცს, ისე გახარებოდა თავისი მოწაფისა თუ კოლეგის წარმატება, როგორც ეს ჩვეოდა ბ-ნ არნოლდს. იგი მას ისე აღიქვამდა, როგორც კარგი მოჭირნახულე - შემოდგომაზე რომ მოიწევს თავისავე უხვ ნაამაგარს. ბუნებრივია, ამას თან სდევდა მოწაფეთა არა მარტო მოკრძალება და პატივისცემა მოძღვრისა, არამედ დიდი სიყვარულიც" (გ. ბურჭულაძე, დიდ წინაპართა ნაკვალევზე, თბ., 2005, გვ. 90-91).

ასეთივე იყო ბატონი არნოლდის მოწაფე გენადი ბურჭულაძეც. მასაც ასევე უხაროდა და ეამაყებოდა თავისი სტუდენტებისა და კოლეგების წარმატება.

უმძიმეს პერიოდში მოუხდა ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართულ სექტორს ქ. გორში დაფუძნება. რექტორი გახლდათ ბატონი ვიანორ ახალაია, სასწავლო-სამეცნიერო დარგში პრორექტორობას კი ასრულებდა ბატონი გენადი ბურჭულაძე. შიმშილი, სიცივე, გაჭირვება, უსინათლობა, სტრესი ერთიანად უტევდა ადამიანებს. სტუდენტებსაც უჭირდათ და ლექტორებსაც. უჭირდა ინსტიტუტსაც კადრების თვალსაზრისით. ბატონი გენადი ყოველთვის ცდილობდა მხარი დაეჭირა სამეცნიერო კვლევებისათვის. მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა მეცნიერებისაკენ მიმავალ გზაზე ახალგეზმედგმული კოლეგა თუ ნასტუდენტარი ლინგვისტიკას აირჩევდა თუ ლიტერატურას, ისტორიას, მათემატიკას... ყველაზე თანაბრად ზრუნავდა. თვითონ ჩამოჰქონდა წიგნები, მიჰქონდა კოლეგათა ნაშრომები დასაბეჭდად სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალებში, რომლის კორექტურასაც ხშირ შემთხვევაში თვითონ აკეთებდა. სტუდენტებისა და კოლეგებისათვის ისე უხმაუროდ აკეთებდა სიკეთეს, ვინ იცის, დღესაც არ იციან ამის შესახებ იმათ, ვისთვისაც ამის შესახებ ცოდნა შეიძლება ზედმეტი არ ყოფილიყო.

ამ პერიოდში ჩატარდა არაერთი სამეცნიერო სესია, გამოვიდა სამეცნიერო შრომათა კრებული. 1998 წლის 30-31 ოქტომბერს ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში (ქ. გორში) ჩატარდა აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი XVIII დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, სადაც ბატონმა გენადიმ წაიკითხა პროფ. თედო უთურგაიძესთან ერთად მოხსენება: „არნოლდ ჩიქობავა -- იბერიულ - კავკასიური ენების მკვლევარი“.

ბატონი გენადისათვის წმიდათაწმიდას წარმოადგენდა ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. პირველში სწავლობდა, მეორეში სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა თავის კოლეგებთან ერთად. მაგრამ მისი ზრუნვის საგანი ყოველთვის იყო ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტი, სადაც ლექციებს კითხულობდა და სტუდენტთა ცოდნის სამჭედლოს ჭედდა. სანიმუშო მაგალითთა ბატონ ვიანორ ახალაიასა და ბატონ გენადი ბურჭულაძის კოლეგიალური ურთიერთობა. თუ არა ერთგულება და ერთიანობა რექტორისა და პრორექტორისა საქმესა და ურთიერთობაში, შეუძლებელი გახდებოდა, ლტოლვილი ერთი ქართული სექტორისაგან მრავალსპეცილობიანი და მრავალფაკულტეტისანი ჯერ ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის, შემდეგ ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩამოყალიბება, რომელსაც ჰყავდა თავისი აღზრდილი კადრები და არასოდეს აკლდა სტუდენტები.

ბატონი გენადი მუშაობდა ცხინვალში პედაგოგიურ ინსტიტუტში. შემდეგ ლტოლვილ ინსტიტუტში გორში. ის განსაკუთრებით ფაქიზად ეკიდებოდა ქართულ-ოსურ ენობრივ ურთიერთობებს. ამ ურთიერთობის შესანიშნავი ნიმუშია პროფესორ გენადი ბურჭულაძის ვასილ აბაევისადმი მიძღვნილი სტატიები: „ვ. აბაევი და ქართულენოვანი სამყარი“ (ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის I (IX), სამეცნიერო სესია, გორი, 2000, გვ. 13-14), „კავკასიოლოგიური ტალანტის ლინგვისტი“ (ბურჯი ეროვნებისა, №5, თბ., 2001), „დიდი ირანისტ-ენათმეცნიერი“ (დიდ წინაპართა ნაკვალევზე, თბ., 2005, გვ.179-181).

ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ სამეცნიერო სესიის პლენარულ სხდომაზე პროფესორმა გენადი ბურჭულაძემ დიდ მეცნიერს სპეციალური მოხსენება „ვ. აბაევი და ქართულენოვანი სამყარო“ მიუძღვნა. ეს დღე ვასილ აბაევის დაკრძალვის დღეს დაემთხვა და პროფესორ-მასწავლებლებმა, ბუნებრივია, თვალსაჩინო მეცნიერის ხსოვნას ფეხზე ადგომითა და მღუმარებით სცეს პატივი.

ბატონი გენადი ვარლამ თოფურის პიროვნების შესახებ წერს: „დიდ სამეცნიერო-პედაგოგიურ ნაღვას ამშვენებდა ბ-ნი ვარლამის კეთილმოსურნე დამოკიდებულება თავისი კოლეგებისა თუ მოსწავლეების მიმართ. მისთვის მეცნიერებაში არ არსებობდა ეგრეთ წოდებული „რანგები“. ასპირანტთან თუ სტუდენტთან დამოკიდებულებაში, მუდამ გულისხმიერი, ადამიანისადმი სიყვარულით გამსჭვალული და საოცრად ყურადღებიანი ბრძანდებოდა. ამას ყველა გრძნობდა, ვისაც კი ჰქონდა პატივი მასთან ურთიერთობისა. ბატონი ვარლამის ნდობა დიდი ავანსი იყო, დიდი ავანსი მომავალი მუშაობისა და, დაე, ჩვენს თაობას, მის მოსწავლეებსა და მოსწავლეთა მოსწავლეებს გაემართლებინოთ იგი, გაემართლებინოთ ის, რაც ჩვენი მეცნიერული და მორალური ვალია. ეს იქნება ვარლამ თოფურის, როგორც დიდი მეცნიერისა და მოქალაქის ხსოვნის პატივისცემა... სიცოცხლე გრძელდება და მას უპირველესად ბატონი ვარლამის მოწაფეები და მოწაფეთა მოწაფეები აგრძელებენ. ვფიქრობთ, ისაა მთავარი, რომ ვარლამ თოფურის გაკვეთილები არ წყდება... ისინი დღესაც გრძელდება“.

არც ბატონი გენადისათვის ჰქონდა ეგრეთ წოდებულ „რანგებს“ მნიშვნელობა, მისთვის მთავარი იყო ცოდნა და ადამიანობა, სიკეთე და მოყვასისათვის ღვაწლი...

ბატონი გენადი ბედნიერი გახლდათ, რომ იყო აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას და აკადემიკოს ვარლამ თოფურის მოწაფე, მათი ზნეობრივი გაკვეთილების უშუალო მომსწრე, რომლებსაც დიდი მონდომებით აგრძელებდა თავის სტუდენტებში.

შეიძლება ითქვას, რომ პროფესორ გენადი ბურჭულაძის სიცოცხლე გრძელდება შვილებში, ზნეობრივი გაკვეთილები -- სტუდენტებში ჯერ ცხინვალის უნივერსიტეტში, შემდეგ სამართალმემკვიდრე გორის უნივერსიტეტში. ახლა მისი აღზრდილები უძღვებიან სამეცნიერო და სასწავლო-ადმინის-

ტრადიულ მუშაობას, აგრძელებენ მის გზას, ერთგულებით  
ემსახურებიან სტუდენტთა ცოდნის სამჭედლოს და ზნეობრივი  
გაკვეთილებიც გრძელდება... გრძელდება...



## შოთა ქურდაძე გორის სასწავლო უნივერსიტეტი

### პროფესორ გენადი ბურჭულაძის გახსენება

პროფესორი გენადი ბურჭულაძეს ორ სხვადასხვა სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში და შემდეგ უნივერსიტეტში ერთად მუშაობით თითქმის ოცდაათი წლის განმავლობაში ვიცნობდი.

პირველად, სრულიად ახალგაზრდას, გავეცანი გორის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, როგორც ფაკულტეტის დეკანი, შემდეგ, დაახლოებით მე-20 საუკუნის ოთხმოციანი წლების პირველი ნახევრიდან გაგრძელდა ჩვენი ურთიერთობა ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე.

მაშინ გორის პედაგოგიურ ინსტიტუტს პროფილი შეეცვალა. ინსტიტუტის ხელმძღვანელად დაინიშნა ისტორიკოსი. მე სასწავლო-სამეცნიერო დარგის პრორექტორად ვმუშაობდი. განათლების მინისტრმა პროფ. დავით ჩხიკვიშვილმა მირჩია სამსახური გამეგრძელებია ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგედ, რადგან გორში რექტორიც და პრორექტორიც ორივე ჰუმანიტარული დარგის მუშაკები ვიყავით.

დავიწყე მუშაობა 1983 წელს. მალე მივხვდი, რომ საჭირო იყო კათედრაზე დამატებით გვეოლოდა მაღალკვალიფიციური ენათმეცნიერი, ბევრი არ მიფიქრია, რექტორთან პროფ. რუთენ კაბისოვთან შეთანხმებით მოვიწვიე კათედრაზე გენადი ბურჭულაძე. იმ დროისათვის მას დაცული ჰქონდა სადოქტორო დისერტაცია. სამეცნიერო წრეებში ავტორიტეტით სარგებლობდა. ჩვენთან კითხულობდა მნიშვნელოვან საენათმეცნიერო კურსებს.

გარკვეული გარემოების გამო, განთლების სამინისტროს ინიციატივით დამევალა კათედრის ხელმძღვანელობასთან ერთად სასწავლო-სამეცნიერო დარგის პრორექტორის მოვალეობის შესრულებაც. ერთი სიტყვით, გაგრძელდა ჩვენი უფრო

მეტად დაახლოება და ურთიერთგაგება: ერთად ვმოღვაწეობდით, ერთ საერთო საცხოვრებელში ვისვენებდით, ერთად ვგეგმავდით და ვახორციელებდით ცხინვალის რეგიონში ქართველი და ოსი ხალხების კეთილმეზობლური ურთიერთობების აუცილებელ კულტურულ-სამეცნიერო ღონისძიებებს.

80-იანი წლების ბოლოს, გარეშე ძალების ბოროტული განზრახვით, გართულდა მდგომარეობა. იძულებული ვიყავით გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე დავბრუნებულიყავით. 1990 წლის დეკემბრის ბოლოს ჩემი ნებით გავთავისუფლდი პრორექტორობის მოვალეობიდან. შემდეგ პრორექტორად ბატონმა ვ. ახალაიამ დანიშნა გენადი ბურჭულაძე, რომელიც გარდაცვალებამდე წარმატებით მოღვაწეობდა.

ამ პერიოდში პროფესორმა გ. ბურჭულაძემ ჯეროვანი დახმარება გაუწია კათედრის წევრებს დოცენტებს – ვენერა სომხიშილისა და ვიანორ ახალაიას სადოქტორო დისერტაციების დროულად მომზადებასა და დაცვის ორგანიზებაში. ასევე იზრუნა ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კრებულების სათანადოდ გამოსაცემად...

სამწუხაროდ, მე ენათმეცნიერი არა ვარ და ძნელია შევაფასო განსვენებულის საენათმეცნიერო დონე. ის კი ჭეშმარიტად ვიცი, რომ პროფ. გ. ბურჭულაძის სამეცნიერო დონეს დიდად აფასებდნენ საქვეყნოდ ცნობილი აკადემიკოსები: არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია, ზურაბ სარჯველაძე და სხვანი.

ჩემი მხრივ, პროფ. გ. ბურჭულაძის მოქალაქეობრივი და მორალური სახე ავსახე ქვემოთ დასახელებულ ლიტერატურულ ოპუსებში (იხ. შ. ქურდაძე, “ვერ გავექეცი სიტყვის ნაპერწკალს”, გვ. 39, გ. ბ-ს. 2005 წ. და ჟურ. “ქართლი”, 2, 2000 წ. დაბოლოს, მოთხრობაში გ. ბურჭულაძის ნაცვლად იკითხება ბენო ბურჯანაძე, 2004 წ.).

## ერთი ჭეშმარიტების აღმოჩენა

ბენო ბურჯანაძე ერთი საგულისხმო მიზეზით გავიცანი. მაშინ ფაკულტეტის დეკანად ვმუშაობდი ქ. გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა გულქართლი კაცი, სიბრძნითა და მაღალი ზნეობით შემკული, მათემატიკოსი, დოცენტი გიორგი ხარაული. ინსტიტუტში რჩეული პროფესორ-მასწავლებლები მუშაობდნენ. ქალაქი გორი ხომ სოსო ჯულაშვილის დაბადებისა და მისი ახალგაზრდობის ერთი მონაკვეთის საცხოვრისია და, ალბათ, ამის გამოც დედაქალაქის რჩეული სწავლულები ხალისით ირჩევდნენ ჩვენთან სასწავლო-სამეცნიერო მუშაობას.

მათ შორის იყო ნიჭიერი და პერსპექტიული მეცნიერი, ახლა საქვეყნოდ ცნობილი მკვლევარი, პროფესორი ზურაბ სარჯველაძე. მას პროფესორ-მასწავლებლები და, განსაკუთრებით სტუდენტები, დიდ პატივს სცემდნენ, მოწიწებით ექცეოდნენ... ერთხელაც, ზურაბი როცა ინსტიტუტში მუშაობის სოლიდურ სტაჟს ითვლიდა, მოვიდა ჩემთან და მითხრა: რა ვქნა, ბატონო ჩემო, აქ ყველას ძლიერ გაგიშინაურდით, ჩემიანებად გთვლით, მაგრამ თბილისში გადავდივარ და არ მიწყინოთო. მის ნათქვამს სიხარულით არ შევხვედრილვარ. დაფვიქრდი, ეტყობა, ნაღველიც დამაჩნდა. მძიმე სულიერ მდგომარეობაში ჩავარდნილს ისევ ზურაბი შემომემველა: ნუ ნაღვლობ, შოთა ბატონო, ჩემს ადგილზე აქ უკვე შეირჩა ახალგაზრდა მეცნიერი, რომელიც ჩემზე მეტად შეგიყვარდებათო...

აი, ეს ახალგაზრდა მეცნიერი აღმოჩნდა ბენო ბურჯანაძე, რომელმაც ნაღდად გაამართლა ზურაბ სარჯველაძის დანაპირები და ახლა ცნობილი ენათმეცნიერი, უმაღლესი სკოლის დიდად გამოცდილი და გულითადი ქართველი ინტელიგენტია. ოღონდ ეგ არის, უკანასკნელ ხანს, როცა სხვადასხვა მიზეზთა გამო ჩვენში დუხჭირი ყოფა შეიქმნა, ისე, როგორც ყველას, ბენოს სულსა და გულსაც ერთგვარი სევდა და წუხილი დააჩნდა. თითქოს ის ბუნებრივი რუდუნება და სიყვარული, რაც მას, როგორც პიროვნებას ახასიათებდა

ადამიანებისადმი, გაუნელდა და გაუუცხოვდა, მაგრამ დაკვირვებული თვალი შეამჩნევდა, რომ ბენო ისევ ბენოდ რჩებოდა და როცა ოჯახსა და საზოგადოებაში ადამიანებისადმი თანადგომისა და მოფერების სიტუაცია დაუდგებოდა, შაქარყინულივით ტკბებოდა, ყველასადმი უშურველი სიყვარულით ივსებოდა და სულიერად მადლდებოდა.

ამას წინათ მან ერთ-ერთი ასეთი შემთხვევის შესახებ მიაგმო:

– ნიკა რჩელიშვილს ხომ იცნობ, ჩემო ბატონო, აი, ჩვენი ქალბატონი თამარის მეუღლეს?

– კარგად ვიცნობ, ბენო!

– ჰოოდა, აი, იმ ნიკამ ლექციების შემდეგ შვილიშვილის ნათლობაზე მიმიწვია. რამდენიმე თანამესუფრე ვიყავით. პირველი შვილიშვილის ნათლობა დავულოცეთ, ვისიყვარულეთ, ერთმანეთს მოვეფერეთ. ოჯახურმა სიტომ და ჩვენებურმა სუფრამ ჩინებული განწყობა შემიქმნა. მოსაღამოებისას ნიკას ოჯახს სიყვარულით გამოვემშვიდობე და მიკროავტობუსით თბილისისაკენ ავიღე გეზი. ავტობუსში ჩვენი ერთი თანამშრომელი ქალბატონი დამემგზავრა, სხვები უცნობები იყვნენ. მაგრამ მაშინ ყველანი ძალზე ახლობლებად და თითქოს უნახავ მოყვასად მივიჩნიე: გავლადი, გავხალისდი, მომინდა ერთბაშად ყველას მოვფერებოდი და ჩავკონებოდი. ოღონდ, როგორ მომეხერხებია ეს, არ ვიცოდი. კარგა მანძილით რო გავიარეთ, გზის პირას, ნაძვენარში, ახლადგახსნილი რესტორანი გამოჩნდა. ჩემმა თანამგზავრმა ქალბატონმა ნატომ წამოიძახა: აი, იმ რესტორანში დაპურება უყვარს ჩვენს ასმათსო და ხელით იმ რესტორნისაკენ მიაპყრო ჩემი ყურადღება.

– ვის მოსწონს ეს რესტორანი-მეთქი, განგებ ჩვევკითხე ნატოს.

– ასმათსო, ჩვენ ახალ ლექტორსაო, – გამიმეორა.

– აგაშენა ღმერთმა, თუ ასმათს მოსწონს ეს გარეგნულად მართლაც მიმზიდველი დასაპურებელ-გამახალისებელი საუფლო, მაშინ ჩვენ რა დავაშავეთ, ახლავე ყველა მგზავრს გეპატიჟებით ამ რესტორანში-მეთქი, – განვაცხადე რიხიანად. უნდა გითხრა, ჩემი გამბედაობის

საფუძველიც მქონდა – იმ დღეს ავიღე ხელფასი 55 ლარი. რესტორანში მიწვევას ავტობუსში მსხდომნი ყველანი ხალისიანად დამთანხმდნენ. კარგად ვისიამოვნეთ.

მეორე დღეს, როცა მომაგონდა მეუღლისთვის ფული რომ უნდა მიმეცა, მემცხეთა, დიდად შევწუხდი, მაგრამ მოხდენილს რაღა გაეწყობოდა. თუმცა, ჩემო ბატონო, ეს გარემოება კი არ მაკვირვებს, არამედ ის, რომ ავტობუსში მყოფმა ყველა მგზავრმა და, წარმოიდგინეთ, თვით მძღოლმაც, რომელთაც არცერთს არ ვიცნობდი, ჩემი წინადადება ყველამ მიიღო, თავი არავის გაუპატიჟებია.

– ეგ მართლაც საკვირველია!

– გეტანხმები, საკვირველია, მაგრამ ერთი ჭეშმარიტება აღმოვაჩინე და ეს მასულდგმულებს.

ბენო შეჩერდა ერთ წამს, ჩანს, ფიქრობდა, ეთქვა თუ არა რა ჭეშმარიტებაც აღმოაჩინა.

– ბენო, თუ კაცი ხარ, მითხარი, მაინც რა ჭეშმარიტება აღმოაჩინე?

– რა და, ხალხს ამ დუხჭირ ყოფაში მოსწყურდა ერთმანეთის თანადგომა, ნიღაბჩამოუფარებელი ღიმილი, თბილი სიტყვა და ამ სულიერი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად აღარ დაგიდევს ტრადიციულ გაპატიჟებას... ეტყობა, მე ეს გრძნობა დამეუფლა და რესტორანში ჩემი ხელფასი ხელზე შემომეფრცქვნა. მერე კი, როგორც ვითხარი, მეუღლეს თვალებში ვეღარ ვუცქეროდი. სამუშაო ოთახში დასაჯდომ ადგილს ვერ ვპოულობდი, წუთი-წუთს ველოდი მეუღლის შეკითხვას – ხელფასი აიღე თუ არაო, და იმაზე ვწუხდი, რა მეთქვა... სიკვდილს ვნატრობდი, ჩემო მეგობარო!

– მესმის, ბენო, შენი გასაჭირი, მაგრამ მითხარი გულახდილად, იმ საღამოს ხომ გაახარე შენი გულის ჭია, ჰაა?

– შენს პირს შაქარი! ეს მართლაც ასე იყო. იმ წუთებს რა შეედრება! ბოლოს და ბოლოს, ადამიანი ცხოველს ხომ არ უნდა დაემსგავსოს – მითხარი ერთი. ჩემი აზრით, აი, ესაა ნამდვილი ცხოვრება, რომელიც ახლა ბევრ ჩვენგანს აკლია, მაგრამ იმედია, სასურველ ყოფას ბოლოს და ბოლოს დავიყენებთ, მოვიპოვებთ, რადგან ხალხს თანადგომა, ურთიერთ სიყვარული უფრო სურს, ვიდრე მტრობა და

შურისგება... დაე, ჩემი გასაცოდავებული ხელფასის ჩემდა  
უნებურად გახვილიფებაც ამის საწინდარი ყოფილოყოს...

## გენადი ბურჭულაძეს

ნეტავ იცოდე, როგორ ვმშვიდდები,  
როს ლექსში ვაქსოვ ჩემს გულის ნადებს,  
როცა ვიშუმებ მრავალ ჭრილობას  
მუხანათურად ნაჭდობს და ნახმლევს!  
როცა მას ვებრძვი, რაც რო არა მწამს,  
და გამოვხატავ ხალხის გულს ნადებს...  
როცა ვმალდები... ამ ქვეყნაზე  
არ მეგულება ბილწი და ურცხვი.  
როცა ნაღდად ვგრძნობ ჩემი სიტყვებით  
ისა ვთქვი ნაღდად, რაც გვაქვს გულში;  
თავს როს არა ვგრძნობ უდებ, უქმნელად,  
ვემსახურები ჩემს ხალს გულწრფელად.

2002 წ.

## ლელას გენადის გასახსენებლად

მეაფსუსება ის საუბრები,  
რაც გვქონდა ჩვენ და გენოს,  
ეს იყო მაშინ, როცა ვილტვოდით  
იდეალისკენ ერთ დროს!..  
მითხარი, რატომ, რისთვის წაგვერთვა  
ამ საუბართა ჟინი?!  
ხომ არ ჩავაქრეთ,  
ხომ არ დავკარგეთ  
იმ შეხვედრების ხიბლი?!

2007 წ.

## სულიერი მეგობარი

სულიერი მეგობარი  
ამ საწუთროს  
გენოც მყავდა...  
მან უწყოდა, რა შემეძლო,  
რა მომწონდა და რა  
მწამდა!  
თუკი რამეს წრფელს  
ისმენდა,  
თვალთ ცრემლები  
უნამავდა!!!

2010 წ.

**ვაჟა შენგელია**  
არნ. ჩიქობავას სახელობის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

**გენადი ბურჭულაძის ხსოვნას**

პროფესორი გენადი ბურჭულაძე იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელია, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართველურ და დადესტნურ ენათა კვლევის საქმეში.

დაიბადა 1940 წლის 11 აპრილს ქალაქ ოზურგეთში. 1958 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა. 1958-63 წლებში სწავლობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილებაზე, 1964-67 წლებში – ასპირანტურაში „კავკასიური ენების“ სპეციალობით ჯერ აკად. ვ. თოფურიას, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ – პროფ. ი. ცერცვაძის ხელმძღვანელობით. 1970 წელს დაიცვა დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად (დისერტაციის თემა: „სახელთა ბრუნება ლაკურ ენაში“), 1981 წელს – სადოქტორო დისერტაცია (დისერტაციის თემა: „პიროვანი უღვლილების ჩამოყალიბება ლაკურში“).

გ. ბურჭულაძემ 1968 წელს მუშაობა დაიწყო ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც 1971 წლამდე მუშაობდა უფროს მასწავლებლად. 1972 წლიდან სამუშაოდ გადავიდა ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში დოცენტის თანამდებობაზე. 1986 წლიდან ეკავა პროფესორის თანამდებობა. 1988 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება. 1992-2005 წლებში იყო ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი სამეცნიერო დარგში.

გ. ბურჭულაძე 1976 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში ჯერ უფროსი, შემდეგ – წამყვანი, ხოლო 1992 წლიდან – მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე.



2000-2006 წლებში კითხულობდა ლექციებს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა განყოფილებაზე.

სადაც კი იმუშავა გ. ბურჭულაძემ, ყველგან პროფესიონალიზმითა და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა საქმეს, და მაღალი ავტორიტეტი დაიმკვიდრა სამეცნიერო და პედაგოგიურ წრეებში. მინიჭებული ჰქონდა აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას სახელობის პრემია.

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 2006 წლის 14 მაისს.

გ. ბურჭულაძემ მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობა დატოვა. მას ეკუთვნის სამასზე მეტი ნაშრომი, რომლებიც ეძღვნება ქართული და ლაკური ენების აგებულებას, იბერიულ-კავკასიურ ენათა გენეტიკურ ურთიერთობას, ქართული ენის ფუნქციონირების პრობლემებს, სხვადასხვა თაობის მეცნიერთა ღვაწლის შეფასებას.

გ. ბურჭულაძის პირველი მონოგრაფიული ნაშრომი „ბრუნვათა შედგენილობისა და არსებით სახელთა ბრუნების პროცესების ძირითადი საკითხები ლაკურ ენაში“, რომელიც 1985 წელს გამოვიდა, წარმოგვიდგენს ისეთი საკითხების სკრუპულოზურ ანალიზს, როგორებიცაა: ბრუნვათა შედგენილობა, ბრუნვის ნიშანთა ფუნქციონირება და გენეზისი, ბრუნვათა სინტაქსური ფუნქციები, საბრუნებელი ფუძის აგებულება, ბრუნების ტიპები.

ლაკური ზმნის კვლევა-ძიების შედეგები წარმოდგენილია გ. ბურჭულაძის სამ მონოგრაფიაში. მათში მკვლევარი ლაკურ ზმნასთან დაკავშირებული ყველა ძირითადი საკითხის გამოწვლილვით და ღრმა ანალიზს გვთავაზობს.

მონოგრაფიაში „ლაკური ზმნა“ (1987), რომელიც გ. ბურჭულაძემ აკად. არნ. ჩიქობავას ხსოვნას მიუძღვნა, განხილულია დრო-კილოთა წარმოებისა და ისტორიის საკითხები, პირისა და რიცხვის გამოხატვის საშუალებანი და მათი გენეზისი, დრო-კილოთა საწარმოებელი ფუძის საკითხი, ზმნის უღვლილების ტიპები.

გ. ბურჭულაძის მონოგრაფიაში „ზმნური სიტყვაწარმოება ლაკურ ენაში“ (1993) მაღალ მეცნიერულ დონეზეა შესწავლილი

ლაკურ ზმნასთან დაკავშირებული ისეთი არსებითი საკითხები, როგორებიცაა: გრამატიკული კლასის, რიცხვისა და ასპექტის გამოხატვის საშუალებანი, გარდამავლობა-გარდაუვალობა, ინფინიტივი, მასდარი, მიმღეობა, აბსოლუტივი, ზმნის სახელიანობა, განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობა, ფინიტურობა-ინფინიტურობა.

2002 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში „პირის დაბოლოებათა წარმომავლობა ლაკურში“ წამოაყენა ორიგინალური დებულება პირის ნიშანთა წარმოშობის შესახებ ლაკურში და, მანამდე გავრცელებულ თვალსაზრისისაგან განსხვავებით, დაასაბუთა, რომ პირის ნიშნები ლაკურში უკავშირდება არა პირის ნაცვალსახელებს, არამედ – დამხმარე ზმნის ფუძეს. გაანალიზებულია რიგი არსებითი საკითხი: სუბიექტის პირის გამოხატვა ზმნაში, პირთა დაპირისპირების საფუძველი ლაკურსა და სხვა დადესტნურ ენებში, კლასოვანი უღვლილებიდან პიროვან უღვლილებაზე გადასვლის საკითხი, გარდამავალ და გარდაუვალ ზმნათა უღვლილების ტიპები, პირთა რაოდენობის საკითხი და სხვ.

მონოგრაფიას „შეიცან თავი შენი“ საფუძვლად უდევს საქართველოს რადიოს ლიტერატურულ-დრამატული პროგრამების მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებში გ. ბურჭულაძის მიერ წარმართული საუბრები იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორიის, კვლევის თანამედროვე მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივების შესახებ.

გამოჩენილი მეცნიერების, მასწავლებლებისა და კოლეგების სამეცნიერო ღვაწლის წარმოჩენას მიეძღვნა გ. ბურჭულაძის მონოგრაფია „დიდ წინაპართა ნაკვალევზე“, რომელშიც ავტორმა შეჯამებული სახით წარმოგვიდგინა იმ დაკვირვებათა შედეგები, რომლებსაც ის წლების განმავლობაში აქვეყნებდა პრესის ფურცლებზე და გადასცემდა რადიოს მეშვეობით. საყურადღებოა მისი ნარკვევები როგორც ქართველი მეცნიერების (ი. ჯავახიშვილი, ი. ყიფშიძე, ა. შანიძე, გახვლედიანი, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ს. ჯანაშია, გ. როგავა, ქ. ლომთათიძე, ივ. გიგინეიშვილი...), ისე ჩრდილოეთკავკასიელი და უცხოელი მკვლევრების (შ. მიქაილოვი, ზ. კერაშევა, ი. ბრაუნი, ჰ. ფენრიხი...) შესახებ.

ცალკე უნდა აღინიშნოს გ. ბურჭულაძის მონოგრაფია-რეცენზია არნ. ჩიქობავას ნაშრომზე „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი“, რომელიც ერთი მხრივ, შეიცავს ამ ფუნდამენტური გამოკვლევის შეფასებას, მეორე მხრივ, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ამოცანებსაც წარმოგვიდგენს (ქართული და უცხოელი სპეციალისტების თვალსაზრისთა გათვალისწინებით).

გ. ბურჭულაძის, როგორც ლაკური ენის გამორჩეული მკვლევრის, სახელი სამუდამოდ დაუკავშირდა ამ ენის ფუნდამენტურ კვლევას. ამასთან ერთად, საყურადღებოა მისი ნაშრომები რიგი დადესტნური ენის შესახებ, ლაკური ენის სხვა დადესტნურ ენებთან ურთიერთობის თაობაზე.

გ. ბურჭულაძეს მნიშვნელოვანი ნაშრომები ეკუთვნის ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის შესახებ. ისიც აღსანიშნავია, რომ გ. ბურჭულაძის პირველი პუბლიკაციები სტუდენტობის ჟამს სწორედ ქართულ ენას ეძღვნებოდა. შემდგომში მკვლევარმა არაერთ ნაშრომში განიხილა ქართული ენის მორფოლოგიისა და სინტაქსის, აგრეთვე, ქართული მეტყველების კულტურისა და მშობლიური ენის ფუნქციონირების აქტუალური საკითხები.

გ. ბურჭულაძის ეტიმოლოგიური ძიებანი, რომელიც საერთო-იბერიულ-კავკასიური კუთვნილების ლექსიკას ეხებოდა, ფრიად საგულისხმოა ამ ენათა ნათესაობის საკითხებით დაინტერესებული სპეციალისტებისათვის.

ორმოცი წელი იღვაწა გენადი ბურჭულაძემ სამეცნიერო და პედაგოგიურ ასპარეზზე. მიღწეული შედეგები მას ღირსეულ ადგილს დაუმკვიდრებს ქართული ენათმეცნიერების ისტორიაში.

**იზა ჩანტლაძე**  
არნ. ჩიქობავას სახელობის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

**უნიჭიერესი კავკასიოლოგი და უღალატო მეგობარი**

გენადი ბურჭულაძე და მე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა განყოფილებაზე თითქმის ერთად გავიზარდეთ 1958 წლიდან (ჩემს მომდევნო კურსზე სწავლობდა) და არა მარტო გავიზარდეთ, არამედ „დავფრთიანდით“ კიდევ აკადემიკოსების არნოლდ ჩიქობავას, ვარლამ თოფურას, ქეთევან ლომთათიძის, პროფესორების გიორგი როგავას, ილია ცერცვაძის, გივი მაჭავარიანისა და სხვათა კალთებქვეშ.

სტუდენტობისას საენათმეცნიერო წრის თავმჯდომარე გახლდით, ის კი ჩემი მოადგილე იყო. სწორედ ამ წრის ერთ-ერთ სხდომაზე პროფესორმა ფარნაოზ ერთელიშვილმა დასვა საკითხი სტუდენტთა შრომების ხელნაწერი (საბეჭდ მანქანაზე შესრულებული) კრებულის შექმნის შესახებ (დღეს რომ ჰაიპარად ბეჭდავს ყველაფერს, მაშინ ამგვარი რამ გამორიცხული იყო!!!). ეს წინადადება აღტაცებით მიიღო დიდმა თუ პატარამ და მაშინვე შევუდექით კრებულის მომზადებას. აქაც მე რედაქტორი გახლდით, ის კი - ჩემი მოადგილე. „სულ ვიჩაგრებიო“ - ყოველთვის ღიმილით მეუბნებოდა. მაშინ ამ სიტყვებს არაფრად ვაგდებდი, მისი უდროო გარდაცვალების (66 წლის იყო) შემდეგ კი საოცრად მწყდება გული: მიუხედავად იმისა, რომ რეგალიები არ მოჰკლებია, მაინც ძალიან დაიჩაგრა - უღმობელმა სენმა ვედარ მიაღწევინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტთა მორიგ არჩევნებამდე და მუხთალ წუთისოფელს მთავარი რეგალიის გარეშე გამოეთხოვა.

წელიწადის ულამაზეს თვეში - აპრილში იყო დაბადებული, მაგრამ მაინც ვერ გაიხარა ბავშვობაში - პირველკლასელს დედა მოუკვდა, პირველკურსელს კი - მამა;

მიუხედავად ამისა, ზიცოლამ თავის თავზე აიღო უდიდესი პასუხისმგებლობა და მშვენიერი ბიჭი გაზარდა, რომელმაც ოქროს მედალზე დაამთავრა ოზურგეთის პირველი საშუალო სკოლა.

სტუდენტ-ასპირანტობისას უნიჭიერეს, მაგრამ დედ-მამით ობოლს მზრუნველად დიდი არნოლდ ჩიქობავა მოევლინა. პროვინციაში აღზრდილს აბა საიდან ეცოდინებოდა უცხო ენა?! ამიტომაც სხვა საგნებში „ფრიადებით“ დამშვენებული ასპირანტურის მისაღებ გამოცდებზე გერმანულში ჩაიჭრა. ბატონმა არნოლდმა ყველანი კატეგორიულად გაგვაფრთხილა, არაფერი გვეთქვა მისთვის ამის შესახებ. მთელი წლის განმავლობაში გენადის ეჭვიც კი არ შეჰპარვია თავის ასპირანტობაში, რადგანაც მას სტიპენდია ყოველთვიურად ეძლეოდა არნოლდ ჩიქობავას ხელფასიდან, რომლითაც ის გერმანულსა და რუსულს სწავლობდა.

შემდგომში ალაღად გადაუხადა ამაგი დიდ მოძღვარს უერთგულესმა მოწაფემ - ასპირანტურის დამთავრებისთანავე შესანიშნავად დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია (1970 წ.), ხოლო 11 წლის შემდეგ (1981 წ.) - სადოქტორო... გამოსცა რამდენიმე მნიშვნელოვანი მონოგრაფია და საერთაშორისო თუ რესპუბლიკურ სამეცნიერო სიმპოზიუმზე წაიკითხა უამრავი მოხსენება, რომლებიც დაიბეჭდა არაერთ პრესტიჟულ ორგანოში.

ყველა უყვარდა გენადის, მაგრამ განსაკუთრებით თვალში საცემი იყო მისი თავყვანისცემა ჩრდილოკავკასიელი კოლეგებისადმი - მზე და მთვარე ამოსდიოდა ისა აბდულაევზე, მუჰადინ კუმახოვზე, იუნიუს დეშერიევზე, ზეინაბ კერაშევაზე, მმებ მიქაილოვებზე...

ვარლამ თოფურისას შემდეგ ერთადერთი ქართველი მეცნიერი იყო, ვინც ლაკური ენის მორფონოლოგიურსა თუ გრამატიკულ სტრუქტურას სწავლობდა (ყველასათვის ცნობილია მისი „ლაკური პარადოქსების“ 16 ვარიანტი!), თავად კი მხოლოდ ერთადერთი ასპირანტის გაზრდა მოასწრო (მეტად მძიმე პირობებში უზნებოდა ცხოვრება - მატარებლითა თუ ავტობუსით მგზავრობდა ხოლმე გორსა და ცხინვალში, მაგრამ სტუდენტებისათვის ლექცია არასოდეს გაუცდენია), თუმცა ვაი, რომ თავად ვერ მოესწრო საოცარი ნიჭით დაჯილდოებული

ყმაწვილის - ლევან აზმაიფარაშვილის დიდებული სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვას!...

1998 წელია... აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას უსრულდება ასი წელი, რომლის აღნიშვნა გადაწყდა იუნესკოს ეგიდით. საქართველოს ყველა უნივერსიტეტში ზარ-ზეიმით ჩატარდა იუბილე. თავისთვად ცხადია, ვერც სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი შეირცხვენდა თავს, მაგრამ მოხდა საოცრება - პრორექტორმა სამეცნიერო ნაწილში მაინცდამაინც იმ დღეებში მიაშურა საავადმყოფოს. მას სხვა ანტიჩიქობავისტები ამოუდგნენ მხარში: „რატომ უნდა გადავიხადოთ ეს იუბილე?! - მას ხომ ერთ დღესაც კი არ წაუკითხავს ლექციები ჩვენს უნივერსიტეტშიო!“ გენადის გაუგია ეს ამბავი, მაშინვე დამირეკა და დამამშვიდა (მთავარი მოხსენების წაკითხვა მე მქონდა დავალებული რექტორისაგან!): „ეს-ესაა დაღესტნიდან ჩამოვიდა კავკასიურ ენათა განყოფილების ყოფილი სტუდენტი, ბატონი არნოლდის მოწაფე პროფესორი ისა აბდულაევი და იმას მოვიყვან, ნუ გეშინიაო“. საშინლად ვნერვიულობდი, მაგრამ მაშინვე გამინათდა გონება; დავურეკე საქართველოს სახალხო არტისტს ნოდარ ანდლულაძეს (რომელიც იმავდროულად ბრწყინვალე კავკასილოგიცაა) და ვთხოვე დახმარება. მიუხედავად იმისა, რომ ავად იყო, ბატონ ნოდარს წარბიც კი არ შეუხრია და ისა აბდულაევთან ერთად იმ დღეს დიდი პატივი მიაგო მოძღვართმოძღვარს (ახლაც ჩამესმის ბატონი ისას მიერ ქართულ ენაზე ზეპირად ნათქვამი ლექსი რასულ გამზატოვისა!). გენადი რომ არა, ანტიჩიქობავისტების პირისპირ მართო დარჩენილი ნამდვილად ჩავფლავდებოდი....

ვინ მოთვლის, რამდენჯერ დამდგომია გვერდით გენადი!... რამდენჯერ გვიკამათია სამეცნიერო ფორუმებზე! -ლამის „დაგვიხოცავს“ ერთმანეთი, მაგრამ თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე არც პირში და არც ზურგს უკან დასცდენია ჩემი აუგი, მხოლოდ ერთადერთხელ მითხრა მსუბუქი საყვედური.

ახალგაზრდობაში მის უახლოეს მეგობარს ვუყვარდი, მაგრამ რატომღაც გავიპრანჭე და ცოლობაზე უარი ვუთხარი (ეკონომიკის ფაკულტეტზე სწავლობდა, ჩვენი სპეციალობა კი მაშინ ძალზე მოდური იყო!...). მოგეხსენებათ, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში ვერ ავცდით შინაურ თუ გარეგან

ბატალიებს და ძალზე გაჭირდა ცხოვრება. მას რომ შეეჩვილე ამის შესახებ, დიდი სინანულით მითხრა: „რა ვქნა, მაშინ ველარაფერი შეგასმინე და იჩანჩალე ახლა დიღმის მასივიდან სოლოლაკში ავტობუსებით, ის კი ორსართულიან სახლში ცხოვრობს ვაკეში და ვაკეშივე დადის სამსახურში ჯიპით... მაგრამ არა უშავს, შენ სამაგალითო ქალიშვილი და შვილიშვილები გყავს... ყველას კი არა აქვს ასეთი ბედი!“... სამწუხაროდ, ძალიან გვიან მივხვდი ამ სიტყვების არსს, მხოლოდ მას შემდეგ, როცა მეხის დაცემასავათ გავარდა ქალაქში მისი ერთადერთი ვაჟიშვილის უცარი გარდაცვალების ამბავი (კიდევ კარგი, რომ მამამისი ამ ტრაგედიის განცდას მაინც გადარჩა!).

პროფესორი გენადი ბურჭულაძე უმწიკვლო იყო არა მხოლოდ პირად ურთიერთობებში, არამედ მეცნიერებაშიც. ძირითადად სახელისა თუ ზმნის კატეგორიებზე მომუშავე მკვლევარი ბოლო ხანებში იბერიულ-კავკასიურ ენათა ფონემათმესატყვისობებითა და ქართულ-დაღესტნურ ლექსემათა ძირების ეტიმოლოგიებითაც დაინტერესდა. ყველას მოგეხსენებათ, როგორი რთულია ლინგვისტიკის ეს უზანი. მხოლოდ ერთი დარგი ხშირად არ წყვეტს საქმეს, ზოგჯერ სწორედ ინტერდისციპლინარული კვლევაა საჭირო. მას არასოდეს გამორჩებოდა წინამორბედ ენათმეცნიერთა, ეთნოლოგთა თუ ისტორიკოსთა თვალსაზრისები და დროთა განმავლობაში თუ რაიმე ახალ კანონზომიერებას აღმოაჩენდა, რომელიც ხელს უშლიდა მის ადრე გამოქვეყნებულ შეხედულებას, ის ამის შესახებ აუცილებლად დროულად ამცნობდა მკითხველს.

არათუ ოფიციალურად ცნობილი მოსაზრებანი, არამედ ადრინდელ გამოცემათა არშებზე მიწერილი მოწინააღმდეგეებიც კი არ გამორჩებოდა მხედველობიდან.:

იბერიულ-კავკასიურ ენათა ლექსიკის ეტიმოლოგიური ანალიზისადმი მიძღვნილ XVIII სტატიაში („საენათმეცნიერო ძიებანი“, XIII, 2004, გვ. 41-49) პროფესორი გენადი ბურჭულაძე აღნიშნავდა: „სათანადო სამეცნიერო მასალის მოძიებისას ხელთ გვექონდა ვასილ აბაევის მონოგრაფიის („Осетинский язык и фольклор, 1949წ.) ვარლამ თოფურიასეული ცალი, რომელშიც სიტყვა-სტატიის (სვანური მგრშკ - ოსური მალძუგ/მულძუგ „ჭიანჭველა“) გასწვრივ, ფურცლის არეზე, ბატონ ვარლამს თავისი

ხელით ფანქრით მიუწერია **ბუნჭველა**, ალბათ იმიტომ, რომ ვასილ აბაევი საკმაოდ კატეგორიულად აცხადებდა სვანური მგრშკ-ის შესახებ: “В других картвельских языках нет этого слова“. მიუხედავად იმისა, რომ სპეციალურ ლიტერატურის (გ. კლიმოვი - 1964, თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი - 1965., ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე - 1990., 2000წ.) მიხედვით შესაბამის ქართულ, მეგრულ და ლაზურ მასალებთან სვანური მგრშკ ძირის დაკავშირება პრობლემატურად ითვლება, გენადი ბურჭულაძემ დადესტნურ (ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ-ლაკურ) ენათა დიდძალი მასალის და გარკვეული ფონეტიკური წესის (მ<ბ) მოხმობით განამტკიცა ივანე ჯავახიშვილისა (1937 წ.) თუ არნოლდ ჩიქობავას (1938წ.; 1942წ.) თეორია **ბ-**, **დ-** პრეფიქსების ოდინდელ კლასის ნიშნებად კვალიფიკაციისა ქართველურ ენებშიც (რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში სრულიად უსაფუძვლოდ იყო უარყოფილი მომდევნო მკვლევართა მიერ) და სვანური ლექსემის ანლაუტში წარმოდგენილი **მ-** თანხმოვანი **ბ-**საგან მომდინარედ გაიზრა(მგრშკ <\*ბგ-რ-შკ-უ).

ასეთი გახლდათ ჩემი სიყრმის მეგობარი, რომელმაც ფუნდამენტური ნაშრომები შექმნა კავკასიოლოგიაში, თუმცა ნაადრევმა სიკვდილმა უფრო ბევრი სათქმელი დაუტოვა მას. და მაინც თამამად შეიძლება ითქვას, რომ „აღასრულა მან თვისი ვალი“ როგორც ენათმეცნიერმა, როგორც მამულიშვილმა, როგორც პიროვნებამ.



**ლევან აზმაიფარაშვილი**  
არნ. ჩიქობავას სახელობის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

**სიტყვაწარმოებითი -ლ'ი სუფიქსის შესახებ ხუნძურში**

ხუნძური ენის სიტყვაწარმოებაში მეტად პროდუქტიულ დერივატს წარმოადგენს -ლ'ი. სპეციალისტთა მიერ იგი აბსტრაქტულ სახელთა მაწარმოებელ აფიქსადაა კვალიფიცირებული (უსლარი, 1889, §. 70, 82; ჟირკოვი, 1948, 23; ჩიქობავა, ცერცვაძე. 1962, 174; მაღიევა, 1981, 60; მაჰომედბეკოვა, 1987, 219).

-ლ'ი სუფიქსის მეშვეობით განყენებული არსებითი სახელები იწარმოება მეტყველების სხვადასხვა ნაწილებისაგან. მაგალითად:

არსებითი სახელისაგან: ვაცა-ლ'ი "ძმობა" (ვაცა "ძმა"), დაცა-ლ'ი "დობა" (დაცა "და"), ებელ-ლ'ი "დედობა" (ებელ "დედა"), ჰუდულ-ლ'ი "მეგობრობა" (ჰუდულ "მეგობარი"), თუმშან-ლ'ი "მტრობა" (თუმშან "მტერი"), ჩი-ლ'ი "კაცობა", "ადამიანობა" (ჩი "კაცი", "ადამიანი"), ჰოფჩი-ლ'ი "არამზადობა" (ჰოფჩი "არამზადა", ზედმიწ. "ძალი კაცი"), ბოწუჟან-ლ'ი "მესაქონლეობა" (ბოწუჟან "მესაქონლე"), ახიკან-ლ'ი "მებალეობა" (ახიკან "მებალე")...

ზედსართავი სახელისაგან: ლ'იკ-ლ'ი "სიკეთე" (ლ'იკ-აბ "კარგი", კეთილი"), ჰეჰერ-ლ'ი "სიშავე" (ჰეჰერ-აბ "შავი"), კაჰა-ლ'ი "სითეთრე" (კაჰა-აბ "თეთრი"), ხერ-ლ'ი "სიბერე" (ხერ-აბ "ბებერი", "მოხუცი"), წი-ლ'ი "სიახლე" (წი-ა-აბ "ახალი")...

რიცხვითი სახელისაგან: ცო-ლ'ი "ერთობა" (ცო "ერთი"), კი-ლ'ი "ორობა" (კი-გო "ორი" ...

ნაცვალსახელებში გ. მაღიევა აღნიშნავს ერთ ასეთ მაგალითს: დურ-დირ-ლ'ი "შენ-ჩემობა" (დურ "შენი", დირ "ჩემი") (მაღიევა, 1981, 61).

ზ მ ნ ი ს გ ა ნ : : ბუგო-**ლ**ი "ყოფნა" (ბუგო "არის"), ჰეჰო-**ლ**ი "არყოფნა", "არარსებობა", ჰეჰო "არ არის"), ტეჰო-**ლ**ი "მიუცემლობა" (ტეჰო "არ მისცა") (ჩიქობავა, ცერცვაძე. 1962, 175) და სხვ.

ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ **-ლ**ი დერივატი აწარმოებს კონკრეტულ არსებით სახელებსაც, რის გამოც მას ვერ მივიჩნევთ მხოლოდ აბსტრაქტულობის გამოხატველ აფიქსად, მიუხედავად სპეციალურ ლიტერატურაში არსებული ტრადიციისა. კონკრეტულ არსებით სახელთა წარმოებას ახასიათებს გარკვეული თავისებურებები, რაც სათანადო ყურადღებას იმსახურებს; მაგალითად:

**-ლ**ი სუფიქსით ნაწარმოები კონკრეტული არსებითი სახელის სემანტიკა ხშირად რამდენადმე გადახრილია ხოლმე ამოსავალი სიტყვის ძირითადი მნიშვნელობისგან:

გაბურ-**ლ**ი "უღელტეხილი", შდრ. გაბურ "კისერი";

რასა-**ლ**ი "ტაფობი", შდრ. რასა "გობი";

ყებე-**ლ**ი "სამჭედლო" (← ყებედ-**ლ**ი), შდრ. ყებედ "მჭედელი";

ქან-**ლ**ი "სინათლე", "შუქი", შდრ. ქან "კვარი";

ჭუჟ-**ლ**ი "მოჩვენება", შდრ. ჭუჟ "ნიშანი";

ბეჟენ-**ლ**ი "ქონი", შდრ. ბეჟენ-აბ "მსუქანი";

წაუ-**ლ**ი "საშო", შდრ. წაუ "მდედრი", ძუ";

ბაყ-**ლ**ი "მზიანი მხარე", შდრ. ბაყ "მზე"...

მნიშვნელოვანი ნაწილი კონკრეტული არსებითი სახელებისა ნაწარმოებია ზმნისართებისაგან. მაგალითად:

ტა-**ლ**ი "ზეგანი" (← ტად-**ლ**ი), შდრ. ტად "ზედ", "ზევით";

ტარა-**ლ**ი "მწვერვალი", შდრ. ტარა-და "ზევით"; ჟოდო-**ლ**ი

"დაბლობი", შდრ. ჟოდო-ბ "ძირს", "დაბლა"; ახა-**ლ**ი "ქვედა

ბოლო" (მაგ., ტანისამოსისა), აგრეთვე "ნაპირი", "კიდე", "ძირი";

შდრ. ახა-და "ქვევით", "ძირს"; ჟანიბ-**ლ**ი "შიგნეული". შდრ. ჟანიბ

"შიგნით", სვერუჟ-**ლ**ი "შემოგარენი", შდრ. სვერუჟ "ირგვლივ"...

რთული შედგენილობისაა ხასალიკ-**ლ**ი "შემოდგომა". იგი მიღებულია სიტყვისაგან ხასელ "ზამთარი". **-ლ**ი დართული აქვს

ამ სიტყვის ადგილობრით ბრუნვიან (II სერიისა) ფორმას: ხასალი-კ, ზედმიწ. "ზამთარ-თან": ხასელ "ზამთარი" → ხასალი-კ "ზამთარ-თან" → ხასალი-კ-ლ'ი "შემოდგომა", ზედმიწ. "ზამთარ-თან-ობა" (ჩიქობავა, ცერცვაძე. 1962, 174).

აღსანიშნავია კიდევ ერთი დანიშნულება -ლ'ი სუფიქსისა: როგორც ცნობილია, იგი ხუნძურ ენაში კრებით მნიშვნელობასაც გადმოსცემს, მაგ., მაჰარულ-ლ'ი "ხუნძობა" (= "ხუნძები"), ჰალმალ-ლ'ი "ამხანაგობა" (= "ამხანაგები"), მადოჰალ-ლ'ი "მეზობლობა" (= "მეზობლები") (ჩიქობავა, ცერცვაძე. 1962, 174). ანწუხურ დიალექტში იგივე მოვლენა დაადასტურა ი. ცერცვაძემ (ცერცვაძე, 1948, 135).

ამ დიალექტში -ლ'ი სუფიქსის კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისია -თი (თ ← ლ') (ცერცვაძე, 1948, 173). საინტერესოა, რომ ამჟამად ანწუხურში მხოლოდ -თი სუფიქსით ეწარმოება მრავლობით ზოგიერთ არსებით სახელს; ესენია, მაგალითად:

მადუჰან "მეზობელი" – მრ. რ. მადუჰან-თი "მეზობლები" (მდრ. ლიტ. მადოჰალ-ზაბი); ჰალმალ "ამხანაგი" – მრ. რ. ჰალმალ-თი "ამხანაგები" (მდრ. ლიტ. ჰალმალ-ზაბი);

ჰუდულ "მეგობარი" – მრ. რ. ჰუდულ-თი "მეგობრები" (მდრ. ლიტ. ჰუდულ-ზაბი)...

სხვაგვარი ფორმა მრავლობითისა ანწუხურში ამ სახელებს ამჟამად არ გააჩნიათ (ვემყარებით ყვარლის რ-ნის სოფ. თივის მკვიდრ ანწუხელთა მეტყველებას).

თავის დროზე ლ. ჟირკოვი გამოთქვა აზრი, რომ -ლ'ი წარმოშობით უკავშირდება ზმნას ლ'ეზე "დადება", კერძოდ, იგი მომდინარეობს ამ ზმნის მასდარის ფორმისაგან ლ'ეფ. ლ. ჟირკოვის თანახმად, ეს ფორმა გამოხატავს "მდგომარეობის" ("положение, постановка, состояние") მნიშვნელობას. შესაბამისად, ჰედერ-ლ'ი "სიჩქარე", მაგალითად, სიტყვასიტყვით არისო "ჩქარი მდგომარეობა", ბეტერ-ლ'ი "ბატონობა" – "თავის მდგომარეობა" (ბეტერ "თავი"), ჰეჰო-ლ'ი "არყოფნა", "არარსებობა" – "არყოფნის, არარსებობის მდგომარეობა" და ა.შ. (ჟირკოვი, 1948, 24).

ამჟამად ლ. ჟირკოვის ამ ამ შეხედულებას ხუნძური ენის სპეციალისტები არ იზიარებენ. -ლ'ი სუფიქსის გენეზისის შესახებ

გამოთქმულია სხვა, ბევრად უფრო სარწმუნო მოსაზრება, რომლის მიხედვით **-ლ'ი** მართლაც მასდარული წარმოშობისაა, ოღონდ მიღებულია ნასახელარ ზმნათა მაწარმოებელი მეშველი ზმნისაგან **ლ'-ი-ზე** "გარდაქცევა", "გახდომა". ეს ზმნა ამჟამად იხმარება მხოლოდ ენკლიტიკურად (ივარაუდება, რომ უწინ დამოუკიდებლადაც უნდა ხმარებულიყო), მაგ., ვაცა-ლ'იზე "დამმობილება" (ვაცა "ძმა"), ცო-ლ'იზე "გაერთიანება" (ცო "ერთი"), ხერ-ლ'იზე "დაბერება" (ხერ-აბ "ბებერი", "მოხუცი")... მასდარული ფორმით გვექნება: ვაცა-ლ'ი, ცო-ლ'ი, ხერ-ლ'ი... (მაჰომედბეკოვა, 1959, 259-260; ჩიქობავა, ცერცვაძე, 1962, 175-176). წარმოდგენილ თვალსაზრისს მხარს უჭერს ახლო მონათესავე ენათა ჩვენებაც. ეს სიტყვაწარმოებითი აფიქსი დასტურდება აგრეთვე ყველა ანდიურ-დიდოურ ენაში ერთი და იმავე ფუნქციით (მაჰომედბეკოვა, 1987, 219; ბურჭულაძე, 1985, 11), მაგ., ახვახურში **-ლ'ე**: მაჩა-ლ'ე "სიმდიდრე" (შდრ. ხუნდ. ბეჩე-ლ'ი "id."); ბოთლიხურში: **-ლ'ი**: ქუნთეკვა-ლ'ი "ვაჟკაცობა", "სიმაძაძე"; კარატაულში: **-ლ'ერ**: მიწა-ლ'ერ "სიტკბო"; დიდოურში **-ლ'ი**: რიგი-ლ'ი "სიკეთე", ბეჟიტურში **-ლ'ი**: წუდდო-ლ'ი "სიწითლე" და სხვ.

ამჟამად დადგენილია, რომ ზმნური ფუძე **ლ'-V-** "გარდაქცევის", "გახდომის" მნიშვნელობით და მისგან მიღებული სადერივაციო აფიქსიც ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა საერთო კუთვნილებაა.

ისიც აღსანიშნავია, რომ დარგულ ენას აბსტრაქტულ სახელთა მაწარმოებლად მოეპოვება დერივატი **-დეშ**, რომლის დიალექტური ვარიანტებია **-დიშ**, **-დეხ**, **-დიხ**: მურულ-დეშ "ვაჟკაცობა", ადამ-დეშ "ადამიანობა", ჰალმად-დიშ "მეგობრობა", კერკ-დეხ "სიშავე", აბდალ-დიხ "სისულელე"... (მაჰომედოვი, 1972, 12-14). დარგულის ამ ვარიანტთაგან ამოსავალია **-დეხ**, **-დიხ** (შ ← ხ), სადაც ძირეულ მორფემას წარმოადგენს **ხ** (დე-ხ, დი-ხ) და იგი უკავშირდება ლაკური ენის მეშველ ზმნას ხუნ "გარდაქცევა", "გახდომა", ხოლო ორივე მათგანისათვის ამოსავალი ჩანს **ლ'**, რომელიც დღეს ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებშია დაცული: **ხ ← ლ'** (შდრ. ხუნდ. ვაცა-ლ'იზე "დამმობილება", ვაცა-

ლ'ი "ძმობა"). ეს ლ' ძირეული მორფემა ყოფილა ამოსავალი "ყოფნის", "გარდაქცევის", "გახდომის" მნიშვნელობის მქონე ზმნათათვის ლეზგიურ ენებშიც (ბურჭულაძე, 1996. 210-216).

ამრიგად, ხუნძ. ლ'-ი-ზე ("გარდაქცევა", "გახდომა") ზმნას ფონეტიკური შესატყვისობები ეძებნება არაერთ მონათესავე ენაში, რაც მოწმობს, რომ იგი საერთო დაღესტურ ლექსემას წარმოადგენს.

### **ლიტერატურა:**

**ბურჭულაძე 1985** – გ. ბურჭულაძე, გარდაუვალ ზმნათა -ლ' სუფიქსის გენეზისისათვის დიდოურ ენებში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XLIII სამეცნიერო სესია. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1985.

**ბურჭულაძე 1996** – გ. ბურჭულაძე, ერთი რიგის მეშველ ზმნათა თაობაზე ლაკურში, საენათმეცნიერო ძიებანი, V, თბ., 1996.

**მადიევა 1981** – Г. И. Мадиева, Морфология аварского литературного языка, Махачкала, 1981.

**მაჰომედბეკოვა 1959** – З. М. Магомедбекова, О двух суффиксах словообразования в каратинском и аварском языках, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XI, 1959.

**მაჰომედბეკოვა 1987** – З. М. Магомедбекова, К именному словообразованию в аварско-андийско-дидойских языках, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული, XIV, თბ., 1987.

**მაჰომედოვი 1972** – М.-Г.З. Магомедов, Именное словообразование в даргинском языке, Махачкала, 1972.

**ჟირკოვი 1948** – Л. И. Жирков, Словообразование в аварском языке, Языки Дагестана, вып. I, Махач-кала, 1948.

**უსლარი 1889** – П. К. Услар, Этнография Кавказа. Языкознание III. Аварский язык, Тифлис, 1889.

**ჩიქობავა, ცერცვაძე 1967** – არნ. ჩიქობავა, ი. ცერცვაძე, ხუნძური ენა, თბ., 1962.

**ცერცვაძე 1948** – ი. ცერცვაძე, ხუნძური ენის ანწუხური დიალექტი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, II, თბ., 1948.

## ON WORD-DERIVATIVE -l'i SUFFIX IN AVAR

Levan Azmaiparashvili, Arnold Chikobava Institute of Linguistics  
SUMMARY

In Avar word-forming **-l'i** is a productive derivative that is qualified as a derivative affix of an abstract noun by specialists (P. Uslar, L. Zhirkov, Arn. Chikobava, I. Tsertsvadze, G. Madieva, Z. Mahomedbekova...); e.g. *vac-l'i* "brotherhood", *l'ik-l'i* "kindness", *co-l'i* "unity"... It should be also emphasized that **-l'i** derivative forms many concrete nouns. Owing to this it should not be considered to be an affix denoting abstractness in spite of existing traditions in the special literature.

As it has already been clarified at present in Avar **-l'i** suffix is originated from an auxiliary verb **l'ize** "to become" derivating from verbal noun verbs (Z. Mahomedbekova, Arn. Chikobava, I. Tsertsvadze). It is also established that phonetic correspondences of an Avar verb **l'-i-ze** ("to become") occur in many kindred languages (G. Burchuladze), which confirms that it itself and a derivative affix originated from it is a common property of the Dagestanian languages.

## იოსებ ალიმზარაშვილი გორის სასწავლო უნივერსიტეტი

### ხიდისთავის ლოკალიზაციისა და ძველი ტოპონიმების დაზუსტების ცდა

ხიდისთავი მდებარეობს შიდა ქართლის ვაკეზე, ზღვის დონიდან 580 მეტრზე, გორიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდინარე მტკვრისა და ტანის შესართავთან. დღევანდელი ადგილმდებარეობით, იგი გორის მოსაზღვრე და რაიონში ერთ-ერთი უდიდესი სოფელია.

საუკუნეების განმავლობაში იგი ევროპა-აზიის საქართველოზე გამავალი ცნობილი „აბრეშუმის გზის“ ერთ-ერთი პუნქტთაგანი იყო და აღმოსავლეთიდან გორის საბაჟოს ფუნქციასაც ასრულებდა.

ამავე გზით გაუვლია ურბნისიდან მცხეთაში მიმავალ წმინდა ნინოს.

გარდა სტრატეგიული ადგილმდებარეობისა, ხიდისთავი ბუნებრივი სიმდიდრეებითაც უხვად იყო დაჯილდოვებული.

მას ჩრდილოეთით ესაზღვრება კვერნაქის ქედი, სამხრეთით - თრიალეთისა (ერეთას) და ზედაველას ქედები, ამ ორ ქედს შუა მოედინება მდინარე ტანა, რომლის ხეობაშიც სოფ. ატენის შუაწელამდე შეჭრილია ზემო ხიდისთავი, ე. წ. „ოხერა“.

1826 წლის ივლისში ხიდისთავში გაუვლია გორიდან თბილისში მიმავალ გერმანელ მეცნიერსა და მოგზაურს – ედუარდ აიხვალდს. გორთან მას მდინარე მტკვარი ნავტიკით გადაულახავს და მარჯვენა ნაპირზე ისე გასულა, ხოლო ხიდისთავამდე მისვლას 1,5 საათი მოწოდებია. ამ დროისათვის სოფელი მხოლოდ ტანას მარჯვენა ნაპირზე ყოფილა გაშენებული, რადგან აიხვალდი აღნიშნავს: „სოფლის წინ უნდა გადავსულიყავით პატარა მდინარეზე, რომელსაც ტანა ჰქვია და აქვე ერთვის მტკვარსაო“ (აიხვალდი, 2005). ნათქვამიდან გამომდინარე, ტანა სოფელს დასავლეთიდან წინ ჩამოუდიოდა, ე.ი. მის აღმოსავლეთით მდებარეობდა.

ცნობილია, რომ XIX საუკუნის 60-იან წლებამდე გორის ამჟამინდელი რკინიგზის სადგური და მისი მიმდებარე ტერიტორია წარმოადგენდა მტკვრის ორ ტოტს შუა მოქცეულ დიდ კუნძულს. ერთი ტოტი მოედინებოდა ეხლანდელი კალაპოტის მარჯვენა მხარეს, ხოლო მეორე ე. წ. ძველი ხიდიდან დასავლეთით დაახლ. 300-400 მეტრში მკვეთრად უხვევდა სამხრეთით, მიემართებოდა ერეთას მთის ძირას, გაივლიდა ყოფილი ნევთობაზისა და შპალსაჟღენთი ქარხნების ტერიტორიას და უხვევდა ჩრდილოეთით, ხიდისთავ-გორის შემაერთებელი ძველი ხიდის ბურჯების ოდნავ ზევით და კვლავ ძირითად ტოტს უერთდებოდა.

თბილისი-ფოთის რკინიგზის გაყვანისას ზემოხსენებული ტერიტორიები შეამალეს სწორი ტრაექტორიისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით. ამ ფაქტს მტკვრის მიერ გორის სამხრეთი ნაწილის (ერთობის ქუჩის, ე. წ. როტონდის, დღ. ახალბაღის და გრ. რობაქიძის ქუჩების მომიჯნავე ტერიტორიების) ხშირი დატბორვები გამოუწვევია და ქალაქის გამგეობას რკინიგზის სამმართველოსათვისაც კი უჩივლია სასამართლოში ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით („ქართლი“, 1936).

გარკვეული დროის განმავლობაში დღევანდელი რკინიგზის სადგურის ტერიტორია მდინარე ტანას ნაპირებამდე, ცნობილი საზოგადო მოღვაწის დავით გიორგის ძე ერისთავის საკუთრებას წარმოადგენდა და იგი გორის ნაწილად მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქცეულა („გამარჯვება“, 1973).

თუ გორის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის არქიტექტონიკას გადავხედავთ, თვალსაჩინოა, რომ ერეთას ქედის ჩრდილო და კვერნაქის ქედის სამხრეთი „წანაზარდები“ ერთ დროს მთლიანი უნდა ყოფილიყო. ჯერ კიდევ 1894 წელს ცნობილი რუსი ეთნოგრაფი პრასკოვია უვაროვა სათანადო წყაროებზე დაყრდნობით აღნიშნავდა, რომ ძველ დროს კვერნაქისა და პიცარის (ერეთის - ს. ა.) ქედები წარმოადგენდნენ ერთ მთლიან მთათა სისტემას, რომელიც სურამთან იწყებოდა, მტკვრის მარჯვენა ნაპირს მიუყვებოდა და გორის სიბრტყეზე ჰქმნიდა უზარმაზარ ტბასო (Уварова, 1894).

ამ თვალსაზრისს სხვებიც იზიარებდნენ. ალ. გარსევანიშვილის ცნობით, ეს უზარმაზარი ბუნებრივი წყალსაცავი



სოფ. ხურვალეთამდე აღწევდა და თამარ მეფის დავალებით გაუჭირათ ხიდისთავთან (**გარსევანიშვილი, 1868**).

თუმცა, ეს მხოლოდ ლამაზი ლეგენდაა და რეალურად ხსენებული პროცესი ბევრად უფრო ადრე, ჯერ კიდევ პლიოცენის ბოლოს, დაახლ. ორი მილიონი წლის წინ უნდა მომხდარიყო (**ძველაია, 1950**).

იქ, სადაც მტკვრის მარჯვენა ტოტი ჩრდილოეთისაკენ უხვევდა, წყალი თხელი იყო და ხიდის მშენებლობაც ამ ფაქტით იყო განპირობებული, ხოლო, როცა ხიდი თავის ფუნქციას ვერ ასრულებდა, მოსახლეობა ე. წ. „ჯოხისის“ ფონით სარგებლობდა, რომელიც იმავე ადგილას, ტანის მტკვართან შეერთების სიახლოვეს (დასავლეთით) მდებარეობდა.

ჰიდროსაინჟინრო საქმის კარგი მცოდნე და მეცნიერი - ნიკოლოზ კვეზერელი-კოპაძე მითითებულ ადგილას სამმალიანი ქვის ხიდის არსებობასაც არ გამორიცხავს და აღნიშნავს, რომ ამ თვალსაზრისის გაზიარებისას, ვენეციელი ბერის - მოსე ბჟიშკიანისა და შვეიცარიელი არქეოლოგის - დიუბუა დე მონპერეს ცნობებს ეყრდნობა (**კვეზერელი-კოპაძე, 1972**).

რაც შეეხება ხიდისთავის იმდროინდელ დასავლეთის ბუნებრივ საზღვარს, ტანას მოსაზღვრე მიწები ადვილად სარწყავდებოდა და ნაყოფიერებით გამოირჩეოდა, თუმცა, წყალდიდობებიც არ იყო იშვიათობა, ამიტომ მოსახლეობის ნაწილს საცხოვრებლად ზედაველას ქედის კალთები შეურჩევია, რათა ბალ-ვენახებისათვის ფართობი არ „მოეცდინა“ და უსაფრთხოების მხრივაც დაცული ყოფილიყო.

ზემონათქვამ ქედებს შორის მოქცეული ტერიტორია ქართლისათვის დამახასიათებელ აღმოსავლეთ-დასავლეთის ქარის გადაადგილებას ხელს უშლიდა, ეს ფაქტორი ძველთაგანვე სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების, განსაკუთრებით მეღვინეობისათვის საუკეთესო წინაპირობას წარმოადგენდა, ამიტომ „ატენური“ და „ხიდისთაური“ ღვინო ძველთაგანვე ქართული სუფრის მშვენება იყო და ხელისუფლების უმაღლესი წრეებში დიდი მოთხოვნილებით სარგებლობდა.

1878 წელს ჟურნალ „ივერიის“ კორესპონდენტი აზუსტებდა: „ყველა ქართლელი დაგიმტკიცებთ, რომ ქართლში ორი სოფელი არ იპოვება ხიდისთავისთანა შემკობილი ტყით, წყლებით,

მინდვრებით და უფრო ვენახებით. აქაური ღვინო კახურს არ დაუვარდება არც გემოთი და არც ფერითო“ („ივერია“, 1878).

„ამ სოფელს ორ უბნათ ჰყოფს დიდი შარაგზა ფოშტისა და რაოდენიმე ხიდისთავის ვენახების ბოლო, სამხრეთის მხარეს მთის ფერდობზე გაგრძელებულს ვენახებით ეწოდება „ოხერა“ და ჩრდილოეთის მხარეს ვენახებში შუა ხიდისთავი, სადაც გაიჭრა წინ ჭალაზე რკინის გზა“, წერდა 1868 წელს ხიდისთავის ადგილმდებარეობის შესახებ ცნობილი მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე, ამავე სოფლის მკვიდრი - დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილი („სასოფლო გაზეთი“, 1868). ანუ, დღევანდელი სოფლის ძირითადი ნაწილი ძირითადად დასახლებულია დაახლ. იმავე ადგილას, სადაც 140 წლის წინ.

ზემოთ ჩამოთვლილი ხელსაყრელი ბუნებრივი და გეოგრაფიული გარემო უძველესი დროიდანვე სოფლის დასაარსებლად საუკეთესო პირობებს ჰქმნიდა.

ტოპონიმ „ხიდისთავის“ წარმოშობაც ნიშანდობლივია. მდინარეებით მდიდარ საქართველოში ხიდების მშენებლობის უძველესი ტრადიცია არსებობდა და ეს ცნობები ჯერ კიდევ ძველი ბერძენი ისტორიკოსების: აპიანეს (I-II სს.), დონ კასიოსის (II-III სს.) და სხვათა თხზულებებშია დაცული. ამას ადასტურებს ქართულ ტოპონიმიკაში მრავლად შემორჩენილი სოფლების სახელწოდებებიც: ხიდისკარი, ნახიდური, ტინისხიდი, ხიდისყური, ხიდარი და ა. შ.

ხიდისთავის დაარსება, ჩვენი აზრით, გორის ქალაქად ქცევის პარალელურად უნდა მომხდარიყო. როგორც წესი, ქალაქის გარშემო ჩნდებოდნენ სოფლებიც, რომლებსაც ერთმანეთთან ორმხრივი ურთიერთობები აკავშირებდათ. მაგ. ქალაქი თავისი ციხით, ახლომდებარე სოფლების უსაფრთხოებას იცავდა და ხელოსნური ნაწარმით ამარაგებდა. სამაგიეროდ, სოფელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით უზრუნველყოფდა ქალაქს.

უძველესი ცნობა, რომელიც ხიდისთავის შესახებ ჩვენთვის ცნობილია, XIV ს-ის 80-იან წლებს მიეკუთვნება. ეს არის 1382 წლის 30 ივნისით დათარიღებული დავით მეფის წყალობის სიგელი ოქონის ეკლესიისადმი. საბუთი ინახება გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. საბუთიდან მხოლოდ ის ნაწილი მოგვყავს, რომელშიც ხიდისთავის შესახებაა საუბარი: „ქ. ჩვენ

იესიან დავითიან სოლომონიან პანკრატოვან აფხაზთა რანთა კახთა შაა (შაჰანშა – ს. ა.) და შირვან და საქართველოს მპყრობელმან დაკელმწიფემან მეფეთ მეფემან დავით და ძეთა ჩვენთა გიორგი და ალექსანდრე, ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ მას ჟამსა ოდეს საყდარი ოქონისა ბების ბებისა ჩვენსა თამარ დედოფალს აღუშენა ქალაქსა გორისასა სანახებსა, დაეხატა და შეემკო და შეეწირა სოფელ ხიდისთავ გაღმა გამოღმა სამზღვრითა, ამით ნეტარის ჯვარის წვერი რამ ხევამდის, მას დამართებით ზემო წითელი კლდე, მას დაპირისპირ ქათამაურის ბოლომდინ, კამკამაურის პირისპირ დიდს რუსხმულამდინ, რუსხმულის დაპირისპირებით კლდათ ხევამდინ. ამისითა რუთა, წყლითა, მიწითა და ჭალითა. მოგვიხსენებია და შეგვიწირავს ხატისა ოქონისათჳს...” (გორის მუზეუმი, 7601/30).

„გაღმა-გამოღმა სამზღვრითა“ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ხიდისთავი იმ დროს მდ. მტკვრის ორივე მხარეს იყო განფენილი.

სამწუხაროდ, საბუთში ნახსენებ ტოპონიმთაგან დღეს მხოლოდ „წითელი კლდეებია“ შემორჩენილი, რომელიც კვერნაქის ქედზე, გორიდან აღმოსავლეთით, დაახლ. 2 კილომეტრში, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზეა და დღესაც ამ სახელით იხსენიება.

„ნეტარის ჯვარის წვერი“ და „ხევიც“ კვერნაქის ქედზე უნდა ყოფილიყო. ხიდისთავი ახლაც და იმ დროსაც ზედაველასა და კვერნაქის ქედებს შორის არსებულ ვაკეზე მდებარეობს, ხსენებული ტერმინები კი ვაკეზე ნაკლებად მოიაზრება.

ეს არგუმენტი კიდევ უფრო დამაჯერებელი ხდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ „წითელი კლდეები“ „ჯვარის წვერის“ ხევამდის დამართებით“ მდებარეობდა.

„ქათამაური“ მტკვრის მარჯვენა ნაპირზე უნდა ვიგულისხმოთ, რადგან იგი „წითელი კლდეების“ საპირისპირო მხარეს მდებარეობს.

„კამკამაური“ და „დიდი რუსხმულიც“ მდინარეს უკავშირდება და მტკვრის სიახლოვეს უნდა ყოფილიყო. „რუსხმული“ სამელიოორაციო ტერმინია, ნ. ჩუბინაშვილის განმარტებით, „მაღლა შემენებული რუ, წყალთა გადასატანი“. სავარაუდოდ, „დიდი რუსხმულით“ ხიდისთაველებს მდ. მტკვრიდან სამხრეთით, ან სამხრეთ-აღმოსავლეთით წყალი სასურველ ადგილამდე მიჰყავდათ.

რაც შეეხება „კამკამაურს“, „კამკამა“ სუფთა, გამჭვირვალე წყალს ნიშნავს. იგი მტკვრის სიახლოვეს არსებული წყაროების სიუხვით უნდა აიხსნას. ერთ-ერთი მათგანი „კენჭაურა“, დღესაც მოქმედებაშია.

როგორც ვხედავთ, სიგელი საყურადღებო ინფორმაციას გვამღევს ძველი ხიდისთავის ლოკალიზაციის თვალსაზრისით. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გაგება, რომ ხიდისთავი ოქონის მონასტრისათვის თამარ დედოფალს შეუწირავს.

რაც შეეხება ხიდისთავში არსებულ სხვა ტოპონიმებს.

1699 წლის 24 თებერვლით დათარიღებული ერთი სიგელით ნოდარ ფანასკერტელ-ციციშვილი, შვილებთან და შვილი-- შვილებთან ერთად, „ფეშქაშის“ გამოისობითა და ერეკლე ნაზარალიხანის მოთხოვნით: დავით მდივანს, ზურაბა მამასახლისს, ავთანდილ გორგიჯანასშვილს, მამუკა როსტე- ვანასშვილს, ფეშანგი თაყინაშვილს, ფარსადან ამირადაშვილს, ბაინდურა ჯულაბაშვილს და სხვა „ერთობით გორელთ“ პირობის წიგნს აძლევს, რომ „ნარუალის გარდა, ზედაველას მთაშია, სანაჟორში და ურიულშია და სადაც ხელი მიგიწვდეს, შეშა და სახმარი ხე-ტყე ვერავინ დაგიშალოთ“ (**ხელნაწერთა, HD, N13151**).

„ნარუალი“, სიტყვის ეტიმოლოგიიდან გამომდინარე, მიტოვებულ რუს ნიშნავს, რომელიც ზედაველას ქედის ერთ-ერთ განშტოებაზე უნდა ყოფილიყო.

„ურიული“, დღესაც ჰქვია ერთ ადგილს ზედაველას სამხრეთ კალთაზე. ტოპონიმის წარმოშობა შესაძლოა ეთნიკური, ან კუთვნილებითი ხასიათისა იყოს. ურიებს, როგორც ცნობილია, ქართველ ებრაელებს უწოდებდნენ (**მამისთავალიშვილი, 1995**), რომლებიც დასახელებული ადგილის, ან უბნის თავდაპირველი მაცხოვრებლები უნდა ყოფილიყვნენ.

რთული ასახსნელია რას უნდა ნიშნავდეს „სანაჟორი“. იგი ეტიმოლოგიურად ახლოს დგას „სანაჟურე“-სთან, რაც ნაჟურ წყლებს გულისხმობს, რომლებიც სავარაუდოდ, ზედაველას ნაპრალოვან კალთაზე გროვდებოდა.

საკმაოდ ძველი ჩანს „ქვაშავიც“. ხსენებული ტოპონიმი ხიდისთავში ჯერ კიდევ 1724 წელს ფიქსირდება (**ტლაშაძე, 1895**).

ადრეულ სიგელებში ხიდისთავში ასევე ხაზგასმულად აღინიშნება „გუფთა“. ამ სახელით სხვა სოფელიცაა ცხინვალის რაიონში, რომელსაც ვახუშტი ბატონიშვილის გარდა, გიულდენშტედტიც მიაწინებებს.

ასევე საინტერესოა ტოპონიმ „ოხერას“ წარმოშობა, რომლის შესახებ სხვადასხვა ვერსიები არსებობს. იგი საკმაოდ ძველი უნდა იყოს, რადგან ქართულ ისტორიულ წყაროებში XVII ს-ის დასაწყისიდან (1615 წ.), ლუარსაბ II-ის მიერ ქაიხოსრო და მერაბ ციციშვილებისადმი გაცემულ წყალობის სიგელშია მოხსენიებული

XVIII ს-ის I მეოთხედით დათარიღებული ციციშვილების ყმა-მამულის გაყრილობის სიგელით, ზაალს ერგო „დემეტრაშვილის მამული და იმათგან მოცემული ჳოდაბუნდიამ სამი დღის მიწა ოკერაში“ (**ქართული, IV, 1972**).

სოფ. ოხერა 1944 წლამდე არსებობდა ახალციხის რაიონშიც (იქ ე. წ. თურქი მესხები სახლობდნენ და ხელისუფლების მიერ მათი შუა აზიაში გადასახლების შემდეგ სოფელმა არსებობა შეწყვიტა), მაგრამ ხსენებულ საბუთში ნამდვილად ხიდისთავის „ოკერაზეა“ საუბარი, რაც იმითაც მტკიცდება, რომ ეს სოფელი ციციშვილებისათვის მეფეს შიდა ქართლის სხვა მეზობელ სოფლებთან - ნიჩბისთან, დოესთან, აკვეთთან ერთად უწყალობებია. უფრო სწორედ, წყალობა განუახლებია, რადგან საბუთში ქართლის მეფე აღნიშნავს, პირველად „მთელი ესეები ...ბედნიერს ყენს (იგულისხმება შაჰ აბას I - ს. ა.) თქვენთვის ებოდებინა და ჩუენც ბედნიერის ყენის ბარმანი გავათავეთ და გიბოდეთ“.

ციციშვილების მფლობელობა ხიდისთავზე სხვა დოკუმენტებითაც დასტურდება.

საბუთებში ასევე ნახსენებია „ხოდაბუნები“, „ფლატის მიწა“ (**უჩანეიშვილი, 1967**) და სხვ.

შედარებით გვიანდელ და ამჟამინდელ ტოპონიმთაგან ხიდისთავში ცნობილია „ჩინეთის უბანი“, „ჩეკის ბაღი“, „ჭალა“, „დაჭრილები“, „აზნეთი“ და ა.შ.

საინტერესოა ტოპონიმ „დაჭრილების“ წარმოშობის ისტორია. იგი ხიდისთავის აღმოსავლეთით, ზედაველას ქედის ჩრდილო კალთაზე, დღევანდელი „აზნეთის“ პროფტექნიკური

სასწავლებლის სიახლოვეს მდებარეობს და მოსახლეობაში გავრცელებული აზრით, ქედის უსწორმასწორო ნიადაგის გამო შეერქვა, თუმცა, ჩვენ სხვა ვერსია გვაქვს.

XI წითელი არმიის მიერ თბილისის ოკუპაციის (25. 02. 1921 წ.) მიუხედავად, ქართულ არმიას იარაღი არ დაუყრია და არიერგარდულ ბრძოლებს განაგრძობდა.

ქართული ჯარის ქვეითი ნაწილები გენერალ ანდრონიკაშვილის მეთაურობით გორისაკენ ძეგვზე, ახალქალაქსა და დოეს-ხიდისთავზე გამოვლით იხევდნენ უკან.

მთავარსარდალ გიორგი კვინიტაძეს გადაუწყვეტია გორთან შეეჩერებინა მოწინააღმდეგის წინსვლა და ხიდისთავთან გაუგზავნია მეორე დივიზია გენერალ სუმბათაშვილის მეთაურობით.

სუმბათაშვილის ნაწილები დაბანაკებულან სწორედ ადგილ „დაჭრილებთან“. ამ ადგილას ზედაველას ჩრდილო კალთა დანაოჭებულია და ჩასაფრების მიზნით - საიმედო, თანაც საავტომობილო გზის სიახლოვეს მდებარეობს და გორში მომავალი წითელი არმიის ნაწილები მას ვერ ასცდებოდნენ. ჩვენი აზრით, ტერმინი „დაჭრილები“ სწორედ ქართველი ჯარისკაცების წითელ არმიასთან შეტაკების შედეგად უნდა გაჩენილიყო .

ტოპონიმ „აზნეთის“ ფუძე - „აზ-ნეფტია“, რაც სრულად „აზერბაიჯანულ ნეფტს“ (საწვავს) („Азербайджанский нефть“) ნიშნავს და გამოწვეულია ადრე ამ ადგილას საწვავის რეზერვუარების არსებობით, ხოლო „ჩინეთის უბანი“ შედარებით ახალგაზრდაა და იქ ეთნიკურად განსხვავებული მოსახლეობის ჩასახლების შედეგადაა გაჩენილი.

„ჩეკის ბალი“ რუსული აბრევიატურიდან „ЧК“-დანაა (Чрезвычайная Комисия) ნაწარმოები. ცნობილია, რომ ეს ორგანო XX საუკუნის 30-იან წლებში ქვეყანაში ძალოვან სტრუქტურას წარმოადგენდა. „ჩეკის ბალი“ ხიდისთავის დასავლეთით, გორის სიახლოვეს, „პრესტიჟულ უბანში“ მდებარეობს და ამ ადგილას უშიშროების მუშაკებს ეძლეოდათ მიწები. 1935 წელს გორის რაი-მილიციის საბჭოთა მეურნეობის ლიკვიდაციისას, აღნიშნული ბალები ბერიას სახელობის ოხერის კოლმეურნეობას გადაეცა (გორის არქივი, 1937).

რაც შეეხება „ლამებს“, ეს ტოპონიმი სოფლების უმეტესობაშია გავრცელებული და მდინარეების მოქმედებითაა გამოწვეული (ლამი წყლის დანალექი წმინდა სილაა). ხიდისთავის „ლამებიც“ მდ. მტკვრის სიახლოვეს მდებარეობს და მოსახლეობას ამაჟამად ბალ-ბოსტნები აქვს გაშენებული.

როგორც აღვნიშნეთ, ხიდისთავის დაარსებას მნიშვნელოვან-წილად მაინც გორის ქალაქად ქცევამ შეუწყო ხელი. გორი ქვეყნის ჩრდილო-სამხრეთისა და აღმოსავლეთ-დასავლეთის გზასაყარზე მდებარეობს. ამ გზებიდან მინიმუმ ორს მაინც, ხიდისთავზე უნდა გაევლო, პირველი - ატენის ხეობიდან გორსა და შიდა ქართლზე მომავალი და მეორე - მცხეთიდან დასავლეთისაკენ (დოესის გავლით) მიმავალი.

თავდაპირველი სოფელი გაშენებულა ხიდის თავთან, რომელიც მდ. მტკვარზე უნდა ყოფილიყო გადებული. ძველი ხიდის ნაშთები მტკვართან მდ. ტანის შესართავსა და კვერნაქის ქედის შვერილთან ახლაც შესამჩნევია და კიდევ უფრო თვალსაჩინო იყო დაახლ. 15-20 წლის წინ. ეს ხიდი, რამდენადაც ხელს უწყობდა გორელების სამხრეთ-აღმოსავლეთით კომუნიკაციას, იმდენად ქალაქის უშიშროებას უზრუნველყოფდა, უმეტეს შემთხვევაში იგი ხისგან იყო გადებული, მოსახლეობას სწრაფად ხიდის ფიცრების აყრა და მტრისათვის გორზე შეტევის შეფერხება რომ შეძლებოდა, როგორც ეს მოხდა 1609 წელს.

ხიდის თავთან მუდმივად იდგა ყარაული, რომელსაც ორმაგი ფუნქცია უნდა ჰქონოდა, პირველი - ზემოთ ნახსენები თავდაცვის და მეორე, იგი იმავდროულად მებაჟის მოავალებასაც ასრულებდა. სწორედ ეს მებაჟეები და ხიდის მცველები უნდა ყოფილიყვნენ პირველი ხიდისთაველები. როგორც ჩანს, მათ სამსახურიდან „თავისუფალ დროს“ ახლომახლო მიწების დამუშავებას მიჰყვეს ხელი, ხოლო შემდგომში დასახლდნენ კიდევ ახლომდებარე ტერიტორიებზე.

სად უნდა ყოფილიყო ხიდისთავი-გორის შემაერთებელი ხიდი? უდავოა, რომ მისი ჩრდილოეთი (გორის) მხარე კვერნაქის ქედის სამხრეთი შვერილია, სადაც ქედი მნიშვნელოვნად ავიწროვებს მდინარე მტკვარს. ხიდის სამხრეთი (ხიდისთავის) მხარე მდ. ტანის მტკვართან შეერთების მახლობლად, ოდნავ

დასავლეთით უნდა ყოფილიყო. ამ ადგილას ძველი ნახიდარი და მისი ერთი ბურჯი დღესაც ჩანს კვერნაქის ქედიდან.

მოგვიანებით, ხიდისთავი მხოლოდ სამხრეთით და აღმოსავლეთით გაიზარდა. დასავლეთით იგი ვერ განვითარდებოდა, რადგან XIX ს-ის 60-იან წლებამდე (ფოთი-თბილისის რკინიგზის გაყვანამდე), თრიალეთის ქედი მკვეთრად უახლოვდებოდა კვერნაქის ქედს და გორთან ბუნებრივ საზღვარს ქმნიდა (იხ. რუკა). თრიალეთის ქედის ჩრდილო შვერილი მოანგრიეს რკინიგზის გაყვანის გამო (დღევანდელი გორის შპალსაჟღენთი ქარხნის ტერიტორია), თუმცა, ამ ორი ქედის სიახლოვე დღესაც შეუიარაღებელი თვალით თვალნათლივ ჩანს, სანამ მდ. მტკვარი თავის კალაპოტს გააფართოვებდა.

განსაკუთრებით დაზარალებულან ხიდისთაველები თბილისი-ფოთის დამაკავშირებელი რკინიგზის გაყვანისას, რადგან დაბლობი ადგილების შემალლებას მთელ სიგრძეზე ჭაობის დიდი კერები გაუჩენია.

აღნიშნული ფაქტის გამო, ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილი ამ ადგილებიდან აყრილა და „ზემო უბანში“, მდ. ტანის მონაპირე ტერიტორიებზე გადაუნაცვლებია: „...ეს „პატარა კახეთი“, როგორც ეძახიან ხიდისთავს, ჰავითაც განთქმული იყო, მაგრამ გაიყვანეს რკინიგზა და 6 ვერსის გაყოლება წყალი შეგუბდა, ჭაობები გაჩნდა და ციებ-ცხელებაც გაერცელდა, ასე რომ თითქმის ხუთი მოსახლე ოჯახობა გავერანდა და ერთი ბინიდგანლა ამოდის ბოლი. წინათ თითო ოჯახში ათ-ოცს სულსა ნახავდით და ეხლა ორს-ლა, იმათაც მიმქრალ-მიკნავებულეებს. წინათ, თუ ამ ქვეყანაში (სოფელში - ს. ა.) ასი კომლი ითვლებოდა 500-600 სულით, ეხლა იქნება ორმოცი კომლი - ასი სულიც აღარ მოიძებნებოდეს. სამაგიეროდ, ზემო უბანში, ტანას ხეობაში ერთი ვერსის მანძილზედ, სადაც 28-30 წლის წინათ 15-20 კომლი მოსახლე იყო ასი სულით, ეხლა ას კომლსა და ხუთას სულს აღემატებო“, წერდა „ივერია“ XIX ს-ის ბოლოს („ივერია“, 1897) .

როდესაც ხიდისთავის ადგილმდებარეობის საკითხს ვეხებით, რა თქმა უნდა, უცნობილეს ქართულ სიმღერას „ჩაკრულოს“ გვერდს ვერ ავუვლით.

„ხიდის თავს შევკრათ პირობა,  
ჩვენ გავხდეთ ღვიძლი ძმანია,



ჩავუხტეთ მუხრანბატონსა  
თავს დავანგრიოთ ბანია”...

თითქოს ყველაფერი გასაგებია. მუხრანბატონების ყმობით მეწუხებულნი ვაჟკაცები ხიდისთავში პირობას დებენ, რომ თავადს უსამართლობას არ შეარჩენენ. თუმცა, ჩვენ ხიდისთავის მონაწილეობა ამ პროცესში ნაკლებად დამაჯერებლად მიგვაჩნია.

მუხრანბატონების მფლობელობა ხიდისთავზე ისტორიული საბუთებით არ დასტურდება.

არც მესამე ტაეპში გამოყენებული „ჩავუხტეთ“ მოჩანს მაინცდამაინც სარწმუნოდ. XVI საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბებული სამუხრანბატონო, როგორც ცნობილია, მოიცავდა მდ. ქსნის ქვემო წელსა და მუხრან-ძაღისის ტერიტორიას. გეოგრაფიულად მუხრანი იმდენად დაცილებულია ხიდისთავს, რომ ეს ფრაზა ნაკლებად დამაჯერებელია.

ჩვენ სიმღერის ტექსტში ხიდის თავი ცალ-ცალკე შემთხვევით არ დაგვიწერია. ჩვენი აზრით, მუხრანბატონების წინააღმდეგ შეთქმულებს პირობა მუხრანის სიახლოვეს, მდ. ქსანზე გადებულ ერთ-ერთ ხიდის თავთან უნდა დაედოთ და არა ციციშვილების მფლობელობაში მყოფ ხიდისთავში.

ასეთია ჩვენი არგუმენტები შიდა ქართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სოფლის - ხიდისთავის ძველი ადგილმდებარეობისა და ტოპონიმების შესახებ.

### **ლიტერატურა:**

1. ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, თბ., 2005, გვ. 245;
2. გაზ. „ქართლი“, 20. 02. 1939 წ. № 33 (501), გვ. 2
3. „გამარჯვება“, 19. 05. 1973 წ. № 60, გვ. 3
4. Уварова П. Материалы по археологии Кавказа. Москва 1894, вып. IV, стр. 160
5. ალექსანდრე გარსევანიშვილი, „ქალაქი გორი და სასწაულთ-მოქმედი ოქონის ღვთისმშობლის ხატი“. „ცისკარი“. 1868, № 2, გვ. 1-9
6. მ. ძველაია, გორის მიდამოების გეოლოგიური წარსულიდან, ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1950 წ. № 3
7. ნ. კვეზერელი-კოპამე, საქართველოს ძველი ხიდები, თბ., 1972, გვ. 48-49

8. ჟურნ. „ივერია“, 1878 წ. № 28, გვ. 2-3
9. გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, № 7601/30
10. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. HD, საბ. № 13151
11. ე. მამისთვალიშვილი, ქართველ ებრაელთა ისტორია, თბ., 1995, გვ. 40-43
12. იესე ტლაშაძე, „კათოლიკოზ-ბაქარიანი“, ე. თაყაიშვილის რედ. ტფ., 1895. გვ. 22; სტ - 124
13. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი. AD, საბ. 1410
14. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, ის. დოლიძის რედ. თბ., 1972, გვ. 313, დოკ. 227
15. დ. უჩანეიშვილი, დოკუმენტები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის (XVII-XIX ს.ს), თბ., 1967, დოკ. № 206, გვ. 188-189
16. გორის არქივი, ფონდი № 4, ანაწ. № 1, საქმე 445, 1937 წ.
17. „სასოფლო გაზეთი“, 23. 07. 1868 წ. № 21; გვ. 2
18. გაზ. „ივერია“, 26. 04. 1897 წ. № 79; გვ. 1-2

## **TRIAL TO SPECIFY KHIDISTAVI LOCALIZATION AND OLD TOPONYMS**

**Ioseb Alimbarashvili**, Gori Teaching University

### **RESUME**

The article is about one of the largest villages of Gori region – Khidistavi. To specify its ancient and modern location. Early the village was located at the strategic cross-road, so-called “Silk Road”. The same way passed St. Nino in the 4<sup>th</sup> century.


The ancient inhabitants of the village maybe were Mtkvari bridge-guards and costumers. They were able to excised-duty to passengers in the South-East and dismantled bridge when enemy appeared. The ancient inhabitants of Khidistavi were localized near the bridge in 1609.

The change of the location into the rural population was caused by building Poti-Tbilisi railway in 1869. There was a marsh during the railway construction, so people were able to move to the mountain. People also settled upon of Zedavela mountain to use fertile and irrigative lands.

The Toponyms spread in Khidistavi are explained in the article. Some of them are very old and others are modern.

The article has a map of Khidistavi, made by the author and it describes materials used in the text.

# დანართი 1. ხიდისთავის რუკა



## უკავშირო რთული ქვეწყობილი წინადადების სტრუქტურული აგებულება და აზრობრივი მიმართება ზანურში

ენის განვითარების ადრეულ საფეხურზე მარტივი წინადადებები ერთმანეთს უკავშირდებოდა ლოგიკური მიმართების საფუძველზე ასიდენტურად, კავშირებისა და მიმართებითი სიტყვების დაუხმარებლად. ასეთი შეერთება გვხვდება შემდეგ საფეხურზეც. იგი დამახასიათებელია სალიტერატურო ქართულისათვის, ქართველური ენებისა და არც ცოცხალი სასაუბრო მეტყველებისთვისაა უცხო.

მართალია, დაქვემდებარების გრამატიკულ საშუალებად გვევლინება ინტონაცია და მაქვემდებარებელი კავშირები, მიმართებითი ნაცვალსახელები და მიმართებითი ზმნიზედები, მაგრამ, როგორც პროფ. ა. შანიძე შენიშნავს, „წინადადებათა შეერთება ქვეწყობის წესით მაშინაც არის შესაძლებელი, თუ საგანგებო საკავშირებელ სიტყვებს არ ვიხმართ. ასეთ შემთხვევაში საკავშირებელ საშუალებას ინტონაცია წარმოადგენს. უკავშირო ქვეწყობილი წინადადება ხშირად „რომ“ და „თუ“ კავშირის გამოტოვებისაგან წარმოდგება ხოლმე, მაგრამ არც თუ იშვიათია, რომ „გამოტოვებული“ არაფერი იყოს, ოღონდ ერთ წინადადებაში მოცემულია მეორის ახსნა-განმარტება, ვთქვათ მიზეზი, შემდეგი, მიზანი და სხვა“ (ა. შანიძე, 1949, გვ 166).

მაშასადამე, ა. შანიძე უკავშირო რთულ ქვეწყობილ წინადადებას რეალურად გამოყოფს (ასევე თანწყობილსაც). ესაა გატარებული ლ. კვაჭაძის (ლ. კვაჭაძე, 1950, გვ. 82-87; ლ. კვაჭაძე, 1988, გვ. 405-409), ა. კიზირიას (ა. კიზირია, 1955, გვ. 10), ნ. ბასილიას (ნ. ბასილია, 1974) და სხვათა ნაშრომებში.

ის, რაც ითქვა ქართულის რთულ წინადადებათა უკავშირო შეერთებაზე, იგივეა ზანურშიც. აქაც რთული წინადადების შეერთების ორგვარი საშუალებიდან - კავშირების, საკავშირებელი

სიტყვებისა და ინტონაციიდან - უკავშირო შეერთებისას ძირითადად რჩება მხოლოდ ინტონაცია.

„ტრადიციულად, როცა რთული წინადადების ნაწილები წარმოდგენილია ერთ მთლიან სინტაქსურ ოდენობად ინტონაციის საშუალებით, კავშირისა და საკავშირებელი სიტყვების დაუხმარებლად, ე. ი. გარეგანი გაფორმების გარეშე, ასეთი წინადადება იწოდება უკავშირო რთულ წინადადებად“ (ვ. ახალაია, 1983, გვ. 197).

ბუნებრივია, რომ უკავშირო თანწყობილ და ქვეწყობილ წინადადებებს შორის იყოს სხვაობაც: „რთულ თანწყობილ წინადადებაში მათემატიკური კავშირის ნაცვლად გამოიყენება მათემატიკური ინტონაცია, რთულ ქვეწყობილ წინადადებაში კი - მაქვემდებარებელი კავშირის ან საკავშირებელი სიტყვის ნაცვლად - მაქვემდებარებელი ინტონაცია“ (ნ. ბასილაია, 1974, გვ.13).

სპეციალურ ლიტერატურაში იმაზეც მიუთითებენ და სამართლიანადაც, რომ „უკავშირო წინადადებებს გარკვეული ექსპრესიული ფუნქცია აქვთ. დინამიკურობა და ელიფსურობა, რაც მათ ახასიათებს, ქმნის რიტმის გაძლიერების, თხრობისა და დაძაბულობის შთაბეჭდილებას“ (გ. კვარაცხელია, 1909, გვ.207).

ამიტომაცაა, ასხვავებდა რა ერთმანეთისაგან რთულ უკავშირო წინადადებებს კავშირიანისაგან, ლ. ბულახოვსკი მიუთითებდა, რომ „უკავშირო რთულ წინადადებაში ლოგიკური მიმართების როლს კისრულობს არა სპეციფიკური ინტელექტუალური მომენტები (კავშირები), არამედ ემოციონალურ-ინტელექტუალური (რიტმულ-მელოდიკური) ნიშნები“ (ლ. ბულახოვსკი, 1048, გვ. 271).

„მე წავალ, შენ დაიცადე!“ რიგის ნიმუშებში ცხადად ელიფსურობაა, არა ჩანს კავშირი. ეს წინადადება შეიძლება გაგებული იქნეს როგორც „თუ მე წავალ, შენ დაიცადე!“ ან „მე წავალ, შენ კი დაიცადე!“ შესაძლოა ასეც: „მე წავალ და შენ დაიცადე!“... ცხადია, წინადადება გარკვეულ კონტექსტში ქვეწყობილია, გარკვეულში კი - თანწყობილიც, განირჩევა ინტონაციით. ასეთივე ვითარებაა ზანურშიც:

მეგრულის მეურს-და, იდას! „მიდის-და, წავიდეს!“ რიგის შემთხვევაში კავშირი - და ნაწილაკითაა ცვლილი და

წინადადების ეკვივალენტურია ქართ. „თუ მიდის, წავიდეს!“ ტიპის წინადადებისა (არნ. ჩიქობავა, 1936, გვ.205).

ჭანურის „თეფე თეფეს ვარ ნაგენ, კოჩი კოჩის ქონაგენ (ხალხ. სიბრ...“, 216) ნიშნავს „მთა მთას არ შეხვდება, თორემ კაცი კაცს შეეყრება“ (ქვეწყ.) შინაარსითაც.

როგორ უნდა გაირჩეს? ასეთი შემთხვევა ჰქონდა მხედველობაში ლ. კვაჭაძეს, როცა იგი წერდა: „ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში წინადადებას ერთი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს და არა მრავალი. ამას კი ხშირად ის სინტაქსური ჯგუფი თუ კონტექსტი განსაზღვრავს, სადაც წინადადებაა ამოღებული. ამიტომ ზოგჯერ იზოლირებულად აღებულ წინადადებაზე დაკვირვება არაა საკმარისი, არამედ საჭიროა კონტექსტის გათვალისწინება“ (ლ. კვაჭაძე, 1950, გვ. 83).

ზეპირი (გაბმული) მეტყველებისას მთავარია ინტონაცია, წერისას კი ეს უკანასკნელი მიჩქმალულია, აქ „რომ“ და „თუ“ კავშირების გამოტოვებისას დამოკიდებული წინადადება მთავრისაგან ჩვეულებრივ მძიმით გამოიყოფა, ზოგჯერ კი - ორწერტილით ან ტირეთი“ (ლ. კვაჭაძე, 1950, გვ. 84).

„წერის დროს საკითხს ართულებს ის, რომ სასვენი ნიშნები სავსებით ვერ წარმოგვიდგენენ ინტონაციას, რიგ შემთხვევაში ფრაზა შეიძლება წაკითხული იქნეს სხვადასხვა ინტონაციით და მივიღოთ სხვადასხვა გაგება“ (ა. გვოზდევია, 1961, გვ. 298), - ნათქვამია რუსული უკავშირო ქვეწყობილ წინადადებასთან დაკავშირებით. ასე რომ, როგორც ჩანს, ეს უნივერსალური მოვლენაა, რასაც ქვემოთ მოყვანილი ზანური ენის სათანადო საილუსტრაციო მასალაც ადასტურებს.

აქაც მაგალითად, ქართულის მსგავსად (ლ. კვაჭაძე, 1988, გვ. 406), ქვეწყობილ წინადადებაში ორი ძირითადი შემთხვევა გამოიყოფა:

1. მთავარ წინადადებაში საკორელაციო (მისათითებელი) სიტყვაა, რაც დამოკიდებულ წინადადებაში გარკვეული კავშირისა თუ წევრ-კავშირის სინკოპის მაჩვენებელია, რისი აღდგენაც არაა ძნელი:

### ჭანურში<sup>1</sup>

მათი ჰამო უწვი: ვიდათენ ობერგულზე, მოიღვი ბერჯი სკანი<sup>1</sup> (კარტ., გვ.232<sup>11-13</sup>) „მეც ასე ვუთხარი, წავიდეთ სათოხნელად, გაიდე შენი თოხი!“ (-ქ: უწვი-ქი: „ვუთხარი, რომ“...).

ემუსთი... ეშო მჭიმა მოხვადუ, დიშოლუ (კარტ., ა, 153<sup>20</sup>) „იმასაც ისეთი წვიმა შეხვდა, დასველდა“ (-ქ: მოხვადუ-ქი: „შეხვდა რომ“).

### მეგრულში:

ათექი რდუ, ბაბა, ჩქი მირსხეს დო ორომეშე ეშე ეშმოჯლონესიე (ხუბ., 6<sup>23</sup>) „ამან იყო, ბაბა, ჩვენ გვიხსნა და ორმოდან ზევით ამოგავაზავნაო“ (-ნი: მირსხეს-ნი „რომ გვიხსნა...“).

ათე ბოშიქ ეფერდ ერთგულეა გიმირჩქინგ დო თი რიგდ აზირეფი გეგმანწყუ-ირ კოს მოწონს (ხუბ., 123<sup>33-34</sup>) „ამ ბიჭმა ისეთი ერთგულეა გამოიჩინა და იმრიგად (ზედმ. „ისეთი რიგი აზრებისა“) აზრები დააწყო - ყველა კაცს მოწონს“ (ნამდა: გეგმანწყუ ნამდა „რომ დააწყო...“).

2. არც მთავარ წინადადებაშია საკორელაციო სიტყვა და არც დამოკიდებულებაშია მაქვემდებარებელი კავშირი. ამ ტიპის წინადადებებში, ჩვეულებისამებრ, ზანურში „რომ“ და „თუ“ კავშირება გამოტოვებული (არის სხვა შემთხვევებიც:

ა) გამოტოვებულია „რომ“ კავშირი

### ჭანურში:

ოკახხე მკოლის უწუ; „არ სკანინდე, არ შკიმინდე, არ ჭუვალი ჯუმეშე დევიითა!“ (|| არ ჭუვალი ჯუმე გოვონდინითა!“ (კარტ., 229<sup>7-8</sup>) „მერე კალიას უთხრა „ერთი შენგან, ერთი ჩემგანო! ერთი ტომარა მარლის გარეშე დავრჩითო (||ერთი ტომარა მარლილი დავკარგეთო!“ (ქ: უწუ-ქი „უთხრა რომ...“)

---

<sup>1</sup> ფრჩხილებში აღნიშნულია, რა კავშირი შეიძლება აღდგეს; ზოგჯერ ისიცაა აღნიშნული, კავშირთან ერთად რომელი სიტყვის აღდგენა შეიძლება. საილუსტრაციო მასალა მოყვანილია წიგნიდან: ვიანორ ახალაია, ზანური ჰიპოტაქსის ძირითადი საკითხები, თბილისი, 2004.

ჰამ შუქრი არ ოხორზას ქარტალი დუჭარუ: ჰამ ოხორზას ქომეჩი ლაზუტი!“ (კარტ., 231<sup>3-4</sup>) „ამ შუქრიმ ერთ ქალს წერილი გაატანა („დაუწერა“): „ამ ქალს მიეცი სიმინდი!“ (-ქდ: დუჭარუ-ქი „გაატანა რომ...“)

#### მეგრულში

ვეზირეფქ იფიქრეს - თენა ვაბლოლანა ჩქი ჯგირსია (უბ.,123<sup>35</sup>) „ვეზირებმა იფიქრეს - ეს არ გვიზამს ჩვენ კარგსო“ (ნამდა: იფიქრეს, ნამდა „იფიქრეს, რომ...“)

მიკართუ დო უწუ კარიმ კოს: - მუაჩქიმომ დგნატებ ლეკური დო ტაბაჩა ქედმხვამით სამანგიერო ჩქიმი კვაჯიშა (ხუბ., 15<sup>17-18</sup>) „მიუბრუნდა და უთხრა კარისკაცს: მამაჩემის დანატოვრები ხანჯალი მართვით სამაგიეროდ ჩემს კვაჯის...“ (ნამდა: კარიმ კოც, ნამდა „კარისკაცს რომ...“)

ბ) გამოტოვებულია „თუ“ კავშირი:

#### ჭანურში

კალლეს აქთენ დო ჰემ შქურნა უღუნ, გუიმ დოლოხე ზოპონს: „არ ფათიშიამ ასქეის მუთუ ვა ახონენ დო მან, არ კოჩიქ, მუ პამიონდა? (კარტ., ა, 168<sup>125-128</sup>) „ციხეს უვლის და თან ემინია, გულში ამბობს: ერთი ხელმწიფის ლაშქარს ვერა გაუწყვია და მე, ერთი კაცი, რას ვიზომო!“ (-ქდ: ზოპონს-ქი, „ამბობს, თუ“).

კოჩეფეს გვაკვიეს, ადა მუ ენდა?“ (კარტ. ა, 161<sup>80-81</sup>) „კაცებს გაუკვირდათ, „ეს რა არისო?“ (ქი: გვაკვიეს-ქი „გაუკვირდათ, თუ“).

#### მეგრულში

ძღაბიქ ქიმერთუ ხოლოშა დო კითხუ: „მუ გოსქილიდუანსია“ (ხუბ., 87-8) „გოგო მივიდა ახლოს და ჰკითხა: „რა მოგარჩენსო“ (ნამდა; კითხუ, ნამდა „ჰკითხა, თუ...“).

ვეზირენქ იჩის ბრელი - მუ ბლოლათ ათე ჯგურა კოჩოში სხეულსია (ხუბ., 13<sup>31</sup>) „ვეზირებმა ისაუბრეს ბევრი - რა ვუყოთ ასეთი ნაირი კაცის სხეულსო“ (ნამდა; ბრელი ნამდა; „ბევრი, თუ...“).

გ) აღნიშნულ კავშირთა გარდა გამოტოვებულია სხვა კავშირებიც (კორელატებთან ერთად):

#### ჭანურში

ჰიძუთი ბოგზალი, ვარ მომწონდუ (კარტ., 221<sup>24-25</sup>) „ისიც გავუშვი, არ მოეწონა“ (ჰემუშენი-ქი; ბიგზალი ჰემუშენი-ქი „გავუშვი იმიტომ, რომ ...“)



ვა გონწკუ, კილეი ტუ ოხოი (კარტ.ა, 150<sup>17</sup>) „არ გაალო, სახლი დაკეტილი იყო (მუშენი-ქი: ვა გონწკუ მუშენი-ქი „არ გაალო იმიტომ რომ...“)

### მეგრულში

ვაიშურთუმუ ხანს დო გვერშაპი ქემოჩურუნს ზღვათ, წყარს ოღურალო ქუმარჩანს (ხუბ., 12<sup>23-24</sup>) „არ გასულა დიდი ხანი და გველეშაპი მოცურავს ზღვით, წყალს სასიკვდილოდ კეტავს“ (თეში ნამდა: თეში ნამდა წყარს ... ქუმარჩანს ისე რომ წყალს კვეთავს.

ჯინა უჩქუ, კოს თოით გითმოჭუნს (ჩიქვან.,<sup>29</sup>) „ყურებმა იცის, კაცს თვალებით დაწვავს“ (თიჯგურა ...ნამდა: თიჯგურა ... უჩქუ, ნამდა „ისეთი ...იცის, რომ“).

დ) გამოტოვებულია შემასმენელი მასთან მდგომი კავშირთან ერთად (აქ გასათვალისწინებელია კონტექსტი):

### ჭანური

1. ოლეძე, არჩა სი, ჯუმა ენმა დო, ზოპონტი დო აწი მეოჭკიათიია? (კარტ.ა, 162 106-107) „კი მაგრამ, აქამდე შენ [ამბობდი] ძმა არისო და გიყვარდა და ახლა დაგკლათო? (ზოპონტი-ქი: სი ზოპონტი-ქი „შენ ამბობდი, რომ ...“)

2. ფათიშაღიმ ბიჭი ოხოიშა მენდახთუ დო ოხოის დოთქუ (კარტ. ა, 161<sup>82</sup>) „ხელმწიფის ვაჟი შინ წავიდა და თქვა.“

ამ წინადადებას მოსდევს:

ხეზმექდაიქ: მან ქაგეიყონოფა (კარტ. ა, 161 82-83) „მომსახურემ, მე ჩამოვიყვანო (თქუ-ქი: ხეზმექდაიქ თქუ-ქი „მომსახურემ თქვა, რომ...)

3. კულანიქ ზოპონს: „ხეზმექდაიში დო ქდოსემ არას მუთხანი ამბაი რენ (კარტ. ა, 170<sup>159-160</sup>) „გოგო ამბობს: „მსახურსა და ქორს შორის რაღაც ამბავია“ (-ქი: ზოპონს-ქი „ამბობს, რომ...“)

ამ წინადადებას უშუალოდ მოსდევს;

ფათიშაიქ: „შუი მემადუ,... ორდო დოთქვია!“ (კარტ. ა, 170<sup>160-161</sup>).

„ხელმწიფემ: „სული წამივიდა,... მალე თქვიო“ (უწუ-ქი: ფათიშაიქ უწუ-ქი „ხელმწიფემ თქვა, რომ...)

4. კულანიქ უწუმეს: „ჰაჩანქი ფათიშაიშ ბეეშენი მიყონოფ, მა სოთი ვა ვულუდა; სქანიშენი მიყონუბ-ნა, ასთახოლო მეველუდა“ (კარტ. ა, 169 136-139) „ბიჭმა: „მე მსახური ვარ და როგორ მოვიქცეო?“ (უწუმეს-ქი: ბიჭიქ უწუმეს-ქი „ბიჭმა, ეუბნება რომ...<sup>1</sup>) „გოგო ეუბნება: „რადგან ხელმწიფის ვაჟისათვის მიგყავარ, მე არსად არ

წავალო, შენთვის თუ წამიყვან, ახლავე წამოვალო“. ამ წინადადებას მოსდევს: ბიჭიქ: „მან ხეზმეჲ აი ვოე დო... მუჴო პაა? (კარტ.ა, 169. 138-139).

5. კოჩიქ უწუ-ქი ფათიშაის: „არ-ჟურ ნენა დომოთქვაფია დო ეშო მოლომოხუნია!“ (კარტ. ა, 178<sup>31-32</sup>) „კაცმა რომ უთხრა ხელმწიფეს: „ერთი-ორი სიტყვა მათქმევინე და ისე ჩამსვიო“.

ამას მოსდევს წინადადება:

ფათიშაიქთი: „დოთქვია!“-უწუ (კარტ.ა, 178<sup>32-33</sup>) „ხელმწიფემაც: „თქვიო! -უთხრა“ (უწი-ქი: ფათიშაიქთი უწი-ქი „მეფეც ეუბნება, რომ...“)

### მეგრული

1. ქუჯიქ ხათე ნინაში რაგადი ქიდიჴყუ, გილულათ უჩქედუ (მეგრ., II, 338) „ყურმა მაშინვე (ენის) ლაპარაკი დაიწყო, სიარულიც იცოდა“.

და ამ „ყურმა“ (სახელია ბიჭისა):

ქუჯიქ: -მა მეულანქ სადილს ბაბასია: (მეგრ., II, 336) , ყურმა მე მივუტან სადილს მამასო“ (ნამუდა: ქუჯიქ თქუ, ნამუდა „ყურმა თქვა, რომ...“)

2. დიდას ვაჩქედუ-სქუაში ოულარი შარა (საკ. ჩან.) „დედამ არ იცოდა შვილის წასასვლელი გზა“ (სოლეშე რდგინი: ვაუჩქედუ, სოლეშე რდგ(ნი) „არ იცოდა, თუ საით იყო...“)

ე) სინკოპირებულია სხვადასხვა მაქვემდებარებელი კავშირი თუ ნაწილაკი:

1 ინფორმატორის მიხედვით, უმჯობესია: ბიჭიქ-თი „ბიჭმაც ეუბნება, რომ...

### ჭანურში:

ფადიშაი ოგნო, უოთხუ: „მოხოხი ჰაქო!“ (კარტ., 223<sup>6</sup>) „ხელმწიფემ გაიგო, დაიძახა: მოდი აქ?“ (ფადიშაინა ოგნუ „მეფემ როცა გაიგო“)

ბადიქ მენდაწკენთი მთელი საღლაში ძენ ... (კარტ.ა, 164<sup>19-20</sup>) „ბერიკაცი შეხედავს, თავთავები ყველა მთელია“ (ბადიქ-ნა: ბადიქ-ნა მენდაწკენ „როცა ბერიკაცი შეხედავს...“; აქ არა ჩანს მთავარი წინადადება: დაინახავს - ისიც ამოღებულია).

ბასკას კუი ვარ უნთხორა, სი ქოდოლოლაფ (ხალხ. სიბ., 203) „სხვას ორმო არ გაუთხარო, შენ ჩავარდები“ (ვანა: ვარ უნთხორა, ვანა... „არ გაუთხარო, თორემ...“)

ცას მო იწკერ, წოხლე იწკედი, მეგაბოჩენ (ხალხ. სიბ., 260)  
„ცას ნუ უყურებ, წინ იყურე, წაიბოროძიკებ“ (ვანა: ვანა მეგაბოჩენ  
„თორემ წაიბოროძიკებ“)

#### მეგრულში

ჯან გოჭე, მა სქანი დუს შხვას ვადვანებეცია (ხუბ., 612)  
„დარდი ნუ გაქვს, მე შენს თავს სხვას არ დავანებებ“ (რადგანს: ჯან  
გოჭე, რადგანს... „დარდი ნუ გაქვს, რადგან ...“).

დიშაყარუ მაყარენქ - ამდლა ოკო გეუდგანი გურგინი უჩაში  
ჯიმა დო უკულაში ძღაბის (ხუბ., 614-15) „შეგროვდნენ მაყრები -  
დღეს უნდა დაუდგან გვირგვინი უფროს ძმასა და უმცროსს  
გოგოს“ (რადგანს: დიშაყარუ მაყარენქ, რადგანს - „შეგროვდნენ  
მაყრები, რადგან...“)

ათექი რდუ, ბაბა, ჩქი მირსხეს დო ორომეშე ეშე  
ემმოჯღონესიე (ხუბ., 623) „ეს იყო, ბაბა ჩვენ გვიხსნა და ორმოდან  
ზევით ამოგვაგზავნაო“ (-ნი: მირსხეს-ნი „რომ გვიხსნა“)

ენა მუს მეხვადუ, თოლს ბირცხა მიკოჩანს (ჩიქვან., 32) „ეგ  
რას მიხვდება, თვალეზზე ფრჩხილი ასხია“ („თვალზე ლიბრი აქვს  
გადაკრული“) (რადგანს: მუს მეხვადუ, რადგანს; „რას მიხვდება,  
რადგან“).

მუ ლოდას, კიდირგამწარებული დიდა რე საწყაი (ჩიქვან.,  
37) „რა ქნას, მკერდგამწარებული დედაა საწყალი“ (მუჟანს: მუ  
ლოდას, მუჟანს; „რა ქნას, როცა“)

ჩვენს ხელთ არსებული მასალებით, სინტაქსური ფუნქციის  
მიხედვით დადასტურდა დამოკიდებული წინადადების შემდეგი  
სახეობანი:<sup>2</sup>

#### ქვემდებარული:

ჭანური: კოჩეფეს გვაკვიეს [ქი]: (კარტ.,ა, 161<sup>80-81</sup>) „კაცებს  
გაუკვირდათ [რომ]: „ეს რა არისო“.

მეგრული: ათექი რდუ, ბაბა, ჩქი მირსხენ [ნი] დო ორომეშე  
ეშე ემმოჯღონესიე (ხუბ., 623) „ამან იყო, ბაბა, ჩვენ [რომ] გვიხსნა და  
ორმოდან ზევით ამოგვაგზავნაო“.

---

<sup>2</sup> ფრჩხილებში აღდგენილი კავშირია.

პირდაპირდამატებითი

ჭანური: ენთეფეს ვა უჩქინან [ქი], მუსტაფას შუი მოლადგინ გუდას (კარტ.ა, 151<sup>35-36</sup>) „იმით არ იციან [რომ] მუსტაფას სული დგას გუდაში“.

მეგრული: გურიშა ხე გედვალრო გირაგადუქ, [ნამდა] ჩქიმდე ღორება ვეციი (ჩიქვან.,15) „გულზე ხელდადებული გეუბნები, [რომ] ჩემგან მოტყუება არ იქნება“.

ირიბდამატებითი:

ჭანური: ჯუმაღეფექ დიდო ოხვეწეს [ქი]: „მცუდიში მო ულუა“ (კარტ., ა, 156<sup>66</sup>) „მმებმა ბერს ეხვეწნენ [რომ]: ტყუილად ნუ წახვალო!“

მეგრული: ქემეხვეწუ ბოშის: -[ნამდა] ვადოპილა გვალოვა დო სქანი მორჩილი ი პიქ ირიათოვა (ხუბ. 5<sup>5-6</sup>) „შეეხვეწა ბიჭს: [რომ] არ მომკლა საბოლოოდ და შენი მონა-მორჩილი ვიქნები მუდმივადო“.

უბრალო დამატებითი:

ჭანური: დევესთი მეშვებლუ [ქი]: „სი მან მოთ მოღერდინაფა?“ (კარტ.ა, 153<sup>1</sup>) „დევიც გაბრაზდა [იმაზე რომ]: „შენ მე რად მატყუებო!“

მეგრული: ვეზირენქ იჩის ბრელი - [ნამდა] მუ ბლოლათ ათე ჯგურა კოჩიში სხელუსია (ხუბ., 13<sup>31</sup>) „ვეზირებმა ისაუბრეს ბევრი - [თუ] რა ვუყოთ ასეთნაირი კაცის სხელუსო“.

განსაზღვრებითი:

ჭანური: ემუსთი ... ეშმო მჭიმა მოხვადუ, [ქი] დიშოლუ (კარტ.ა, 153<sup>20</sup>) „იმასაც ...ისეთი წვიმა შეხვდა, [რომ] დასველდა.“

მეგრული: ფერ-ფერებს მიგონენს, [ნამდა] იმ ნარაგადუ ართი ცუჯიშე მაჟია ცუჯიშა ვემიშქვინე., ჩიქვან., 8) „ისეთ რამეებს მოიგონებს, [რომ] მისი ნათქვამი ერთი ყურიდან მეორეში არ შეიშვება.“

დროის გარემოებითი:

ჭანური: ფადიშაჲ [ნა] ოგნუ, უთხუ: „მოთხი ჰაქო1“ (კარტ., 22<sup>36</sup>) „ხელმწიფემ [როცა] გაიგო, დაუძახა: მოდი აქ!“

მეგრული: ის მუ გუჭირდუ, [მუჟანს] კისერიშახ ოქროს დიშახე „მაგას რა გაუჭირდება, [როცა] ყელამდე ოქროში ზის“ (ჩიქვან., 37).

მიზეზის გარემოებითი:

ჭანური: ჰიმურთი ბოგზალი [ჰემუშენი-ქი], ვარ მომწონდუ (კარტ., 221<sup>24-25</sup>) „ისიც გავუშვი, (იმიტომ რომ) არ მომწონდა.“

მეგრული: ქიმერგთ ართ დოხოორემ ხოლომა დო დუშქე კუჩხის - [რადგანს] თემ კუჩხის თექ იჩინენა (ხუბ., 23<sup>14-15</sup>) „მივიდა ერთი სამოსახლოს ახლოს და შეჩერდა (დაუშვა ფეხები) – [რადგან] იმის ფეხს აქ იცნობდნენ.“

ვითარების გარემოებითი:

ჭანური: მათი ჰამო უწვი; [ქი] ვიდათენ ობერგუშე, მოიდვი ბერჯი სკანი (კარტ., 232<sup>11-13</sup>) „მეც ასე ვუთხარი, [რომ] წავიდეთ სათხოვნელად, გაიდე შენი თოხი!“

მეგრული: თემ მამქურინუ: [ნამდა] ზისხირქ გუმაცინუნ მიჩქედუ (ჩიქვან., 26) „ისე შემეშინდა, [რომ] მეგონა სისხლი გამეყინა“.

პირობითი დამოკიდებული:

ჭანური: ვადიშაი სი ორი, [ვანა] მა ბორ? (კარტ., 223<sup>8-9</sup>) „ხელმწიფე შენ ხარ, [თუ] მე ვარ?“

მეგრული: ქომუჩანქ ტყვია - წამალს [ნი]- დოჰკასგნქ თოფის (საკ. ჩან.) „[თუ] მომცემ ტყვია-წამალს -დავტენი თოფს.“

პირობით-შედარებითი წინადადება:

ჭანური: ბაშქას კუი ვარ უნთხორა, [ვანა] სი ქოდოდოლაგ (ხალხ. სიბრ., 203) „სხვას ორმო არ გაუთხარო, [თორემ] შენ ჩავარდები.“

მეგრული: ქიმეჩანქ -[ნი] მადლობას გიწგნს, ვემეჩანქ -[ნი] - შურო ვეგიხუნუანს (საკ. ჩან) „[თუ] მისცემ - მადლობას გეტყვის, [თუ] არ მისცემ - სულ არ შეიმჩნევს.“

ამრიგად, უკავშირო ქვეწყობილი წინადადებაც იმავე სახისაა, რაც კავშირიანი ქვეწყობილი წინადადებანი. მართალია, ზოგჯერ ჭირს გამოცნობა იმისა, თუ რა სახისაა დამოკიდებული წინადადება, მაგრამ ეს გასაგებია: მაქვემდებარებელი ინტონაცია რთულ ქვეწყობილ წინადადებაში იმ სიძლიერისა ვერაა, რომ მან გადასძლიოს სათანადო კავშირიანი ქვეწყობილ წინადადებაებში დაქვემდებარების საშუალებანი - მაჯგუფებელი კავშირები ან ე.წ. წევრ-კავშირები, „ვინაიდან ინტონაციით არ შეიძლება ასე ნათლად მითითება აზრობრივი ურთიერთობის ამ ნაირსახეობაზე უკავშირო რთულში შემავალ წინადადებათა შორის, როგორც ეს ამა

თუ იმ კავშირით შეერთებულ წინადადებებში გვაქვს“ (ნ. ბასილაია, 1974, გვ. 31). ეს ძირითადად გაბმულ მეტყველებას ახასიათებს. წერიტი მეტყველებისას კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, სასვენი ნიშნები მთელი სისრულით ვერ წარმოგვიდგენენ ინტონაციურ ნიუანსებს.

როგორც პროფესორი ვ. სომხიშვილი აღნიშნავს, ქართული ენის დიალექტურ ტექსტებსა და ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ უკავშირო (ასიდენტური) ჰოპოტაქსური კონსტრუქცია ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენაა ხალხურ მეტყველებაში, როგორც სალიტერატურო ენაშია. შეიძლება ითქვას, რომ ხმარების სიხშირით იგი არ ჩამოუვარდება კავშირიან რთულ ქვეწყობილ წინადადებას. პირიქით, ზოგან ჭარბობს კიდევ და ეს ბუნებრივიცაა, რადგან ასიდენტური შეერთება, როგორც აღვნიშნეთ, უფრო ადრინდელი საფეხურია და უსწრებს კავშირიანს. ამ ტიპის რთული წინადადებების ნაწილების დაკავშირება „მართალია გარეგნულად არ არის გამოხატული, მაგრამ მათი ურთიერთმიმართება აზრობრივად და სტრუქტურულად ისეთივეა, როგორც კავშირიანი რთული ქვეწყობილი წინადადებისა, სადაც თავისი ფუნქციით ერთი მთავარია, მეორე დამოკიდებული (ლ.კვაჭაძე, 1977).

ლიახვისა და ქსნის ხეობათა ქართულში გამოიყოფა უკავშირო რთული ქვეწყობილი წინადადების რამდენიმე შემთხვევა, რომელთაგან ბევრი საერთოა ქართული ენის სხვა კილოებისა და სამწერლობო ენისათვის, ზოგი კი ლიტერატურული ენისაგან განსხვავებულია (ვ. სომხიშვილი, 1999, გვ. 132).

როგორც ირკვევა, უკავშირო ქვეწყობილ წინადადებასთან დაკავშირებული საკითხები, ზემოთ რომ წარმოვადგინეთ, ერთნაირია როგორც მეგრულსა და ჭანურში, ასევე სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში.

### **ლიტერატურა:**

1. ვ. ახალაია, 1983 - ვ. ახალაია, უკავშირო რთული წინადადების კლასიფიკაციისათვის, თსუ ახალგაზ. მეც.-ფილოლოგთა რესპუბ. კონფერენციის მასალები, თბ. 1983.

2. ვ. ახალაია, 2004 - ვ. ახალაია, ზანური ჰიპოტაქსის ძირითადი საკითხები, თბილისი, 2004.
3. ნ. ბასილაია, 1974 - ნ. ბასილაია, უკავშირო რთული წინადადება, თბ. 1974.
4. ლ. ბულახოვსკი, 1948 - Л.А. булаховский, Русский Литературный язык первой половины XIX в., М., 1948.
5. ა. გვოზდევ, 1961 - А.Н. Гвоздев, Современный русский литературный язык, II, Синтаксис, М., 1961.
6. გ. კვარაცხელია, 1909 - გ. კვარაცხელია, ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა, თბ., 1909.
7. ლ. კვაჭაძე, 1950 - ლ. კვაჭაძე, რთული წინადადების სწავლების მეთოდისტიკა, თბ., 1950.
8. ლ. კვაჭაძე, 1988 - ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1988.
9. ა. კიზირია, 1955. კიზირია, რთული თანწყობილი წინადადება ახალ ქართულში, - ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხები სკოლაში. კრებული VIII, თბ., 1955.
10. ვ. სომხიშვილი, 1999 - ვ. სომხიშვილი, უკავშირო შემთხვევისათვის ლიახვისა და ქსნის ხეობის ქართულში, ცხინვალის სახ. პედ. ინსტიტუტის შრომათა კრებული, გორი, 1999.

**STRUCTURE OF THE COMPLEX SENTENCE  
WITHOUT A CONJUNCTION AND ITS SEMANTIC  
MEANING IN ZAN LANGUAGE**

**Vianor Akhalaia, Gori Teaching University**

**SUMMARY**

The complex sentence without a conjunction, in Zan Language, is not a sentence just without grammatical means of linking (a conjunction, or a linking word), but it represents a special synthetic and semantic unit together with its compound subordinate parts and a series of constructional peculiarities. The forming of sentences, as one synthetic unit, together with the intonation, is obtained by the increase of the role of morphological, lexical and structural elements.

## დავით ახლოური გორის სასწავლო უნივერსიტეტი

### სოფელ ახლოურთის ტოპონიმები (ისტორიულ-ენათმეცნიერული ანალიზი)

ახლოურთი ამჟამად ნასოფლარია. ახალგორის რაიონის ერთ-ერთი ყველაზე მაღალმთიანი, გასული საუკუნის 80-90-იან წლებამდე დასახლებული ქართული სოფელი საუკუნეების განმავლობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ისტორიული ქსნის საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში.

სოფლის ისტორიის შესასწავლად, მოსახლეობის ყოველდღიური ყოფა-ცხოვრების გასაცნობად მნიშვნელოვანია ტოპონიმებზე დაკვირვება.

საკითხის კვლევისას დახმარება გაგვიწია აწ განსვენებული მეცნიერის პროფესორ ვენერა სომხიშვილის მონოგრაფიამ „ქსნის ხეობის ქართული“ (7) და პროფესორ ნიკოლოზ ოთინაშვილის ნაშრომმა „ცხრაძმისხევის ჰიდრონიმია“ (6).

ტოპონიმების დიდი ნაწილი მოძიებულია სოფელ ახლოურთში მცხოვრებთაგან.

ქვემოთ შევეცდებით, ჩვენეული ინტერპრეტაციით წარმოვაჩინოთ სოფლის ტოპონიმთა სრულყოფილი სურათი.

აყირო - მსხლის ჯიში. სულხან-საბას განმარტებით აყიროს „ნაყოფი სამგვარი არს: აყირო, გოგრა და ხაპი. აყირო არს ქერქ-ზრქელი მსგავსი საწდისა, ვიეთნი კვახად უწოდენ; გოგრა არს ქერქ-თხელი და მხლად საჭმელი; ხაპი არს გვარი აყიროსი და უყელო... (8 : 81) ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით აყირო არის მცოცავდეროიანი მცენარე, რომელიც ისხამს გრძელყელიან გოგრას (10 : 49). ჩვენს შემთხვევაში „აყირო“ გადატანითი მნიშვნელობით გამოიყენება და მიგვანიშნებს მსხლის ჯიშზე, რომელიც გამოირჩევა ვიწროყელიანი, კვახის მსგავსი ნაყოფით.

ახლოურთ ხევი - მდინარე ცხრაზმულას მარჯვენა შენაკადი, სათავეს იღებს სოფელ ახლოურთიდან.



ახოები - გატეხილი მამულები. მთის მოსახლეობა „სახნავი ადგილების გაფართოების მიზნით ჩეხავდნენ ტყეებს, თხრიდნენ დეკას და იელს“ (3 : 22). ამუშავებდნენ და მოჰყავდათ ხორბალი, შვრია, ქერი... შემდგომში ასეთ მამულებს ახოები ეწოდებოდა.

ბეროს ნატეხი - ბერო ახლოურის მიერ გატეხილი, დამუშავებული მამული.

ბორხვენას ქედი, ბორხვენას წყარო, ბორხვენას მსხალი - ბორხვენა იგივეა, რაც ბუერა (10 : 63). მრავალწლიანი ბალახი, გამოირჩევა დიდი, მომრგვალო გრძელყუნწიანი ფოთლებით და გავრცელებულია ტენიან ადგილებში. (10 : 64).

ბუქათავი - სახნავი ადგილი სოფელ ყველდაბის ზემოთ. ბუქი - ქარიანი თოვლია, ანუ ქარიან თოვას ნიშნავს (10 : 123) ქარბუქის შემთხვევაში მთაში ხშირია და, როგორც ჩანს, ამ ტერმინით ერთ-ერთ ქარბუქიან მამულს მოიხსენიებდნენ.

ბუქურაანი - გვარის ერთ-ერთი შტო. ახლოურებს ჰყოლიათ რძალი სოფელ თოხთიდან, გვარად ბუქური, რომლის შთამომავლებსაც ბუქურაანი ეწოდათ. ამ შტოს წარმომადგენლები იყვნენ ჩემი უშუალო წინაპრები.

გაბიდაანი - გვარის ერთ-ერთი შტო. ტერმინი მომდინარეობს მამაკაცის საკუთარი სახელიდან გაბიდა, რაც თავის მხრივ მიგვანიშნებს, რომ ახლოურების თავდაპირველი გვარი გაბიდაური იყო.

გელიას ახო ქედი - დაკავშირებულია მამაკაცის საკუთარ სახელთან გელასთან, გელიასთან, რომელსაც ტყიანი ადგილი უნდა გაეტეხა და დაემუშავებინა.

გიგოს მთა - სახელწოდება მომდინარეობს მამაკაცის საკუთარი სახელიდან. როგორც ჩანს, ეს მთა გიგო ახლოურს ეკუთვნოდა.

დამპალწყლები - მცირედ ჩაღრმავებული, დანაოჭებული ადგილი.

დაშლილი საყდარი - ადგილი, სადაც ძველი სამლოცველოს, საყდრის ნაშთებია შემორჩენილი.

დიდმიწა - შედარებით ვრცელი მამული. აღნიშნული ტერმინი იმავე მნიშვნელობით, ოღონდ სახეშეცვლილი ფორმით ხშირად გვხვდება ქსნის ხეობის სოფლებში: დიდბური - სათიბი ჭურთაში, დიდგვერდა - მამული სამეგურში, დიდვაკე - მამული

დადიანეთში, დიდრულო - მამული უკანამხარეში; დიდჭალები - მამული ოძისში და ა.შ. (7 : 66).

დიდელე, დიდელის ხატი - „ღელედ ითქმის ჳევი მცირე“ (9: 249). ღელედ ასევე მოიხსენიება მინდორზე ან მთებს შორის ჩავარდნილი ადგილი, ურიყო ნაწყლვევი, მშრალი ხევი (10 : 460). დიდელე შედარებით ფართო მოცულობის ღელეზე მიგვანიშნებს. აქვე დაბრძანებული ყოფილა ხატი, რომელსაც დიდელის ხატის სახელით მოიხსენიებდნენ.

ელიას ქედი - ადგილი, სადაც ელიაობის დღესასწაულს აღნიშნავდნენ. ამ დღეს, ტრადიციისამებრ, კლავდნენ ციკანს.

ელიძირი - გაუვალი, თხილიანი ადგილი. აქ ადრე სამარხილო გზა ყოფილა. ტერმინი უნდა მომდინარეობდეს იელისაგან. იელი ყვითელყვავილებიანი, შხამიანი მათრობელა მცენარეა (10 : 246). მისი დიდი რაოდენობით მიღება საქონლის დაცემას, სიკვდილს იწვევს. ამიტომ იელს, ხშირად ძირიანად იღებდნენ, რომ არ გავრცელებულიყო. ელიძირი, იგივე იელისძირი უნდა მიგვანიშნებდეს ადგილზე, საიდანაც იელი ძირ-ფესვიანად იქნა ამოძირკვეული.

კალოსაქეთები - მთა სოფელ ჩიტინის სიახლოვეს. აქ მოსახლე გიგო ჩიტინილის კალო (პურის ძნის გასალეწი ადგილი) უნდა ჰქონოდა გამართული.

კვრინჩხები - კვრინჩხის ბუჩქებით დაფარული ადგილი (10 : 264), კვრინჩხი დაბალი, გაფარჩხულ-განშტოებული ეკლიანი ბუჩქია, ცნობილია მრგვალი, მოლურჯო კურკიანი ნაყოფით (10 : 264).

კვირიტავა - მსხლის ჯიში, მსგავსი კვირისტავისა... კვირისტავი ხის რგოლი იყო, რომელსაც თითოსტარს უკეთებდნენ ბრუნვის გასაადვილებლად.

კლდეფიცრები - სალი, მაღალი კლდე. ხარობს ღვია.

მაჟალო, შალოანთ მაჟალოები - ტყის ვაშლი, ისხამს პატარა ზომის მომჟავო ნაყოფს (10 : 282). შალოანთ შტოს ეკუთვნოდა სოფლის ბოლოში მდგარი რამდენიმე მაჟალოს ხე.

მზვარე - მზიანი, უჩრდილო ადგილი (10 : 292), სულხან-საბას განმარტებით, მზუარე არს „ადგილი მზის მდეგი“ (8 : 474).

მუხნარი - მუხიანი ადგილი. ეს ტერმინი გავრცელებულია ქსნის ხეობის სხვა სოფლებშიც. მაგალითად, მუხიანი ეწოდება

მამულს - მიდელაანში, ძაბუეთში... მუხათბეგები - სამეგურში, მუხიმიწები - ბოლში (7 : 73).

მწარას ხევი - სახელწოდება მომდინარეობს მსხლის სახელისაგან. ამ ადგილას მდგარა მსხალი, რომელსაც მომწარო გემო უნდა ჰქონოდა.

ნაზლოვები - წყლისგან ჩამორეცხილი ადგილი.

ნაროვნის ველი, ნაროვნის წყარო - ადგილი, სადაც ეკლიანი ბალახი - ნარი ხარობს.

ნატუსრები - გადამწვარი, გადატრუსული მამული. მთაში, გვიანშემოდგომით ხშირად ნარიან ბალახს ცეცხლს უკიდებდნენ, რათა გაზაფხულით ნარის ნაცვლად შედარებით რბილი, უკეთესი ბალახი ამოსულიყო.

ნაფეტვრები - მამული, სადაც ფეტვს თესდნენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დასრულების შემდეგ (2 : 152).

ნაყვარქედი - ნაყვარი, განაყვრებული ამოწყვეტილს ნიშნავს. ტერმინი „ნაყვარქედი“ დაკავშირებული უნდა იყოს მისი მეპატრონის უმემკვიდრედ გადაგებასთან, გარდაცვალებასთან ან აღნიშნულ ქედზე ნადირის მიერ მოსახლეობის კუთვნილი საქონლის ამოწყვეტასთან (1 : 48).

ნიშისქედი - ადგილი, სადაც ნიშია დაბრძანებული. ნიშისქედი მამულია ასევე სოფელ მიდელაანში, ნიშიქედი ეწოდება სათიბს სოფელ ჭურთაში. საერთოდ, ტერმინები ნიშისქედი, ნიში (მამული ალევში), ნიშვაკე (სათიბი ქარჩოხში), ნიშის ტყე (ტყე ქარჩოხში)... იმ ტერიტორიაზე მიგვანიშნებს, სადაც სოფლის სალოცავია აგებული.

ოსოლთი - წყლიანი, ჭაობიანი ადგილი. ითიბებოდა და იხვნებოდა ახლოურების და ყველდაბელების მიერ.

საგულეები - საგულე, საგულვებელი, საუკეთესო ადგილი.

სადათვე - დათვების სამონადირო ადგილი. ტერმინი სადათვის ხევი გვხვდება ცხრაზმის ხეობის სოფელ უკანამხარეშიც (7 : 76).

საკეცები - სახნავი ადგილი. უნდა მომდინარეობდეს კეციდან, რაც საჭურჭლე მიწას ნიშნავდა, „მიწა, რომელსა ჭურჭლად შეიქმენ... საქოთნე მიწა“ (8 : 369). ეს ტერმინი სრულიად მისასადაგებელია ნაყოფიერი სახნავი ადგილისათვის.

სოლომნიანი - გვარის ერთ-ერთი შტო.

სამარიამო - მსხლის ჯიში. მთის ჰავის პირობების გათვალისწინებით ნაყოფი ადრე მწიფდება - მარიამობის თვეში.

სამარილეს ქედი - ადგილი, სადაც საქონელს პერიოდულად აჭმევდნენ ქვეზე დაყრილ მარილს (1 : 48).

სასვენების ქედი - სოფელში დაბრუნებული ან სტუმრად მომავალი მგზავრის დასასვენებელი ადგილი. ახლოურთში მისასვლელი გზები აღმართს მიუყვება და სოფელში მისვლამდე მგზავრს რამდენჯერმე უნდა დაესვენა. უფრო ხშირად ამ ადგილზე ისვენებდნენ სოფელ ყველდაბის დაწყებითი სკოლიდან მომავალი მოსწავლეები.

სატეხები - თხილიანში მოქცეული მცირე ზომის ველი, გატეხილი ადგილი.

საფულეების ქედი - ძნელბედობის ჟამს, სავარაუდოდ, აქ ფულს ინახავდნენ. ქედის სიახლოვეს კლდიანი ადგილია და ადვილი შესაძლებელია ფულის შენახვა-გადამალვა.

საფურეთი - სათიბი ადგილი. ფური მსხვილფეხა დედალი ცხოველია (ფურკამეჩი, ფურირემი) (10 : 449). ახალდაბადებულ დედალ ხბოს მთაში საფურედ მოიხსენიებენ, მამალს - სახარედ... საფურეთი მყუდრო, თვალსმოფარებული ადგილია, ამიტომაც ხშირად ბალახობდნენ აქ ფურირემები თავიანთ ხარირმებთან ერთად.

საღობის ქედი - გზაჯვარედინი, მეზობელი სოფლისაკენ მიმავალი გზების დამაკავშირებელი ადგილი, აქედან რამდენიმე გზა მიემართება ქარჩოხისა და ცხრაზმის ხეობის სოფლებისაკენ. „ღობე არს ჯარჯთა და ძემვთამიერი ზღუდე...“ (8 : 293). ამ შემთხვევაში საღობის ქედი უნდა მივიჩნიოთ საზღვრად, გინდაც ზღუდედ, სოფლის კარიბჭედ.

სახიძრები - სულხან-საბას განმარტებით სახინძრი სამალავი, სახიზარი ადგილია (9 : 76). აღნიშნულ ველებს ახლავს ღრმა ხევი და ხშირი ტყე. სავარაუდოდ, მას სოფლის მოსახლეობა, ისევე როგორც საფულეებს, განძის შესანახად, სამალავად იყენებდა.

უნაგირა - სოფლებიდან - ჩიტანიდან და ჭორჭოხიდან ამომავალი გზების დამაკავშირებელი ადგილი. მოაგავს ცხენის უნაგირს. „უნაგირა მომცრო ჩაღრმავება მთის ორ სიმაღლეს, ორ წვერს შორის... უნაგირის ფორმისაა უშბის მთები“ (10 : 430).

უღლის ქედი - უღელის მსგავსი ჩავაკეპული ადგილი. „უღელი ჯართ ქედთ სადები ხე შესაბმელად, გინა სასწორის სავიდარი“ (9 : 174). ეს იყო გათლილი ხე, წყვილი ხარის ან კამეჩის ქედზე დასადგმელი ურემში (გუთანში) (10 : 435), ან მარხილში შესაბმელად. მთაში, ძირითადად, გამწევ ძალას ხარი წარმოადგენდა, რომელსაც გუთანში თუ მარხილში შესაბმელად უღელს ადგამდნენ. ეს ტერმინი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ადგილობრივი მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობასთან.

ფიწილეთის მთა - ადგილი, სადაც წმინდა, რბილი ბალახი იზრდება. ზამთარში მას თივის სახით იყენებდნენ ხბორებისა და ბატკნების გამოსაკვებად. ტერმინი უნდა მომდინარეობდეს სიტყვა „ფიწალო“-სგან. ფიწალო იგივეა, რაც პიტალო (10 : 446). სალი, მაგარი კლდე, თუმცა გადატანითი მნიშვნელობით პიტალო თავის მხრივ წმინდას, სუფთას... ნიშნავს. ამ შემთხვევაში იგი სრულიად მიესადაგება ადგილს, სადაც რბილი და წმინდა ბალახი იზრდებოდა... შესაძლებელია სახელწოდება დაკავშირებული იყოს ფიწალთანაც, რაც ნიშნავდა თივის, ძნის და მისთ. ასაღებ ორ, სამ ან ოთხთითა იარაღს თითებმოხრილს (10 : 446). ფიწალეთის მთა ითიბებოდა და აღნიშნულ იარაღს მოთიბული ბალახის შესაგროვებლად იყენებდნენ.

ქვეითლიანი - გვარის ერთ-ერთი შტო, ცხოვრობდნენ სოფლის ქვემოთ, ბოლოში.

ქოთიანთ წყარო - ქოთი შფოთს, ღრიანცელს ნიშნავდა (10 : 456). შესაძლებელია წყაროს კუთვნილება სოფელში დავის საგანი გამხდარიყო ან ეკუთვნოდა ოჯახს, რომელიც ხმაურით და კამათით გამოირჩეოდა.

ქოძიეთი - მთის სახელწოდება, დაკავშირებული უნდა იყოს ძველ ქართულ ტერმინთან ქოიეტთან, რაც სუბუქს ნიშნავდა (9 : 230). ეს ადგილი განკუთვნილი იყო გაპარსული ანუ შემსუბუქებული ცხვრის საბალახოდ. გაპარსული ცხვარი შედარებით მალაია - სწრაფად გადაადგილდება და ამიტომ მის „შესაკავებლად“ მთიანი, გაშლილი ადგილია საჭირო.

ღვიათ ქედი - კლდიანი ქედი, სადაც ღვიები ხარობენ. ეს არის დაბალი, მარადმწვანე მცენარე, იზრდება მშრალ ფერდობებსა და კლდეებზე (10 : 460)... ღვიათ ქედი სოფელ მარტიანის სიახლოვეს მდებარეობს.

ყორნის ქედი - საყორნე, ყორნების თავშესაფარი ადგილი.

შალოანი - გვარის ერთ-ერთი შტო.

შანშიურები - სახნავ-სათიბი ადგილი. სახელწოდება დაკავშირებული უნდა იყოს მამაკაცის საკუთარ სახელთან - შანშე.

ჩანჩხები - ხშირი, გაუვალი ტყე. ჩანჩხურა ასხმულ მიძვს ნიშნავდა (9 : 315). შესაძლებელია „ჩანჩხებმა“ აქედან მიიღო სახელწოდება, როგორც მიძვად ასხმულმა, გაუვალმა ტყემ. არაა გამორიცხული ტერმინი უკავშირდებოდეს სიტყვა - ჩანჩხარს, რაც ჩხრიალზე, ჩხარუნზე მიგვანიშნებს (10 : 523). გაუვალ ტყეში გადაადგილება თავისთავად იწვევს გარკვეულ ჩხარუნს, ხმაურს.

ჩირდილიმიწები - ტყის შუაგულში მდებარე მამული, სადაც მზე ნაკლებად ხვდება (7 : 17).

ჩიტიანთ ქედი - სოფელ ახლოურთის სიახლოვეს უცხოვრია ჩიტიშვილების ერთკომლიან ოჯახს. ქედის სახელწოდებაც აქედან უნდა მომდინარეობდეს.

ცოდვიანი მთა - დაკავშირებული უნდა იყოს აღნიშნული მთიდან ვინმეს დაგორებასთან ან სხვა ტრაგიკულ შემთხვევასთან.

ცუნცლია, ცუნცლა - მსხლის ჯიში, გამოირჩევა მცირე ზომის ტკბილი ნაყოფით, ცუნცლა - ციცქნას, პატარას კნინობითი ფორმის გამომხატველი ტერმინია ქართლის მთიანეთში.

წმინდა სამების ველები - ველიანი ადგილი, სადაც წმინდა სამების ნიშია დაბრძანებული.

წულიათი, წულიათის ქედი - წული „იგივეა, რაც შვილი“ (10 : 566), მაგალითად, დისწული (დიშვილი), მმისწული (მმიშვილი) და ა.შ. სულხან-საბას განმარტებით, წული ითქმის ვაჟზე (9 : 387). ამ შემთხვევაში წულიათი უნდა მიგვანიშნებდეს ვაჟისათვის მემკვიდრეობით გადაცემულ მამულზე, ქედზე.

ხატიმიწები, ხატის მსხლები - ხატიმიწები ადგილია, სადაც ხატები ან ნიშია დაბრძანებული (7 : 17). ხშირად მოსახლეობა ხატს მამულსაც სწირავდა. „სახატო მიწას ანუ ჯვარის ყანას მორიგეობით ამუშავებდნენ და ჭირნახულსაც დღესასწაულებისათვის იყენებდნენ“ (4 : 104).

„ქსნის ხეობის მთის ზოლის ყველა სოფელში არსებობდა ხატიმიწებად და ხატიმთებად სახელდებული სახნავი და სათიბი ნაკვეთები (5 : 104). ხატის მამულებით სარგებლობდნენ სოფელ ახლოურთშიც. მაგალითად, ხატის მსხლები ხატის სიახლოვეს

იდგნენ და სოფლის მოსახლეობა ნაყოფს თანაბრად ინაწილებდა, ხოლო ის, ვინც ხატის სახელზე არსებულ მამულს მოხნავდა, „მოსავლის 1/3-ს, ღალის სახით, დღეობისათვის გამოყოფდა, ხოლო დანარჩენს თავისთვის იტოვებდა. დადგენილი წესის დაცვის შემთხვევაში იგი შემდეგ წელსაც სარგებლობდა ხატის მიწის დამუშავების უფლებით. ჩვეულებისამებრ, ღალას ჩაიბარებდნენ მორიგეობით არჩეული მნათეები“ (5 : 110).

ჯორიტყე - ძნელად მისასვლელი კლდიანი ადგილი, საიდანაც, ძირითადად, სახედრით ანუ როგორც მთაში მოიხსენიებდნენ - ჯორით ეზიდებოდნენ შუას.

### **ლიტერატურა:**

1. ახლოური დ., სოფელი მიდელაანი, თბ., 2006.
2. გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1956.
3. ითონიშვილი ვ., ქართლის მთიელთა ყოფა-ცხოვრებიდან, თბ., 1974.
4. ითონიშვილი ვ., ტერიტორიული თემი საქართველოში, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, თბ., 2002.
5. ითონიშვილი ვ., ნარკვევები ქართველ მთიელთა ტრადიციული ყოფის ისტორიიდან, თბ., 2003.
6. ოთინაშვილი ნ., ცხრაზმის ჰიდრონიმია, ჟურნალი „ჩვენი უნივერსიტეტი“, №3, 2011.
7. სომხიშვილი ვ., ქსნის ხეობის ქართლური, ლექსიკა, ტოპონიმიკა (მასალები), ტექსტები, 1981.
8. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, 1991.
9. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, თბ., 1993.
10. ქართლი ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბ., 1986.

**TOPONYMS OF THE VILLAGE OF AKHLOURTI  
(HISTORICAL-LINGUISTIC ANALYSIS)**

**Davit Akhlouri**, Gori Teaching University

**RESUME**

On the ground of historical-linguistic analysis the toponyms of one of the mountainous village of Akhlourti in Ksani gorge are studied in this paper.

The toponyms contain important information about the history and everyday life of the population of a region.

The large number of toponyms studied and analyzed here by us is about the agricultural activities of people. There are a lot of terms connected to ridges, mountains and agricultural lands characteristic of a mountainous village. Most of them have the name of the animals and birds which are plenty there. The diversity, abundance of words and antiquity of toponyms are also quite significant. Unfortunately, some toponyms are already strange for modern Georgian language. That's why it's so essential finding and studying of these terms.



## ბასკურ-კავკასიური ეთნოგრაფიული პარალელების კვლევის საკითხები

ბასკურ კავკასიური ჰიპოთეზის თავიდანვე ლეგენდარული იერი დაჰყვა, მაგრამ პოპულარობა მას არასოდეს დაუკარგავს. მისდამი ინტერესს სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებდა.

პრობლემის პოპულარობის ზრდას, რიგ შემთხვევაში, მოჰყვა მისი გამარტივება. დღესაც შეიმჩნევა არა ერთი და ორი შემთხვევა, როდესაც ამ ჰიპოთეზის დასაბუთების მცდელობა არაპროფესიულ დონეზე მის მეცნიერულ პრესტიჟს ზიანს აყენებს. აი, რას წერს ამის შესახებ არნ. ჩიქობავა: „ბასკურ ენას რომ ვისმენდი, ნახევარ ქართული სიტყვები მესმოდაო“, იტყვიან ზოგჯერ. ეს რა თქმა უნდა, ფანტასტიკაა, (ამგვარ მსჯელობას შეუძლია სახელი გაუტეხოს სამეცნიერო საკითხს). „ბასკურისა და ქართულის ნათესაობის საკითხი საერთოდ არ არის მეცნიერული საკითხი და მისი კველვაც გაუმართლებელიაო, - ასეთია მეორე უკიდურესობა“ [1, 7].

აღნიშნული ვითარება ბადებს შედარებითი კვლევის ისეთი მედოთიკის გამომუშავების აუცილებლობას, რომლის მეშვეობით დადგენილი კრეიტერიუმები მეცნიერულ ღირებულებას შესძენდნენ ბასკურ-კავკასიურ ეთნოგრაფიულ მსგავსება-განსხვავების მანიშნებელ ფაქტებს და ამ პრობლემის უმთავრეს თავისებურებებსაც გაითავალისწინებდნენ.

კავშირ-ურთიერთობას მსგავსება-განსხვავებანი უჩვენებს, ხოლო ამ უკანასკნელთა დასადგენად ჯერ კიდევ ანტიკური ხანის ავტორები მიმართავდნენ შედარებას [2, 8].

ქართველი ეთნოგრაფები, იკვლევენ რა საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხებს, მოჰყავთ შესადარებელი მასალა

საქართველოს სხვადასხვა კუთხის და ჩრდილო - კავკასიის მონათესავე ხალხების ეთნოგრაფიიდან.

ბასკურ - კავკასიური ეთნოკულტურული გენეტიკური ერთიანობის კვლევა ნიშნავს ამ ერთიანობის ძიებას ერთმანეთისაგან მთელი ეპოქებითა და ვრცელი ტერიტორიით დამორეზულ ეთნოსებს შორის [2, 47].

დიდი დროის მანძილზე თითოეული თავის დამოუკიდებელ გზას გაივლიდა და, ბუნებრივია, ისინი ისე განემსგავსებოდნენ ერთმანეთს, რომ საერთოს დაჭერა განსაკუთრებულ სირთულესთან, ზოგჯერ გადაუღახავთანაც იყო დაკავშირებული.

იბერიულ-კავკასიურ ენებთან ბასკურის სავარაუდო ნათესაობას არნ. ჩიქობავა „გარენათესაობას“ უწოდებს. „გარენათესაობასვე“ ბასკურ-კავკასიური ენების გენეზისური ურთიერთობის კვლევის მეთოდი არის არნ. ჩიქობავას მსჯელობის საგანგებო საგანი. მისი დებულებები სახელმძღვანელო და გეზის მიმცემთა ბასკურ - კავკასიური გარემონათესავე კულტურათა შესადარებლადაც.

ბასკურ-ქართული ეთნოგრაფიული პარალელების შესასწავლად შერჩეულ იქნა მიცვალეზულთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები - ერთ-ერთი ყველაზე არქაული ინსტიტუტი - და, ალბათ, ამიტომაც ერთ-ერთი ყველაზე უკეთ შესწავლილი საკითხი ბასკურშიც და საქართველოშიც<sup>3</sup>.

მიცვალეზულთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებების ქართულ-კავკასიური და ბასკური მოდელების შედარების დროს გამოვლინდა კულტურის მსგავსი ნიშნებით: უნივერსალური მსგავსებები უბრალო დამთხვევები, ორივე შესადარებლი ობიექტისათვის მსგავსი ეთნოკულტურული სპეციფიკა და, რა თქმა უნდა, განსხვავებებიც. განსხვავება შეიძლება გვექონდეს უნივერსალურ ფაქტებშიც (შეიძლება მთელს ქვეყანაში იყოს გავრცელებული და ბასკეთში ან საქართველოში არ იძებნებოდეს) და სპეციფიკურ ეთნოგრაფიულ ნიშნებშიც. უნდა

---

<sup>3</sup> ქვემოთ, ზოგი შემთხვევის გარდა, ვემყარებით ს. გაბუნიას ნაშრომს და იქ მითითებულ სპეციალურ ლიტერატურას.

გაირკვეს ტიპოლოგიურ განსხვავებასთან გვაქვს საქმე, თუ იგი გვიანდელი მოდიფიკაციის ხასიათისაა.

ა) გარდაცვალების წინ:

ბასკურში გავრცელებული რწმენის თანახმად, თუ შობას ოჯახს ცეცხლი ჩაუქრა, ამზობენ, ამ წელს ვინმე მოუკვდებათო. კაცი შეიძლება მოკლას „ავმა თვალმა“ და წყევლამ, განსაკუთრებით კი - მოუნათლავი ბავშვი. სიკვდილის მომასწავლებელია ასევე სახლის კედლებისა და იატაკის ჭრიალი, ზარების დიდი ექო, ღამით ძაღლის ყმუილი, ჭოტის კივილი, ყვაავების სოფლის გარეუბანში ფრენა, მამლის გათენებამდე ყივილი, დედლის მამალივით ყივილი და ა.შ.

საქართველოში სიკვდილის მომასწავებელ ნიშნებად მიაჩნიათ: ღამით ძაღლის ყმუილი, მამლის ყივილი. სამეგრელოში არსებობს რწმენა, რომ დღისით, უდროო დროს თუ იწყებს მამალი ყივილს, ე.ი. ატყობინებს მეზობელ მამლებს, კაცი კვდებაო. ქართლში მზის ჩასვლის შემდეგ თუ იყივლებს მამალი, კისერი უნდა წააგლიჯონ, თორემ ვინმე მოკვდებაო; ასევე იქცევიან დედლი მამალივით ყივილის შემთხვევაშიც (ქართლის, ლეჩხუმი, სვანეთი).

სიკვდილის მომასწავებელი ბასკური ნიშანი-სახლის კედლების ჭრიალი მოგვაგონებს ჭერის ჭრაჭუნს, რაც ქართლში უბედურების მომასწავლებლად მიაჩნიათ. ქვემო სვანეთში ჭერი თუ დაჭრილადება, დააცხოზენ მრგვალ პურებს ოთხი ჯვრით კუთხეებში და ლოცულობენ უბედურების თავიდან ასაცილებლად.

გურიაში სახლს, სადაც ავადმყოფი იწვა, ყორანი თუ გადაუფრენდა, ქვას მიაყოლებდნენ. იმ ქვას სახლის სახურავზე უნდა გადაეგლო, ხოლო შემდეგ ბერები ხის ძირას დამარხავდნენ, იტყოდნენ „თუ ვინმე მოსაკვდენია, მოხუცი მოკალიო“.

ბასკების რწმენით, თუ ოჯახს ზედიზედ მოუკვდა ბავშვები, უნდა იშვილოს ვინმე და ამით მოეღება ბოლო სიკვდილიანობას. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას გავამახვილებთ საქართველოში (კერძოდ, სამეგრელოში) არსებულ წეს-ჩვეულებაზე; ჭირისუფალ მამაკაცს (მამას ან ძმას), რომელიც ორმოცამდე თმას უშვებს, ორმოცზე თმას შეჭრის ვინმე შვილის მაგივრად შერჩეული პირი, რომელიც იმ დღიდან ოჯახში ისეთივე

უფლებით სარგებლობს, როგორც ნამდვილი შვილი. ამ წეს-ჩვეულებას „თომამ მეკვათუა“-ს (თმის შექრა) უწოდებენ.

ბასკეთში სიკვდილის დროს ძლიერი წვიმის მოსვლა მოასწავებს იმას, რომ მიცვალებულის სული პირდაპირ ცაში წავა, ხოლო სიკვდილის დროს, ან კიდევ დასაფლავებისას თუ ქარიშხალი ამოვარდება, ეს ღმერთის მიერ მიცვალებულის დასჯად ითვლება. თუ კაცი ტანჯვით მოკვდება, იგი საიქიოში დაწყევლილი იქნება.

გარდაცვალებისა თუ დაკრძალვის დროს წვიმის წამოსვლის შესახებ ბასკების მსგავსად ქართველებშიც არსებობს სხვადასხვა წარმოდგენები: წვიმამ თუ საფლავში ჩაატანა, სულ იწვიმებსო; დასაფლავებისას თუ წვიმა წამოვიდა, ე.ი. მიცვალებული ღმერთმა დაიტირაო (ლეჩხუმი); მონადირის სიკვდილის ან დასაფლავების დროს თუ წვიმა წამოვიდა, ეს ნიშნავს, რომ იგი ქალღმერთ დალის ჰყვარებიაო (ქვემო სვანეთი).

ბასკეთში მომაკვდავს და განსაკუთრებით კი, მიცვალებულს ღამეს უთევენ. მიცვალებულისთვის ღამისთევა სპეციალური ტერმინით აღინიშნება - gauela [2, 54].

მთელი ღამის განმავლობაში მიდი-მოდის მგლოვიარე ოჯახში ხალხი, მიცვალებულის ოთახში კი 5-6 კაცი სულ ზის. ესენი არიან უფრო ხშირად უახლოესი მეზობლები. ღამისმთეველნი ყვებიან სხვადასხვა ამბებს, უფრო ხშირად კი მიცვალებულის შესახებ საუბრობენ, იგონებენ, ახასიათებენ მას.

მომაკვდავისა და მიცვალებულისთვის ღამის თევა ჩვენშიც სავალდებულო წესს წარმოადგენს. ღამისმთეველნი საქართველოშიც თავს იქცევენ ამბების მოყოლით, ზოგჯერ სიმღერთაც კი. არსებობს რწმენა, რომ ამგვარი ამბებისა და სიმღერების მოსმენა მიცვალებულს სიამოვნებს.

ბასკებს ძველად ერთი ჩვეულება ჰქონიათ - მომაკვდავის სახლის სახურავს კრამიტს ააცლიდნენ. ამ ჩვეულებას ასე განმარტავდნენ: მიცვალებულისაგან განტევებულ სულს გზა ეხსნება ცისკენ, სასუფეველისკენო, ანდა ეს იმისთვის კეთდება, რომ მიცვალებულის სული მობრუნდესო, ანდა კიდევ ჰერს მაშინ ახდიან, როცა სულის ამოხდა უჭირს კაცსო. ზოგან ამ მიზნით ფანჯრებს ალებდნენ და მერე ისევ ხურავდნენ [2, 55].

საქართველოში, კერძოდ სამეგრელოში, ქვემო ქართლში კარ-ფანჯრის გაღება სცოდნიათ, სული გაფრინდესო. საინგილოში, როცა ოჯახში მომაკვდავია, თურმე სკივრებისა და კიდობნებისათვის თავის ახდა სცოდნიათ, შიგ ადამიანის სული არ ჩარჩესო. საქართველოს ზოგ კუთხეში ღობის გამორღვევა და მერე მისი უცებ შეკეთებაც სცოდნიათ, რათა სული არ დაბრუნდესო.

სახურავის აყრის წეს-ჩვეულებაზე მიგვანიშნებს ქართული ეთნოგრაფიული ტერმინი „ჭერის ახდა“ (ჭერის ახსნა). ამ იდიომატური გამოთქმით აღინიშნება წეს-ჩვეულება, რომლის შინაარსი ასეთია. გარდაცვალების წლისთავზე მგლოვიარე ოჯახში იმართება სუფრა, რომელზეც პირველად იმღერებენ, რაც იმის მომასწავლებელია, რომ ოჯახმა გამოიგლოვა. ერთი შეხედვით, სახელწოდებას თითქოს არაფერი უნდა ჰქონდეს საერთო მის ეთნოგრაფიულ შინაარსთან. ბასკური წეს-ჩვეულება გვაფიქრებინებს, რომ ქართული „ჭერის ახდა“ თავდაპირველი შინაარსით სწორედ ბასკურის მსგავსი უნდა ყოფილიყო. დადასატურდა, რომ სვანეთში თუ ავადმყოფს სულის ამოხდა უჭირდა, ავიდოდნენ სახურავზე და გახსნიდნენ ლამფასაც და სახურავსაც, სახურავად დაწყობილი ფართო ქვებიდან ერთს ააცლიდნენ. სვანეთში ეს სირცხვილად ითვლებოდა, ამას ფარულად შვრებოდნენ, რადგან სულის ძნელად ამოხდომა ადამიანის ცოდვილობას მოწმობდა.

მსგავს რწმენას ბასკეთშიც ვხვდებით.

#### ბ) გარდაცვალების შემდეგ

ბასკთა ქვეყანაში, როგორც კი ადამიანი კვდება, ხურავენ ან ალებენ ფანჯრებს და იმ ოთახში, სადაც მიცვალებულია, სარკეებს ნაჭრებს აფარებენ. თუ ოჯახს საგვარეულო ღერბი აქვს, მასაც ჩამოაფარებენ შავ ნაჭერს და გლოვის დამთავრებამდე ასე ტოვებენ. მიცვალებულს ბასკეთის ზოგ კუთხეში (ისევე როგორც საქართველოს ზოგ კუთხეში) საქორწინო ტანსაცმელს აცმევენ ხოლმე [2, 57].

სიკვდილის ამბის ხალხისთვის შესატყობინებლად იმართება ზარების რეკვა (ზარების რაოდენობა მიცვალებულის სქესზეა დამოკიდებული). იციან შეტყობინება გადაძახებით, კაცის გაგზავნით.

მეზობლებსა და უახლოეს ნათესავებს სირცხვილად მიაჩნიათ, რომ სხვებისგან შეიტყონ ახლობლის სიკვდილი. ისინი პირველ რიგში იგებენ ამბავს და მიცვალებულთან დაკავშირებულ ყველა საქმეს თვითონ აგვარებენ: ყბას უკრავენ, თვალებს უხუჭავენ. ბასკების რწმენით, თუ თვალები არ დახუჭეს და პირი არ აუკრეს მიცვალებულს, იგი საიქიოში თან გაიყოლებს ვინმეს. მიცვალებულს განზანენ (ნაკურთხი წყლით), ჩააცმევენ, დავარცხნიან.

თუ ოჯახის უფროსი ღამით მოკვდება, ყველა ოჯახის წევრს გაადვილებენ, ქვრივი და მემკვიდრე სკას შეანჯღრევს, საქონელს წამორეკავს. ბასკების რწმენით, ოჯახის უფროსი თუ თავის სახლში არ მოკვდება, საქონელი ატეხს ღმუილს და, სანამ ოჯახში ამბავი არ მოვა და საქონელს არ მიაკითხავენ, არ ჩუმდებაო. ბოლოს სიკვდილის ამბავს ხეს შეატყობინებენ, ერთი წლის მანძილზე უბედურება არაფერი მოხდესო.

ადამიანი სიკვდილის დროს საქონლის წამოყრა ჩვენშიც სცოდნიათ - ქვემო ქართლში. აჭარელთა რწმენით, საქონელი სამი დღით ადრე გრძნობს პატრონის სიკვდილის მოახლოებას და მისი გარდაცვალებისთანავე იღვიძებს.

ბასკები მიცვალებულს ადრე იმ საწოლზე ტოვებდნენ, რომელზეც მოკვდებოდა, მოგვიანებით შუა ოთახში, მაგიდაზე, გადასვენება დაუწყიათ [2, 59].

ბასკებში ავი სულელებისაგან თავის დასაცავად უახლოეს გზაჯვარედინზე ცეცხლს უკიდებენ მიცვალებულის ქვეშაგებს, კერძოდ, ბუმბულით დატენილ მუთაქას, რასაც ბასკურად lastiara ჰქვია. თუ ბუმბული მოიღუნა, ეს უბედურების მომასწავებელია.

ხევსურეთში სიკვდილის ამბის სოფლისათვის შესატყობინებლად მიცვალებულის „სალოგინეს“ წვავენ. მიცვალებულის ქვეშაგების დაწვა სამეგრელოშიც სცოდნიათ (სვანეთშიც, ოღონდ ავადმყოფისა). ამ ჩვეულებას ბასკეთსა და საქართველოშიც შეიძლება ჰიგიენური საფუძველი ედოს - ავადმყოფის ქვეშაგების მოსპობა. მაგრამ ბასკეთში მიცვალებულის დამწვარი ქვეშაგების ბუმბულის მოკრუნჩხვასთან დაკავშირებულმა ცრუ რწმენამ შეუძლებელია არ მოგვაგონოს ქვემო სვანეთში დადასტურებული წარმოდგენა იმის შესახებ, რომ დამწვარი ქვეშაგების ფერფლის განლაგების მიხედვით

შეიძლება წინასწარმეტყველება, მოკვდება თუ არა ახლო მომავალში კიდევ ვინმე მგლოვიარე ოჯახში.

ორ მეზობელს დასაფლავების წინა ღამით ზარების რეკვის დროს სამრევლო ჯვარი მოაქვს მიცვალებულის სახლში, სადაც მთელ ღამეს ტოვებენ.

საფლავის გამთხრელნი ბასკეთშიც და საქართველოშიც მეზობელნი არიან, მათი შერჩევის წესიც ორივეგან ანალოგიურია.

#### გ) დაკრძალვა

ბასკეთში გამოსვენების დღეს მიცვალებულის ოჯახში მღვდელი მოდის და მონაწილეობას იღებს მიცვალებულის სასაფლაოზე წასვენებაში. მიცვალებულს გზაჯვარედინზე ან სოფლის ბოლოს სახლში ან სახლის წინ დაასვენებენ. საქართველოში, კერძოდ სვანეთში, ლეჩხუმში, აჭარასა და ხევსურეთში პროცესია სოფელს რომ გასცდება, მკვდარს დაასვენებენ და ახლობლები გამოემშვიდობებიან. ქვემო ქართლში, კერძოდ სოფელ გომარეთში, მიცვალებულს სახლიდან რომ გამოიყვანენ, პირველად ეზოში დაასვენებენ, ხოლო მეორედ კი სოფლის ბოლოს, გზაჯვარედინზე.

სამგლოვიარო პროცესიას წინ ხარი უძღვოდა. ბასკეთში ხარს რქებზე პურებს არჭობდნენ, სვანეთში - სანთლებს [2, 60].

ბასკეთში წინათ ყველა დამსწრე მამაკაცს სამგლოვიარო ტანსაცმელი ეცვა - ერთგვარი მოსასხამი და მაღალი ქუდი. საქართველოშიც, კერძოდ სამეგრელოში, ქართლში, ლეჩხუმსა და სხვანეთში მამაკაცებმა შავი ან ლურჯი თავსაფრით იციან თავის შეკვრა. აჭარაში მამაკაცები გლოვის 40 დღის განმავლობაში ყბალახის თავის ნაწილს ყბაზე იხვევენ.

არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემებსი თანახმად, ბასკები მიცვალებულს ასაფლავებდნენ ყოველთვის თავით აღმოსავლეთისკენ და ფეხებით - დასავლეთით. ასეთივე სურათი გვაქვს საქართველოშიც.

ბოლო ხანებამდე იყო შემორჩენილი ბასკეთში სამგლოვიარო ცერემონიალის დროს პურისა და ცვილის შეწირვა, რაც ახლა ფულის შეწირვით შეიცვალა. დასტურდება ქათმის, ხარის შეწირვები. ქართველებმაც იციან ხარის, ქათმის და პურის შეწირვა.

შესაწირავ საქონელს ბასკეთის ზოგ კუთხეში, ისევე, როგორც საქართველოშიც, შავით შემოსავდნენ ხოლმე. საქართველოშიც შესაწირავის სქესი შეესაბამებოდა გარდაცვლილი ადამიანის სქესს.

დ) დაკრძალვის შემდეგ

ბასკეთში დაკრძალვას აუცილებლად მოსდევს ქელები, რომელიც მიცვალებულის სახლში იხმარება. ქელებს ძირითადად მართავენ იმ ნათესავებისათვის, რომლებმაც თავი არ დაზოგეს და შორიდან ჩამოვიდნენ მიცვალებულის პატივსაცემად. თამადა მეზობელი უნდა იყოს. ხალხი რომ დანაყრდება, ქელების დასასრულს ყველა ფეხზე დგება და სანამ დაიშლებოდნენ, ხმამაღლა ლოცულობენ მიცვალებულის სულის შესანდობრად.

ქელებს ისეთივე სტრუქტურა აქვს საქართველოშიც. ბასკებს წესად ჰქონიათ ჭირისუფლისათვის ხარჯში შედგომა. ამგვარი დახმარება, ნავარის კანონის თანახმად, სავალდებულოც კი იყო. ვინც ამ ვალდებულებას არ შეასრულებდა, მას ჯარიმაც ეკისრებოდა. როგორ შესაწირავსაც გაიღებდა ერთი ოჯახი მეორისათვის, მეორემაც თავის დროზე ისეთივე შესაწირავი უნდა მიუტანოს პირველს.

მგლოვიარე ოჯახის დახმარება საქართველოშიც იციან. ფშავში, აგრეთვე გურიაში ზუსტად იგივე მნიშვნელობით გავრცელებულია გამოთქმა „სესხ-ვალი“, რაც იგივე ალებ-მიცემას ნიშნავს [2, 63].

ქართული სიტყვა წა-ბურ-ვა (ნიშნავს გარდაცვლილის ოჯახისადმი ფულად დახმარებას) უკავშირდება ბასკურ სიტყვას - bur -u („თავი“).

ბასკურში ტიპოლოგიურად დამახასიათებელია „თავი“ სიტყვის გამოყენება ზმნების საწარმოებლად, რომლებსაც უკუქცევითობის გაგება აქვთ ... როგორც ამას ვხედავთ ქართულში, მეგრულში, სვანურში, აფხაზურში, უდიურსა და სხვა იაფეტურ ენებში.

ზემოთაღნიშნული საკითხების შესწავლისას გამოვლენილმა მსგავსებამ დაგვარწმუნა, რომ თუმცა ერთია ბასკური და ქართველური ენების ნათესაობის მტკიცება ენათმეცნიერულ დონეზე, მეორე ბასკურ-ქართული ეთნოგრაფიული კვლევების ჩატარება, აუცილებელია ორივეს



გათვალისწინება ორი ერის კულტურულ ღირებულებათა ტიპოლოგიური ანალიზით, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ჰიპოთეზიდან ჭეშმარიტებამდე მისვლას კომპლექსური მეცნიერული შესწავლის დონეზე.

**ლიტერატურა:**

1. არნ. ჩიქობავა, ბასკური ენა და ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა., თბ., 1976;
2. ს. გაბუნია, ბასკურ-ქართული ეთნოგრაფიული პარალელები, თბ., 1995.

**THE RESEARCH ISSUES OF THE BASQUE-CAUCASIAN  
ETHNOGRAPHICAL PARALLELS**

**Ketevan Barbakadze, Gori Teaching University**

**RESUME**

The Basque-Caucasian ethno-cultural genetic research aims at identifying the common between the epochally and territorially distanced ethnic groups. For centuries each of them must have gone through independent paths on which they gradually got different from each other and the issue of the identification of something common between them has often become an irresistible obstacle. For further researching the Basque-Georgian ethnical parallels, the issue of funeral customs was chosen to be studied as one of the most archaic institute. Through the typological analysis, the ethnographical and linguistic researches on a scientific level both acquire equal importance for turning the studying process from hypotheses to the complex scientific research.

**მანანა ბუკია**  
არნ. ჩიქობავას სახელობის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

**ქართველურ-აფხაზური ლინგვოკულტურული  
ურთიერთობის ისტორიიდან - III  
ნაგებობების აღმნიშვნელი ლექსიკა**

მშენებლობასთან, კერძოდ, ნაგებობებთან დაკავშირებული ლექსიკის შესწავლას ქართველურსა და აფხაზურში რამდენიმე ნაშრომი მიეძღვნა, მაგრამ შესაბამისი მასალის მოძიებამ ცხადყო, რომ ამ მხრივ მუშაობის გაგრძელება ახალი საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა ორი ეთნოსის ენობრივ-კულტურული ურთიერთობის ისტორიის კვლევის თვალსაზრისით.

ჩვენს ხელთაა ნაგებობებთან დაკავშირებული ლექსიკის აღმნიშვნელი რამდენიმე ათეული სიტყვა, რომელიც პოვნეირია ორსავე ენობრივ ერთეულში.

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ძველებური აფხაზური საცხოვრებელი ნაგებობანი ხუთ ტიპად იყოფა: **ა-ქაჯ** "წრიული ფორმის უსადირკვლო წნული სახლი", **ა-ბეცათძე** "კუთხეებმომრგვალებული ოთხკუთხა წნული სახლი", **ა-მასართძე** "ხის საძირკვლიანი მართლკუთხა წნული სახლი", **ა-განჯნე** "განივი წნული სახლი", **ა-ჯარგალ** / **ა-ჯერგალ** "მორებით ნაგები სახლი" (გვანცელაძე, 1998, 20). ამათგან სამში ქართველური სიტყვაა გამოყენებული: **ა-მასართძე** ჰიბრიდული კომპოზიტია, პირველი ნაწილი ქართველური **მესერი** / **მასარ**-ია, მეორე კი აფხაზური **ა-თძე** "კედელი". ქართულ-აფხაზური კომპოზიტია **ა-განჯნე**, რომელიც ზედმიწევნით "განის სახლს" აღნიშნავს, შდრ. გურ. **განის სახლი**, მეგრ. **განიშ** **ქუდე** "განის სახლი; ორთავალა სახლი, რომელსაც ერთი თვალი (ოთახი) უიატაკო, ჰქონდა, მეორე ოთახი კი ფიცრულით მოგებული" (ქაჯაია, 2001, 287). **ა-ჯარგალ** / **ა-ჯერგალ** კი მეგრულიდანაა შეთვისებული და ეტიმოლოგიურად "მრგვალ ხეს, მრგვალ ძელს" ნიშნავს. **ჯარგვალი** ფართოდაა

გავრცელებული ქართული ენის დასავლურ დიალექტებში: **ჯარგვალი** (იმერ.) "საქონლის სადგომი ზემო იმერეთში" (მაკალათია, 1978, 69), **ჯარგვალი** (გურ. აქარ.) "მრგვალი მორებით აგებული სახლი, ქოხი, ფაცხა" (დლონტი, 1984, 775); **ჯანგვალი** (ლექს.) "ჯარგვალი" (იქვე, 774), სალექსიკონო ერთეულად შეტანილი აქვს საბას თავის ლექსიკონში: **ჯარგვალი** (BC რედაქციით **ჯარგვალი**) / **ჯირგვალი** "ესე არს ძელნი მოჭდობილნი სამოთხ კუთხედ მაღალი, ვიეთნი კიდობანად სახელს-სდებენ B. ესე არს ხე მოჭდობილი სამ-ოთხ კუთხად, ვიეთნი კიდობანს (კიდობანად Cq) უჭმობენ (საბა, 1993, 452, 458). მეგრულიდან შეთვისებული სიტყვა აფხაზურში კომპოზიტის ნაწილადაც გვხვდება: **ა-ჯარგალჯგ** "ქოხი" (რალ, 1964, 243), **ა-ჯარგალანდა** "ხის ღობე" (კასლანძია, 2005-ა, 684). ამ მასალის ანალიზის საფუძველზე თ. გვანცელაძე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე დასახლების დროისთვის აფხაზები იცნობდნენ მხოლოდ პირველი ორი ტიპის წნულ საცხოვრებლებს და მშენებლობაში ჯერ კიდევ არ იყენებდნენ ხის დამუშავებულ მასალას (გვანცელაძე, 1998, 21).

საინტერესოდ მიგვაჩნია ქართველური **ფაცხა** ≈ აფხაზური **ა-ფაცხა**-ს ურთიერთმიმართების საკითხი. სიტყვა წარმოდგენილია მთელ ქართველურენოვან სივრცეში: **ფაცხა** "უჭერო და უიატაკო წნული ქოხი ისლით, ჩალით და მისთანებით დახურული" (ქეგლ, VII, 50); **ფაცხა** "წნული სახლი" (საბა, 1993, 187); **ფაცხა** (გურ.) "წნელით მოწნული უჭერო-უიატაკო, ისლით დახურული ქოხი" (დლონტი, 1984, 538), **ფაცხა** (მეგრ., ლაზ.) "ფაცხა, წნელით მოწნული ქოხი" (ყიფშიძე, 1914, 335; მარი, 1910, 193), **ფაცხ** (სვან.) "ფაცხა" (თოფურია, 2000, 753). ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია, 2004, 13). აბჟურ დიალექტში წარმოდგენილ **ა-ფაცხა**-ს ბზიფურში ენაცვლება **ა-ბცაცყჷნ** (ბლაჟბა, 1964, 203). გ. მაჭავარიანი მიიჩნევს, რომ **ა-ფაცხა** აფხაზურში მეგრულიდანაა შეთვისებული (მაჭავარიანი, 1966, 168). გ. კლიმოვი **ფაცხა**-ს აფხაზურიდან ნასესხობად თვლის (კლიმოვი, 1986, 182); თ. გვანცელაძის შეხედულებით, ამოსავალია ბზიფური ფორმა, **ა-ბაცა** > **ა-ბცა** "წნელს" აღნიშნავს, **ყჷგ** < **ყჷა** "ტალახის, ნაკელის" აღმნიშვნელი ძირია, **ჷნგ** კი "სახლს" ნიშნავს, ე.ი. **\*ა-ბცაცყჷა** აფხაზურში თავდაპირველად ერქვა ტალახით ან ნაკელით შეღესილ წნელ

სახლს. \*ა-ბგცყ~ ა ფორმა უსესხებია მეგრულს (აფხ.ა-ბგცყ~ ა > მეგრ. \*ბაცხა > ფაცხა). თავის მხრივ, მეგრული ფორმა უკუისესხა აფხაზური ენის აბჟურმა დიალექტმა, ზოიფურს კი შერჩა საკუთარი სიტყვა (გვანცელაძე, 1998, 21). ჩვენი მხრივ შევნიშნავთ, რომ აფხაზურში გვაქვს ფიჩხის აღმნიშვნელი **ა-ფაცხ~** (შაყრილი, 1987, 31), რომელსაც მეგრული **ფეცხ-**იდან მომდინარედ ვთვლით. **ფეცხი** მეგრულში "ფიჩხს, წნელს" (ყიფშიძე, 1914, 336; ჭარაია, 1997, 135), აგრეთვე "ტოტს და ხის ტოტებისგან გაკეთებულ ცოცხს" ნიშნავს (ქაჯაია, 2002, 98). ვფიქრობთ, ძნელი არ უნდა იყოს ფეცხი ≈ ფაცხა, **ა-ფაცხ~** ≈ **ა-ფაცხა-**ს დაკავშირება არც ფონეტიკურად, არც სემანტიკურად (ბუკია, 2006, 102). სიტყვა გვხვდება კომპოზიტშიც: **ა-ფაცხ~გარა** "ახალშობილი საქონლის დროებითი სადგომი მთის სამოვრებზე" (ბჟანია, 1962, 49).

გარდა ზემოთმოყვანილი ფორმებისა, ყურადღებას იქცევს ქართველურსა და აფხაზურში წარმოდგენილი ნაგებობების აღმნიშვნელი სხვა სიტყვები:

**გალავანი** "1. ქალაქის, ციხე-სიმაგრის ან რაიმე ნაგებობის გარშემო შემოვლებული კედელი; 2. ასეთი კედლით შემოზღუდული ადგილი" (ქეგლ, II, 631); **გალავანი** "არა ზღუდე, არამედ კედელი მაგარი, გრძლად ნაგები" (საბა, 1991, 130), **გალავანი** (კახ., თუშ. რაჭ.) "id." (ჯავახიშვილი, 1976, 99, 161, 353), **გალაჲან** / **გალაჲან** / **გალაჲან** / **გალაჲან** (სვან.) "გალავანი" (თოფურია, 2000, 163) - **ა-გალავან** "გალავანი"; აფხაზურში ქართულიდანაა შესული (ჭარაია, 1912, 14), **ა-გალაჲან** (კასლანძია, 2005, 268); გვაქვს სხვა კავკასიურ ენაშიც: **გალან** (ხუნძ.), **ღალან** (ჩეჩნ.) "გალავანი", ასევე ოსურში: **გალაჲან** / **გალაჲან** / **გალაონ** "id" (აბაევი, 1958, 507).

**ნანია** (მეგრ.) "ნალია, სასიმიინდე" (ყიფშიძე, 1914, 286), **ნალია** (ლაზ.) "ნალია, სასიმიინდე" (მარი, 1910, 172) - **ა-ნანგრა** "ფარდული, საბძელი" (ჯანაშია, 1954, 203).

**ხულა** "1. ცალკე მდგომი საკუჭნაო ან მარცვლეულის შესანახი შენობა. 2. ძვ. და კუთხ. (რაჭ.) ხის პატარა სადგომი, - ჯიხური, ბუდრუგანა" (ქეგლ, VIII, 1524), **ხულა** "სახლი სავაჭროს სადები" (საბა, 1993, 434), **ხულა** (გურ. აჭარ. იმერ.) "ბედელი, სასიმიინდე, ნალია~ (ლლონტი, 1984, 764), **ხულა** (მეგრ.) "პატარა ბედელი" (ყიფშიძე, 1914, 611) - **ა-ხულა** "ხორცისა და რძის

პროდუქტების შესანახი შენობა” (ბჟანია, 1962, 137). ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია, 2004, 13)

აფხაზურიდანაა შემოსული ქართველურში (მეგრულში) **ამხარა** ”პატარა სახლი ახალდაქორწინებულთათვის” (ჭარაია, 1997, 35) - **ა-მჰარა** ”პატარმალ-სიძის საცხოვრებელი სახლი, სანთიობო” (ჯანაშია, 1954, 199); ასევე **აბარწა** ”აივანი” (ციფშიძე, 1914, 191) - **ა-ბარწა** ”აივანი” (ჯანაშია, 1954, 63).

ორსავე ენაში ნასესხებია **ოდა** [თ. ოდა] ”ხის, ქვის... ბომებზე დადგმული ფიცხული სახლი” (ქეგლ, VI, 8), **ოდა** (მეგრ.) ”სახლი” (ციფშიძე, 1914, 293), **ოდა** (ლაზ.) ”ოთახი” (მარი, 1910, 176) - **ა-ტადა** ”ოთახი” (ჯანაშია, 1954, 263). **ა-ტადა** ძირითადად ზოიფურში გვხვდება (ბლაჟბა, 1964, 204); **კიოსკი** [რუს. киоск, სპ. კომკ-იდან] ”1. პატარა სათავსი სახელდახელო ვაჭრობისათვის. 2. პატარა ნაგებობა რაიმე სახის სპეციალური დანადგარისთვის” (ქეგლ, IV, 1223) - **ა-კასკა** ”ოდა სახლი” (ჯანაშია, 1954, 152) / **ა-კასქა** ”id.” (კასლანძია, 2005, 528), ასევე **ოთახი** [თ. ოთახ] ”სამყოფ-საცხოვრებელი შენობის ნაწილი, რომელიც კედლებით არის გამოყოფილი” (ქეგლ, VI, 13), **ოთახი** (მეგრ.) ”ოთახი” (ციფშიძე, 1914, 293), **ტოთახ** (სვან.) ”id.” - **ა-ტათახ** ”ოთახი” (ჯანაშია, 1954, 263). ძირითადად გვხვდება აბჟურში (ბლაჟბა, 1964, 204); **ოჯახი** [თ. ოჯაკ ”კერა”, ”სახლი”, ”სახლეული”] ”ერთად მცხოვრებ ადამიანთა ჯგუფი, რომელიც შედგება უახლოესი ნათესავებისაგან, - კომლი, სახლობა” (ქეგლ, VI, 98), **ოჯახი** (მეგრ.) ”სახლი, ოჯახი, კერია” (ციფშიძე, 1914, 296), **ტოჯახ** / **ტოჯახ** (სვან.) ”ოჯახი” (თოფურია, 2000, 747) - **ა-ტაჯაყ** ”ბუხარი” (რალ, 1964, 266); **უაჯაყ** (აბაზ.) ”საკვამური” (აბრლ, 1967, 375); **ფანჯარა** [სპ. ფანჯარაჰ] ”შენობის კედელში დაყოლებული ღია ადგილი, რომელშიც მომინული ჩარჩოა ჩასმული” (ქეგლ, VII, 17) - **ა-ფენჯაგ** ”ფანჯარა” (რალ, 1964, 382).

ნაგებობათა ნაწილების აღმნიშვნელ ლექსიკაში ძირითადად ქართველურიდან ნასესხობა დომინირებს, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს თ. გვანცელაძის ზემოთ მოყვანილი მოსაზრების მართებულობას (ხის მასალის გვიანდელ პერიოდში გამოყენების შესახებ).

ქვემოთ წარმოდგენილი სიტყვები ძირითადად ფიცრული სახლის ნაწილების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულებია:

**ბირკული / ბირკული** (მეგრ.) "რიკული, მოაჯირი" (ჭარაია, 1997, 42), **ბირკვილი / ბირკილი** (იმერ., გურ.) "რიკული, მოაჯირი" (ღლონტი, 1984, 75) - **ა-ბერკვღლ** "მოაჯირი" (ჯანაშია, 1954, 76), **ა-ბარკვღლ** "რიკული" (შაყრილი, 1986, 97); "გემზანის მოაჯირი" (ძიძარია, 1989, 16). საერთო წარმოშობის სიტყვებად მიიჩნევა დ. გულია (გულია, 2004, 12). აფხაზურში შესულია მეგრულიდან (შაგიროვი, 1989, 149, ძიძარია, 1989, 47).

**ბოკონი** "მორის ბოძები, რომელზედაც დაყრდნობილია ფიცხული სახლის სასაძირკვე დირეები" (ქეგლ, I, 1090), **ბოკონი** (იმერ., გურ.) "სახლის საძირკვის ბურჯი, ბოძი" (ღლონტი, 1984, 79), **ბოკონი** (მეგრ.) "სახლის საძირკვის ბარჯგი" (ჭარაია, 1997, 42) - **ა-ბაკვან** "აფხაზური სახლის დირე" (კასლანძია, 2005, 218). სიტყვა აფხაზურში ქართველურიდანაა შეთვისებული ფონტაქტიკის წესების სრული დაცვით (ბუკია, 2010, 9).

**ბოყვი** "კუთხ. (იმერ. გურ.) ჩარჩო, რომელშიც კედლის ფიცრებია ჩასმული" (ქეგლ, I, 1115), **ბოყვი** (ქართლ., იმერ., რაჭ., ლეჩხ., გურ., აჭ.) "კედლის ფიცრების ჩასასმელი ჩარჩო" (ჯავახიშვილი, 1976, 217, 264, 330, 360, 404, 417), **ბოყვი** (მეგრ.) "ხის სახლის კარის თამასა" (ყიფშიძე, 1914, 207) - **ა-ბეყ** "ბოყვი" (ჯანაშია, 1954, 76); აფხაზურში შესულია ქართველურიდან (ლომთათიძე, 1976, 52).

**კუთხე** "1. მათემ. ერთი წერტილიდან გასულ ორ სწორ ხაზს შუა მოქცეული ფართობი. 2. ადგილი, სივრცის ნაწილი, სადაც ერთმანეთს ხვდება ან ერთმანეთს კვეთს ორი საგანი, ან საგნის ორი მხარე. 3. გადატ. საცხოვრებელი ადგილი" (ქეგლ, IV, 1410), **კუნთხუ** (მეგრ.) "კუთხე" (ყიფშიძე, 1914, 262), **კუთხ** (სვან.) "კუთხე" - **ა-კუნდხ** "კუთხე" (ჯანაშია, 1954, 154), **ა-კუნთხ** (კასლანძია, 2005, 536); შდრ. ბზ. **ა-კაქტ** "id." (ბლაჟბა, 1964, 204); აფხაზურში შესულია მეგრულიდან (შაგიროვი, 1989, 149). მეგრულიდან ზედმიწევნით გადმოღებული ფორმა აქვს დაფიქსირებული ვ. კასლანძიას (ბუკია, 2010, 9)

**ოსხირი** (მეგრ.) "საძირკველი" (ჭარაია, 1997, 110) - **ა-ტასხერ** "საძირკველი" (ჯანაშია, 1954, 266), **ა-ტაცხერ** (ბზ.) "id." (შაყრილი, 1987, 188); ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია, 2004, 13). აფხაზური ფორმა მეგრულიდანაა შეთვისებული (კლიძოვი, 1986, 182). ფონოტაქტიკის წესები ზედმიწევნითაა დაცული - ო ხმოვანი

კ-ს შემდგომ პოზოციაში გვამღევს ჭა კომპლექსს, ინტერვოკალურ პოზოციაში ი > გ.

**თავანი** "სხვენი" (ქეგლ, IV, 213), **თავანი** (გურ., იმერ., ქიზიყ., ზ.-აჭ., მესხ.) "არე ჭერსა და სახურავს შორის; სხვენი; ოდის თავი; სახლის ჭერი" (დლონტი, 1984, 238), **თავანი** (ლაზ.) "სხვენი" (ჯიქია, 1975, 68) - **ა-თჷან** "ჭერი" (ჯანაშია, 1954, 127), **ა-თჷან** > ზზ. **ა-თონ** (ბლაჟბა, 1964, 96). ხ. ბლაჟბა მიიჩნევს, რომ აფხაზური ფორმა ქართულიდანაა ნასესხები (იქვე). ქართველური მასალის შეპირისპირება აფხაზურ ფორმასთან გვამღევს საშუალებას, არ დავეთანხმოდთ ა. შაგიროვის მოსაზრებას, რომელიც ვარაუდობს, რომ სიტყვა ორივე ენაში თურქულიდანაა შეთვისებული (შაგიროვი, 1989, 108). შესაძლოა, საპირისპირო მოვლენასთან გვეკონდეს საქმე და თურქული **tavan** "ჭერი" (მაგაზანიკი, 1945, 592) ქართულიდან იყოს ნასესხები.

#### **ლიტერატურა:**

1. აბაევი, 1958 - В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка. Т. 1. Москва-Ленинград
2. ბჟანია, 1962 - Ц. Н. Бжания, Из истории хозяйства абхазов. Этнографические очерки. Сухуми
3. ბუკია, 2006 - მ. ბუკია, კვლავ ქართველურ-აფხაზური ლექსიკური შეხვედრების შესახებ, წელიწადული II, თბილისი
4. ბუკია, 2010 - მ. ბუკია, ქართველური ლექსიკა ვ. კასლანძიას "აფხაზურ-რუსულ ლექსიკონში", არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის 69-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი
5. ბლაჟბა, 1964 - Х. С. Бгажба, Бзынский диалект абхазского языка, Тбилиси
6. გვანცელაძე, 1998 - თ. გვანცელაძე, აფხაზურ საცხოვრებელთა არქიტექტურული ტიპები და მათი სახელწოდებანი, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის 57-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი
7. 8. გულია, 2004 - დ. გულია, ქართულ-მეგრულ-აფხაზური ლექსიკონი, "მახარია", 2004, # 1, თბილისი
9. თოფურია, 2000 - ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი

10. კასლანძია, 2005 - В. А. Касландзия, Абхазско- русский словарь, т. I, Сухуми
11. კასლანძია, 2005-ა - В. А. Касландзия, Абхазско- русский словарь, т. II, Сухумი
12. კლიმოვი, 1986 - Г. А. Климов, Введение в кавказское языкознание, Москва
13. ლომთათიძე, 1976 - ქ. ლომთათიძე, აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, I, ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები, თბილისი
14. მაგაზანიკი, 1945 - Д. А. Магазаник. Турецко-русский словарь. Москва
15. მაკალათია, 1978 - მ. მაკალათია, მეცხოველეობა ზემო იმერეთში, მასალები იმერეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბილისი
16. მარი, 1910 - Н. Я. Марр. Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматиею и словарем. С.-Пб.
17. მაჭავარიანი, 1966 - გ. მაჭავარიანი, სუბსტრატის საკითხისათვის დასავლურ-ქართველურ (ზანურ-სვანურ) ენობრივ არეალში, იკე, XV, თბილისი
18. რალ, 1964 - Русско-абхазский словарь, гл. ред. Х. С. Бгажба, Сухуми
19. საბა, 1993 - სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, თბილისი
20. ქაჯაია, 2001 - ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბილისი
21. ქაჯაია, 2002 - ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბილისი
22. ქეგლ - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი, 1955-1964
23. ლლონტი, 1984 - ალ. ლლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი
24. შაგიროვი, 1989 - А. К. Шагиров, Заимствованная лексика абхазско-адыгских языков. Москва
25. შყერილი, 1987 - К. С. Шакрыл, В. Х. Конджария, Л. П. Чкадуа, фловарь абхазского языка, т. II, Сухуми



26. ყოფშიძე, 1914 - И. А. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем. С.-ПБ
27. ძიძარია, 1989 - О. П. Дзидзария, Морская лексика в абхазском языке, Сухуми
28. ჭარაია, 1997 - ვ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი
29. ჭარაია, 1912 - П. Чарая, Об отношении абхазского языка к яфетическим, МЯЯ, IV, С.-Пб
30. ჯავახიშვილი, 1976 - მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის. ი. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით. ტ. 1, აღმშენებლობა და ავეჯი, თბილისი
31. ჯანაშია, 1954 - ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი
32. ჯიქია, 1975 - ს. ჯიქია, თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობიდან. 4. თურქული ლექსიკური ელემენტებისათვის ლაზურში. თსუ შრომები. ენათმეცნიერება. ტ. 164. თბილისი

**FROM THE HISTORY OF KARTVELIAN-ABKHAZIAN  
LINGVO-CULTURAL RELATIONS III VOCABULARY OF  
BUILDING - CONSTRUCTION**

**Manana Bukia, Arnold Chikobava Institute of Linguistics**

**RESUME**

The article discusses vocabulary denoting structures-buildings in Kartvelian and Abkhaz languages. Word borrowing exists from both directions, but the prevailing is the words possessed from Kartvelian to Abkhazian, especially vocabulary words for the elements of wooden houses (indicating the later cultural period). Significant place in both languages occupy lexical units possessed from foreign (oriental) languages.

**გიორგი გოგოლაშვილი**  
არნ. ჩიქობავას სახელობის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

**ნასახელარ ზმნათა ფუძის საკითხისათვის**  
(საკითხის დასმის წესი)

სახელური ფუძეები ზმნურ ფორმებში ძირითადად ფონეტიკურად სახეშეცვლილად არის წარმოდგენილი: კუმშვადი ფუძე - შეკუმშულია, კვეცადი - შეკვეცილი:

ხანჯალ-ი - ხანჯლ-ის - ხანჯლ-ავ-ს,  
მამალ-ი - მამლ-ის - მამლ-ავს,  
ვახშამ-ი - ვახშმ-ის - ვახშმ-ობ-ს  
სამხარ-ი - სამხრ-ის - სამხრ-ობ-ს,  
ზამთარ-ი - ზამთრ-ის - და-ზამთრ-და;  
მამა - მამ-ის - მამ-ობ-ს,  
ძმა - ძმ-ის - ე-ძმ-ო;

სახე - სახ-ის - სახ-ავს და სხვა.

ცხადია, უკუმშველი და უკუვეციელი ფუძეები ზმნურ ფორმებში უცვლელადაა წარმოდგენილი:

სახლ-ი - სახლ-ის - სახლ-ობს  
დრო - დრო-ს(ი) (დრო-ის) - ა-დრო-ვ-ებ-ს

ამჯერად ჩვენი მსჯელობის საგანი პირველი რიგის სიტყვებია - ფუძეკუმშვადები და ფუძეკვეცადები. მსჯელობას განვაგრძობთ თანხმოდანზე დაბოლოებულ კუმშვად ფუძეთა შესახებ.

ზმნურ ფორმებში ფუძისეული ხმოვნის დაკარგვის მიზეზად ზმნური სუფიქსები მიიჩნევა:

ხანჯლ-ავ-ს  
ხანჯლ-ავ-და  
ხანჯლ-ავ-დეს  
და-ხანჯლ-ა  
და-ხანჯლ-ო-ს  
დაუ-ხანჯლ-ავ-ს (დაუ-ხანჯლ-ია)  
დაე-ხანჯლ-ა  
დაე-ხანჯლ-ო-ს

მხოლოდ დონიანი ვნებითების I-II სერიის ფორმებში არ მოსდევს სახელურ ფუძეს ხმოვანი (მარცვლოვანი სუფიქსი); დ-ს მომდევნო ხმოვანპრეფიქსი კი ფუძისეული ხმოვნის რედუქციას ვერ მოახდენს:

და-დედლ-დ-ებ-ა

და-დედლ-დ-ა... ამ შემთხვევაში ხმოვნის რედუქციის მიზეზად დ სუფიქსის ამოსავალი სავარაუდო სახე (-ედ) მიიჩნევა. ანუ : ზმნურ ფორმებში სახელური ფუძისეული ხმოვნის დაკარგვა ყველა შემთხვევაში მოქმედ ფონეტიკურ პროცესად გაიაზრება, ისევე როგორც ბრუნების პარადიგმებში:

ხანჯლ-ის

ხანჯლ-ით

ხანჯლ-ად...

ხანჯლ-ებ-ი...

აქ თითქოს სადავო არაფერია, მაგრამ სირთულეს ქმნის ოდენპრეფიქსიანი წარმოების მიმცეობები:

ნა-ხანჯლ-ი,

ნა-მამლ-ი,

ნა-ვახშმ-ი,

ნა-სამხრ-ი,

ნა-ზამთრ-ი და სხვა.

ფუძე შეკუმშულია. რა არის მიზეზი ფუძის კუმშვისას ჩვეულებრივ განმარტავენ, რომ მიმღეობა მზამზარეულ ფუძეს იცებს ზმნური ფორმიდან; კუმშვა ზმნურ ფორმაში მოხდაო.

ჩვენ საკითხს ასე ვსვამთ: თუ ფუძის კუმშვა (ფუძისეული ხმოვნის რედუქცია) მოქმედი ფონეტიკური პროცესია, სარედუქციო ფონეტიკური გარემოს მოშლის შემთხვევაში ფუძე სრული სახით უნდა წარმოგვიდგეს; ასეა ეს მოქმედი ფონეტიკური პროცესის ყველა შემთხვევაში:

მაგალითისათვის - ზმნისწინისეული ხმოვანი, რომელიც ასიმილაციას განიცდის მომდევნო ხმოვნის გავლენით, ამ პირობის არქონის ყველა შემთხვევაში თავდაპირველი სახითაა წარმოდგენილი:

წე-ვედი, წე-ვიდა მაგრამ

წა-სვლა, წა-ხვედი (პროცესს აბრკოლებს ხ- თანხმოვანი) და მისთანანი...

ნა-ხანჯლ-ი, ნა-მამლ-ი, ნა-ვახშმ-ი, ნა-სამხრ-ი, ნა-ზამთრ-ი ტიპის ფორმათა შემთხვევაში ფუძე არ უნდა იყოს შეკუმშული, თუ ეს მოქმედი ფონეტიკური პროცესია.

ქართველურ ენებში ხმოვანთა რედუქციის წესების გათვალისწინებით (კერძოდ სვანურის მაგალითებით) შეიძლება ფუძისეული ხმოვნის დაკარგვა ოდენ პრეფიქსულ წარმოებაში პრეფიქსის გავლენისათვის მიგვეწერა, მაგრამ აქ ერთი პრობლემაა: სვანურში ორმარცვლიან სიტყვაში პრეფიქსი გავლენას ახდენს უახლოესი მარცვლის ხმოვანზე (ფამამ ლაშხ. ფამმ-ა, ზს. ლ<sup>ა</sup>-ფმამ „ღონე, ღონიერი“ - ვ. თოფურია). ჩვენს შემთხვევაში იკარგება არამეზობელი მარცვლის ხმოვანი: ხანჯალ - ნა-ხანჯლ-ი... ისტორიულად ქართულში ისეთი მაგალითების არსებობა, როგორცაა ნა-სახტრ-ი / ნა-საყდრ-ი (ტოპონიმებია) ოდინდელი დინამიკური მახვილის გავლენის შედეგად შეიძლება მიჩნეულიყო (პრეფიქსის დართვა გამოიწვევდა მახვილის გადაადგილებას; მახვილის მომდევნო პოზიციაში უმახვილოდ დარჩენილი ხმოვანი იკარგება: საყდარ ნა-საყდარ ნა-საყდრ... ამგვარი ვარაუდის დაშვების საფუძველი არსებობს: მაგ., ხუნძურ ენაში მახვილს მიიღებს მხოლოდ თავიდან მეორე მარცვლის ხმოვანი...)... მაგრამ ეს ყოველივე ვარაუდია, რომელსაც შეიძლება გამართლება ჰქონოდა ისტორიულად. თანამედროვე ქართულისათვის ამ ვარაუდის მოშველიება მოვლენას ვერ ახსნის. ნა-ხანჯლ-ი ტიპის ფორმებში ფუძისეული ხმოვნის დაკარგვა ფონეტიკურად ვერ აიხსნება.

რჩება ერთადერთი დაშვება: ენაში რეალურად არსებობს ფუძის ორი ვარიანტი: ხ ა ნ ჯ ა ლ / ხ ა ნ ჯ ლ, მ ა მ ა ლ / მ ა მ ლ... (თვალსაზრისისათვის საგულისხმო მაგალითად გვეჩვენება დიალექტში დადასტურებული ფორმა მამლ-ი - „მამლი მუხასაო“... თუმცა ეს ერთი მაგალითია...). ზმნის სისტემაში შეკუმშული ვარიანტი გამოიყენება (სხვაგვარად: ზმნა მზამზარეულ რედუცირებულ ვარიანტს იღებს ფორმაწარმოებისათვის); სახელის სისტემაში ორივე ვარიანტი გვხვდება; განაწილება ხდება იმისდამიხედვით, თუ რა ტიპის სუფიქსებთან არის ფუძე შეუღლებული: V<sub>ჩ</sub> ტიპის სუფიქსებთან (ან კონფიქსურ წარმოებაში ჩV - V ტიპის შემთხვევაში) შეკუმშული ფუძე გამოიყენება (ხანჯლ-ის, სა-ხანჯლ-ე...), სხვა შემთხვევაში - შეუკუმშავი ფუძე ხანჯალ-ი, ხანჯალ-მა, ხანჯალ-ს...

საკითხი ამგვარადვე შეიძლება დაისვას ხმოვანზე დამთავრებულ ფუძეთა შემთხვევაშიც: გვაქვს ორი ვარიანტი ფუძისა **მამა / მამ, ძმა / ძმ, მწვანე / მწვან, მწარე / მწარ...** ზმნის სისტემაში გამოიყენება არასრული ვარიანტი (**მამ-ობ-ს, ე-ძმ-ო, ა-მწვან-დ-ა, გა-მწარ-დ-ა...**), ხოლო სახელის სისტემაში - ორივე: **მამა-მ მაგრამ მამ-ის, ძმა-მ მაგრამ ძმ-ის...** ამ შემთხვევაშიც სახელის სისტემაში ფუძეთა განაწილებას ისეთივე საფუძველი აქვს, როგორც თანხმოვანფუძიან სახელებთან.

შ ე ვ ნ ი მ ნ ა ვ თ: ამგვარ დაშვებას მხარს ისიც დაუჭერს, რომ ისტორიულად შესაძლებლობის შემთხვევაში ერთი და იმავე სიტყვის სახელური და ზმნური ფუძეები გახმოვანებით განსხვავდებოდა: ქარ/ქერ (ქარ-ი და გავ-ქერ), გან/გენ (გან-ი და მივა-გენ), უბან/უბენ (უბან-ი და ვე-უბენ) და სხვა...

## **FOR THE PROBLEM OF THE ROOT OF VERBAL NOUNS**

(By the rule of setting a problem)

**Giorgi Gogolashvili**, Arnold Chikobava Institute of Linguistics

### **RESUME**

Taking into consideration the forms of participle with “**Na-**” prefix gives us the basis for the version that the reduction of root vowel does not occur in the verb forms; the two types of a root-full and reduced really exist in the language. The non-complete type is used in the verb system and both types are used in the noun system.

**ზურაბ ვახანია**  
დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი

**რიტორიკული ნაწილაკები ქართულ ენაში**

ნაწილაკი - მორფემა ან დამხმარე, არასრულმნიშვნელობიანი სიტყვა, რომელიც დაერთვის ან ახლავს ცალკეულ სიტყვას ან მთელ წინადადებას, რათა მნიშვნელობის განსხვავებული ელფერი, აზრობრივი ელფერი ან მოდალური ელფერი შესძინოს მას; ამასთან, არ ცვლის ძირითად მნიშვნელობას; თუმცა შეიძლება საპირისპიროზეც კი შეცვალოს აზრი (მაგ. **არ** ნაწილაკმა) მაგრამ ამით ძირითადი მნიშვნელობა არ იცვლება - იცვლება მხოლოდ "ლოგიკური მოდალობა".

რამდენიმე ნაწილაკი ტრადიციულად გაერთიანებული იყო კითხვითი ნაწილაკების ჯგუფში: **განა, ნუთუ, აკი, ხომ, თუ, რა** [2][3][5]. ოღონდ სიტყვას **თუ** რამდენიმე მნიშვნელობა აქვს, მათ შორის მთავარია კავშირისა; მხოლოდ ორი მნიშვნელობითაა იგი ნაწილაკი [იხ. ქვემოთ].

სიტყვა **რა** წარმოშობით კითხვითი ნაცვალსახელია. მაგრამ მოხდა ამ სრულმნიშვნელობიანი სიტყვის დესემანტიზაცია და მისგან წარმოიქმნა ნაწილაკი, რომელსაც აგრეთვე რამდენიმე მნიშვნელობა აქვს [იხ. ქვემოთ].

ჩვენი აზრით, ეს ნაწილაკები, არსებითად, არაა კითხვითი, რადგან ისინი იხმარება არა ნამდვილ ანუ მიმართვით შეკითხვაში, არამედ მხოლოდ რიტორიკულ შეკითხვაში - რომელიც მხოლოდ ფორმითაა კითხვითი წინადადება, არსებითად კი არ მოითხოვს პასუხს; წინადადება ყალიბდება არა იმისათვის, რომ მთქმელი პასუხს მოეღოს, არამედ იმისათვის, რათა მთქმელმა საკუთარი აზრი უფრო გამომსახველად ჩამოაყალიბოს; ასეთი წინადადება პასუხს თავისთავშივე გულისხმობს. მაგ.:

- 1) **"ნუთუ სმასა და ჭამაზე ჰკიდია მხოლოდ ქვეყანა?!"** [ვაჟა].
- 2) **"განა კაცი ეჩო არის, სულ თავისკენ მიითლიდეს?!"** განა რა ჩავიდინე ისეთი?! [1].

- 3) "ხომ ლამაზია ეს საქართველო..." [ლ. ასათიანი].
- 4) "აკი მზეთუნახავიაო?!" [ილია] (აკი ზოგჯერ სინონიმია ხომ ნაწილაკისა: აკი გითხარი \ ხომ გითხარი [1]).
- 5) "დავუშტვენ რა, ბულბული ხომ არა ვარ?!" [ილია]. დაწვერო რა, მწერალი ვარ?! გაგიკეთოს რა, შენი მსახურია?!
- 6) არ ეტყობა თუ?! რომ დაგპირდა, გაგიკეთა თუ?!

ამიტომ ჩვენ ამ ნაწილაკებისთვის უფრო შესაფერისად მიგვაჩნია ტერმინი "რიტორიკულ-კითხვითი ნაწილაკი". ესაა ისეთი ნაწილაკი, რომელიც ფორმით კითხვითია, მაგრამ ძირითადად მხოლოდ რიტორიკულ შეკითხვებში იხმარება. იგი ნაწილაკია - მისი მოცილებით წინადადების ძირითადი შინაარსი არ იცვლება, არც იცვლება არც წინადადების სინტაქსური აგებულება, იკარგება მხოლოდ ერთგვარი ექსპრესიული აზრობრივ-მოდალური მახვილი.

რიტორიკული - ოღონდ არა რიტორიკულ-კითხვითი - ნაწილაკები ქართულ ენაში სხვებიცაა.

- 7) **ორი საათის სავალი თუ იქნება.** - შდრ.: **ორი საათის სავალი იქნება.**

**დედის ხათრით თუ გააკეთებს ამას.** - შდრ.: **დედის ხათრით გააკეთებს ამას.**

II წინადადებები ჩვეულებრივი მტკიცებითი შინაარსის წინადადებებია, ხოლო I წინადადებები გვიჩვენებს **თუ** ნაწილაკის კიდევ ერთ მნიშვნელობას - დაეჭვებას, უსათუო მტკიცების უარყოფას, მაგრამ თან შესაძლებლობის დატოვებას. ორი საათის სავალი თუ იქნება - შესაძლოა, იყოს ორი საათის სავალი, შესაძლოა, ნაკლებიც იყოს (მაგრამ არა მეტი); დედის ხათრით თუ გააკეთებს ამას - ესე იგი, შესაძლოა, სულ არ გააკეთოს, მაგრამ თუკი გააკეთა, ეს დედის ხათრით იქნება; არაა გამორიცხული, რომ გააკეთოს, თუმცა ეს არც დანამდვილებითია (მთქმელის აზრით).

- 8) **რა დესემანტიზებული კითხვითი ნაცვალსახელია.** ახალ ქართულში ძალიან ხშირად იხმარება რიტორიკულ ნაწილაკად [ზემორე მაგალითები]. არანაკლებ ხშირად იხმარება პარაზიტულ ჩანართადაც ჩვეულებრივ თხრობით წინადადებებშიც, მაგ.:

**სკოლაში მივედი, რა. მითხრეს, გამოცდა უნდა ჩააბარო, რა. გამოცდისთვის მზად ვიყავი, რა. და ეგრევე ჩავაბარე, რა...**

მაგრამ ამ პარაზიტულ ჩანართსაც აშკარა რიტორიკული ელფერი აქვს. კუთხურ მეტყველებაში მას ზოგჯერ ენაცვლება დესემანტიზებული, ნაწილაკად ქცეული რაღა, მაგ.:

**შენც კაცი ხარ, რა! \ შენც კაცი ხარ, რაღა!**

9) ჩვეულებრივ უკუთქმით და უარყოფით ნაწილაკებსაც აქვს რიტორიკული ნაწილაკის დამატებითი მნიშვნელობა, მაგ.:

**ვერ დამეხმარებით? (თხოვნის მოდალობით!) = ხომ**

**ვერ დამეხმარებით?**

**არ მეტყვით? = ხომ არ მეტყვით? ღვინოს ხომ არ დალევ? გაჩუქო, არა?**

ეს რომ მართლაც რიტორიკული - და არა ჩვეულებრივი უკუთქმითი - მნიშვნელობაა, ცხადია შედარებიდან: **გაჩუქო, არა? \ გაჩუქო, ხომ? \ გაჩუქო, ჰო?** წინადადებაში არა იცვლება საპირისპირო დადასტურებითი ნაწილაკით, მაგრამ ამით წინადადების სემანტიკური შინაარსი თითქმის არ იცვლება. შეიძლება ამ ნაწილაკების სულ მოცილება: **გაჩუქო?** წინადადების ძირითადი შინაარსი არც ამით იცვლება, იკარგება მხოლოდ ერთგვარი ექსპრესიული აზრობრივ-გრძნობითი მახვილი და თავისებური მოდალური ელფერი - ერთგვარი ნიშნისმოგებისა, ირონიისა, ან, პირიქით, დადასტურება-დაზუსტებისა. ეს კი მხოლოდ კონტექსტიდან და ინტონაციიდან ირკვევა: - **გაჩუქო, ჰო?** - თუკი **ჰო** წარმოითქმის მოკლედ, იგი დაზუსტებითია, ხოლო თუკი გრძლად და ტონირებით, მაშინ ირონიულ-ნიშნისმოგებითია.

ა. შანიძის თანახმად: **ნუთუ ← ნუ+თუ, განა ← გან, ავი ← არ+ვი** [2]. ჩვენი აზრით, ასევე შეეზარდა ერთმანეთს კიდევ ორი ნაწილაკი და მივიღეთ ახალი რიტორიკული ნაწილაკები: **ხომ+არ ← ხომარ; ხომ+ვერ ← ხომვერ**. ზეპირმეტყველებამ დიდი ხანია, რაც ისინი ერთ სიტყვად შერწყა და მათი ცალ-ცალკე წერის მოთხოვნა ისეთივე ხელოვნური წესია, როგორც იქნებოდა, ცალ-ცალკე რომ გვეწერა: **თუ კი** (ზოგი შეცდომით მართლაც ასე წერს!), **არ კი, ნუ თუ** და მისთ. მაშასადამე:

10) **ხილს ხომვერ გადმომაწოდებდით? ღვინოს ხომარ დალევ? ხომარ მოსულა?**

”ქეგლ“-ის თანახმად [1], უარყოფითი სიტყვის წინ მდგარი **ხომ** ნაწილაკი დაეჭვებას გამოხატავს, მაგ. **”სინჯავდა საკლავებს,**



სიმსუქნე ხომ არ აკლიათო” [აკაკი]. მაგრამ დაეჭვება მხოლოდ ამგვარ კონტექსტებშია, რადგან მთავარი წინადადების ზმნაა **სინჯავდა**, გასინჯვა კი სწორედ დაეჭვებისას ხდება. ზოგადად კი დაეჭვება არაა არსებითი. მაგ.: **სტუმრებს ეკითხებოდა, ხომარ გცივათო**. ხოლო პირველი წინადადების სრული შინაარსი ასეთია: **”სინჯავდა საკლავებს (იმ ეჭვის გამო, რომ), სიმსუქნე ხომ არ აკლიათო”**. თავისთავად მთავარ წინადადებად **”სიმსუქნე ხომარ აკლიათ?”** რომ ყოფილიყო, მაშინ ეს იქნებოდა რიტორიკული წყობის წინადადება, რომლის ძირითადი ლოგიკური შინაარსი იგივეა, რაც წინადადებისა **”სიმსუქნე აკლიათ?”** ან **”აკლიათ სიმსუქნე?”** ხოლო კითხვით მოდალობას ერთგვარი **”ეჭვი”** ყოველთვის ახლავს, უამისოდ შეკითხვა არც დაისმებოდა.

**ხომ** ნაწილაკი მსგავსი მნიშვნელობითა და დანიშნულებით იხმარება სხვა უარყოფითი სიტყვების წინაც - შევადაროთ ერთმანეთს წინადადებები:

**ხომ არავინ წასულა? \ არავინ წასულა? ხომ არსად წვეთავს? \ არსად წვეთავს?**

**ხომ ვერავინ გაიგო? \ ვერავინ გაიგო?**

წყვილის I და II წინადადების ფორმალური ლოგიკური შინაარსი ერთიდაიგივეა, მაგრამ განსხვავებულია რიტორიკულ-ფსიქოლოგიური მოდალობა: I წინადადება გულისხმობს, რომ მთქმელს არ სურს ის, რაზეც შეკითხვას სვამს, ხოლო II - რომ მთქმელს სურს.

მსგავსი მოდალური განსხვავებაა: **ღვინოს ხომარ დალევ? \ ღვინოს ხომ დალევ?** I წინადადება უფრო კითხვითია, ხოლო II - უფრო თხოვნით-მოთხოვნითი.

ყოველი რიტორიკული ნაწილაკი მოდალურია, რადგან მთქმელის პირად დამოკიდებულებას გამოხატავს. მაგრამ არა პირიქით - მრავალი მოდალური ნაწილაკი (მაგ.: **უთუოდ, ალბათ...**) არაა რიტორიკული, რადგან ისინი სათქმელს პირდაპირ გამოხატავს და წინადადებას არც შეკითხვა-მიმართვის ფორმას ანიჭებს. მაშასადამე, მოდალურ ნაწილაკებსა და რიტორიკულ ნაწილაკებს შორის ყოფილა ზოგადკერძობის მიმართება: რიტორიკული ნაწილაკი მოდალურის ერთერთი სახეობაა.

ახლა შევადაროთ ერთმანეთს წინადადებები:

(1) **ხომ გითხარი!** \ (2) **ხო გითხარი!** \ (3) **აკი გითხარი!** \

(4) გითხარი, ხომ?!

\ (5) გითხარი, არა?! \ (6) განა გითხარი?! \ (7) ნუთუ გითხარი?!

ყველა რიტორიკულია, ანუ თავისთავად გულისხმობს თავისივე პასუხს. ამის გამო ბუნებრივია, რომ ამგვარი კითხვითი ფორმის წინადადებები, როგორც წესი, სინტაქსურად კითხვა-მახილის მოდალობისაა.

ამასთან, (1)-(5) დადებით პასუხს გულისხმობს, ხოლო (6)-(7) - უარყოფითს. მაშასადამე, რიტორიკულ ნაწილაკებს განსხვავებული ნიშანი, + ან - ჰქონია. თანაც მათი სიდიდეც განსხვავებულია - იმის შესაბამისად, თუ რამდენად კატეგორიულია (ან, პირიქით, მერყევია) მთქმელის პირადი დამოკიდებულება. გამოვიკვლიოთ ეს საკითხი უფრო დაწვრილებით.

**განა** და **ნუთუ** ნაწილაკები მიახლოებითი სინონიმებია, ყველა კონტექსტში ენაცვლება ერთმანეთს. მაგრამ ამით შინაარსის ელფერი მცირედ მაინც იცვლება:

I. **ნუთუ** სმასა და ჭამაზე ჰკიდია მხოლოდ ქვეყანა?!

II. **განა** სმასა და ჭამაზე ჰკიდია მხოლოდ ქვეყანა?!

**ნუთუ**-ს წინადადებაში შეაქვს გაკვირვების, დაეჭვების, უკმაყოფილების, უარყოფის ელფერი. **განა**-ს წინადადებაში შეაქვს უკმაყოფილების, უარყოფის ელფერი, მაგრამ არა დაეჭვებისა. **განა**-ს თქმისას მთქმელი თითქმის დარწმუნებულია უარყოფით პასუხში და ამიტომ შეკითხვა თითქმის სრულიად რიტორიკულია. ოღონდ ზოგჯერ **განა** ნაწილაკს ახლავს უკუთქმითი ნაწილაკი, მაშინ კი პასუხი, პირიქით - დადებითია, მაგ.:

**განა მე დავანგრეე?! (პასუხია "არა"); განა მე არ**

**დავანგრეე?! (პასუხია "კი").**

მაშასადამე, **არ** ნაწილაკის გარეშე **განა** ახლოსაა ნაწილაკთან **როდი**, მაგ.: **მე როდი დავანგრეე!**

**როდი** წარმოშობილია დესემანტიზებული კითხვითი ზმნიზედისგან **როდის**, ამჟამად გამოიყენება უკუთქმითი ნაწილაკის მნიშვნელობით [2]: **"მე ბევრისთვის მითქომს, რომ ტყუილია და როდი მიჯერებენ"** [ილია]. მაგრამ **როდი** მაინც ძალიან ახლოსაა კითხვით სიტყვასთან - შდრ.:

**მე როდი მიჯერებენ! \ მე როდის მიჯერებენ?!**

(სადაც **როდის** არის არა დროის გარემოება, არამედ იგივე, რაც **როდი**). ამიტომ ცხადია, რომ **როდი** - აგრეთვე რიტორიკული ნაწილაკია.

სხვათა შორის, ასეთივე დესემანტიზაცია და რიტორიკულ ნაწილაკად ქცევა სხვა კითხვით ზმნიზედებსაც ახასიათებს, მაგ.: **სად გაგონილა! სადა აქვს ამდენი ფული! შვილი რატომ (რისთვის) გამინაწყენა!** = *არ უნდა გაენაწყენებინა!*

ნუთუ-ს თქმისას მთქმელი მაინც ტოვებს დაეჭვების შესაძლებლობას, მაგ.:

**საქართველო ნუთუ მთლად დაცემულია?!**

*(მთქმელი არაა დარწმუნებული უარყოფით პასუხში)*

**საქართველო განა მთლად დაცემულია?! \ საქართველო მთლად დაცემული როდია!**

*(მთქმელი უარყოფით პასუხს გულისხმობს, რომელშიც თითქმის დარწმუნებულია)*

**საქართველო არაა მთლად დაცემული!** *(მთქმელი უარყოფით პასუხში დარწმუნებულია)*

**საქართველო არავითარ შემთხვევაში არაა მთლად დაცემული!**

*(მთქმელი უარყოფით პასუხში კატეგორიულადაა დარწმუნებული).*

მაშასადამე, განხილული ნაწილაკები ერთ სკალაზე ლაგდება, საფეხურებად:

**არა - როდი - განა - ნუთუ**

სადაც ყოველი მომდევნო უფრო ნაკლებ კატეგორიულია, ვიდრე მისი წინა.

ამათგან განსხვავებით, ნაწილაკები **ხომ** და **აკი** გულისხმობს დადებით პასუხს, დადასტურებას - შდრ.: **სახლი განა (ნუთუ) დაინგრა?! \ სახლი ხომ (აკი) დაინგრა?!**

უარყოფითი დადებითით შეიცვალა.

თუმცა თუკი მათ ახლავს უკუთქმითი ნაწილაკი, მაშინ, პირიქით - უარყოფით პასუხს მოითხოვს:

**ხომ დაწერ?! (პასუხია "კი") \ ხომ არ დაწერ?!**  
*(პასუხია "არა").*

**ხომ** რიტორიკულ ნაწილაკს დაეჭვების ელფერიც აქვს, აკი რიტორიკულ ნაწილაკს - არა. აკი ახლოსაა **ხომ** ნაწილაკთან, მაგრამ, მისგან განსხვავებით, დაერთვის არა რიტორიკულ

შეკითხვას, არამედ რიტორიკულ მიმართვას. წინადადებაში შეაქვს საყვედურის, გაკვირვების ან დადასტურების ელფერი ნიშნისმოგებასთან ერთად:

**აკი დაწერე! \ ხომ დაწერე?!**

**აკი გეუბნებოდი, ნუ წახვალ-მეთქი! \ ხომ გეუბნებოდი, ნუ წახვალ-მეთქი!?**

ესე იგი, **ხომ** ნაკლებ კატეგორიულია, ვიდრე **აკი**. მაგრამ მთლად კატეგორიული არც **აკი** რიტორიკული ნაწილაკია. უყოყმანო მტკიცებისთვის ქართველურ ენებში საკვირველად უხვადაა მტკიცებითი ნაწილაკები [9], მაგ., ქართული **კი**: **კი გეუბნებოდი, ნუ წახვალ-მეთქი!** (კუთხური ქე / ქი / ქვე). ამიტომ მტკიცებითი (არა დადასტურებითი, არამედ სწორედ მტკიცებითი) ნაწილაკებიც, არსებითად, რიტორიკულებია, ვინაიდან განასიტყვებს არა ლოგიკურ დადასტურებას, არამედ დამატებით აზრობრივ-რიტორიკულ-მოდალურ ელფერს - გამლიერებულ მტკიცებითობას [9].

საბოლოოდ, განხილული ნაწილაკები სკალაზე ასე ლაგდება - კატეგორიულობის კლება-მატების თანმიმდევრობით:

	<i>უარყოფითი</i>				<i>დადებითი</i>		
<i>სკალა</i>	-4	-3	-2	-1	+1	+2	+4
<i>ნაწილაკი</i>	<b>(არ/ვერ)</b>	<b>როდი</b>	<b>განა</b>	<b>ნუთუ</b>	<b>ხომ</b>	<b>აკი</b>	<b>კი</b>

საინტერესოა, რომ რუსულშიც დაახლოებით ასევეა, ოღონდ რუსული ვერ განარჩევს **განანუთუ**-ს, ვერც **როდისარა**-ს, ვერც **აკიკი**-ს, ანუ რუსულში რიტორიკული ნაწილაკები უფრო მწირადაა, თანაც არ ჩანს კატეგორიულობის გრადაცია:

(я не говорил!) \ разве я говорил?! \ ведь я говорил! \ я то говорил!\  
я же говорил!

<i>სკალური ნიშანი</i>	<i>უარყოფითი</i>			<i>დადებითი</i>		
<i>ნაწილაკი</i>	<b>(не)</b>	<b>разве</b>		<b>ведь</b>	<b>то</b>	<b>же</b>

ჩვენი ადრინდელი გამოკვლევით, ქართულ ენაში გვაქვს უმლიერესი საშუალება აზრობრივი მახვილის დასასმელად -

სიტყვათრიგი, კერძოდ კი ესაა ზმნის წინა პოზიცია; უცხო ენებში ამის მსგავსი არაა [7:§2,3,6,8]. ასევეა რიტორიკული ნაწილაკების შემცველ წინადადებებშიც -

მდრ. მაგ.: I. ლია განა (ნუთუ) ღამით მოვიდა?! \ II. განა (ნუთუ) ღამით ლია მოვიდა?!

\ III. განა (ნუთუ) მოვიდა ღამით ლია?!

I. ლია აკი (ხომ) ღამით მოვიდა! \ II. აკი (ხომ) ლია მოვიდა ღამით?!

\ III. აკი (ხომ) მოვიდა ღამით!

I წინადადებაში აზრობრივი მახვილი დასმულია გარემოებაზე (ღამით), II-ში - სუბიექტზე (ღია), რადგან სწორედ ეს წევრებია ზმნის წინა პოზიციაში. ხოლო III-ში ზმნის წინ წინადადების არცერთი წევრი არაა, ამიტომ მახვილი თვით ზმნაზეა, ანუ მოქმედებაზე (მოვიდა).

აზრობრივ-რიტორიკულ-მოდალური მახვილის დასმა და ნაირფეროვან ელფერთა განრჩევა ნაწილაკის მიერ (ისევე როგორც ზმნის წინა პოზიციის მიერ) ქართული ენის ძალიან ფაქიზი თავისებურებაა. ამიტომ ქართული ენის ნაკლებადმცოდნე ადამიანებს ხშირად ეშლებათ სიტყვათრიგი. მაგ., საფრანგეთში გაზრდილმა ქართველმა ასე თქვა: "ხომ მე არ ვზივარ მის გულში?!" (უნდა ეთქვა: "მე ხომ მის გულში არ ვზივარ?!"); მექსიკაში გაზრდილმა ქართველმა - კი ასე: "ვაშლიც მე მინდა!" (უნდა ეთქვა: "ვაშლი მეც მინდა!" ან "მე ვაშლიც მინდა!").

## დასკვნები

რიტორიკული ნაწილაკი - მოდალური ნაწილაკის ერთერთი სახეობა: ვითარც ნაწილაკი, იგი არ ცვლის წინადადების ძირითად შინაარსს, მაგრამ თავისებურ რიტორიკულ-მოდალურ-აზრობრივ ელფერს ანიჭებს მას; თუკი ეს ნაწილაკი კითხვითია, იგი მხოლოდ რიტორიკულ შეკითხვაში იხმარება; თუკი მიმართვითია - მხოლოდ რიტორიკულ მიმართვაში; ანუ იგი არ მოითხოვს პასუხს, რადგან პასუხს (დადებითს ან უარყოფითს) თვითონვე გულისხმობს; ხოლო წინადადებას ექსპრესიულობის გასაძლიერებლად და მოდალური ელფერის დასაზუსტებლად ემატება.

ქართულ ენაში უხვადაა რიტორიკული ნაწილაკები.

მათგან მხოლოდ ზოგია კითხვითი ფორმისა, ზოგი კი მტკიცებითია (\* ნიშანი ნიშნავს, რომ ამ ნაწილაკის მხოლოდ დამატებითი და არა ძირითადი მნიშვნელობაა რიტორიკული):

სკალური ნიშანი	უარყოფითი	დადებითი
რიტორიკულ-კითხვითი	განა, ნუთუ, თუ*, რა*	ხომ, ხომარ / ხომვერ
მტკიცებითი	-----	კი (კუთხ. ქვე \ ქე \ ქი)
სხვა	როდის* / როდი, სად*...	აკი, თუ**, რა**, არა*, არ*/ვერ*, ხო*/ჰო*

უარყოფითი და დადებითი რიტორიკული ნაწილაკები (ძირითადები) გრადაციის ერთ სკალაზე ლაგდება - დაწყებული ყველაზე უარყოფითითა და დამთავრებული ყველაზე დადებითით, კატეგორიულობის კლება-მატების თანმიმდევრობით:

სკალა	-3	-2	-1	+1	+2	+4
ნაწილაკი	როდის* / როდი	განა	ნუთუ	ხომ	აკი	კი

სკალურობა ამ ნაწილაკების მნიშვნელოვანი მახასიათებელია.

ქართულ ენაში ასევე დიფერენცირებულია სემანტიკურ-კონოტაციურად **თითქოს, ვითომ, თითქმის, ლამის, კინაღამ** ნაწილაკები [6:§3].

ქართულ ენაში რიტორიკული ნაწილაკების სიუხვე და მათი სემანტიკური დიფერენცირებულობა (რაც უცხო ენებში ფრიად იშვიათია) ქართული ენის ძალიან მნიშვნელოვან თავისებურებას გვიჩვენებს - მიდრეკილებას ძლიერი რიტორიკული გამომსახველობისკენ. ამგვარი მიდრეკილება, განსხვავებით უცხო ენებისგან, აშკარად ეტყობა ქართული ენის სინტაქსსაც, კერძოდ - სიტყვათრიგს [7]. ზოგადად კი ეს, კონოტაციებისა [6:§5-6] და ბგერწერის გამორჩეულ სიუხვესთან ერთად [8:§7], ქართული ენის განსაკუთრებულად ძლიერ ექსპრესიულობას გვიჩვენებს.

### ლიტერატურა:

1. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII. თბ.-1950-1964.
2. აკ. შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, I. თბ.-1953.
3. ბ. ჯორბენაძე, მ. კობაძე, მ. ბერიძე. ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი. თბ.-1988.
4. ბ. ჯორბენაძე. ნაზმნარი მოდალური ელემენტები ქართულში. - "ქართული ენა და ლიტერატურა", ტ. 2, გამოცდების ერ. ცენტრი, თბ.-2009.
5. კ. გაბუნია. ნაწილაკი. - "ქართული ენა - ენციკლოპედია". თბ.-2008, გვ. 343-344.
6. ნ. ვახანია. კონოტაცია და მისი ეთნოფსიქოლოგიური მხარე. - საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე, 2007, # 1.
7. ზ. ვახანია. გამორჩევადობა და მისი ენობრივი გამოხატვა. - კრებ. "ფსიქოლოგია", ტ. XXI, თბ.-2009.
8. ზ. ვახანია, კ. გაბუნია, თ. მახარაძე... ქართული ფილოლოგია, ტ. 1. თბ.-2009.
9. ზ. ვახანია. მტკიცებით-გამამლიერებელი ნაწილაკები ქართველურ ენებში და მათი წარმომავლობა. - კრებ. "ეტიმოლოგიური ძიებანი" - იბეჭდება.

## **RHETORICAL PARTICLES IN GEORGIAN LANGUAGE**

**Zurab Vakhania, D. Uznadze Institute of Psychology**

### **RESUME**

Rhetorical Particle - such kind of particle, which doesn't change the main content of a sentence, but adds some rhetorical-modality-cognitive shade (nuance); it's removal doesn't affect not syntactical structure, nor main semantical content of the sentence. If this particle is interrogative, then it is used only in rhetorical question; if it contains address, then this is only rhetorical address. Thus, it doesn't need the answer, because means it's answer itself; it is added to the sentence for amplifying expressiveness and for specifying the modality shade.

There are a lot of rhetorical particles in the Georgian language. Some of them are interrogative, some of them - affirmative-amplifying, and some are of the different type. They also have the scale sign + or - . The main 6 rhetorical particles form a scale by gradation of flatness-rigidity:

most negative - less negative - slightly negative - slightly positive - more positive - categorically positive.

The abundance of rhetorical particles and their semantical differentiability in the Georgian language (what is rare in other languages and what is hard to translate) shows the especial tendency of the Georgian language towards intensive rhetorical and general expressiveness. The same tendency is obvious from our analysis of Georgian syntax, phonology and connotations.



## საერთო აფხაზურ-ადიღური ბილაბიალების რეფლექსი აფხაზურ-აბაზურ, უბიხურ და ჩერქეზულ ენებში

საერთო აფხაზურ-ადიღური კონსონანტური სისტემის რეკონსტრუქციისას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბილაბიალურ კონსონანტთა რეკონსტრუქციას. როგორც მოსალოდნელი იყო, ბილაბიალურ ხშულებსა და სონორებში ბგერათმესატყვისობები ძირითადად იდენტურია, თუმცა გვხვდება არაიდენტური ურთიერთმიმართებანიც. საერთო აფხაზურ-ადიღური ქრონოლოგიური დონისათვის ჩვენ აღვადგენთ \*ბ, \*ფ, \*პ, \*ფ, \*მ ფონემებს, რაც ემთხვევა ვ. ჩირიკბას მიერ რეკონსტრუირებულ ბილაბიალთა სისტემას (Chirikba 1996, გვ. 323-324), თუმცა არ ემთხვევა სტაროსტინ-ნიკოლაევის რეკონსტრუქციას (Старостин 2007, გვ. 44, Starostin-Nikolaev 1994 გვ. 219), სადაც იგი ჩვენ მიერ აღნიშნული ფონემების გვერდით აღადგენს პრერეპტიულ (არაასპირირებულ) ფ' ხშულს, პალატალიზებულ \*ბ~, \*ფ~, \*პ~, \*ფ~, ფარინგალიზებულ \*ბ, \*ფ, \*პ, \*ფ, \*მ, ლაბიალიზებულ \*ბ°, \*ფ°, \*პ° და ლაბიალიზებულ-პალატალიზებულ \*ბ~° თანხმონებს. აღსანიშნავია, რომ როგორც სტაროსტინის, ისე ჩირიკბას აღდგენილ ბილაბიალურ ფონემათა სისტემაში არის ყრუ ლაბიოდენტალური სპირანტი \*ფ. ზემოთ მოყვანილი ფონემის არტიკულაციის გათვალისწინებით მისი ბილაბიალურ ფონემათა რიგში განთავსება დაუშვებლად მიგვაჩნია (ახვლედიანი 1949, გვ. 82-83), რაც შეეხება მის ამოსავლობა-მეორეულობას, ეს ცალკე განხილვის საგანია. ზოგადად თუ გადავავლებთ თვალს სტაროსტინის რეკონსტრუირებულ ბილაბიალურ ხშულებს, დავინახავთ, რომ არცერთ მის მონოგრაფიასა თუ სამეცნიერო სტატიაში არ არის მითითებული ზოგი ფონემის რეკონსტრუირების გზა, ხოლო დანარჩენ ფონემათა რეკონსტრუქცია უნიკალურ შემთხვევებზეა დაყრდნობილი. განსაკუთრებული კრიტიკის საგანია

„ლაბიალიზებულ-პალატალიზებული“ ბილაბიალური ხშული, რომელიც არ დასტურდება არცერთ ცოცხალ იბერიულ-კავკასიურ ენაში და მისი წარმოთქმა ფონეტიკური კანონების მიხედვით შეუძლებელია. არც ფარინგალიზებული ბილაბიალების აღდგენა ემყარება კომპარატივისტიკის მკაცრ მეთოდებს, თუნცად იმიტომ, რომ არცერთი ფარინგალიზებული ბილაბიალური ფონემა უბიხურ ენაში არ გვაძლევს აფხაზურსა და ჩერქეზულ ენებში არაფარინგალიზებული ბილაბიალებისაგან განსხვავებულ შესატყვისობას. საერთოდ, ბილაბიალთა ფარინგალიზაციის პროცესი კი უბიხური ენის წიაღში წარმოქმნის ინოვაციად მიგვაჩნია. გარდა ამისა, ჩვენ არ ვემხრობით პრერუპტიულ ხშულთა და მითუმეტეს მათ ფარინგალიზებულ, პალატალიზებულ და ლაბიალიზებულ ნაირსახეობათა აღდგენას. პრერუპტივების არავითარი კვალი არ არის აფხაზურ-აბაზურ და უბიხურ ენაში (Кумаров 1981 გვ. 121-129), თვით პრერუპტივთა ამოსავლობის მომხრე ვ. შენგელიაც კი პრერუპტივებს მხოლოდ საერთოჩერქეზულ და არა საერთოაფხაზურ-ადილურ დონეზე აღადგენს (შენგელია, 2006). ლაბიალიზებული და პალატალიზებული ბილაბიალური ხშულების აღდგენა კი არადამაჯერებლად მიგვაჩნია შესაბამისი მასალის არარსებობის გამო. საერთო ჯამში ბილაბიალურ ხშულთა რეკონსტრუქციათა შემდეგი მოდელების წარდგენა შეგვიძლია:

სტაროსტინი - ნიკოლაევი: \*ბ \*ფ \*პ \*ფ \*ჭ \*მ \*უ \*ბ \*ფ \*პ \*ფ \*მ (ფარინგალიზებული) \*ბ” \*ფ” \*პ” \*ფ” (პალატალიზებული) \*ბ~ \*ფ~ \*პ~ \*ფ~ (ლაბიალიზებული) \*ბ<sup>o</sup> (პალატალიზებულ-ლაბიალიზებული)

ჩირიკბა : \*ბ \*ფ \*პ \*ჭ \*მ \*უ

ჩვენ: \*ბ \*ფ \*პ \*მ \*უ

განვიხილოთ თითოეული ბილაბიალური ფონემის რეფლექსები აფხაზურ-ადილურ ენებში:

#### იდენტური შესატყვისობანი

ს.აფხ-ადილ. \*ბ აფხ-აბაზ. \*ბ უბიც. ბპ ჩერქ. \*ბ

(1) აფხ. ბჟბა („შვიდი“), აბაზ. ბეჟბა (ID), უბიც. ბლ’გ (ID), ადილ. ბლ’გ (ID), ყაბ. ბლ’გ (ID), ს.აფხ-ადილ. \*ბლ’გ

- (2) აფხ. ა-ბღჷ („ფოთოლი“), აბჟ. ა-ბგღ (ID), უბიხ. ბღჷ- („ფოთოლცყენა“), ს.აფხ-ადილ. \*ბღჷღ
- (3) აფხ. ა-ბგბ („ბურთულა“, „ბუმტი“), ადილ. ფსგ-ბგბ („წყლოლი“, «мазоль»), ყაბ. ფსგ-ბგბ (ID), ს.აფხ-ადილ. \*ბგბ(გ)
- (4) აფხ. ბა („კოცნა“), ადილ. მჰ-ბჰ-ტგ-ნ (ID), ყაბ. ბჰ (ID), ს.აფხ-ადილ. \*ბა-
- (5) აფხ. ა-ბრა („ფაფარი“), ბრა (ID) ადილ. ფგლ~აცჷ („აბურმგნილი“, „აწეწილი“), ყაბ. ბგლ~აცჷ (ID) ს.აფხ-ადილ. \*ბილა
- (6) აფხ. ა-ბგა („ტურა“), აბაზ. ბაგა („მელა“), უბიხ. ბაგ~ა-შ (ID), ადილ. ბაჯჷა („მელა“), ხაკუფ. ბაგ~ა (ID), აბძახ. ბაჟ~ა (ID), ყაბ. ბაჟე (ID), ს.აფხ-ადილ. \*ბაგა
- (7) აფხ. ა-ბზია („კარგი“), აბაზ. ბზი (ID), ადილ. ჳა-ბზა („სუფთა“), ყაბ. ჳა-ბზა (ID), ს.აფხ-ადილ. \*ბზი/\*ბზა
- (8) აფხ. ა-ღბა („გემი“, „ნავი“), აბაზ. ღბა (ID), უბიხ. ღგბა (ID), ს.აფხ-ადილ. \*ღგბა
- (9) აფხ. ა-მბა („ობოლი“), აბაზ. მგბა (ID), უბიხ. მაბ~ა (ID), ადილ. მგბჷ (ID), ყაბ. მგბჷ (ID), ს.აფხ-ადილ. \*მგბა
- (10) აფხ. ბზგ-შა („ენა“), უბიხ. ბზ,ა (ID,) ადილ. ბზჷ (ID), ყაბ. ბზჷ (ID), ს.აფხ-ადილ. \*ბზ,ა

ს.აფხ-ადილ. \*ფ აფხ-აბაზ. \*ფ უბიხ. ფ ჩერქ. \*ფ

- (1) აფხ. ა-ფჷჷაბჷჷა („ქლიავი“), აბიხ. ფჷჷგ („ხილი“), ადილ. ფსჷ- („ქლიავი“, „ხილი“), ს.აფხ-ადილ. \*ფჷჷგ
- (2) აფხ. ა-ფსა („ნამვის ხე“), უბიხ. ფსგ-ღგნგ (ID), ადილ. ფსჷმგ (ID), ყაბ. ფსგჷ (ID), ს.აფხ-ადილ. \*ფსა
- (3) აფხ. ა-ფხა („თბილი“), აბაზ. ფხა (ID), უბიხ. ფს,გ (ID), ადილ. ფშ-თჷ-ნ („ადურება“), ყაბ. ფს,თგ-ნ (ID), ს.აფხ-ადილ. \*ფხა
- (4) აფხ. ა-ფასა („ადრე“), აბაზ. ფასა (ID), ადილ. ფას (ID), ყაბ. ფასჷ (ID), ს.აფხ-ადილ. \*ფასა
- (5) აფხ. ა-ფსგ („სული“), აბაზ. ფსგ (ID), უბიხ. ფსა (ID), ადილ. ფსჷ (ID), ყაბ. ფსჷ (ID), ს.აფხ-ადილ. \*ფსა

(6) აფხ. ა-გ<sup>ო</sup>გფ („ჯგუფი“), ადიღ. ქ<sup>ო</sup>გფ (ID), ყაბ. გ<sup>ო</sup>გფ (ID), ს.აფხ-ადიღ. \*გ<sup>ო</sup>გფ

(7) აფხ. ა-ფშ („სიმინდი“), უბიხ. ფშ<sup>გ</sup> („მჭადი“, „მჭადის ფქვილი“), ს.აფხ-ადიღ. \*ფშ<sup>გ</sup>

(8) აფხ. ა-ფხ<sup>ა</sup>-რა („ლამისთევა“), აბაზ. ფხ<sup>ა</sup>-რა (ID), ადიღ. ფშ<sup>გ</sup>-პჰ („ქობი“), ყაბ. ხ<sup>ა</sup>-ფხ<sup>გ</sup>-ნ („ლამისთევა“), ს.აფხ-ადიღ. \*ფხ<sup>ა</sup>

(9) აფხ. ა-ფგრ-რა („ფრენა“), აბაზ. ფგრ-რა (ID), უბიხ. ფგრ (ID), ჩერქ. \*ფგრ-ფგრ („ფრენის ხმაბადვა“), ს.აფხ-ადიღ. \*ფგრ

(10) აფხ. ა-ფჭა („ქალიშვილი“), აბაზ. ფჭა (ID), უბიხ. ფხ<sup>ა</sup> (ID), ადიღ. ფხ<sup>გ</sup> (ID), ყაბ. ფხ<sup>გ</sup> (ID), ს.აფხ-ადიღ. \*ფჭ<sup>ა</sup>

ს.აფხ-ადიღ. \*პ აფხ-აბაზ. \*პ უბიხ. \*პ ჩერქ. \*პ

(1) აფხ. ა-პყშ-რა („ლელექაში“), უბიხ. პყაჭა (ID), ს.აფხ-ადიღ. \*პყაჭ-

(2) აფხ-აბაზ.. \*კამპგლ („მატყლის ბურთი“), უბიხ. კამპგლ<sup>ა</sup> („რკო“), ჩერქ. \*შკამპგლ<sup>ა</sup> („საცობი“), ს.აფხ-ადიღ. \*კამპგლ

(3) აფხ-აბაზ. \*პარგ-პარგ („ლაქლაქი“), ჩერქ. \*პარა-პარა (ID), ს.აფხ-ადიღ. \*პარ(ა)

(4) აფხ-აბაზ. \*-პა („კიდური“), უბიხ. პა (ID), ჩერქ. \*-პა (ID), ს.აფხ-ადიღ. \*პა

(5) სფხ-აბაზ. \*პადგ-პადგ („გასიება“), ჩერქ. \*პდგ (to stick), ს.აფხ-ადიღ. \*პადი

ს.აფხ-ადიღ. \*ჟ აფხ-აბაზ. \*ჟ უბიხ. ჟ ჩერქ. \*ჟ

(1) აფხ. ჟა-რა („შენ“), აბაზ. ჟა-რა (ID), უბიხ. ჟგ-ღ<sup>ა</sup> (ID), ადიღ. ჟა (ID), ყაბ. ჟა (ID), ს.აფხ-ადიღ. \*ჟა-

(2) აფხ-აბაზ. \*ჟგ (ჩვენებითი ნაცვალსახელი), უბიხ. ჟგ-ნა (ID), ჩერქ. \*ჟა\\*ჟგ (ID), ს.აფხ-ადიღ. \*ჟა\\*ჟგ

(3) აფხ-აბაზ. \*აჟგ („გრძელი“, „მაღალი“), უბიხ. ჟა (ID), ჩერქ. \*\*ჟა\\*ჟგ (ID), ს.აფხ-ადიღ. \*ჟა\\*ჟგ

(4) აფხ. ა-ტ-რა („კეთება“), უბიხ. ტ(გ)- (ID), ადიღ. ტგ- (ID), ყაბ. ტგ- (ID), ს.აფხ-ადიღ. \*ტგ-

ს.აფხ-ადიღ. \*მ აფხ-აბაზ. \*მ უბიხ. მ ჩერქ. \*მ

(1) აფხ. ა-ცმსა („აბედი“, „პატრუქი“), აბაზ. ჩგმსა (ID), უბიხ. ფა-მსა (ID), ს.აფხ-ადიღ. \*მგსა

(2) აფხ. ა-მზა („მთვარე“, „თვე“), აბაზ. მზგ (ID), უბიხ. მგძა (ID), ადიღ. მანზ (ID), ყაბ. მანზ (ID), ს.აფხ-ადიღ. \*მგძა

(3) აფხ. ა-მცა („ცეცხლი“), აბაზ. მცა (ID), უბიხ. მგჯა (ID), ადიღ. მანჭ (ID), აღმოს. ჩერქ. მაძჭ (ID), ს.აფხ-ადიღ. \*მაწ, °ა

(4) აბაზ. მანჯა („ხელი“), უბიხ. მგჯა („მკერდი“), ს.აფხ-ადიღ. \*მანჯა

(5) აფხ. ა-მზა („ფიწვის ხე“), აბაზ. მზა-ჭ (ID), უბიხ. მგძგ („ეკალი“, „ბუჩქი“), ადიღ. მზზგ („ტყე“), ყაბ. მზზ (ID), ს.აფხ-ადიღ. \*მადგ/\*მგძგ

(6) აფხ. ა-მშო („დათვი“), აბაზ. მშოგ (ID), უბიხ. მგშა (ID), ადიღ. მგსჳ (ID), ყაბ. მგსჳ (ID), ს.აფხ-ადიღ. \*მგშა/\*მგს°ა

(7) აფხ. ა-მშ („დღე“), აბაზ. მშგ (ID), უბიხ. მგს°ა (ID), ადიღ. მან (ID), ყაბ. მანჭ (ID), ს.აფხ-ადიღ. \*მანჯა

(8) აფხ. ა-მაწა („კალია“), აბაზ. მაწა (ID), უბიხ. მაწა (ID), ადიღ. მაწან (ID), ყაბ. მაწ (ID), ს.აფხ-ადიღ. \*მაწა

გარდა იდენტურისა მოპგვეპოვება არაიდენტური შესატყვესობანი ბილაზილურ ფონემებს შორის. ჩვენ ხელთ არსებული მასალის საფუძველზე შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი ურთიერთმიმართებანი:

აფხ-აბაზ:	ფ	ფ	ფ	მ	მ	ბ	მ
უბიხ:	ბ	პ	ბ	ბ	ბ	ფ	ფ
ჩერქ:	ბ	პ	ფ	-	მ	ფ	მ

ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ირეგულარულ შესატყვესობებთან. ამ ურთიერთ-მიმართებათაგან ზოგიერთი წარმოდგენილია მხოლოდ უნიკალური შემთხვევით, დანარჩენებში კი სამზე მეტი მაგალითი არ მოგვეპოვება. ასეთ შემთხვევაში ამოსავალი

ბილაბიალური ფონემის დადგენა მხოლოდ ყველა ქრონოლოგიური დონისათვის შესაფერისი ფონოტაქტიკური წესების გათვალისწინებით არის შესაძლებელი. აქედან გამომდინარე აღნიშნული პროცესის ასახსნელად ვაყალიბებთ სამ წესს:

**წესი I:** თუ ბილაბიალურ რიგში ერთმანეთის შესატყვისია არაიდენტური რაგვარობის მქონე ფონემები, საერთოაფხაზურ-ადილურ ქრონოლოგიურ დონეზე აღდგება ისეთი რაგვარობის ფონემა, რომელიც პოვნირია უეჭველად აფხაზურ-აბაზურში და უბიხურ-ჩერქეზული ერთობიდან ერთ-ერთ ენაში.

**წესი II:** თუ აფხაზურ ან უბიხურ ენაში მც ტიპის ბგერათკომპლექსი შეესატყვისება ჩერქეზულ ან უბიხურ ბც ფც პც ტიპის კომპლექსებს, საერთოაფხაზურ-ადილურ ქრონოლოგიურ დონეზე აღდგენა სრულხმოვანი მვც კომპლექსი.

**წესი III:** თუ რომელიმე აფხაზურ-ადილურ ენაში ბც ფც პც მც ტიპის ბგერათკომპლექსი რომელიმე სხვა აფხაზურ-ადილურ ენაში შეეფარდება სრულხმოვან ბვც, ფვც, პვც, მვც ბგერათკომპლექსებს, საერთოაფხაზურ-ადილური ქრონოლოგიურ დონეზე აღდგება სრულხმოვანი ბგერათკომპლექსი.

მეტი დამაჯერებლობისათვის საჭიროდ მივიჩნევთ, გავამაგროთ თითოეული ჩვენს ხელთ არსებული მაგალითებით:

#### **წესი I:**

- (1) აფხ. ა-ფს-ლგმმ („ჭაობი“), უბიხ. ბზგ („წყალი“), ადილ. ფსგ (ID), ყაბ. ფსგ (ID), ს.აფხ-ადილ. \*ფსგ
- (2) აფხ. ა-ფსგძ („თევზი“), უბიხ. ფსა (ID), ადილ. ფცა-ჟა (ID), ყაბ. ბძ-ჟა (ID), ს.აფხ-ადილ. \*ფცა (<\*ფაცა)
- (3) აფხ. ა-ფს („დედალი“), უბიხ. ბზა (ID), ჩერქ. \*ბზგ (ID), ს.აფხ-ადილ. \*ბზგ

#### **წესი II:**

- (1) აფხ. შა-მზა („ჩლიქი“), დას. ჩერქ. ბზა („რქა“), ს.აფხ-ადილ. \*მგზა
- (2) აფხ-აბაზ.. \*ჩგ-მლა („მისადგმელი კიბე“), ჩერქ. \*ფხა-ბლ’ა („საკაცე“), ს.აფხ-ადილ. \*მგლა

- (3) აფხ-აბაზ. \*მზა („სანტელი“, „ნათურა“), უბიხ. მგძა (ID), ჩერქ. \*ზზიძ („სხივი“), ს.აფხ-ადილ. \*მგძა
- (4) აფხ-აბაზ. \*ამც („ტყუილი“), უბიხ. მგცა (ID), ჩერქ. \*აჟგ (ID), ს.აფხ-ადილ. \*მგცა
- (5) აფხ-აბაზ. \*მჰა („შემა“, „მერქანი“), უბიხ. მგზა (ID), ჩერქ. \*ფზჰ (ID), ს.აფხ-ადილ. \*მგზა
- (6) აფხ-აბაზ. \*ჯგ-მსა („წარბი“), უბიხ. ბლ'ა-მსა (ID), ჩერქ. \*ნა-ბბა (ID), ს.აფხ-ადილ. \*ბლა-მგსა
- (7) აფხ. \*მსა („რქა, რქოვანი წანაზარდი“), უბიხ. ლა-მსა („ფესვი“), ჩერქ. \*ლა-ფსა (ID), ს.აფხ-ადილ. \*მისა

### წესი III:

- (1) აფხ-აბაზ. \*ფჰი („სიმინდის ტარო“), უბიხ. მგხგ („სტაფილო“), ჩერქ. \*ფხი (ID), ს.აფხ-ადილ. \*მგხგ
- (2) აფხ-აბაზ. \*ჩი-მლა („მისადგმელი კიბე“), ჩერქ. \*ფხა-ბლ'ა („საკაცე“), ს.აფხ-ადილ. \*მილა
- (3) აფხ-აბაზ. \*მზა („სანტელი“, „ნათურა“), უბიხ. მგძა (ID), ჩერქ. \*ზზიძ („სხივი“), ს.აფხ-ადილ. \*მგზა

გარდა ზემოთმოცვანილი შესატყვისობებისა გვხვდება ისეთი ტიპის ბგერათფარდობანიც, სადაც აფხაზურ-აბაზური მ შეესატყვისება უბიხურ ან ჩერქეზულ ნ ფონემას. ამ ურთიერთმიმართებისას ჩვენ აღვადგენთ \*მ ბილაბიალურ სონორს:

- (1) აფხ. ა-მძგ-რ-ხა („ეზო“), ჩერქ. \*ნაზ („კიდე“), ს.აფხ-ადილ. \*მაძგ
- (2) აფხ. ა-მათ („გველი“), უბიხ. ანტა (ID), ს.აფხ-ადილ. \*მატა
- (3) აფხ. ა-მგ'ა („მუცელი“), უბიხ. ნგკ'გ (ID), ს.აფხ-ადილ. \*მგგ'ა

გვხვდება ისეთი შესატყვისობებიც, სადაც ჩერქეზულ და აფხაზურ ფ ფონემას შეესატყვისება უბიხური ლაბიოდელტალური სპირანტი ჭ. ლაბიოდენტალური სპირანტების მეორეულობა დამაჯერებლად აქვს ახსნილი და გამყარებული შესაბამისი მაგალითებით ქ.ლომთათიმეს (ლომთათიმე 1978, გვ. 178-181). აქედან გამომდინარე საერთოაფხაზურ-ადილურ ქრონოლოგიურ დონეზე ჩვენ აღვადგენთ \*ფ-ს:

(1) აფხ-აბაზ. \*ფი-ნწა („ცხვირი“), უბიხ. fა-წა (ID), ადიღ. ფა (ID), ყაბ. ფა (ID), ს.აფხ-ადიღ. \*ფა-წა

(2) აფხ-აბაზ. შა-ფინ (ა ID), უბიხ. შა-ფა-და (ID), ს.აფხ-ადიღ \*შა-ფინ

ჩერქ. ბ, უბიხ. ბ, აფხაზ. ფ, ან ჩერქ. ფ, უბიხ. ფ აფხაზ. ბ ტიპის ბგერათფარდობის ამოსავალი ბილაბიალური ფონემის რაგვარობის დადგენა შიდა აფხაზურ-ადიღური მასალის საფუძველზე შეუძლებელია. ამ ფონემათა რაგვარობის გაგება მხოლოდ მონათესავე იბერიულ-კავკასიურ (ნახურ, დაღესტნურ, ქართველურ) ენათა მონაცემების გათვალისწინებით იქნება შესაძლებელი.

#### **ლიტერატურა:**

1. ახვლედიანი გ. ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949
2. ლომთათიძე ქ, აფხაზურ-აბაზურ ენათა ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, თბ., 1978
3. შენგელია ვ, ქართველურ და ჩერქეზულ ენობრივ სისტემათა ზოგი საკითხი, თბ., 2006
4. Кумахов М. А. "Сравнительно историческая фонетика адыгских (черкесских) языков", Москва 1981
5. Старостин С. А. "Труды по языкознанию", Москва 2007
6. Starostin S. A. Nikolaev S. L. "A North Caucassian Etymological Dictionary", Moscow 1994
7. Chirikba V. A. "Common West Caucassian", Leiden 1996

## **COMMON REFLEX OF ABKHAZO-ADYGHE BILABIALS IN ABKHAZO-ABAZA, UBYKH AND CIRCASSIAN LANGUAGES**

**Aleksandre Kvakhadze, Circassian (Adyghe) Centre of Culture  
RESUME**

This article describes the problem and methods of reconstruction proto abkhazo-adyghean bilabial phonological system. We were able to reconstruct common West Caucassian bilabial phonemes \*b, \*p, \*p' ; \*w, \*m. We have shown identical and non identical voice correspondence between abkhazo-abaza, ubykh and circassian language groups.



**მარიამ კობერიძე**  
გორის სასწავლო უნივერსიტეტი

**ბგერათა დაკარგვის ზოგიერთი შემთხვევისათვის  
ფრონეს ხეობის ქართლურში**

ბგერის დაკარგვა ქართლურში ისევე გავრცელებული მოვლენაა, როგორც ქართული ენის სხვა დიალექტებში. იკარგება თანხმოვანიც და ხმოვანიც. მაგრამ ეს ფონეტიკური პროცესი ქართლის ყველა კუთხის მეტყველებაში ერთნაირად არ არის გავრცელებული.

ფრონეს ხეობის ქართლურში ყურადღებას იქცევს თანხმოვნებს შორის მოქცეული **რ** და **ლ** ნარნარა ბგერების მერყეობა, ჩნდება პარალელური ფორმები: ჩდილი//ჩრდილი, ცეცხში//ცეცხლში, თაფში//თაფლში, ღმა//ღრმა, სახში// სახლში, დაფთხა//დაფრთხა... მაგ.: „ტონს ხოლმე, არა, უიმე **სახშიც** (←სახლშიც) ეგრეა“; „მოიტა, მოიტა **სახში** (←სახში) წავიღებ და იქ დავრგავ“; „ისეთი **ღმა** (←ღრმა) ორმოებია, კაცი კისერს წაიტებს“.

ქართული ენის დიალექტებიდან ინგილოურში (ალიაბათურ კილოკავში) და გურულში **რ** და **ლ** ბგერები თითქმის ყოველთვის იკარგება თანხმოვნებს შორის. მთელ ქართლურში ამ მხრივ ისევე, როგორც კახურში, ამათგან განსხვავებული ვითარება გვაქვს. აქ ხშირად გვხვდება ისეთი ფორმებიც, როგორიცაა: დასახლდნენ, გამართლდნენ, გაცოცხლდნენ, აკლდა, კლდე (გ. იმნაიშვილი, 1974, 139).

ფრონეს ხეობის ქართლურში **ზრდ** კომპლექსიანი სიტყვები **ზდ** სახით დასტურდება: **გაზდილა** (←გაზრდილა), **ასაზდოებს** (←ასაზრდოებს)... მაგ.: „ზამთრის **საზდო** (←საზრდო) თოვლში დარჩა სოფელსა“; „სიმინდი იმხელა **გაზრდილა** (←გაზრდილა) ცხენიანი დაიმალება“. ამ მოვლენას გრ. იმნაიშვილი ბორჯომისა და ხაშურის მეტყველების მაგალითზე დასავლური კილოების გავლენით ხსნის (გრ. იმნაიშვილი, 1974, გვ.140).

თანხმოვანთა შორის **ლ** და **რ** სონორების დაკარგვას იმერეთის მოსაზღვრე ქართლის ზონის სოფლების მოსახლეობის მეტყველებაში ხელს უნდა უწყობდეს ზემოიმერულის გავლენა.

ქართულურში თანხმომავანთა შორის ეს ბგერები ასე ხშირად არ იკარგვის. ამ მხრივ ამ ზონის მეტყველება ენათესავება დასავლურ დიალექტებს და მათ შორის ყველაზე ახლოა ზემოიმიერულთან. თავის მხრივ ამ უკანასკნელზე ქართულურში უნდა ახდენდეს გავლენას სალიტერატურო ენასთან ერთად, როცა ეს ბგერები შენარჩუნებულია მასში თანხმომავანთა შორის (გრ. იმნაიშვილი, 1974, გვ. 75).

იკარგება **-ებრ** თანდებულის **რ** ელემენტი: „ამ სიცხე-პაპანაქებაში პური **წებოსებ** (←წებოსებრ) იკეთებს გულში“; „მოსავალი კაი მოვიდა, ხეხილმა სულ **პანტასებ** (←პანტასებრ) დაისხა“.

**ლ** იკარგება : ა) ზმნისართში: „**ძან** კარგი ყოფილა, **ძან** (←ძალიან) მოეწონა“; „თუ შენთვის არა ხარ **სუ** (←სულ) ტყვილი ყოფილა“. ბ) სონორი **მ** თანხმომავანის წინ: „წავა, იმუშავებს **ხომე** (←ხოლმე) და დაბრუნდება ხელცარიელი“. ამ მოვლენას ვ. სომხიშვილი დისიმილაციის ნიადაგზე ხსნის (ვ. სომხიშვილი, 2002, გვ.17). **რ** და **ლ** ბგერების დაკარგვას, როგორც ჩანს, ხელს უწყობს მათი სონორობა (გ. ახვლედიანი, 1949, გვ. 212).

**მ** იკარგება: ა) თანხმომავანების წინ: „არ ვსვანთ, იმ ჭის წყალსა **ღვრთა** (←მღვრთა)“. ბ) კავშირებში: „**ხო** (←ხომ) ხაარ კაათა, სადა ხაარ, **რო** (←რომ) აღარა ჩენხარ“; „ჯერა ყინანს და იმედიანათა ვართ, მოთბეს მერე... ფრინველები **რო** (←რომ) გადმოფრინდებიან“; „-რა -ციცო მაჭარს **ხო** (←ხომ) არ აყენეფ, რამდენ წყალსა ზიდან? „წავიკითხან ორ-სამ ხაუსა და მერე თვალეზი მტკივა... **თორე** (←თორემ) ხედვითა, თავიდანა, კარგათა ვხედან“. გ) ტოპონიმებში: **რგვალი სერი** (←მრგვალი სერი) (ადგილის სახელწოდება დვანში); **რგვალი მიწები** (←რგვალი მიწები) (ადგილის სახელწოდება ნულში).

**ს** იკარგება, როგორც მიცემითი ბრუნვის ნიშანი: ა) თანხმომავანფუძიან სახელებთან: „**კვერცხ** (←კვერცხ-ს) უზან და ამოვიტან“; „თვითონა ვერა მხედანდა, **ჩემ** (←ჩემს) შვილზე იძახის“; „გილოცავ **მრავალ** (←მრავალ-ს) დეესწარი“. ბ) ხმომავანფუძიან სახელებთან **თან** თანდებულის წინ: „მოყანთ-მოყანთ, აქ არიან გელუტაან **გვერდათანა** (←გვერდასთანა)“.

ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ნაწილი **-ს** დაკარგულია ადგილის სახელწოდებებში: **ბებრიმიწები** (←ბებრისმიწები).

ადგილი, სათესი საციხურში); **თელევიხევი** (←თელევისხევი. ადგილი, ღელე ქალეთში).

ხშირად იკარგება მესამე სუბიექტური პირის ნიშანი -ს: „**არა უშან** (←უშან-ს), **თბილიში მყან** (←მყან-ს); „**დავრჩით შიშველ-ტიტველი და ეგ არი**“ (←არის).

**ვ** იკარგება: ა) ზმნისართში: „ჭამე ბიჭო თუ ჭაან შენცა **კიდე** (←კიდევ)“. ბ) როგორც შუალობით კონტაქტის **-ევი** მაწარმოებლის ნაწილი ხმოვნებს შორის: „**მიდი ციცი ბაბოს უთხარი და დაგალეინებს**“ (←დაგალევინებს). გ) ზმნურ ფორმებში ხმოვნებს შორის. „**ტელეფონი გაქანებული რეკანს და ვერა ვპოილობ**“ (←ვპოვილობ); „**გიო, მოიტა შენი ციგა მათხოე** (←მათხოვე), **მათხოეფ** (←მათხოვებ)?“. დ) **იყავ** ზმნაში: „**ჩვენა საბერო ხალხი ვიყაით**“ (←ვიყავით); „**კაი მორდილა ვიყაი**“ (←ვიყავი); „**ქონება ოჯახის სულზე გავიყაით**“ (←გავიყავით).

ადგილის ზმნიზედები **ზევიდან, ქვევიდან** იხმარებიან **ზევიდანა, ქვევიდანა** ფორმით: მაგ.: „**წვიმებს დაასწრობს, ზევიდანა** (←ზევიდან) **გადახურავს სახლს**“; „**ერთი ქვევიდანა** (←ქვევიდანა) **შემბღვირა და წავიდა თავი გზაზე**“ (მ. კობერიძე, 2006, გვ. 176). მსგავსი ფორმები დადასტურებულია ზემოიმერულში (ქ. მოწინიძე, 1973, გვ. 176).

ვხვდებით **ნ**-ს დაკარგვის შემთხვევებს ზმნურ ფორმებში: **ამოატანა** (←ამოატანინა), **წაყვანა** (←წაყვანინა), **შეატანა** (←შეატანინა), **ჩაატანა** (←ჩაატანინა), **გაატანა** (←გაატანინა)... ეს მოვლენა კაუზატივის მაწარმოებლის **ინ** სუფიქსის **ნ** ელემენტის დისიმილაციური გავლენით შეიძლება აიხსნას (გრ. იმნაიშვილი, 1974, გვ. 142).

ფრონეს ხეობის ქართულში იშვიათად დასტურდება **ინ** სუფიქსისეული **ნ**-ს არქონა ზმნურ ფორმებში: „**აწვევა** (←აწვევინა) და **წელიც ჩაიწვევითა სიმძიმით**“; „**ეგ ისაა, სახლი რო გააკეთებია**“ (←გააკეთებინა). ეს მოვლენა ჩვეულებრივია დასავლური დიალექტებისათვის, ზოგჯერ დასტურდება მხოლოდ ბორჯომის ხეობისა და ხაშურის რაიონის რიგი სოფლების მეტყველებაში. იგი წარმოადგენს, როგორც ჩანს, დასავლური კილოების (კერძოდ, იმერულის) გადმონაშთს (გრ. იმნაიშვილი, 1974, გვ.142).

**„უნდა“** ზმნა წარმოდგენილია **„უნა“** ფორმით: „**ამ დილაადრიანა ვინ უნა** (←უნდა) **ყანდეს** (←ჰყანდეს),

თავისთავთან ქეიფსა სწევს"; „მთელი ცხოვრება მისთვის უნა, მაგრამ ვერ ხვდება".

გრ. იმნაიშვილის აზრით, „შესაძლებელია აქ დდაკარგული კი არ იყოს, არამედ შემონახული გვქონდეს ძველი ქართულის აწმყოს ფორმა" (გრ. იმნაიშვილი, 1974, გვ.140). იგი, თუმცა მეტად იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება ქართულურში პირველი და მეორე პირის ფორმითაც (მინა, გინა) (ვ. თოფურია, 1924, გვ. 94). აღნიშნული მოვლენა შეინიშნება ინგილოურსა და კახურშიც (მ. ჯანაშვილი, 1911-1913, გვ. 229; არ. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, 1956, გვ. 59).

სოფელ დირბის მეტყველებაში დადასტურდა ისეთი შემთხვევა, როდესაც „უნდა" მეშველი ზმნა ისე მარტივდება, რომ ერწყმის წინა სიტყვას (მეტყველების ყველა ნაწილს). მაგ.: „-- დილით ადრე ადექი, **ძროხა'ნა** აჭამო, **ქათმებ'ნა** დაუყარო, ინდაურებ ცალკე, **კურდღლებ'ნა** მიხედო, **ძაღლ'ნა** დააპურო, **წყალ'ნა** მოზიდო, **ძროხა'ნა** გააგდო... ამ ყველაფრის მერე, ჰაიდა, გედერესა მინდორი (მინდორში წავიდე)." ეს მოვლენა დამახასიათებელია ჯავახურისთვის (მ. ბერიძე, 1988, გვ. 43). ვფიქრობთ, ბგერათა დაკარგვის ეს შემთხვევა მოსახლეობის მიგრაციის შედეგია, რადგან ბევრი გვარი დირბში ჯავახეთიდან არის გადმოსახლებული.

**ც** ბგერის დაკარგვა : „მიდი მოიტა პატარა მამიტეხე შიმშილ მაინ (←მაინც) მამიკლანს"

იშვიათად დასტურდება **ზ**-ს დაკარგვა: „**ლამაათ** (←ლამაზად) დასხა და აქეიფა".

ფრონეს ხეობის ქართულურში „**გაჩნდა**" ზმნა გვხვდება **-ნ**-ს გარეშე: „მაგას ისეთი ჭია **გაუჩნდა**, ვერაფერი უშველის"; „ძლივს სარჩო **გამიჩნდა**". ა. ჩიქობავა გარე-კახურში „გაუჩნდა" ფორმასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს აქაც **-ჩნდ** კომპლექსის გამარტივებასთან გვაქვს საქმე, ნამდვილად გარე-კახურ **გაუჩნდაში** არქაული ფორმაა შენახული, სამწერლობო ფორმის **ნარი** შემდეგშია განვითარებული. მართლაც **ჩნდა**-ში ძირეული ხომ **ჩ**-ა; ეს მტკიცდება მეგრულით: ძვ. ქართ. **ჩ-ას** იგი, -მეგრ. **ჩქუ თინა**: ქართული **ჩ**-ს კანონზომიერ შესატყვისად მეგრულში გვაქვს **ჩქ**" (ა. ჩიქობავა, 2010, გვ.86).

ზოგჯერ წინადადებაში რამდენიმე ბგერა იკარგება: „ესა ჩვენა გვგან (←გვგავს), აქეთ არი (←არის) სულა, იმიტო (←იმიტომ) არი (←არის) ესეთი კაი (←კარგი), კიდე (←კიდევ) კაი (←კარგი) თქვენ არ დეგენგვანათ“; „ქეთოთან (←ქეთოსთან) მივდივარ ... ვაწეინებ (←ვაწეინებ) და .... ძლივ (←ძლივს) მივდივარ“; „რა კაათა (←კარგათა) ხატან, მეც იქ გავაკრან გაზაფხული (←გაზაფხულის) კუთხეთანა (←კუთხესთანა), ხო (←ხომ) დამიხატან“; „ყვავ (←ყვავს) კაკალი გააგდებინე, ეგეც კაიო (←კარგი არისო), მეტ რას გამოვრჩებით, კარტოფილ (←კარტოფილს) რო (← რომ) დავთესან ცოტა-ცოტას ჩავაყრინ“.

ფრონეს ხეობის ქართლურში იშვიათად ვხვდებით ხმოვანთა დაკარგვის შემთხვევებს.

მცა ნაწილავს, ქართლური და კახური კილოების მსგავსად, მოკვეცილი აქვს ხმოვანი და გვხვდება მც. მაგ.: „შენამც ა შენებულხარ და გამრავლებულხარ ქმარ-შვილში“; „ასემც გიქნია, რომ მარტო დარჩენილხარ“; „ისემც რა გითხრა“.

ე ხმოვანი იკარგება -ობა სუფიქსის წინ: „არავინ იცოდა ჩემი დღომარობა (←მდგომარეობა).

„ეუბნება“ ზმნაში დაკარგულია უ ხმოვანი: „რას მებნები (←მებნები), რა ნახა ჩემმა თვალებმა“. ეს მოვლენა გავრცელებულია მთელ ქართლურში. უ ხმოვანი ზოგჯერ ისევე იკარგვის, როგორც კახურსა და ინგილოურში. „დაკარგვა ხდება, როგორც ჩანს, არა ფონეტიკურ ნიადაგზე, არამედ უ გაგებული იქნა ქცევის ნიშნად და აღკვეთილი იქნა. მაგ.: მებნებიან, გებნებოდი, ებნევა“ (გრ. იმნაიშვილი, 1974, გვ. 148).

ფრონეს ხეობის ქართლურში დასტურდება მარცვალთა დაკარგვის შემთხვევები: ა) „ვიცი“ ზმნაში დაკარგულია „ცი“ მარცვალი: „აბა რა ვი (←ვიცი) მუხლანდე თოვლი დენ“. ბ) და იკარგება სადაც და ოლონდაც ზმნისართებში: „საცა (←სადაც) დაიწვა, ბალახი აღარ ამოვიდა“; „ოლონც (←ოლონდაც) მალე მოიტა“.

ამრიგად, ფრონეს ხეობის ქართლურში დადასტურებული ბგერათა დაკარგვის შემთხვევები ქართლური დიალექტისათვის დამახასიათებელი საერთო მოვლენაა. განსხვავებული შემთხვევები კი ზემოიშვრული დიალექტის გავლენით უნდა აიხსნას.

### ლიტერატურა:

1. გ. ახვლედიანი, 1949 - გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949.
2. გრ. ბერიძე, 1988 - გრ. ბერიძე, ქართული ენის ჯავახური კილო, თბ., 1988.
3. ვ. თოფურია, ზმნის ზოგიერთი თავისებურება გომარულში: „ჩვენი მეცნიერება“, №2, 1924.
4. გრ. იმნაიშვილი, 1974 - გრ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, თბ., 1974.
5. მ. კობერიძე, 2006 - მ. კობერიძე, ზოგი ზმნიზედის ფორმისა და ფუნქციისათვის ფრონეს ხეობის ქართლურში: საენათმეცნიერო ძიებანი, XXII, თბ., 2000.
6. არ. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, 1956 - არ. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956.
7. ვ. სომხიშვილი, 2002 - ვ. სომხიშვილი, ლიახვისა და ქსნის ხეობათა ქართლური, ავტორეფერატი, თბ., 2002.
8. ქ. მოწენიძე, 1973 - ქ. მოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, თბ., 1973.
9. ა. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, შრომები, I, 2010.

## FOR SOME CASES OF LOSING A SOUND IN KARTLIAN OF PRONE VALLEY

**Mariam Koberidze**, Gori Teaching University

### RESUME

The cases of losing the sounds in Kartlian of Prone Valley are as common phenomenon as in other dialects of Georgian language. Both consonants and vowels can be lost.

Fluctuation of R and L in Kartlian of Prone Valley is paid attention. There are parallel forms: Chdili//Chrdili, Tsetskhshi//Tsetskhshi, Tapshi//Taplshi, Ghma//Ghrma, Daptkha//Daprtkha

The sign of dative S is lost in the words.

There are the cases of syllable losing in Kartlian of Prone Valley. In the verb “Vitsi” the syllable “tsi” is lost. “Da” is lost in the adverbs “Sadats” and “Oghondats”.

The verb “Unda” is presented like “Una”.

The vowel is cut down in particle “Mtsa” and it is given as “Mts”. The vowel “U” is lost in the verb “Eubneba”.

**ლევან კოჭლამაზაშვილი**  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ფარინგალიზებულ ხმოვანთა დიაქრონიული ანალიზი  
ლეზგიური ენებში**

ლეზგიურ ენათა ვოკალიზმის გართულების ერთ-ერთი მიზეზია თანხმოვანთა დეფარინგალიზაცია. ხშულ ფარინგალთა ტრანსფორმაცია გარკვეულ კანონზომიერებებს ექვემდებარება გარკვეულ კანონზომიერებას და ერთ-ერთ შედეგს წარმოადგენს ხმოვნების ხახისმიერი შემართვა, რომელიც უშუალო მეზობლობაში მყოფი კონსონანტისაგან გადაეცა. პროფ. ევგ. ჯეირანიშვილი აღნიშნავს, რომ ფარინგალიზებული ხმოვნები მოეპოვება უდიურს (1971), წახურსა და რუთულურს (1984).

**უდიური:** ა ე ი ო უ

**წახური:** ა ი ო უ გ

**რუთულური:** ა ე ი ო უ გ

ხმოვანთა ფარინგალიზაციის პროცესი ერთი და იმავე საფეხურებით ვითარდება ამ ენებში. უდიურისაგან განსხვავებით რუთულურსა და წახურს აქვს ხშულ ფარინგალთა სრული ლოკალური რიგი. ჩვენ აღვადგენთ იმ სიტყვათა არქეტიპს ძველ რუთულურში, სადაც დღეს გვხვდება ფარინგალიზებული ხმოვნები:

**ხალ** < \*ჯალ „ცა“; **ჭტე** < \*ჭტემი < \*ჭტეფ „დო“; **ღიბ** < \*ფიბ „ბაყაყი“; **ხურ** < \*გუ „ფქვილი“; **ხარ** < \*კგ < \*კი „მსხალი“; **ტყ** < \*ტოყ „თოკი“; **ტგარყად** < \*ტგრყად < \*ტყად < \*ტყუად „კოჭლი“; **ფარგ** < \*ფად „ცხვარი“.

ზემოთ მოყვანილი რეკონსტრუირებული ფორმები გვიჩვენებს, რომ ფარინგალთა გარდაქმნა მთავრდება ორი შედეგით: პირველ შემთხვევაში ტრანსფორმირებული ხახისმიერი კონსონანტი კვალს ტოვებს რეფლექსურად უკანაენისმიერი თანხმოვნის სახით, მეორე

შემთხვევაში კი უკვალოდ ქრება. ამის მიხედვით ჩვენ განვასხვავებთ ნაწილობრივ და სრულ გარდაქმნას, რაც რეგულარულ ხასიათს ატარებს დაღესტნური ჯგუფის ლეზგიური განშტოების ენებში. ნაწილობრივი გარდაქმნის კლასიკური ნიმუშია რუთულურში ხჟღ < \*ჟღღ „ცა“ და უდიურში ექ < \*ეჟ „ცხენი“, ხოლო სრულისა - რუთულურში ჭტე < \*ჭტემ < \*ჭტეფ „დო“ და უდიურში ჰჟ < \*ჰჟჟ < \*ჰჟჟ „ორი“.

ხშულ ფარინგალთა მოშლა-გარდაქმნა მეტნაკლებად მოქმედებს იბერიულ-კავკასიურ ენათა ოთხსავე ჯგუფში. ის ენობრივი პროცესები, რაც დიაქრონიულად მოქმედებდა ქართველურ ენებში, სინქრონიულად მიმდინარეობს თანამედროვე მთის კავკასიურ ენებში. ეს ტენდენცია გამოწვეულია გეოგრაფიული ადგილმდებარეობით. საქართველო აღმოსავლური და დასავლური სამყაროს გამყარ მიჯნაზე აღმოჩნდა. აქ ხდებოდა ცივილიზაციათა ურთიერთობა და კულტურათა შერწყმა. ხდებოდა სხვადასხვა მსოფლმხედველობათა დაუფლება ქართველთა მიერ და შემდეგ მათი მეშვეობით სრულიად კავკასია აღმოსავლურ თუ დასავლურ ღირებულებებს. კულტურული ურთიერთობები ენათა გარეშე წარმოუდგეელია. ქართულში შემოვიდა მრავალი უცხო წარმოშობის სიტყვა სხვადასხვა ენიდან სხვადასხვა ეპოქაში. ლექსიკურ ერთეულთა სესხება იყო გარდაუვალი მოვლენა, რამეთუ ყოველი კულტურა მოიცავს ტერმინთა გარკვეულ რაოდენობას. ბუნებრივია, ეს ტერმინები უმთავრესად ეფუძნება იმ ენის ლექსიკურ მარაგს, რომელი კულტურაც შეიქმნა ამა თუ იმ ერის წიაღში. ლექსიკის სესხებაც გარკვეულ კანონზომიერებებს ექვემდებარებოდა. მისი მორგება ხდება ქართული ფონოტაქტიკის წესებით, რათა სიტყვა დამკვიდრდეს ისეთი ბუნებითა და მოცულობით, რასაც ქართულს ვუწოდებთ. შემდეგ კი უცხოური სიტყვის გაქართულებული ფორმა მიმოიქცეოდა მთელს რეგიონში. დამპყრობელ ერთა შემთხვევაში საქმე სხვაგვარად წარიმართა. ამ შემთხვევაში, ლექსიკის დინამიკურ სესხებაზე რომ აღარ ვთქვათ რამე, ხდებოდა ენის უცხო სტრუქტურაზე გადართვა.

სპარსელთა, არაბთა და ბიზანტიელთა ბატონობამ დიდი ზეგავლენა მოახდინა ქართულის კონსონანტურ სისტემაზე: მოიშალა პოსტერიული რიგის საარტიკულაციო სფერო - ხახა (resp.



ფარინგსი), რომელიც უცხო იყო ინდო-ევროპულ და სემიტურ ენათათვის, როგორც ხშულელემენტოვანი კონსონანტის მაწარმოებელი ორგანო. მრავალსაუკუნოვანმა ზეგავლენამ ჯერ ზეპირ მეტყველებაში მოიკიდა ფეხი და უკვე X საუკუნიდან წერილობით ძეგლებშიც რეგულარულად მიმდინარეობს ჯ-ს ჩანაცვლება ველარული თანხმოვნებით:  $\text{ქ} > \text{ხ/ქ}$  და  $\text{ყ} > \text{ქ}$ . არაბულსა და ირანულ ენებს, (მაგ., სპარსულს, ქურთულს...) მოეპოვება უველარული (resp. ნაქისმიერი) ყრუ თანხმოვანი **q**, რომლის წარმოთქმაც უახლოვდება თანამედროვე ქართულის პოსტველარულ **q**-სას. ნაქის სფეროს არსებობამ ზემოთ აღნიშნულ ენათა საარტიკულაციო ბაზისში დააჩქარა დეფარინგალიზაცია, გამოიწვია ხშულ ფარინგალთა ასიმილაცია და სხვა გენეალოგიის ენის კონსონანტურ სისტემაში ცვლილება განახორციელა. ცნობილია, რომ საარტიკულაციო ბაზისში რბილ სასა და ხახას შორის მდებარეობს ნაქი, რაც, მაგალითად, სემიტურ ენებში, გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს. ვინაიდან ქართულში უველარული თანხმოვნები არ მოგვეპოვება და **q**-ს წინ გადმოწევა გარდაუვალი იყო, პროცესი შემდეგნაირად წარიმართა: დაიშალა რთული შედგენილობის თანხმოვნები და გარდაიქმნა იმ რიგის ბგერებად, სადაც მისი შემადგენელი კომპონენტები იწარმოებოდა, ანუ მოხდა ჯ-ს სრული ველარიზაცია, რადგან ის შედგება ორი ველარული ბგერისაგან: **ქ**-სა და **ხ**-საგან. **ყ**-ს შემთხვევაში კი კატალიზატორად გვევლიმენა გვევლინება **q**, როგორც ნაქისმიერი ყრუ თანხმოვანი. რომელიც საკმაოდ უახლოვდება ყრუ უკანა ველარულ თანხმოვანთა წარმოთქმას.

მსგავსი პროცესები განვითარდა ლეზგიურ ენებშიც, რადგან ალბანურ ტომებზეც სხვადასხვა წარმომავლობს დამპყრობელთა ზეგავლენა დიდი იყო და ეს ყოველივე ენაშტ აისახება. განსხვავება ისაა, რომ ლეზგიურ ტომებს, როგორც ალბანელთა შთამომავლებს, მოუწიათ სამშობლოს შეცვლა და უარის თქმა ეროვნულ ფასეულობებზე და ანბანური დამწერლობის მქონე ალბანური ენა გარდაიქმნა უმწერლობო ლეზგიურ ენებად.

ქართულში, როგორც სამწერლობო ტრადიციის მქონე ენაში, დიდი ანგარიში გაეწია ანბანურ ტრადიციას და ფონეტიკური პროცესები შეფერხებით ვითარდებოდა და ბოლომდე შეინარჩუნა

პოზიციური ხასიათი, ხოლო უმწერლობო ენას მეტი თავისუფლება მიენიჭა და ცვლილებები ფონოლოგიური შედეგით დასრულდა.

თაბასარანულში პოზიციურად გვხვდება ორი ფარინგალიზებული ხმოვანი: ა და უ. მკვლევართა ერთი ნაწილი მათ ფონემებად გამოყოფს, მეორე კი პოზიციურ მოვლენად აფასებს და მიაჩნია, რომ ხდება უკანაენისმიერ თანხმოვანთა ფარინგალიზაცია. ა და უ ხმოვნების ფარინგალიზაცია აქ გამოწვეულია ფ-ჭ-ჭა-ყ ოთხეულთან უშუალო მეზობლობაში. ჩვენ ერთმანეთს შევადარეთ ორივე ჯგუფის მკვლევართა შრომები და გამოვარკვიეთ, რომ თაბასარანულში ფ-ჭ-ჭა-ყ ლოკალური რიგის დეფარინგალიზაცია სინქრონიულად მიმდინარეობს და ფონოლოგიური შედეგი ჯერ არ მოუცია.

როგორც ზემოთ ვთქვით, ლეზგიური განშტოების ენებში მკვლევრები გამოყოფენ ფარინგალიზებულ ხმოვნებს. გარდა ამისა, მათ არსებობას ვარაუდობენ დიდოურ ენა-კილოებშიც. ნ. ტრუბეცკოი ფონემური ღირებულების ერთ-ერთ ნიშნად მიიჩნევს კოპერაციულ ოპოზიციას, რომელიც სიტყვის გრამატიკულ ან სემანტიკურ ცვლილებას გამოიწვევს. (1960). იგი განსხვავებას ხედავს „ემფატიკურ შერბილებულ“ და „მეურბილებელ“ ხმოვანთა შორის და ეს შემთხვევა ახსნა „ემფატიკურ ხმოვანთა“ ზეგავლენით, რაც გამოწვეული იყო პალატალიზაციით. მეცნიერი, რომელსაც ჰქონდა დიდი მცდელობა ფონეტიკისა და ფონოლოგიის დიქტომიისა, თავად აღმოჩნდა დიდ შეცდომაში, რადგან ლეზგიურ ენებს მიაკუთვნა ის ნიშან-თვისება, რომელიც არ არის მახასიათებელი ამ განშტოებისათვის. უფრო მეტიც, მან დაადგინა პრინციპი ბგერის ფონოლოგიური ანალიზისა და სავსებით ჭეშმარიტად ჩამოაყალიბა ცნება კოლერაციული ოპოზიციისა, მაგრამ შეცდომა იქნა დაშვებული მაშინ, როდესაც ლეზგიურ ენათა ვოკალიზიმის ანალიზისას ხმოვნები უცხო ნიშან-თვისებით შეუპირისპირა ერთმანეთს. უდიურის სპეციფიკურ ხმოვანთა გამოკვლევაში დიდი ღვაწლი მიუძღვით პროფ. ევგ. ჯეირანიშვილსა და ვლ. ფანჩვიძეს. მათ დაადგინეს, რომ ეს იყო ფარინგალიზებული ხმოვანი, რომელიც დიაქრონიულად ჩამოყალიბდა უდიურში, და საერთოდ, ლეზგიურ ენებში.

პროფ. ევგ. ჯეირანიშვილი უდიურში, წახურსა და რუთულურში გვიჩვენებს კოლერაციულ ოპოზიციას მარტივ და ფარინგალიზებულ ხმოვანთა შორის. ჩვენ მაგალითები მოვიტანოთ უდიურიდან. აქ არის სამი სახის პოზიცია ფარინგალიზებული ხმოვნებისა:

ა) იმყოფება ფარინგალურ თანხმოვანთან უშუალო მეზობლობაში:

ჟ ~ ა: მჟ „მუხა, რკო“ ~ მჟ „სარი“

ღ ~ ო: ღყ „უღელი“ ~ ოყ „ძირი, ფსკერი“

ბ) უშუალო მეზობლობაში იმყოფება ველარულ თანხმოვანთან, რომელიც ტრანსფორმაციის შედეგად წარმოიქმნა:

ჟ ~ ა: ხჟ „ძალი“ ~ ხა „მატყლი“

ღ ~ ო: ხღ „ცური“ ~ ხო „ცვარი“

გ) ტრანსფორმირებული ფარინგალი სრულად გაქრა სიტყვიდან და ფარინგალიზაცია ხმოვანს შესძინა, ეს ხმოვანი კი უშუალო მეზობლობაშია სხვა არტიკულაციის კონსონანტთან:

ჟ ~ ა: მჟ „ტვინი“ ~ მა „სად“

ერთი შეხედვით, ეს ხმოვნები, მართლაც, ურთიერთკოლერატები არიან და მათი შეპირისპირება ენობრივად ღირებული შედეგით სრულდება, მაგრამ ეს მხოლოდ სინქრონიულად ხდება. ჩვენ რომ არ ვიცოდეთ ფარინგალიზებულ ხმოვანთა მეორეულობა და მათი წარმოქმნის მიზეზები ენაში, მაშინ ჩვეულებრივ ხმოვნად მივიჩნევდით, რომელიც ალბანურიდან გადმოჰყვა და უცხო არ იყო საერთო-დადესტნური ენისთვისაც. ფონემის სტატუსის მინიჭებისას ამა თუ იმ ბგერისათვის საჭიროა სისტემის დიაქრონიული განხილვა, რადგან მისი ისტორიული შრეები ცხადყოფს იმ მიზეზებს, რამაც წარმოქმნა ესა თუ ის ბგერა ფონემათა პარადიგმაში. წინააღმდეგ შემთხვევაში არ არის გამორიცხული, რომ კოლერაციული ოპოზიცია ჟ ~ ა სკონტანურად გაგვეგო. ჩვენ მივიჩნევთ, რომ ზემოთ მოყვანილი მაგალითები, სადაც ფარინგალიზებული ხმოვანი სხვა ფონემებთან ერთად სიტყვის ძირულ მორფემას ადგენს, ისტორიულად ამგვარად გამოიყურებოდა:

ღ ~ ჯ: მჟ < \*მაღ „მუხა, რკო“ ~ მჟ „სარი“

ღ ~ ყ: ღყ < \*ოღ „უღელი“ ~ ოყ „ძირი, ფსკერი“

კ ~ ხ: ხა < \*ჰა „ძალი“ ~ ხა „მატყლი“

კ ~ ხ: ხღ < \*ჰღ „ცური“ ~ ხღ „ცვარი“

ყ ~ 0: მჟ < \*მჟყ „ტვინი“ ~ მა „სად“

ჩვენ მივიჩნევთ, რომ ფარინგალიზებული ხმოვნები იმთავითვე პოზიციური მოვლენაა და ამან ფონოლოგიური შედეგი გარკვეულ ენებში და არა ყველა ლეზგიურ ენაში. ზოგად ეს პიზიციური მოვლენაა და არ უნდა გავიგოთ სინქრონიულად ფონემებად, რადგან ეს მიზეზი განპირობებულია. ცნობილია მისი მიზეზი: ენაში არის ტენდენცია რთული თანხმოვნების გამარტივებისა და ეს პროცესი განსაკუთრებით სწრაფად ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ საქმე გვაქვს უდამწერლობო ენასთან. ამან გამოიწვია მჟღერი აფრიკატების ძ-სა და ჯ-ს მოშლა ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში. ეს მოხდა უდიურშიც, სადაც სინქრონიულად მიმდინარეობს ც-ს შეცვლა სათანადო რიგისა და სიყრუის ნაპრალოვანი თანხმოვნით. შეცდომა იქნებოდა, თუ რ-სა და ჯ-ს ფონოლოგიურ ელემენტებად განვიხილავთ ინგილოურში, რადგან დიაქრონიულად მისი ჩამოყალიბების გზები ნათელია და ენაში იგი პოზიციური ხასიათის მატარებელია სინქრონიულ ჭრილშიც.

### ლიტერატურა:

1. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949
2. ც. ბარამიძე, თაბასარანული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 2009
3. გ. როგავა, ფარინგალურ ხშულთა რიგისათვის ქართველურსა და ადიღურს ენებში, იკე, I, თბ., 1946
4. ვლ. ფანჩვიძე, უდიურის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1974
5. არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979
6. ევგ. ჯეირანიშვილი, უდიური ენა, თბ., 1971
7. ევგ. ჯეირანიშვილი, წახური და მუხადური ენები, ტ. I, თბ., 1984
8. ევგ. ჯეირანიშვილი, ფარინგალიზებული ხმოვნები უდიურსა და წახურულ-მუხადურში, იკე, XI, თბ., 1959
9. Трубецкой Н. С., “Основы фонологии”, М., 1960

# **DIACHRONIC ANALYSIS OF PHARYNGALIZED VOWELS IN LESGIAN LANGUAGES**

**Levan Kochlamazashvili**, Ivane Javakhishvili Tbilisi State  
University

## **RESUME**

We considered the vocal system of lesgian languages diachronically and revised the system of pharyngalized phonemic vowels. Poses the problem: Is there value in pharyngalized phonemic vowels, which can cause further reparadigmatic analysis of vowels in the Ibero-Caucasian languages. During the study we were guided by method of internal reconstruction.

**რომან ლოლუა**  
არნ. ჩიქობავას სახელობის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

**პიროვანი შეთანხმების სისტემისათვის უდიურ ენაში**

უდიური ენისათვის დამახასიათებელია ზმნის ცვლა პირის მიხედვით. საყურადღებოა, რომ ზმნაში (როგორც გარდაუვალში, ისე გარდამავალში) აღინიშნება ოდენ სუბიექტის პირი. ამ მხრივ უდიურში დასტურდება მონათესავე ენათაგან განსხვავებული ვითარება: ივარაუდება, რომ იბერიულ-კავკასიურ ენებში, კლას-კატეგორიის და პირის კატეგორიის თვალსაზრისითაც, გარდამავალი ზმნის ფორმისათვის პირველადი უნდა იყოს ობიექტის ასახვა (ჩიქობავა 1979). ამასთან, აღსანიშნავია, რომ ყველა იბერიულ-კავკასიურ ენაში, რომლებშიც განვითარდა პიროვანი უღვლილება (თაბასარანული ენა (სამხრული კილო), ქართველური ენები, ჩერქეზული ენები და უზბეხური), გარდამავალ ზმნაში აღინიშნება როგორც სუბიექტის, ისე რეალური ობიექტის პირი, ხოლო იმ ენებში, რომლებშიც კლასოვანი (დადესტნურ და ნახურ ენათა უმრავლესობა) ან კლასოვან-პიროვანი (თაბასარანული ენა (ჩრდილოური კილო), ლაკური და დარგული ენები, ბაცბური ენა) უღვლილება გვაქვს, გარდამავალ ზმნასთან პირდაპირი ობიექტის კლასი აღინიშნება.

უდიურში ზმნები შეგვიძლია დავყოთ სამ ჯგუფად, თითოეულ ჯგუფს ახასიათებს პირის ნიშანთა საკუთარი სერია. პირის ნიშნები ზმნასთან (ან, შესაძლოა, წინადადების სხვა წევრებთანაც – იხ. ქვემოთ) იცვლება წინადადების კონსტრუქციის მიხედვით. როგორც აღინიშნა, უდიურისათვის დამახასიათებელია პირის გამოხატვის სამგვარი სისტემა:

I ჯგუფში შედის ზმნების აბსოლუტური უმრავლესობა, ესაა გარდაუვალი და გარდამავალი ზმნები, რომლებიც მოითხოვენ სუბიექტს სახელობით ბრუნვასა ან ერგატივში.

II ჯგუფს განეკუთვნება გრძობა-აღქმის სემანტიკის გამომხატველი ზმნები (*verba sentiendi*), რომლებიც მოითხოვენ

სუბიექტს მიცემით ბრუნვაში, თუმცა დღეს უდიურში, როგორც წესი, გრძნობა-აღქმის ზმნებთან სუბიექტი ერგატივის ფორმით გვევლინება. ბუნებრივია, ეს მეორეული მოვლენაა. ნიჯურში ეს პროცესი (მიცემითის შეცვლა ერგატივით) დასრულებულია, ხოლო ვართაშნულში – დასრულების სტადიაშია.

III ჯგუფში კი ერთი დეფექტური ზმნა ბუ “ყოლა”, “ქონა” შედის (ეს ზმნა მხოლოდ აწმყოსა და ნამყო-უწყვეტელის დროებს აწარმოებს, ხოლო დანარჩენ პარადიგმას ბაქ-ეს “ყოფა”, “არსებობა” “გახდომა” ზმნის დრო-კილოები ავსებენ). აღნიშნული ზმნა მოითხოვს სუბიექტს ნათესაობით ბრუნვაში (ზმნა ბუ “ყოფნის” მნიშვნელობითაც გამოიყენება, მაგ., ზუ ბუ=ზუ “მე ვარ”. ასეთ შემთხვევაში, ეს ზმნა მოითხოვს სუბიექტს სახელობით ბრუნვაში და შესაბამისად I ჯგუფში შედის).

განსხვავებული ვითარება დასტურდება ნიჯურ დიალექტში. ვართაშნულ კილოში “ქონა”-“ყოლის” აღმნიშვნელი ზმნისათვის (ვართ. ბუ; ნიჯ. გ\* უ) დამახასიათებელი III (პოსესიური, გენეტიური) სერიის პირის ნიშნები შეიცვალა II (მიცემითსუბიექტიანი) სერიის პირის ნიშნებით, ხოლო ვართაშნულში გრძნობა-აღქმის ზმნებთან დადასტურებული დატიური კონსტრუქცია ნიჯურში შეიცვალა ერგატიულით და შესაბამისად verba sentiendi ზმნები I სერიის პირის ნიშნებს დაირთავს. მაშასადამე, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ერთი ზმნის ჩვენებას (გ\* უ “ყოლა”, “ქონა”), შეიძლება ითქვას, რომ ნიჯურში მოხდა პირის აღნიშვნის სისტემათა უნიფიკაცია.

მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ პიროვანი შეთანხმების ზოგადი პრინციპები ერთნაირად არის წარმოდგენილი უდიური ენის ორსავე კილოში. თითქმის ერთნაირია წარმოდგენილი პირის ნიშნებიც. გვხვდება მცირე, ფონეტიკური ხასიათის განსხვავებანი.

უდიურ ენაში დადასტურებული ძირითადი პირის ნიშნები

სერია	I პირი		II პირი		III პირი	
	მხ.	მრ.	მხ.	მრ.	მხ.	მრ.
I (ვართ.)	=ზუ, =ზ	=ძან	=ნუ, =ნ	=ნან	=ნე	=ყუნ
II (ვართ.)	=ზა, =ზახ	=ძა, =ძახ	=ვა, =ვახ	=ვან, =ვახნ	=ტუ, =ტუხ	=ყო, =ყოხ
III (ვართ.)	=ბეზ	=ბემ	=ვი	=ეჩ	=ტაფ, =ტა	=ყო, =ყო
I (ნიჯ.)	=ზუ, =ზ	=ძან	=ნუ, =ნ	=ნან	=ნე, =ე	=თ* უნ
II (ნიჯ.)	ზახ=	ძახ=	ვახ=	ვახნ=	თ* უხ=	თ* უხნ=

სამეცნიერო ლიტერატურაში (ფანჩვიძე 1974, ჯეირანიშვილი 1971 და სხვა) ტრადიციულად მიიჩნეოდა, რომ უდიურ ენაში, სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მსგავსად, პირის ნიშნები აფიქსებს წარმოადგენენ. 90-იანი წლების მიწურულს ა. ჰარისმა ახალი თვალსაზრისი შემოგვთავაზა, რომელიც ვრცლად წარმოგვიდგინა თავის მონოგრაფიაში “Endoclitics and the Origins of Udi Morphosyntax”, Oxford, 2002 (იხ. აგრეთვე ამ ნაშრომის რეცენზიები: შულცე 2002, შულცე 2004, მაისაკი 2003, რაისი 2004; იხ. აგრეთვე: კრისმანი 2000, ლუიში, სპენსერი 2005). ა. ჰარისის მოსაზრების თანახმად, უდიური ენაში პირის ნიშნები კლიტიკების სტატუსით წარმოგვიდგება. გარდა პირის ფორმანტებისა, ზმნის მორფემათაგან ასეთივე კვალიფიკაცია მიეცა *იუსივის (კატეგორიულ კილო ან “ნაწილაკოვან-კავშირებითი I”* ევგ. ჯეირანიშვილის მიხედვით) და *პირობით-ნატვრითი კილოს (“ნაწილაკოვან-კავშირებითი II”* ევგ. ჯეირანიშვილის მიხედვით) =ყა და =გი მანარმოებლებს და ნამყოს =ფ მანარმოებელსაც.

პირის ფორმანტა “მოქმედება” უდიური ენაში მთელ რიგ შემთხვევებში უჩვეულოა აფიქსებისათვის. წინადადებაში პირის ნიშნები ხშირად მეტყველების სხვა ნაწილებს დაერთვის (არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, ნაცვალსახელი,



ზმნიზედა, თანდებული, ნაწილაკი). აღსანიშნავია ისიც, რომ იმ სიტყვათა ლექსიკური მნიშვნელობა, რომელსაც დაერთვის პირის ნიშანი, როგორც წესი, არ განიცდის ცვლილებას. საყურადღებოა, რომ პირის ნიშნები შეიძლება სხვა კლიტიკებს დაერთოს, რაც შეუძლებლად მიიჩნევა აფიქსთათვის<sup>4</sup>.

თუ წინადადებაში შემასმენელი არ იმყოფება ფოკუსში, ასეთ შემთხვევაში პირის ნიშანი დაერთვის არა პრედიკატს, არამედ ფოკუსში მყოფ წინადადების სხვა წევრს<sup>5</sup>. კითხვით

---

<sup>4</sup> ეს შეიძლება იყოს უარყოფის აღმნიშვნელი კლიტიკები თე=, ნუ=, მა=; იუსივისა ან პირობით-ნატვრითი კილოს მაწარმოებელი კლიტიკები ყა= და გი= (ნიჯურში \*გი= > იი=); კლიტიკა =ალ (მნიშვნელობით ქართულ -ც ნაწილაკს უდრის). აღნიშნული კლიტიკები პირის ნიშნებთან ერთად აწარმოებენ ენკლიტიკურ (მაგ., ბალ=თე=ნე “არ გააკეთებს”) პროკლიტიკურ (მაგ., თე=ნე=ბესა “არ აკეთებს”; აღსანიშნავია, რომ ნიჯურში, ვართაშნულისაგან განსხვავებით, “პროკლიტიკური კომპლექსები” მახვილიანია, ხოლო საკუთვრივ ზმნური ფორმები – უმახვილო) და ენდოკლიტიკურ (მაგ., ბა=თე=ნე=ქო “შესაძლოა (ვინცობა) იყოს, გახდეს”) კომპლექსებს. ასეთ კომპლექსებში შეიძლება სამი კლიტიკაც კი იყოს გაერთიანებული, მაგ., მა=ყა=ნ=ბაქე “აუცილებლად არ ვიქნებოდი, გავხვდებოდი”; უ=ალ=თე=ნე=ქ-სა, უ=ალ=თე=ნე=ლ -სა “არ შევჭამ კიდეც, არ დავლევ კიდეც [არც შევჭამ და არც დავლევ]”...

<sup>5</sup> სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა ორი განსხვავებული ჰიპოთეზა ფოკუსში მყოფი წინადადების სხვა წევრის (პრედიკატის გარდა) პირის ნიშნით მარკირების ასახსნელად: ა. ჰარისის ვარაუდით, უდიურისათვის ისტორიულად უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი ე. წ. კლექტის ტიპის წინადადება, ანუ ისეთი რთული წინადადება, რომელშიც მთავარი ნაწილი მთლიანად რემას მიეკუთვნება, ხოლო დამხმარე – თემას, მაგ., ინგ. It is John who speaks “ეს ჯონი ლაპარაკობს [ეს არის ჯონი, რომელიც ლაპარაკობს]”, ან რუს. Что касается меня, то я ухожу... აღსანიშნავია, რომ ასეთი ტიპის კონსტრუქციები ძალზე გავრცელებულია დალესტნურ ენებში.

პირობითად ა. ჰარისის მიერ ნავარაუდები კონსტრუქცია შეგვიძლია ასეთი სახით წარმოვადგინოთ:

ხორავ COP [PROX ხუნწი-მულ-ონ ჰაზირ-ბ-ი]

საჭმელი არის ეს და-PL-ERG საჭმლის მომზადება-LV-PTCP

ეს საჭმელია, რომელიც მოამზადეს დებმა [ზედმიწ. საჭმელია ეს დების (ერგ.) მომზადებული]

წინადადებებში ფოკუსშია, როგორც წესი, კითხვის გამომხატველი სიტყვები (მაგ., ევა=ნ ბესა “რას (=ნ – 2SG) აკეთებ?”); უარყოფით წინადადებებში პირის ნიშანი დაერთვის უარყოფის გამომხატველ სიტყვებს (მაგ., უდინ ალიჩბა ბუ=თე=ნე “უდიური ანბანი არ (=ნე – 3SG) არსებობს”; უკ-ეს თე=ზ=ბაქ-სა “ჭამა არ (=ზ – 1SG) შემძლია”); ამ შესიტყვებებში პრედიკატის მარკირება პირის ნიშნით იქნება გაუმართავი და არასწორი.

წინადადებაში, რომელიც კითხვაზე პასუხს შეიცავს, ფოკუსში მოექცევა ის სიტყვა, რომლებიც უშუალოდ პასუხობს დასმულ კითხვას, მაგ., წინადადებაში “ბავშვმა აიღო ორი ვაშლი” თუ წინასწარ ცნობილია, რომ ვიღაცამ აიღო ორი ვაშლი, მაშინ ფოკუსში მოექცევა სახელი “ბავშვი”, როგორც ნათქვამის მომენტში არაპროგნოზირებადი და ლოგიკურად აუხსნელი. შესაბამისად, პირის ნიშანი (=ნე – 3SG) ამ წინადადებაში დაერთვის არა პრედიკატს (“აიღო”), არამედ სუბიექტს (“ბავშვი”):

აჲელ-ენ=ნე            აყ-ე            პა<sup>ნ</sup> ეშ<sup>ნ</sup>-ნ-უხ

შემდგომში, ა. ჰარისის ვარაუდით, მეშველი ზმნა დაიკარგება, ხოლო რთული წინადადება, რომელიც მთავარი (ეს საჭმელია) და დამხმარე (რომელიც მოამზადეს დებმა) შესიტყვებათაგან შედგებოდა გარდაიქმნა მარტივ წინადადებად. დამხმარე ზმნის დაკარგვის გამო შეიცვალა შეთანხმების კონტროლიორი – ამ ფუნქციით აღიჭურვა არა მეშველი ზმნის სუბიექტი, არამედ მთავარი ზმნის ქვემდებარე (*დებმა*), ხოლო ნაცვალსახელი, რომლითაც ქვეწყობილი წინადადება იწყებოდა, გარდაიქმნა პირის შემათანხმებელ ელემენტად, რომელიც ენკლიტიკურად დაერთვოდა ფოკუსში მყოფი მეშველი ზმნის ყოფილ სუბიექტს, ხოლო შეცვლილ წინადადებაში – დამატებას; მთავარი ზმნა მოგვევლინა არა მიმდებარე, არამედ დრო-კილოიანი ფორმით (ჰარისი 2002: 241–242), იხ. თანამედროვე უდიურისაგან:

ხუნიჩი-მულ-ონ ხორაგ-ახ=ყუნ            ჰზორ-ბ-ესა  
**და**-PL-ERG    **საჭმელი**-DAT=3PL **საჭმლის მომზადება**-LV-PRS  
 დები (ერგ.) ამზადებენ საჭმელს

ვ. შულცეს ვარაუდით კი, საერთო ლეზგიურისათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი ფოკუსის მარკირება სპეციალური ნიშნით (\*-ნი). თავდაპირველად \*-ნი ფორმანტი ყველა პირთან თანაბრად გამოიყენებოდა, ხოლო შემდგომ, I პირში დაიწყო მისი შეცვლა პირის ნაცვალსახელით. II და III პირის ფორმები ჩამოყალიბდა მოგვიანებით, \*-ნი ფორმის ფონეტიკური გავლენით.

ბავშვი–ERG=3SG აღება–PERF ორი ვაშლი–O–DAT  
ბავშვმა აიღო ორი ვაშლი

თუ დაისმის კითხვა, რა აიღო ბავშვმა, ანდა რამდენი ვაშლი აიღო, ჩვენ მივიღებთ, მაგალითად, ასეთ პასუხს:

ჰელ-ენ პა ეშ=ნე აყ-ე  
ბავშვი–ERG ორი ვაშლი=3SG აღება–PERF  
ბავშვმა აიღო ორი ვაშლი

ჩვეულებრივ თხრობით წინადადებაში კი ეს ფრაზა ასეთ სახეს მიიღებს:

ჰელ-ენ პა ეშ-ნ-უხ ა=ნე=ყ-ე  
ბავშვი–ERG ორი ვაშლი–O–DAT აღება=3SG=ST–PERF  
ბავშვმა აიღო ორი ვაშლი

პირის ნიშანი დაერთვის აგრეთვე იმ სიტყვებს, რომლის გამოყოფა მთხრობელის სურვილით ხდება და რომელიც გამონათქვამის ძირითად აზრს გამოხატავს:

ძან სა ქალა აძუ-ე=ძან ბაქსა “ჩვენ ერთ დიდ სოფელში (=ძან – 1PL) ვცხოვრობთ”;

აძჴა ზუ თბილისი-ნ-ა=ზ თაძსა “მე ხვალ თბილისში (=ზ – 1SG) მივდივარ”;

ბა=ნე=ქე, თე=ნე=ბაქე, სა იშუ-ჩუბუხ=ნე ბაქე “იყო და არა იყო რა, იყო ერთი ცოლ-ქმარი (=ნე – 3SG)”...

აქედან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ სინტაქსური ურთიერთობები უშუალოდ მოქმედებს პირის ნიშანთა განაწილებაზე.

ზმნაშიც პირის ნიშანს არ აქვს ჩამოყალიბებული პოზიცია. ერთსა და იმავე ზმნურ ფორმებში, ერთი და იგივე პირის ფორმანტი შეიძლება იმყოფებოდეს სხვადასხვა პოზიციაში: სტატიკურ ზმნებში პირის ნიშანი, როგორც წესი, პოსტფიქსურ პოზიციას იკავებს, მაგ., ბუ=ნე “არის”; არცი=ნე “ზის”; ჩურფი=ნე “დგას”; ბასკი=ნე “წევს”; არცი=თე=ნე “არ ზის”...

გარდამავალ და გარდაუვალ დინამიკურ ზმნებთან პირის ნიშანი გამოიყენება სხვადასხვა ადგილას, მაგ., ბა=ნე=ქსა, ბაქსა=ნე

“არის ხოლმე”, “არსებობს”, “ხდება”, *თე=ნე=ბაქსა* “არ არის ხოლმე...”; *ე=ნე=სა*, *ესა=ნე* “მოდის”, *თე=ნე=ესა* “არ მოდის”; *აშ=ნე=ბ/ესა*, *აშ-ბესა=ნე* “მუშაობს”, *თე=ნე=აშ-ბესა* “არ მუშაობს”...

ზოგჯერ პირის ნიშნის პოზიციის შეცვლით სიტყვის გრამატიკული მნიშვნელობაც იცვლება, მაგ., *ბო=ნე=ხსა* “ხარშავს” – *ბოხ=ნე=სა* “იხარშება”; *ბი=ნე=ხსა* “შობს”, “ბადებს” – *ბიხ=ნე=სა* “იბადება”...

როდესაც პირის ნიშანი ფუძის მომდევნო პოზიციაზე იმყოფება, ის, როგორც წესი, ბოლოკიდურ ელემენტად გვევლინება<sup>6</sup>, თუმცა იშვიათად შეიძლება იმყოფებოდეს ზმნური ფუძის შემდეგ, მაგრამ წინ უსწრებდეს რომელიმე მაწარმოებელს, მაგ., *ბიხ=ნე=სა* “იბადება”, *ბოხ=ნე=სა* “იხარშება”<sup>7</sup>.

ყველა რთული აგებულების ზმნაში პირის ნიშანი შეიძლება ინტერფიქსურ პოზიციაში იმყოფებოდეს: ის ზმნის უცვალეზელ ნაწილსა და მემველ ზმნას შორის იკავებს ადგილს, მაგ., *აშ-ბ-ეს* “მუშაობა” (*აშ* “საქმე” + *ბ-ეს* “კეთება”) – *აშ=ნე=ბ/ესა* “მუშაობს”; *აზარუ-ბაქ-ეს* “ავად გახდომა” (*აზარუ* “ავდემყოფი”, “სწეული” + *ბაქ-ეს* “ყოფა”, “არსებობა”, “გახდომა”) – *აზარუ=ნე=ბაქსა* “ავად ხდება”, “ავადდება”...

---

<sup>6</sup> ზოგიერთ დრო-კილოსთან პირის ნიშნის პოსტფიქსური განლაგება აუცილებელია; ასეთ დრო-კილოთა რიცხვს განეკუთვნება: მყოფადი ძირითადი და მისგან ნაწარმოები მყოფადი აუცილებლობითი, მყოფადი ნაწილაკოვანი, ნამყო-მყოფადი ძირითადი, ნამყო-მყოფადი აუცილებლობითი. ამის გარდა – კონიუნქტივი, ნამყოს კონიუნქტივი და ზრძანებითი კილო (იმპერატივი).

<sup>7</sup> პირის ნიშანთა აღნიშნული განლაგება უდიურ ენაში ეწინააღმდეგება ერთ-ერთ ე.წ. უნივერსალიას. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ შეუძლებელია კლიტიკას მისდევდეს რომელიმე აფიქსი (იხ., მაგ., ცვიკი, პულუმა 1983). უდიურში პირის ნიშნებს კლიტიკებად თუ მივიჩნევთ, რაც, ჩვენი აზრით, საკმაოდ დამაჯერებელია, ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს ფრიად საინტერესო ვითარებასთან: წარმოდგენილ მაგალითებში, პირის ნიშანს მისდევს აწმყოს მაწარმოებელი აფიქსი *-სა* [*-ესა*], რომელიც დიაქრონიულ დონეზე შეიძლება დავეყთ მარტივ-მაწარმოებლიანი მასდარის სუფიქსსა (*-ს* < *-ეს*) და უშუალოდ პრეფენსის მაწარმოებელზე (*-ა*). მოყვანილ ლექსემებში პირის ნიშანს შეიძლება მისდევდეს დრო-კილოთა სხვა მაწარმოებლები, რომელთა კვალიფიკაცია როგორც აფიქსების – ეჭვს არ იწვევს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, პირის ნიშანი მარტივი აგებულების ზმნებშიც გვევლინება ინფიქსურ პოზიციასში. ასეთ შემთხვევაში, იგი ფუძის ბოლო თანხმონის წინ იკავებს ადგილს ანუ ზმნურ ფუძეს ხლეჩს, მაგ., *ბაქ-ეს* “ყოფა”, “არსებობა”, “გახდომა” – *ბა=ნე=ქ-სა* “არის ხოლმე”, “ხდება”; *ბიხ-ეს* “შობა”, “დაბადება” – *ბი=ნე=ხ-სა* “შობს”, “ზადებს”; *უ=ნე=ქ-ესა*, *უ=ნე=ღ-ესა* “ჭამს, სვამს”; შდრ.: *უქ-ეს* “ჭამა”, *უღ-ეს* “სმა”... საფიქრებელია, რომ ზოგიერთ ზმნურ ლექსემაში, პირის ნიშანი დიაქრონიულ დონეზე ნავარაუდები ერთიანი ძირის შიგნითაც კი გვხვდება. ასეთ ლექსემათა რიცხვს განეკუთვნება: *აკ-ეს* “ნახვა”, “დანახვა”, “გამოჩენა”; *აყ-ეს* “აღება”; *ეფ-ეს* “შენახვა”; *ეს-უნ* “მოსვლა”; შდრ.: *ა=ტუ=კ-სა* “ხედავს”, “დაინახავს”, “გამოჩნდება” (=ტუ – 3SG); *ა=ნე=ყ-სა* “იღებს”; *ე=ნე=ფ-ესა* “ინახავს”; *ე=ნე=ს-ა* “მოდის” (უკანასკნელ ზმნურ ფორმას, საფიქრებელია, რომ დაკარგული აქვს ძირისეული თანხმონი **ა** < \***ღ** და მისი ფუძე მარტივ-მაწარმოებლიანი მასდარის სუფიქსის ფორმას ემთხვევა).

მარტივი აგებულების ზმნების უმრავლესობას პირის ნიშნისათვის მოეპოვება ინფიქსური პოზიცია. გამონაკლისია ფორმები *ბ-ეს* “კეთება” და *ფ-ეს* “თქმა”, რომელთა ფუძეც ცალკეული თანხმონისაგან შედგება და კიდევ ორი ზმნა: *ბუ* “ყოფნა”, “ქონა”, “ყოლა” და *ბი[ა]-ეს* “სიკვდილი”.

თუ უდიურ ენაში პირის ნიშნებს კლიტიკებად მივიჩნევთ, ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს უნიკალურ ვითარებასთან: მსოფლიოს შესწავლილ ენათაგან არსად არ არის დამოწმებული *ენდოკლიტიკა*, ანუ ისეთი კლიტიკა, რომელიც ერთიანი სიტყვაფორმისა, ან, მით უფრო, მორფემის შიგნით გვხვდება.

უდიურ ენაში პირის ფორმანტთა ენდოკლიტიკებად ჩამოყალიბების ასახსნელად ა. ჰარისმა წამოაყენა ორი ჰიპოთეზა. პირველის თანახმად, სახელისა და ზმნისაგან შემდგარ შესიტყვებათა შერწყმის შედეგად უდიურში მოხდა პირის ნიშანთა “გარშემორტყმა” (“trapping”). ა. ჰარისის აზრით, ეს პროცესი შემდეგ ეტაპებს მოიცავდა: შემასმენელისა და მის წინ მდგომი პირის ნიშნით მარკირებული დამატებისაგან შემდგარი ფოკუსური კონსტრუქციები განიცდიდა ლექსიკოლოგიზაციას და გვაძლევდა იდიომატური შინაარსის შესიტყვებებს, რომელიც

მორფოლოგიზაციის შედეგად ყალიბდებოდა რთული აგებულების ზმნებად. ამ პროცესის გამო, პირის ნიშნები აღმოჩნდებოდა ერთიანი სიტყვის შიგნით, დამხმარე ზმნასა და ინკორპორირებულ სახელს შორის.

ამ ჰიპოთეზის საფუძველზე ა. ჰარისი ცდილობს მარტივი აგებულების ზმნებში პირის ნიშანთა ინტრამორფემული პოზიციის წარმოქმნის ახსნას. მკვლევრის ვარაუდით, ამ შემთხვევაში პირის ნიშნები კი არ ჩამოყალიბდნენ ამ პოზიციაზე როგორც რთული აგებულების ზმნებში, არამედ თანდათანობით მოხდა მათ მიერ ამ პოზიციის დაკავება. გამომდინარე იქიდან, რომ უდიურ ენაში მეშველი ზმნების უმრავლესობა (*ბ-ეს* “კეთება”; *ფ-ეს* “თქმა”; *დ-ეს* – ცალკე აღებულს არ გააჩნია დამოუკიდებელი ლექსიკური მნიშვნელობა და სხვა) ცალკეული თანხმოვნისაგან შედგება, პოზიცია ფუძის ბოლო თანხმოვნის წინ აღქმულ იქნა როგორც პირის ნიშნის ადგილი. ამის შედეგად, პირის ნიშნებმა ანალოგიით დაიკავეს მარტივი აგებულების ზმნებშიც ინფიქსური პოზიცია.

ა. ჰარისმა წარმოგვიდგინა ალტერნატიული ვარაუდიც, რომლის თანახმად პირის ნიშნებს ყველა პოზიცია მემკვიდრეობით კლასიფიკატორებისაგან ერგოთ: კლასოვანი უღვლილების მოშლის შემდეგ, კლასის ექსპონენტთა ნაწილი დაიკარგა, მაგრამ მათი ადგილი დაიკავეს ახლადწარმოქმნილმა პირის ნიშნებმა.

აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში არ იყო განხილული უდიურ ენაში კლასოვან-პიროვანი უღვლილების ფუნქციონირების შესაძლებლობა. ამ ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს: მარტივი ზმნების უმრავლესობას ფუძეში შეიძლება გამოეყოს გრამატიკული კლას-კატეგორიის გაქვავებული ექსპონენტები (*ბ-*, *ბა-*, *ბე-*, *ბი-*, *ბო-*, *ბოწ-*, *ბუ-*, *ბუწ-*, *დ-*, *დუ-*, *უ-* [*\*ვუ-*], *უწ-* [*\*ვუწ-*]...), რომლის შემდეგაც ფიქსირდება პირის ნიშნების ინფიქსური პოზიცია. წარმოდგენილი კლასოვანი პრეფიქსები ზმნის ძირთან სინქრონულ დონეზე ერთ მორფემას შეადგენენ, თუმცა მათი გამოყოფა მონათესავე ენების მონაცემთა გამოყენებით ხერხდება, მაგ., უდ. *ბაქ-ეს* “ყოფა”, “არსებობა”, “გახდომა”; *ბა=ნე=ქ-სა* “არის”, “არსებობს”, “ხდება”; შდრ.: რუთ. *მ-*

*ქ-ის//რი-ქ-ის//ვი-ქ-ის//დი-ქ-ის* “ყოფნა” [გრამატიკული კლასების მიხედვით]; არრ. *ვი-ქ-ირ//დი-ქ-ირ//ზი-ქ-ირ//ი-ქ-ირ* “ყოფნა”; წახ. *გბ<sup>-</sup>-ად//დი-ბ<sup>-</sup>-ად//ვე-ბ<sup>-</sup>-ად* “ყოფნა”;

უდ. *ბიბ-ეს* “შობა”, “დაბადება”; *ბი=ნე=ბ-სა* “შობს”, “ბადებს”; შდრ.: რუთ. *აფ-ბ-გნ//რუ-ბ-გნ//ვე-ბ-გნ* “შობა”, “დაბადება”; წახ. *უ-ბ-ი//აფ-ბ-ი//ვე-ბ-ი* “id”; შდრ. აგრეთვე: ლეზგ. *ბ-უნ* “id”;

უდ. *ბოკ-ეს* “წვა”; *ბო=ნე=კ-სა* “იწვის”; შდრ.: არრ. *უ-კ-ას//დო-კ-ას//ზო-კ-ას* “წვა”;

უდ. *დუდ-ეს* “რტყმევა”, “დარტყმა”; *დუ=ნე=დ-სა* “ურტყამს”; შდრ.: რუთ. *ფ-ბ-გნ//რფ-ბ-გნ//ვფ-ბ-გნ* “რტყმევა”; თაბ. *უ-ბ-უზ//აფ-ბ-უზ* “დარტყმა”; შდრ. აგრეთვე: ხუნდ. *ვე-ბ-იზე//აფ-ბ-იზე//ბუ-ბ-იზე//რუ-ბ-იზე* “ცემა”...

ექვი გვეპარება, რომ პირის ნიშნებს კლასოვანი უღვლილების მოშლისა და კლასოვანი პრეფიქსისა და ზმნური ძირის (დიაქრონიულ დონეზე – ფუძის) ერთ ფუძედ ჩამოყალიბების შემდეგ დაეკავებინათ ინტრამორფემული პოზიცია. ამასთან ერთად, საყურადღებოა, რომ პირის ნიშნები თავკიდურ პოზიციაში (აბსოლუტურ ანლაუტში) არ გვხვდება, რაც ასევე უარყოფს კლასიფიკატორთა პირის ნიშნებით ჩანაცვლების ჰიპოთეზას. თუ პირის ნიშანი პრეფიქსურ პოზიციაზე იმყოფება, ის, უეჭველად, სხვა რომელიმე მორფემას უნდა მისდევდეს, არადა კლასიფიკატორთა თავკიდური განლაგება ყველაზე გავრცელებულია იბერიულ-კავკასიურ ენებში და, მათ შორის, დადესტნურსა და ლეზგიურ ენებში.

საყურადღებოა, რომ უდიურში პირის ნიშნებით გამოიხატება მხოლოდ სუბიექტის პირი, მაშინ როდესაც პირდაპირი ობიექტის აღნიშვნა უნდა იყოს პირველადი ყველა იბერიულ-კავკასიური ენისათვის [ჩიქობავა 1979; ანდლულაძე 1968].

ამის ახსნა შესაძლებელია, თუ დავუშვებთ, რომ კლასოვანი უღვლილებიდან პიროვან უღვლილებამდე უდიურმა გაიარა კლასოვან-პიროვანი უღვლილებების საფეხური, რომელიც ობიექტის კლასისა და სუბიექტის პირის აღნიშვნას გულისხმობდა (როგორც ეს არის ყველა იბერიულ-კავკასიურ ენაში, სადაც კლასოვან-პიროვანი უღვლილება გვაქვს). გრამატიკული კლას-კატეგორიის

მოშლის შემდეგ ობიექტურ-პიროვანი უღვლილება, განსხვავებით, მაგალითად, ქართველური და ადიღური ენებისაგან, უდიურში არ წარმოიქმნა (საფიქრებელია, რომ გარშემომყოფ არამონათესავე ენათა გავლენის გამო).

ჩვენი აზრით, პირში შემათანხმებელი ელემენტები არ ჩამოყალიბდა ინტრამორფემულ (კლასოვანი პრეფიქსისა და ზმნის ძირის შორის) პოზიციასზე, არამედ თანდათანობით ხდებოდა მათ მიერ ამ პოზიციის დაკავება. ჩვენი ვარაუდით, თავდაპირველად პირის ნიშნები ენკლიტიკურად ერთვოდა ზმნას, ხოლო მათ მიერ ინფიქსური (//ინტერფიქსური) პოზიციის დაკავება გამოწვეული უნდა ყოფილიყო სხვადასხვა სინტაქსური და მორფოლოგიური პროცესებით (კაუზატივისა ან დეკაუზატივის წარმოება; განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის გამოხატვა), რომლის რელიქტები შემონახული უნდა იყოს თანამედროვე უდიურ ენაში. ასე, მაგალითად, ზოგჯერ პირის ნიშნის პოზიციის შეცვლით, როგორც ზემოთ აღინიშნა, სიტყვის გრამატიკული მნიშვნელობაც იცვლება: *ბო=ნე=ხსა* “ხარშავს” – *ბოხ=ნე=სა* “იხარშება”; *ბი=ნე=ხსა* “შობს”, “ზადებს” – *ბიხ=ნე=სა* “იზადება”... ამ შემთხვევაში, პირის ნიშნის პოზიციის შეცვლით ხდება დეკაუზატივის წარმოება.

გამომდინარე იქიდან, რომ ზმნური ძირებისა და მეშველი ზმნების უმრავლესობა უდიურ ენაში ცალკეული თანხმონისაგან შედგება, პოზიცია ფუძის ბოლო თანხმონის წინ (რთულ ზმნებში – მეორე ინგრედიენტის წინ), როგორც ჩანს, აღქმულ იქნა როგორც პირის ნიშნის ადგილი. ამის შედეგად, პირის ნიშნებმა ყველა კომპოზიტურ ზმნაში ანალოგიით დაიკავეს ინტერფიქსური პოზიცია, ხოლო ისეთ მარტივ ზმნებში, როგორებიცაა *აკ-ეს* “ხედვა”, *აყ-ეს* “აღება”, “აყვანა”, “ყიდვა”, *ეს-უნ* “მოსვლა”, *ეფ-ეს* “შენახვა”... – ინფიქსური პოზიცია, შდრ.: *ა=ტუ=კ-სა* “ხედავს”, *ა=ნე=ყ-სა* “იღებს”, “იყვანს”, “ყიდულობს”, *ე=ნე=ს-ა* “მოდის”, *ე=ნე=ფე-სა* “ინახავს” (მოყვანილ ლექსემებში არ გამოიყოფა გაქვავებული კლასოვანი პრეფიქსი).

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი მოსაზრება არ ეწინააღმდეგება სხვა ჰიპოთეზას, მაგალითად, ა. ჰარისის მიერ გამოთქმულ აზრს პირის ნიშანთა “გარშემორტყმის” შესახებ. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ შეუძლებელია დავეთანხმოთ მის მიერ გამოთქმულ გრამატიკული კლას-კატეგორიის ფორმანტა



პოზიციის ჩანაცვლების ჰიპოთეზას. ჩვენი აზრით, ე. წ. *ენდოკლიზისის* (პირის ნიშანთა მიერ ზმნური ფუძეების გახლეჩის) მოვლენა აიხსნება მხოლოდ კლასისა და პირის ფორმანტთა პარალელური ფუნქციონირებით და არა კლასიფიკატორების პირის ნიშნებით ჩანაცვლების პროცესით.

### აღნიშვნები

_ მორფემათა საზღვარი	PERF ნამყო სრული
= კლიტიკთა საზღვარი	PL მრავლობითი რიცხვი
1, 2, 3 პირი	PROX უახლოესი დემონსტრატივი
COP მეშველი ზმნა	PRS აწმყო
DAT მიცემითი ბრუნვა	PTCP მიმდღობა
ERG ერგატივი	SG მხოლოდობითი რიცხვი
LV “დამხმარე” ზმნა (კომპოზიტებში)	ST ზმნური ფუძის “გამოყოფადი” ნაწილი
O ირიბი ფუძე	

### ლიტერატურა:

**ანდლულაძე 1968** – ნ. ანდლულაძე, კლასოვანი და პიროვანი უღვლილებების ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში, თბილისი.

**კრისმანი 2000** – B. Crysmann, On the Placement and Morphology of Udi Subject Agreement, Paper presented at the 7<sup>th</sup> International Conference on Head-Driven Phrase Structure Grammar, Berkeley.

**ლუიში, სპენსერი 2005** – A. Luis & A. Spencer, Udi clitics: A Generalized Paradigm Function Morphology approach, Essex Research Reports in Linguistics.

**მაისაკი 2003** – Майсак Т.А., Рецензия: Harris A., *Endoclitics and the Origins of Udi Morphosyntax*, Кавказоведение, №3.

**რაისი 2004** – Keren Rise, Review of *Endoclitics and the Origins of Udi Morphosyntax*, Linguistic Typology, 8:2.

**ფანჩვიძე 1974** – ვლ. ფანჩვიძე, უდურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი.

**ცვიკი, პულუმა 1983** – Zwicky Arnold M. & Geoffrey K. Pullum, Cliticization vs. inflection: English n't, Language 59.

**ჩიქობავა 1979** – არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი.

**შულცე 2002** – Wolfgang M. Schulze, Review of *Endoclitics and the Origins of Udi Morphosyntax*, LINGUIST List, 13.2994, Nov 18.

**შულცე 2004** – Wolfgang M. Schulze, Review of *Endoclitics and the Origins of Udi Morphosyntax*, *Studies in Language*, 28:2.

**ჯეირანიშვილი 1971** – ევგ. ჯეირანიშვილი, უდიური ენა (გრამატიკა, ქრესტომათია, ლექსიკონი), თბილისი.

**ჰარისი 2002** – Alice C. Harris, *Endoclitics and the Origins of Udi Morphosyntax*, Oxford.

## **TOWARDS THE PERSONAL CONJUGATION SYSTEM IN UDI**

**Roman Lolua**, Arnold Chikobava Institute of Linguistics

### **SUMMARY**

A system of personal conjugation in Udi principally differs not only from those relevant systems of the Iberian-Caucasian languages, in which changing takes place according to a verb person, but from the systems of a personal conjugation of the world's studied languages. The uniqueness of the situation is the fact, that in Udi endoclitics occurs as a formant of a person [Harris 2002].

In the special literature some hypothesis on formation of a personal formant in the form of endoclitics were expressed. The present work discusses the expressed hypothesis and a new viewpoint is represented: we believe, that from class conjugation to personal conjugation (better to say \_ agreement) Udi should have passed a transitive stage in the form of class-personal conjugation. It is expected, that after formation of a personal conjugation, a personal formant occur as an enclitics and it's changing into endoclitics and marking of focus by personal formants should be later processes and we think, that it is caused by different syntactical and morphological processes, the relicts of which are preserved in Udi and their research is represented in the present work.

**ინგლისური ენის პირის ნაცვალსახელთა  
წარმომავლობა**

(პირველი პირის მხოლოდითი რიცხვის ნაცვალსახელის  
საფუძველზე)

წინამდებარე სტატია ეძღვნება ქართველური და ინგლისური ენების გენეტიკური კავშირების კვლევას, რომელმაც განსაკუთრებული აქტუალობა მეცნიერული კვლევის სამ განსხვავებულ სფეროში მიღებული ურთიერთშემავსებელი შედეგების გამო მიიღო: ა) ბრიტანეთის მოსახლეობის ბასკური წარმომავლობა უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა; ბ) ბასკურ-ქართველური ენობრივი ნათესაობის დადასტურება; გ) აღნიშნულის ფონზე, ბერძნულ-რომაულ წყაროებში დაფიქსირებული იბერების ორმხრივი მიმართული მიგრაციიდან, ისტორიულ ფაქტად კავკასიის იბერთა (აღმოსავლეთის იბერები) დასავლეთით მიმართული გადაადგილების აღიარება. მეოთხე დამატებით ფაქტორად ბრიტანეთის კუნძულების ლინგვისტური სურათის შესწავლა უნდა მივიჩნიოთ (მესხი, იბეჭდება), რომლის მიხედვით, ბრიტანეთის კუნძულებზე, ქართველურ ენებს, სულ ცოტა, 4500 წლის მანძილზე დომინანტური მდგომარეობა უნდა ჰქონდათ. მართალია, ამ ხანგრძლივი დროის მანძილზე, მშობლიურ წყაროს მოწყვეტილი ენის „სიწმინდე“ საგრძნობლად „შეილახებოდა“, მაგრამ, მეორე მხრივ, იგივე ტემპორალურ ფაქტორს მისი, როგორც სუბსტრატის ძირითადი ბუნება და ელემენტები მაინც უნდა შემოენახა. მართლაც, როგორც ეს ერთ-ერთ ჩვენს გამოკვლევაში ვაჩვენეთ, ქართველურ და ინგლისურ ენებს შორის არსებული მსგავსებები ყველა დონეზე არსებობს: ფონეტიკურზე, მორფემულზე (გრამატიკული, ლექსიკური) და სინტაქსურზე (მესხი, იბეჭდება).

წარმოდგენილი ნაშრომით ვიწყებთ ცალკეული ენობრივი უბნების შესწავლას და პირველი ასეთი ნაკვეთი ნაცვალსახელთა სისტემა; განვიხილავთ თანამედროვე ინგლისური ენის პირველი პირის მხოლოდითი რიცხვის ნაცვალსახელის (**I – me**) ეტიმოლოგიას – უფრო სწორედ, მის ქართველურ წარმომავლობას. საანალიზო ერთეულების შერჩევა რამდენიმე გარემოებამ განაპირობა. უპირველეს ყოვლისა, ნაცვალსახელები „დახურული სისტემებია“, რაშიც მათი რაოდენობის შეზღუდული, ზღვრული ბუნება და რაოდენობრივი ცვლის (მატებისა თუ კლების) ტენდენციის არარსებობა იგულისხმება. ეს კი, თავის მხრივ, ზოგად ლექსიკასთან შედარებით, ნაცვალსახელების სტაბილობას განაპირობებს.

ნაცვალსახელთა შემდეგი მახასიათებელი მათი სემანტიკის თავისებურებაა, რაც მნიშვნელობის დეიქსურ, ანუ რელაციურ ბუნებაში გამოიხატება. ნაცვალსახელთა მესამე თავისებურება მათი „ხანდაზმული“ ასაკია, ვინაიდან ისინი საზოგადოების ჩამოყალიბების პირველივე ეტაპზე ჩნდებიან, როგორც, ერთი მხრივ, ინდივიდსა და საზოგადოებას და, მეორე მხრე, ინდივიდსა და გარე სამყაროს შორის არსებული მიმართებების არეკვლის „მარეგულირებელი“ საშუალება. შესაბამისად, ნაცვალსახელი ყოველი ენის ძირძველი ლინგვისტური შემოქმედების ნაყოფად მოიაზრება და როგორც ასეთი, იგი ენის ლექსიკის იმ მცირე, ე.წ. ბირთვულ ჯგუფს ეკუთვნის, რომლის სესხება, როგორც წესი, არ ხდება. მიუხედავად ამისა, როგორც ეს ქვევით იქნება ნაჩვენები, ინგლისური (გერმანიკული, ინდოევროპული) ენის პირველი პირის მხოლოდითი რიცხვის ნაცვალსახელები ქართველური ენობრივი სიღრმიდან მომდინარეობენ.

**პირველი პირის ნაცვალსახელი.** თანამედროვე ინგლისურ ენაში პირის ნაცვალსახელებს ორი ბრუნვა აქვთ: ა) სახელობითი, ანუ ნომინატივი; ბ) დამატებითი, ანუ ობიექტური. პირველი პირის მხოლოდითი ნაცვალსახელის ფორმებია **I** (სახელობითი) და **me** (ობიექტური). მაგრამ, ნაცვალსახელებს, და მათ შორის საანალიზო პირველი პირის ნაცვალსახელს, ყოველთვის ასეთი მარტივი მორფოლოგია არ გააჩნდა (Baker 2007: 41-44; Pyles, Algeo 1982: 119; Rasorguyeva 1983: 102-103). ძველ ინგლისურში, პირის ნაცვალსახელებს ოთხი ბრუნვა ჰქონდათ და, სავარაუდოა, რომ

ბრუნვათა რაოდენობა გაცილებით მეტი იყო, რასაც ჩვენებით, კითხვით და მიმართებით ნაცვალსახელებში შემორჩენილი მეხუთე, ინსტრუმენტალური ბრუნვა ადასტურებს (Rasorguyeva 1983: 102-103; Pyles, Algeo 1982: 119). ძველ ინგლისურში, პირის ნაცვალსახელთა სისტემა ოთხ ბრუნვას მოიცავდა: სახელობითი (Nominative), ნათესაობითი (Genitive), მიცემითი (Dative), და ბრალდებითი (Accusative). გააჩნდა სამი რიცხვი: მხოლობითი, ორობითი<sup>8</sup> და მრავლობითი. წინადადებაში, სახელობითი ბრუნვა ქვემდებარის, ბრალდებითი – პირდაპირი დამატების, ნათესაობითი – განსაზღვრების, ხოლო მიცემითი – უბრალო დამატების ფუნქციით გამოდიან. მოვიყვანოთ პირველი პირის ნაცვალსახელის ბრუნვის ფორმები:

### ცხრილი 1

სახელობითი <b>ic</b>	მიცემითი <b>mē</b>
ნათესაობითი <b>Mīn</b>	ბრალდებითი <b>mec, mē</b>

ბრუნვათა ცხრილიდან ირკვევა, რომ პირველი პირის ნაცვალსახელი, ორფუძიანი ერთეულია. ერთი მხრივ, სახელობითში და, მეორე მხრივ, დანარჩენ ბრუნვებში, იგი განსხვავებული ფუძეებით არის წარმოდგენილი. აღნიშნული მოვლენა, რა თქმა უნდა, ყურადღების გარეშე არ დარჩენილა (Skeat 2005: 285): სახელობითი **ic**, რომლის თანხმოვანი ხანდახან **ch** კომბინაციით გადმოიცემოდა (Brook 1964: 125; Baker 2007: 3), ყველა დანარჩენ შემთხვევაში **m**-თანხმოვანფუძიან ბრუნვის ფორმას უპირისპირდებოდა (**m + ē, ī**). სახელობითი ბრუნვის ფორმა **ic** მხოლოდ ინგლისურისთვის არ იყო დამახასიათებელი. იგი *გერმანიკული* ფუძეა: ქვევით მოცემულია სკიტის, ვაილდისა და ელექტრონულ ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში მოცემული სახელობითი ბრუნვის ფორმები:

<sup>8</sup> ორობითი ბრუნვა ჩანს ბერძნულსა და, გარკვეულ წილად, გოთურშიც (Baugh, Cable 2010: 59), ძველ ინგლისურში კი იგი ფაქტობრივად არ გამოიყენებოდა (იქვე).

## ცხრილი 2

	დიალექტები, ენები	Skeat	Wyld	Electronic
1	AS.	<b>ic</b>	OE <b>ic</b> ; ME <b>ich, I</b>	<b>ic</b>
2	O.Fris.	<b>ik</b>		<b>ik</b>
3	O.N.	<b>ek</b>	<b>ek</b>	<b>ek</b>
4	Norw.	<b>eg</b>		<b>eg</b>
5	Dan.	<b>jeg</b>		<b>jeg</b>
6	O.H.G.	<b>ih</b>	<b>ih</b> Mod. Germ. <b>ich</b>	<b>ih</b> Mod. Germ. <b>ich</b>
7	Ger.	<b>ich</b>		
8	Goth.	<b>ik</b>	<b>ik</b>	<b>ik</b>
9	Old Prussian		<b>es</b>	
10	P. Gmc.	<b>*ekan</b>		<b>*ekan</b>
11	PIE	<b>*eg</b>	<b>*eg, *egh</b>	<b>*eg</b>
12	Hitt.	<b>uk</b>		
13	Skt.	<b>aham</b>	<b>aham</b>	<b>aham</b>
14	Gk.	<b>ἑγώ, ἑγών</b>		<b>ego</b>
15	L.	<b>ego</b>	<b>egō</b>	<b>ego</b>
16	Russ.	<b>ia</b>		<b>ja</b>
17	Lith.	<b>asz</b>		<b>aš</b>

მოყვანილ გერმანიკულ ფორმებში ნათლად იკვეთება როგორც ხმოვნის, ისე თანხმოვნის ფლაქტუაცია.<sup>9</sup> ფაქტობრივად ფიქსირებულ ფორმებში (სულ 8)<sup>10</sup> გამოყენებულია სამი ხმოვანია გამოყენებული: **i** (5 გამოყენება), **e** (2 გამოყენება) და ერთი ნახევარხმოვანი **j**. **i** ხმოვნის მკვეთრად გამოკვეთილი სიჭარბე მის არქეტიპულ სტატუსზე მიუთითებს, თუმცა, თუ აღდგენილ პროტო-ფორმებს მივიღებთ მხედველობაში (PIE *\*eg*, P.Gmc. *\*ekan*), არქეტიპად არც **e** ხმოვნის გამორიცხვა იქნება სწორი. მიუხედავად ამისა, ვინაიდან წარმოდგენილი კვლევისთვის წამყვანი *დაფიქ-*

<sup>9</sup> განსხვავებული ფუძის გამო, ძველპრუსიული ფორმა ცალკეა განხილული (გვ. 8).

<sup>10</sup> ჰიპოთეტურობის გამო, აღდგენილი ფორმები ცთომილების დიდ პოტენციას შეიცავენ, რის გამოც ისინი მხედველობაში არ მიიღება.

სირებული და არა აღდგენილი ფორმებია, უფრო სავარაუდო ეტიმონად **i** ბგერას მივიჩნევთ.

თანხმოვნების თვალსაზრისით, აღნიშნულ **8** გერმანიკულ ფორმაში **4** ბგერაა გამოყენებული: **c** (1), **k** (3), **g** (2), **h** (1). უფრო მეტიც, ერთ, გერმანიკულ ფორმაში, ორივე **ch** (1) თანხმოვანი ერთ კომბინაციაშია (**ich**) მოცემული. თანხმოვნის ასეთი ფლაქტუაცია რთული არქექტიპული ბგერის არსებობაზე მიუთითებს, რომლის თვისებებს, მიახლოებით, თვით თანხმოვნები გვკარნახობენ. კერძოდ, სამი თანხმოვანი **c** (1), **k** (3), **g** (2), რომელთა საერთო რაოდენობა **8**-დან **6**-ია, ველარული (უკანა სასისმიერი) ბგერებია, რაც არქექტიპული ბგერის ველარულ ბუნებაზე მიუთითებს. მიუხედავად ამისა, როგორც ყველა ბგერას, საძიებელ ფონემას *სხვა* დისტინქციური თვისება ან თვისებებიც უნდა ჰქონოდა, რაზეც თანხმოვანი **h** მიუთითებს. ეს თვისება ფშვინვა, ანუ ასპირაცია უნდა ყოფილიყო. სხვაგვარად, გერმანიკულ ენებში დაფიქსირებული პირველი პირის ნაცვალსახელის ვარიანტები თვითონ მოხაზავენ არქექტიპული თანხმოვნის ფორმულას, ანუ მისი დისტინქციური თვისებების კრებულს: **ველარობა + ასპირაცია**. საინტერესოა, რომ პოტენციური არქექტიპის მიღებული ფორმულა პირდაპირ არის დაფიქსირებული ერთ-ერთ გერმანიკულ ვარიანტში **ich**.

აღნიშნული არქექტიპული ბგერის მოდელი ქართული ველარული **ქ** თანხმოვნის, დაშლილი მოდელია, ვინაიდან ეს უკანასკნელი სწორედ აღნიშნული დისტინქციური თვისებების ერთობაა: **ველარობა + ფშვინვა**, ანუ **ასპირაცია**. ქართველური თანხოვანფონემის რეკონსტრუქცია რეალურად არსებული ფორმების საფუძველზე ბევრის მთქმელია, ვინაიდან ზევით აღწერილი ისტორიული, გენეტიკური, ლინგვისტური და კულტუროლოგიური ფაქტორების ჩარჩოში ჯდება. ეს კი კვლევას ქართველური და ინგლისური ნაცვალსახელების სიტემების შედარებისკენ წარმართავს.

**ნაცვალსახელთა სისტემა ქართველურში**. ქართველური ნაცვალსახელების მიკროსისტემის ანალიზმა ფრიად საინტერესო ფაქტი გამოავლინა; კერძოდ, იგლისური ენის პირველი პირის ნაცვალსახელების ფორმები ქართველური ენების (ქართული, მეგრული, სვანური) მიკროსისტემიდან **ამოკრეფილი ფორმების**

**ერთობლიობაა.** აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნული ფორმები ერთი რომელიმე ჯგუფის წევრები კი არ არიან, არამედ **ნაცვალსახელთა სრულიად განსხვავებული ჯგუფების წევრებს წარმოადგენენ.** ყველაზე ინტესიურად მეგრული ჩვენებითი ნაცვალსახელის კლასია გამოყენებული. მეგრულში გვაქვს ჩვენებითი ნაცვალსახელბის სრული და შეკვეცილი ფორმები: **თენა = ეს, ენა = ეს და თინა = ის, ინა = ის** (ყიფშიძე 1994: 045/97). მათი ბრუნვის ფორმებია:

**ცხრილი 3**

ჩვენებითი ნაცვალსახელები მეგრულში თენა/ენა = ეს; თინა/ინა = ის

ბრუნვა	სრული ფორმები		შეკვეცილი ფორმები		სრული ფორმები		შეკვეცილი ფორმები	
	თენა	ენა	თენა	ენა	თინა	ინა	თინა	ინა
სახ.	თენა	ენა	თენა	ენა	თინა	ინა	თინა	ინა
მოთხ.	თენა-ქ	ენა-ქ	თე-ქ	ექ	თინა-ქ	ინა-ქ	თი-ქ	ი-ქ
ნათ.	თენა-ში, -შ	ენა-ში, -შ	თე-ში, -შ	ე-ში, -შ	თინა-ში, -შ	ინა-ში, -შ	თი-ში, -შ	ი-ში, -შ
ო	თენა-შე	ენა-შე	თე-შე	ე-შე	თინა-შე	ინა-შე	თი-შე	ი-შე
ტ	თენა-თი, -თ	ენა-თი, -თ	თე-თი, -თ	ე-თი, -თ	თინა-თი, -თ	ინა-თი, -თ	თი-თი, -თ	ი-თი, -თ
დ.=ჰ.I	თენა-სა	ენა-შა	თე-შა	ე-შა	თინა-შე	ინა-შე	თი-შა	ი-შა
დ.=ჰ.II	თენა-შო, -შოთ	ენა-შო, -შოთ	თე-შო, -შოთ	ე-შო, -შოთ	თინა-შო, -შოთ	ინა-შო, -შოთ	თი-შო, -შოთ	ი-შო, -შოთ
დ.=ჰ.III	თენა-თ	ენა-თ	თე-თ	ე-თ	თინა-თ	ინა-თ	თი-თ	ი-თ
დ.კ.	თენა-ს	ენა-ს	თე-ს	ე-ს	თინა-ს	ინა-ს	თი-ს	ი-ს

(ყიფშიძე, გვ. 045/97)

მოყვანილი ცხრილიდან, ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, ჩვენებითი ნაცვალსახელების შეკვეცილი ფორმები – **ე-ქ, ი-ქ = ამან, იმან**, სადაც მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი -ქ სუფიქსით არის წარმოდგენილი. გამოვლენილი მეგრული ფორმები ძველი ინგლისური (ასევე, გერმანიკული) პირველი



პირის ნაცვალსახელის სახელობითი ბრუნვის იდენტურია.  
შეადარეთ:

ცხრილი 4

	დიალექტები, ენები	Skeat, Wyld, Electronic	ქართველური
1	AS.	<b>ic</b> ; ME <b>ich</b> , I	იქ (იმან)
2	O.Fris.	<b>ik</b>	იქ (იმან)
3	O.N.	<b>ek</b>	ექ (ამან)
4	Norw.	<b>eg</b>	
5	Dan.	<b>jeg</b>	
6	O.H.G.	<b>ih</b> ; Mod. Germ. <b>ich</b>	იქ (იმან)
7	Ger.	<b>ich</b>	იქ (იმან)
8	Goth.	<b>ik</b>	იქ (ამან)
9	Old Prussian	<b>es</b>	
10	P. Gmc.	<b>*ekan</b>	
11	PIE	<b>*eg</b> ; <b>*egh</b>	
12	Hitt.	<b>uk</b>	
13	Skt.	<b>aham</b>	
14	Gk.	<b>ἔγω</b> , <b>ἔγῶν</b> ; <b>ego</b>	
15	L.	<b>ego</b>	
16	Russ.	<b>ia</b> ; <b>ja</b>	
17	Lith.	<b>asz</b> ; <b>aš</b>	

ნათელია, რომ მეგრული ჩვენებითი ნაცვალსახელების **თენა/ენა** და **თინა/ინა**-ს მოთხრობითი ბრუნვის ფორმები ინგლისური და გერმანიკული ენების პირველი პირის მხოლოდითი რიცხვის ნაცვალსახელის წყაროს წარმოადგენენ. შეიძლება დაიბადოს კითხვა სესხების უკუშებრუნებული მიმართულების შესახებ, ანუ, რომ მეგრული ჩვენებითი ნაცვალსახელის

მოთხრობითი ბრუნვის ფორმები გერმანიკულ ნასესხობებს წარმოადგენენ. აღნიშნული შეხედულება მთელ რიგ ენობრივ და ლოგიკურ წინააღმდეგობებს აწყდება. სისტემის ბუნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია, გერმანიკული პირის ნაცვალსახელის სახელობით ბრუნვას ერთ-ერთი ქართველური ენის განსხვავებული პირის ნაცვალსახელის (ჩვენებითი) ისეთი ირიბი (მოთხრობით) ბრუნვა მოეცა, რომელიც ქართველური სისტემის განუყოფელ ფონეტიკურ, მორფოლოგიურ და სემანტიკურ ნაწილს წარმოადგენს. მეორე, ნაცვალსახელის აღნიშნული ფორმები რომ მეგრულს ესესხა, ამ ხალხების თანაცხოვრების ფაქტები უნდა გაგვაჩნდეს, რაც არ არსებობს. მესამე, ზევით მოცემული ლინგვო-კულტუროლოგიური ჩარჩო სრულიად გამორიცხავს სესხების ამგვარ მიმართულებას, მაშინ, როდესაც საკვლევი ერთეულების ქართველურიდან (მეგრულიდან) გერმანიკულში გადასვლა დასტურდება როგორც ენობრივი, ისე კულტუროლოგიური და გენეტიკური მონაცემებით. მაშასადამე, დავასკვნით, რომ ძველ ინგლისურსა და გერმანიკულ ენებში დაფიქსირებული პირველი პირის ნაცვალსახელის სახელობითი ბრუნვა ნასესხებია მეგრული ჩვენებითი ნაცვალსახელების ერგატიული ბრუნვიდან.

ამასთან დაკავშირებით, იბადება სავსებით სამართლიანი შეკითხვა, იმის თაობაზე, თუ რამდენად შესაძლებელია, ნაცვალსახელთა ჯგუფების ამგვარი აღრევა შესაძლებელი. სხვაგვარად, როგორ შეეძლო ჩვენებით ნაცვალსახელებს პირის ნაცვალსახელების წარმოქმნა. აქ უნდა გავიხეინოთ, რომ მეგრული ჩვენებითი ნაცვალსახელები, როგორც შეკვეცილი, ისე სრული ფორმები, პირის ნაცვალსახელებადაც გამოიყენებიან (ყიფშიძე 1994: 042/94). ეს ის **ორმაგი ფუნქციური დატვირთვაა**, რომელმაც გერმანიკულ და მათ შორის ინგლისურ ენაში დაფიქსირებული პირველი პირის ნაცვალსახელის მხოლოდ ფორმად აღქმა და სესხება გამოიწვია. ქართველური არქტიპები (**ექ, იქ**) ხსნიან გერმანიკული პირის ნაცვალსახელებში დაფიქსირებულ განსხვავებულ თანხმოვნებსაც **c, k, h** და განსხვავებულ ხმოვნებსაც – როგორც **i-ს**, ისე **e-ს** (შდრ: **ე-ქ, ი-ქ**). შესაბამისად: **ქ > c : ქ > k : ქ > h : ქ > ch : ე > e : ი > i**.

ჩატარებულმა ანალიზმა პასუხი გასცა იმ გერმანიკული ფორმების არქტიკულ წარმომავლობას, რომლებიც თანხმოდნებად **c**, **k**-სა და **h**-ს შეიცავენ. მიუხედავად იმისა, რომ მეგრული ჩვენებითი/პირის ნაცვალსახელების ფორმები **g** თანხმოდნიან ფორმებსაც ადვილად ხსნიან **ქ – ზ** ბგერათა ურთიერთგადასვლის გამო, მიგვაჩნია, რომ ასეთი დიდი რაოდენობის თანხმოდნების გადმოღება, განსხვავებულ ლინგვისტურ ისტორიას იმალავს. ამ პრობლემის გადაწყვეტაში, ქართული ჩვენებითი ნაცვალსახელების მიკრო-სისტემა გვეხმარება. ა. შანიძის *ძველი ქართული ენის გრამატიკაში* (თბილისი 1976: 46) მოცემულია ჩვენებითი ნაცვალსახელების ბრუნება, რომელიც ქვევით მოგვყავს:

**ცხრილი 5**

ქართული ჩვენებითი ნაცვალსახელების ბრუნება

სახელობითი	მხოლოებითი			მრავლობითი		
	ესე	ეგე	იგი	ესენ-ი	ეგენ-ი	იგინ-ი
მოთხრობითი	ამა-ნ	მაგა-ნ	მა-ნ	ამა-თ	მაგა-თ	მა-თ
მიცემითი	ამა-ს	მაგა-ს	მა-ს	„	„	„
ნათესაობითი	ამ-ის	მაგ-ის	მ-ის	„	„	„
მიმართებითი	ამ-ისა	მაგ-ისა	მ-ისა	ამა-თა	მაგა-თა	მა-თა
მოქმედებითი	ამ-ით	მაგ-ით	მ-ით	-	-	-
ვითარებითი	ამა-დ	მაგ-ად	მ-ად	-	-	-

მხოლოებითი რიცხვის ქართული ჩვენებითი ნაცვალსახელები **ეგე** და **იგი** ფაქტობრივად იმეორებენ ნორვეგიულ (**eg**) და დანიურ (**jeg**) ფორმებს. შესაბამისად, აღნიშნული ქართული ჩვენებითი ნაცვალსახელები, რომლებიც, მეგრულის მსგავსად, მესამე პირის ნაცვალსახელებსაც წარმოადგენენ, ნორვეგიული და დანიური (სკანდინავიური) ფორმების არქტიკუპებია. მეტიც, თუ ქართული ჩვენებითი/პირის

ნაცვალსახელების მრავლობით ფორმას დავაკვირდებით, აღმოჩნდება, რომ თვით პროტო-გერმანიკული აღდგენილი **\*ekan** ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვის სახელობითი ფორმიდან – **ეგენი** – მომდინარეობს, ი კი ბრუნვის ნიშანია. შესაბამისად, სავარაუდო პროტო-გერმანიკული წყარო ქართული ნაცვალსახელოვანი ფორმაა. თვით პროტო-ინდოევროპული რეკონსტრუირებული ფორმაც კი – **\*eg** ხმოვანმოკვეცილი ქართული ჩვენებითი/მესამე პირის ნაცვალსახელის მხოლოდითი რიცხვის სახელობითი ბრუნვის ფორმაა **ეგ / ეგე**; შდრ: ქართ. **ეგ > \*eg** პროტო-ინდოევროპული. სხვაგვარად, აქამდე რეკონსტრუირებულ ფორმებად მოჩნეული პროტო-გერმანიკული და პროტო-ინდოევროპული ფორმები (**\*ekan, \*eg**) რეალურად ფუნქციონირებადი ქართული ერთეულებია. საინტერესოა, აქვე აღვნიშნოთ ს. ვაილდთან დაფიქსირებული მეორე პროტო-ინდოევროპული ფორმა **\*egh**, რომელშიც ნათლად გამოსჭვივის გერმანიკული **ich** ფორმის პარალელური ფორმაცია (**\*egh = ich**), სადაც ბოლოკიდური **h** მეგრული ჩვენებითი/პირის ნაცვალსახელის მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის **-ქ (ექ, იქ)** ასპირაციული ბუნების გამოძახილია. ჩატარებული კვლევა საშუალებას გვაძლევს, რეკონსტრუქციის ნიშანი მოვუშალოთ ინდოევროპულ ერთეულებს: **\*ekan > ekan, \*eg > eg**. პაწაწინა ფიფქის მოშლა უდიდესი ლინგვისტური და კულტუროლოგიური ფაქტის ტოლფასია, ვინაიდან ჰიპოთეტური დედა ენის განსხვავებულ ეტაპებად მიჩნეული პროტო-გერმანიკული და პროტო-ინდოევროპული, შესაძლოა, ერთი ქართველურის განსხვავებულ შრეებს წარმოადგენდნენ.

გამოვლენილი ქართველური აქტივების სისწორეს ბერძნულსა და ლათინურში დაფიქსირებული ფორმებიც გვიდასტურებენ: ლათინური **ego** და ბერძნული **ἐγώ**, პროტო-ინდოევროპულის მსგავსად, ქართული **ეგე**-დან იღებენ სათავეს, მაშინ, როდესაც იგივე ბერძნული **ἐγώ**, პროტო-გერმანიკულის მსგავსად, თავის ეტიმონად **ეგენ(ი)**-ს ასახელებს: **ეგე > ego : ეგე > ἐγώ : ეგენ(ი) > ἐγώ**.

გერმანიკული, და უფრო ფართოდ, ინდო-ევროპული პირველი პირის სახელობითი ბრუნვის ნაცვალსახელის ქართველურიდან სესხებას კიდევ ერთი ფაქტი ადასტურებს. ესაა

ვაილდის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში დაფიქსირებული ძველპრუსიული ფორმა **es**, რომელიც იგივე ქართული ჩვენებითი ნაცვალსახელების (**ეგე, იგი**) ერთ-ერთი, კერძოდ, ახლოს მდებარე საგნების აღმნიშვნელი ფორმაა – **ესე**. ნათქვამის გათვალისწინებით მესამე ცხრილი შემდეგნაირად შეივსება:

ცხრილი 6

	დიალექტები, ენები	Skeat, Wyld, Electronic	ქართველური
1	AS.	<b>ic; ME ich, I</b>	იქ (იმან)
2	O.Fris.	<b>ik</b>	იქ (იმან)
3	O.N.	<b>ek</b>	ექ (ამან)
4	Norw.	<b>eg</b>	ეგე
5	Dan.	<b>jeg</b>	ეგე
6	O.H.G.	<b>ih; Mod. Germ. ich</b>	იქ (იმან)
7	Ger.	<b>ich</b>	იქ (იმან)
8	Goth.	<b>ik</b>	იქ (ამან)
9	Old Prussian	<b>es</b>	ესე
10	P. Gmc.	<b>*ekan</b>	ეგენ(ი)
11	PIE	<b>*eg; *egh</b>	ეგე
12	Hitt.	<b>uk</b>	
13	Skt.	<b>aham</b>	
14	Gk.	<b>ἐγώ, ἐγών; ego</b>	ეგე, ეგენ(ი)
15	L.	<b>ego</b>	ეგე
16	Russ.	<b>ia; ja</b>	
17	Lith.	<b>asz; aš</b>	

ანალიზის ამ ეტაპზე, შესაძლებელია მიღებული შედეგების რაოდენობრივი და თვისებრივი მახასიათებლების გამოთვლა. წარმოდგენილი 17 ერთეულიდან 13 ქართველური არქექტიპებიდან არის ნაწარმოები, რაც მთელი კორპუსის 76 % შეადგენს. დარჩენილი 4 ერთეული (ხეთური, სანსკრიტი, რუსული, ლიტვური) საერთო რაოდენობის მხოლოდ 23%. მიღებული რაოდენობრივი ინდექსები თვისებრივ მახასიათებელსაც შიცავენ, რაც დარჩენილი ნაცვალსახელების ანალოგიურ ეტიმოლოგიას გვაპარაუდებინებს. აქ უპირველეს ყოვლისა უნდა აღნიშნოს,

ლიტვური **asz**, **aš** და ხეთური **uk**. პირველი (ლიტვური **asz**; **aš**) ძველპრუსიული **es**, ანუ ქართველური **ესე**-დან ნაწარმოები ნაცვალსახელი უნდა იყოს, მეორე კი (ხეთური **uk**) – მეგრული ფორმებიდან (**ეჟ/იჟ**) უნდა იღებდეს სათავეს. თუ მათ აღდგენილ ფორმებად შევიტანთ ცხრილში, ქართველური არქეტიპების პროცენტული რაოდენობა – თითქმის 90%-მდე (88,2%) გაიზრდება.

კვლევის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ინგლისურმა და საერთოდ, გერმანიკულმა ენებმა პირის ნაცვალსახელის სახელობითი ბრუნვის ფორმა ქართველური ნაცვალსახელოვანი სისტემიდან შეითვისეს (ქართული და მეგრული). ქართველურში მათი არქეტიპები ჩვენებითი ნაცვალსახელობია, რომლებიც მესამე პირის ნაცვალსახელების ფუნქციასაც ასრულებენ. მეტიც, ქართველური ნაცვალსახელების არქეტიპული დიაპაზონი გაცილებით უფრო მასშტაბური აღმოჩნდა, როგორც ვერტიკალურ (დიაქრონიული), ისე ჰორიზონტალურ (გეოგრაფიული) განზომილებებში. ქართველური მასალა პროტო-გერმანიკულის და თვით პროტო-ინდოევროპულის ფორმების არქეტიპედაც გვევლინება, რაც მომავალ კვლევაში ანალოგიური შედეგების მიღებისას, საერთოდ გააუქმებს ორივე პროტო-ენის ცნებას და მათ მოქმედი ქართველური ენების სისტემით ჩაანაცვლებს. გეოგრაფიული თვალსაზრისით, ქართველური სრულად მოიცავს ევროპას ბრიტანეთის კუნძულებითა და სკანდინავიით (გერმანიკული ენები, ლათინური, ბერძნული, ლიტვური) და ახლო აღმოსავლეთს (ხეთები). აქვე მოვიყვან პ. ს. ბეიკერის ციტატას მიღებული შედეგების დამატებითი მტკიცებულების სახით:

The languages spoken by the inhabitants of Germania were a branch of the Indo-European family of languages, which linguists believe developed from a single language spoken some five thousand years ago in an area that has never been identified – perhaps, same say, **the Caucasus**. From this ancient language come most of the language groups of present-day Europe and some important languages of South Asia: the **Celtic** languages (such as Irish, Welsh and Scottish Gaelic), the **Italic** languages (such as French, Italian, Spanish and Romanian, descended from dialects of Latin), the **Germanic** languages, the **Slavic**

languages (such as Russian and Polish), the **Baltic** languages (Lithuanian and Latvian), the **Indo-Iranian** languages (such as Persian and Hindi), and individual languages that do not belong to these groups: Albanian, **Greek** and Armenian. The biblical **Hittites** spoke an Indo-European language, or a language closely related to the Indo-European family, and a number of other extinct languages (some of them poorly attested) were probably or certainly Indo-European: Phrygian, Lycian, Thracian, Illyrian, Macedonian, Tocharian and others” (Baker 2007: 3; ხაზგასმა ჩვენია, ა. მ.).

**პირველი პირის ნაცვალსახელის განვითარება საშუალო ინგლისურში** მისი ფორმის (**ic, ich**) შეკვეცით აღიბეჭდა. მე-12 საუკუნის შუახანებისთვის მას ჩამოშორდა თანხმოვანი და დარჩა ერთად-ერთი ხმოვანი **i**, ხოლო მე-13 საუკუნის შუახანებისთვის ორთოგრაფიის შეცვლასთან ერთად (დიდი ასოს გამოყენება), ასონიშანს მეტი მკაფიოება მიენიჭა, რითიც სხვა ნიშნებთან მისი აღრევის შესაძლებლობა საგრძნობლად შემცირდა.

ორთოგრაფიული ცვლილებების პარალელურად, ფონეტიკური ცვლილებებიც მიმდინარეობდა. ეს, განსაკუთრებით, ე.წ. „ხმოვანთა გადაწევა“ (The Great Vowel Shift) ეხება, რომელიც მე-14 საუკუნიდან მე-18 საუკუნემდე გრძელდებოდა და ინგლისური ენის გრძელი მონოფთონგების კარდინალური ცვლა გამოიწვია; კერძოდ, მოხდა მათი დავიწროვება ანუ დიფთონგიზაცია (Pyles, Algeo 1982: 173). ამ პროცესში, ღია მარცვალში ცალკე მდგომმა **i**-მ დიფთონგიზაცია განიცადა. აღნიშნული ცვლილება ყველა გრძელ მახვილიან ხმოვანს შეეხო და, ფაქტობრივად, მთელი ენის გამოთქმის მოდელი შეცვალა. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ აღნიშნული ძვრები ლინგვისტური გარემოსგან დამოუკიდებლად მიმდინარეობდნენ. ამიტომ, მეცნიერები მას დამოუკიდებელ ცვლილებათა ჯგუფს მიაკუთვნებენ. მონოფთონგური ცვლილებები სამ ხმოვანს შეეხო, ხოლო დიფთონგური ოთხს (Rastorguyeva p. 201):

ცხრილი 7

მონოფთონგური ცვლილებები			დიფთონგური ცვლილებები			
<b>ē &gt; ī</b>	<b>ε: &gt; ē &gt; ī</b>	<b>ō &gt; ū</b>	<b>ī &gt; ai</b>	<b>ā &gt; ei</b>	<b>ō &gt; ou</b>	<b>ū &gt; au</b>

ჩვენთვის საინტერესო ცვლილების **ī > ai** მაგალითებია: time /ti:ma > taim/, findan /fi:ndan > faind/, I /i: > ai/ და ა.შ.

საშუალო და ახალი ინგლისური ენის საწყის ეტაპზე ფუნდამენტური ცვლილება გრამატიკულმა სისტემამაც განიცადა. სახელადი მეტყველების ნაწილებში ეს პროცესი ბრუნვის კატეგორიის ნგრევაში გამოიხატა. არსებითი სახელის ბრუნვების რაოდენობა ორამდე შემცირდა, ვინაიდან მიცემითისა და ბრალდებითის ბრუნვები ერთმანეთს ჯერ დაემთხვა, შემდეგ კი შეერწყა, ნათესაობითი და სახელობითი კი დარჩა. არსებით სახელთან მჭიდროდ დაკავშირებული ნაცვალსახელის ბრუნვის სისტემაც კარდინალურად გამარტივდა, თუმცა, ამ უკანასკნელ შემთხვევაში, პროცესებს უფრო მეტი დრო დასჭირდა და გეოგრაფიულადაც უფრო დიდ მასშტაბებს მოიცავდა. საბოლოოდ, ახალი ინგლისურის დამდეგამდე, პირის ნაცვალსახელებს მხოლოდ ორი ბრუნვა შერჩათ: სახელობითი **I** და ობიექტური **me**.<sup>11</sup> პირველი პირის ნაცვალსახელმა ბრუნვა არ შეიცვალა და არც რომელიმე სხვა ბრუნვას შეერწყა (მაგალითად მიცემითი ბრუნვის მსგავსად). იგი დარჩა სახელადი ბრუნვის ფორმად და მიუხედავად დიდი ცვლილებებისა, მაინც თავისი განსაკუთრებული და ობიექტური ბრუნვისგან საგრძნობლად განსხვავებული ბგერითი აგებულება შეინარჩუნა. სხვაგვარად, ორფუძიანობა, რაც პირის ნაცვალსახელებს ძველ ინლისურში ახასიათებდათ და ქართველური ნაცვალსახელების ანალოგიური თვისების გამოძახილია, იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მან ყველა ცვლილებას გაუძლო, რომელიც კი საშუალო და ახალ ინგლისურში განიცადა.

<sup>11</sup> ნათესაობითი ბრუნვის ნაცვალსახელები ცალკე კუთვნილებით ნაცვალსახელთა ჯგუფში გაერთიანდნენ.



ამრიგად, ძველი ინგლისური ენის პირველი პირის ნაცვალსახელის ფორმები არეულად, ყოველგვარი სისტემის გარეშე არიან ნასესხები. ამის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, ბრიტანეთში, ქართველური სუბსტრატის ხანგრძლივი არსებობაა (დაახლოებით 5000-4500 წელი; მესხი, იბუქდება). მშობლიურ წყაროს მოწყვეტილ, დამოუკიდებელი განვითარების პირობებში აღმოჩენილ ქართველურს, ახალმოშენებთან თუ დამპყრობლებთან ყოველი შეჯახებისას, ცვლილებათა ახალ-ახალ ტალღასთან უწყვედა გამკლავება. თუ თანაცხოვრებისა და ზეპირი ურთიერთობის პირობებსაც გავითვალისწინებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ პირის ნაცვალსახელის სესხებაში ინგლისურს დიდი შეცდომა არ დაუშვია, ვინაიდან ნასესხები ერთეული, ფაქტობრივად, იმავე ენობრივ მიკრო-სისტემაში (ნაცვალსახელი) დატოვა.

განხილული პირის ნაცვალსახელის ქართველური და არაგერმანიკული წარმომავლობა, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, ვინაიდან, როგორც ითქვა, ნაცვალსახელები ძირძველ, ავტოქთონურ ლექსიკას მიეკუთვნებიან. ეს გარემოება ქართველურის სუბსტრატულ სტატუსს მყარ ფენად წარმოადგენს. მეტიც, ჩვენებითი თუ მესამე პირის ნაცვალსახელების არქეტიპული სტატუსი მათი სესხების მექანიზმად მხოლოდ ზეპირმეტყველებას უშვებს, რაც ქართველთა და გერმანიკულ ტომთა ხანგრძლივ თანაცხოვრებაზე მიუთითებს. ამ თანაცხოვრების შედეგად ახალმოსულებმა დამხვდურებისგან ბევრი რამ შეითვისეს – როგორც წმინდა ენობრივი მასალა, ისე ადათ-წესებიც, რომლებიც, მოგვიანებით, გერმანიკული მითოლოგიის მასაზრდოებელ წყაროდ იქცნენ (*სიგურთის ციკლი*, მესხი 2001).

წარმოდგენილ კვლევას დამაჯერებლობას მატებს ის ფაქტიც, რომ ანალოგიური ფენომენი – ქართველურ ნაცვალსახელთა სესხება – ქართველური და ეგვიპტური ენობრივი მასალის ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზის დროსაც გამოვლინდა. ეგვიპტურმა ენამ ქართველური ნაცვალსახელების მიკრო-სისტემა თითქმის მთლიანად „წაიღო“ და საკუთარი ღვთაებრივი თუ სამეფო ონომასტიკა აწარმოა (მესხი 2011: 365-388). მკვდარი ეგვიპტური ცივილიზაციის, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, გერმანიკული ენების მიერ, ქართველურიდან ერთნაირი

ენობრივი მასალის სესხება, ქართველურ სუბსტრატს აფრიკის ჩრდილოეთი სანაპიროდან ევროპის ჩრდილოეთამდე მოხაზავს (ბერძენიშვილი, ჯავახიშვილი, ჯანაშია 1942: 16; გაბაშვილი 2001: 19-21). წარმოდგენილი კვლევის შედეგები ავსებს და აკონკრეტებს უახლესი გენეტიკური გამოკვლევების შედეგად მიღებულ დასკვნებს, და ევროპასა და ბრიტანეთის კუნძულებზე ქართველთა კულტურტრეგერულ წარსულს აცოცხლებს.

### **ლიტერატურა:**

1. გაბაშვილი რ., 2001. *კავკასიური რასის წვლილი მსოფლიო ცივილიზაციაში*, ქართულ და ინგლისურ ენებზე, ქართული ტექსტი მოამზადა, ინგლისურად თარგმნა და გამოსცა ა. მესხმა, გულანი, თბილისი.
2. მესხი ა., 2011. *ქართველურ-შუმერულ-ეგვიპტური ლინგვოკულტუროლოგია, მწიგნობარი*, თბილისი.
3. მესხი ა., *ინგლისური ენის სწავლების ახალი მიზნები*, საქართველოს უნივერსიტეტის III ყოველწლიური კონფერენცია ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, იბეჭდება.
4. მესხი ა., 2001. *სკანდინავიური მითოლოგია და მისი ქართველური პარალელები, კავკასიის მაცნე*, #4, თბილისი.
5. შანიძე ა., *ძველი ქართული ენის გრამატიკა*, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
6. ყიფშიძე ი., 1994. *რჩეული თხზულებანი*, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
7. Baker S. P., 2007. *Introduction to Old English*, Blackwell Publishing, USA, UK, Australia.
8. Brook G.L. 1964. *A History of the English Language*, The Norton Library, New York.
9. Pyles Th., Algeo J., 1982. *The Origins and Development of the English Language*, Harcourt Brace Jovanovich, Publishers, San Diego, New York, Chicago, Washington, Atlanta, London, Sydney, Toronto.
10. Rastorguyeva T. A., 1983. *A History of English*, Vysshaja škola, Moscow.
11. Skeat W. W., 2005. *Etymological Dictionary of the English Language*, Dover Publications, Inc., Mineola, New York.

12. Wyld H. C., *The Universal English Dictionary, Routledge & Kegan Paul Limited, Toppan Company, Limited*, Tokyo, Japan.
13. Бердзенишвили Н., Джавахишвили И., Джанашия С., 1946. *История Грузии*, Государственное Издательство Грузинской ССР, Тбилиси.
14. Смирницкий А.И., 1955. *Древнеанглийский язык, Литература на иностранных языках*, Москва.
15. [http://www.etymonline.com/index.php?l=i&allowed\\_in\\_frame=0](http://www.etymonline.com/index.php?l=i&allowed_in_frame=0)  
(გამოიყენება რეგულარულად)

## **THE KARTVELIAN ORIGIN OF ENGLISH PERSONAL PRONOUNS**

(Based on the analysis of the first person, singular)

**Anna Meskhi**, Gori Teaching University

### **RESUME**

The paper investigates genetic relations between Kartvelian and English (Germanic) languages. The problem assumes particular significance in view of recent research findings in genetics and Kartvelology. The first (genetics) asserts the Basque origin of the overwhelming majority of the British population from the Neolithic around 6,000 BC (B. Sykes) or even earlier (St. Oppenheimer), while the second (Kartvelology) recognizes Basque-Kartvelian genetic ties and includes Basque into the Family of Kartvelian languages (I. Broun, M. Kurdiani). The two factors allow two significant inferences: a) the recognition of east-west migration of Iberian (Kartvelian) people to the Iberian Peninsula recorded in classical works, and b) a possible, at least 4,500 year-long presence of Kartvelian languages on the British Isles before the Roman conquest.

Being cut off from its natural source, the Kartvelian languages underwent tremendous changes. Nevertheless, they managed to preserve their basic non-IE features often identified as evidence for a completely different substrate of English. Indeed, Old English displays a number of Kartvelian features on all language levels (A. Meskhi). The statement is true even of such closed systems as pronouns. The center piece of present article – the English personal pronoun of the first person, singular **I** (OE **ic**, **ich**) originates from the shortened Ergative forms of the Kartvelian (Megrelian)

demonstrative pronoun **ech** – **ich** (*this* – *that*, respectively). Its Germanic cognates such as O. Frisian **ik**, ON **ek**, O.H.G. **ih**, Germ. **ich**, and Goth. **ik** share the same archetype. Even the forms with **g** (Norw. **eg**, Dan. **jeg**, Gr. **ego**, Lat. **ego**) derive from the same Kartvelian source: the demonstrative pronoun **ege** (Nominative, singular) meaning *this*. Similarly, the Proto-Germanic **\*ekan** and Proto-Indo-European **\*eg**, **\*egh** also stem from the Kartvelian **ege** (sing.) and its plural form **egen(i)**. Compare: **egen(i)** > **\*ekan**, **ege** > **eg**, **egh**. Another Kartvelian etymon **es** (synonym of **ege this**) is found in Old Prussian **es**. The Kartvelian origin of the above mentioned IE personal pronouns suggests Kartvelian archetypes for the Hittite **uk** and Lithuanian **\*asz**; **as̥**, compare: Kartvelian **ech/ich** > **uk**, and Kartvelian **ese** > **\*asz**; **as̥**). The seeming contradiction (demonstrative vs. personal) between Kartvelian archetypes and their English and other IE derivatives is easily accounted for by a *double function* of the former – to act as demonstrative and personal pronouns.

The described picture of pronoun development looks more like *inheritance from the substrate* than borrowing in the traditional sense of the word, and implies an oral way of vocabulary transmission. The Kartvelian origin of English and other IE personal pronouns is a fact of great significance as they belong to the autochthonic vocabulary of the language, and as such suggest a long period of non-interrupted shared subsistence of Kartvels with the British and other IE peoples.

ალექსანდრე მღებრიშვილი  
გორის სასწავლო უნივერსიტეტი

ქართულ-დაღესტნურ ლინგვისტურ ურთიერთობათა  
ისტორიიდან

(იბერიულ-კავკასიური ენების დაღესტნური  
ქვეჯგუფის ლაკურ-დარგულ ენათა მკვლევარი  
პროფ. გენადი ბურჭულაძე)

კავკასიოლოგი და ენათმეცნიერი, პროფ. გენადი ბურჭულაძე ცნობილი გახლდათ, როგორც დაღესტნურ ენათა ჯგუფის მნიშვნელოვანი სეგმენტის - ლაკურის დაუღალავი და ნაყოფიერი მკვლევარი.

ლაკური ჩვენი დაღესტნელი მოძმე ხალხების ერთ-ერთი საინტერესო ენაა, რომლის გამოკვლევას გ. ბურჭულაძემ ოთხ ათწლეულზე მეტი შეაღია. შედეგები მეტად სოლიდური გახლდათ - ასამდე გამოქვეყნებული შრომა ქართულ და უცხოურ ენებზე. მათ შორის შრომათა ციკლი: „იბერიულ-კავკასიურ ენათა საერთო ლექსიკიდან“, „ლინგვისტური პარადოქსები ლაკურ ენაში“ და მრ. სხვ.

გ. ბურჭულაძე მკითხველისათვის ცნობილი გახლდათ არა მარტო, როგორც იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების თვალსაჩინო მკვლევარი, არამედ ამ კვლევათა შედეგების პოპულიზატორიც. ამ თვალსაზრისით ცნობილია მისი რადიოგადაცემების ციკლი იბერიულ-კავკასიური ენების შესახებ, რომლებსაც ვისმენდით მწერალ თ. ხმალაძესთან ერთად და ამ რადიოგადაცემების მოსმენისას მოწმენი ვხდებოდით ამ ენათა ერთობ საინტერესო ისტორიისა.

პროფ. გ. ბურჭულაძე დაღესტნურ და ქართულ ენებზე მოუბარ ხალხებს შორის გადებული ცოცხალი ხიდი გახლდათ, რის საფუძველსაც ქმნიდნენ ბატონი გენადის მასწავლებლები: აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა და ვარლამ თოფურია.

სადღეისოდ, ვფიქრობთ მნიშვნელოვანია პროფ. გენადი ბურჭულაძის ისეთი საგულისხმო ნაშრომის მკითხველისთვის წარმოდგენა, როგორც გახლავთ „პირის დაბოლოებათა წარმომავლობა ლაკურში“. იგი ავტორის სიცოცხლეში მის მიერ სამეცნიერო სარბიელზე გადადგმულ კიდევე ერთი უაღრესად შედეგიან ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს. პროფ. გენადი ბურჭულაძე საკმაოდ ცნობილი ფიგურაა ქართულ ენათმეცნიერებაში და მკითხველის წინაშე საგანგებო წარდგენას არ საჭიროებს. ჩვენც მხოლოდ რამდენიმე სიტყვით დავსძენთ, რომ მეცნიერის ნაშრომები ძირითადად ეხება იბერიულ-კავკასიური ენების დაღესტნური ქვეჯგუფის ლაკურ-დარგული და ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა წრის ფონეტიკის, მორფოლოგიისა და ლექსიკის საკითხებს. საგანგებოდ იკვლევდა იგი იბერიულ-კავკასიურ ენათა საერთო ლექსიკასაც.

ამას გარდა, გ. ბურჭულაძემ 50-ზე მეტი ნაშრომი მიუძღვნა ქართული ენის მორფოლოგიისა და სინტაქსის საკითხებს, ქართული ენის დიალექტიკურ ლექსიკას. მისი ნაშრომები ქვეყნდებოდა, როგორც რესპუბლიკურ ჟურნალებში (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მომამბესა“ და „მაცნეში“, „იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში „ქართულ ენასა და ლიტერატურაში“ და ა. შ.), ასევე საკავშირო გამოცემათა ფურცლებზე („ვოპროსი იაზიკოზნანია“, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული“). გ. ბურჭულაძის ნაშრომი ლაკური ენის ბრუნების საკითხთა შესახებ, 1971 წელს გამოქვეყნდა გერმანიის ქალაქ იენის უნივერსიტეტის შრომებში, ხოლო გამოკვლევა „ლაკური ენა“ (თანავტორი ინგლისელი ენათმეცნიერი ს. კრიპსი) მზადდებოდა „კავკასიის ადგილობრივ ენებში“ (ოთხტომეული) დასაბეჭდად. კრებულის გამოცემა ნავარაუდევია გახლდათ ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ კლივლენდის უნივერსიტეტში.

საგულისხმოა ერთი გარემოებაც, ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში წლების მანძილზე მოღვაწეობისას დაღესტნურ ენათა ჯგუფის დარგულ ენას იკვლევდა პროფ. შ.

გაფრინდაშვილი, დაღესტნის დიდოურ ენათა ჯგუფის დიდოურ ენას პროფ. ი. მეგრელიძე და ლაკურს პროფ. გ. ბურჭულაძე. ამდენად, იმ პერიოდის ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ფაქტობრივად წარმოადგენდა მთის იბერიულ-კავკასიური ენების დაღესტნურ ენათა საენათმეცნიერო კვლევის კერას. ასე იყო გ. ბურჭულაძის სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე, დაღესტნურ ენათა კვლევა კვლავაც გრძელდებოდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პროფესორი გ. ბურჭულაძე ჩვენს უნივერსიტეტში უძღვებოდა სპეცკურსს “შესავალი ქართველურ ენათა საერთო ლექსიკაში”, რომელშიც ფაქტობრივ იბერიულ-კავკასიურ ენათა საერთო ლექსიკებზეა საუბარი. ამ კურსს ჩვენც ვისმენდით 1994-1995 წლებში.

ჩვენ თავის დროზე, როცა გვსურდა ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა კვლევის შესახებ მასალა მოგვეძიებინა, მივმართეთ პროფესორ გ. ბურჭულაძეს, მან სათანადო წყაროების მითითების გარდა, გადმოგვცა იმ განაცხადის ტექსტი, რომლითაც ჯერ კიდევ ცხინვალში პროფ. გ. ბურჭულაძე მიმართავდა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგეს პროფ. შ. ქურდაძეს, შემოღებულყო ზემოთ ხსენებული სპეცკურსი. მოვიყვანთ ამონარიდს განცხადების ტექსტიდან, რომელიც, ვფიქრობთ, საყურადღებოა.

„ყოველი ცივილიზებული ერისათვის ფრიად საპატიო მისიაა, იძიოს და იცოდეს საკუთარი ხალხის წარმომავლობა, ისტორია. ამას კი სხვა მომიჯნავე მეცნიერებათა გვერდით ემსახურება ენათმეცნიერებაც. აქ ხდება მიება საერთო ლექსიკური მარაგისა, მათი ურთიერთმიმართებისა... ჩართულია სათანადო მასალის ეტიმოლოგიური კვლევაც.

მიება ქართული ენისა კავშირისა ახლო მონათესავე ენებთან (მგრულ-ჭანურთან, სვანურთან) და უფრო შორეულთანაც, მყარ მეცნიერულ საფუძველზე ნ. მარმა დააყენა. შემდეგ ეს მუშაობა წარმატებით წარმართეს დიდმა ივანე ჯავახიშვილმა და ბოლოს არნ. ჩიქობავამ და მისმა საენათმეცნიერო სკოლამ.

ქართველურ ენათა ლექსიკის კვლევის შედეგები მრავალ შტუდიებშია გაზნეული, ამიტომაც ამ საკითხებით დაინტერესე-

ბული სტუდენტი ახალგაზრდობისათვის (და არა მარტო მათთვის, ზოგჯერ სპეციალისტათათვისაც კი) მათი მიგნება არც თუ ადვილია. მით უფრო თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ თვალსაზრისით ქართველურ ენათა კვლევისას ჩართულია სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა სათანადო მასალაც, ზოგჯერ სხვა ენათა ოჯახისაც. გასაგებია, რომ ისეთი მასალის გათავისება სტუდენტათვის დამოუკიდებლად ძალზე ძნელია.

აგერ უკვე ათი წელია ვიკვლევთ ამ საკითხებს. საკავშირო და რესპუბლიკურ სამეცნიერო ჟურნალებში გამოვაქვეყნეთ წერილების სერია საერთო სათაურით „იბერიულ—კავკასიურ ენათა საერთო ლექსიკიდან.“ გასაგებია, გარკვეული გამოცდილება დაგვიგროვდა, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ხასიათისა, ამიტომაც ვფიქრობთ, კარგი იქნება თუ ჩვენს ინსტიტუტში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე შემოვიღებდით სპეცურსს „შესავალი ქართველურ ენათა საერთო ლექსიკაში“. იმასაც დავსძენთ, რომ ანალოგიური კურსი ჯერ-ჯერობით რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ჩვენში სხვა პედაგოგიურ ინსტიტუტში არ იკითხება. არადა საჭიროა, განსაკუთრებით პედაგოგიურ ინსტიტუტში, რათა ჩვენთან აღზრდილმა სტუდენტებმა, მომავალმა მასწავლებლებმა შეძლონ, მეცნიერულად აუხსნან და დაუსაბუთონ სკოლაში თავიანთ მოსწავლეებს, თუ რატომაა, რომ მეგრულ-ჭანიცა და სვანიც ისეთივე ქართველია, როგორც ჩვენ. ჩვენ ხომ ყველანი ქართველები ვართ ეროვნებით, მიაწოდონ ელემენტარული ცნობები იმის შესახებაც, თუ ვინ ვიყავით, ვინ გვენათესავება და რატომ. ამაზე ხომ ყველაზე უკეთ ენა გაგვეცემს პასუხს, ენის ლექსიკური შედგენილობა („არსებობს უფრო ცოცხალი მოწმე ხალხებისა ვინემ ძვლები, იარაღი და საფლავები, ეს მათი ენაა“- ი. გრიმი). ამით კი ხელი შეეწყობა ჩვენი მომავალი თაობის თვითდამკვიდრებას.

ერთი სიტყვით, ამ კურსის წაკითხვა, ვფიქრობთ, სასურველია. თუ კათედრა ჩათვლის მიზანშეწონილად ამ კურსის შემოღებას უკვე მომავალი სასწავლო წლიდან და მოგვანდობს ჩვენ მის გამდლოლას, გამოწვლილივით გეგმა-კონსპექტს კათედრას დროულად წარმოვუდგენთ”.

ბუნებრივია, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრამ მიზანშეწონილად მიიჩნია პროფ. გ. ბურჭულაძის



უაღრესად საინტერესო, ერთგვარად ნოვატორული ხასიათის წინადადება და ახლად შემოღებული სპეცკურსის გაძლიერება მასვე დაევალა იმავე 1989 წლის პირველი სემესტრიდან.

აღსანიშნავია, რომ ამ კურსს უფრო გავრცობილი სახით პროფ. გ. ბურჭულაძე მოგვიანებით უკითხავდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის მსმენელებსაც. დავუბრუნდეთ კვლავ პროფ. გ. ბურჭულაძის მონოგრაფიული ხასიათის შრომას „პირის დაბოლოებათა წარმომავლობა ლაკურში“. იგი ავტორის მიერ უწინ გამოცემული შრომების: ა) „ბრუნვათა შედგენილობისა და არსებით სახელთა ბრუნების პროცესების ძირითადი საკითხები ლაკურ ენაში“, ბ) „ლაკური ზმნა“, გ) „ზმნური სიტყვაწარმოება ლაკურ ენაში“ მეოთხე დამაგვირგვინებელი ნაწილია, რომლის სამზეოზე გამოსვლითაც დასრულდა ჩამოთვლილი ოთხივე შრომის ერთობლიობაში ჰარმონიზაციის პროცესი.

წარმოდგენილი მონოგრაფია გვესახება დასკვნით ანალიტიკურ ძიებად იმ ფუძემდებრივი საენათმეცნიერო პარადიგმებისა, რომელთა სათავეში დგანან ეროვნული ენათმეცნიერების ისეთი კორიფენი, როგორებიც გახლდათ პროფ. არნ. ჩიქობავა, პროფ. ვ. თოფურია, პროფ. ს. ჯანაშია და სხვა. ნათქვამის საილუსტრაციოდ პროფ. გ. ბურჭულაძეს გვსურს დავესესხოთ:

„1933 წელს არნ. ჩიქობავამ ჩვენს უნივერსიტეტში დააარსა კავკასიურ ენათა კათედრა (მაშინ კავკასიურ და აღმოსავლურ ენათა კათედრად წოდებული), რომლის მიზანი, გარდა სათანადო სამეცნიერო კადრების აღზრდისა, მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლაც იყო. ბუნებრივია, რომ ლაკური ენა გახლდათ ერთ-ერთი საუნივერსიტეტო კურსი ახალდაარსებული მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილებისა... ეს კურსი ებარა ვ. თოფურიას, მანვე შეადგინა და ლითოგრაფიულად გამოსცა 1939 წლის პირველი პროგრამა ლაკური ენისა. ლაკური ენის კურსი, კავკასიურ ენათა განყოფილების გარდა იკითხებოდა ქართველურ ენათა განყოფილებაზეც.

ბუნებრივია, რომ ვ. თოფურია, პირველმა ქართველ ენათმეცნიერთაგან, დამუშავა რიგი კარდინალური საკითხი ლაკური ენის ფონეტიკა-მორფოლოგიისა. ასე რომ, ზემოთ აღნიშნულ მონოგრაფიათა ციკლის შექმნა გარკვეულ წილად, ვ. თოფურიას მიერ გაკვალული გზის ერთგვარ გაგრძელებად გვესახება".

ავტორის ვრცელი ინტელექტუალური ჰორიზონტი, მის მიერ ჩამოყალიბებული ლოგიკური ვარაუდები მოიცავს მრავალ ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორც გახლავთ ლაკური ენის ზმნის დრო- კილოთა სისტემის ძირითადი საკითხები, პირისა და რიცხვის გამოხატვის საშუალებანი ზმნაში, ზმნის კილოები, დრო-კილოთა საწარმოებელი ფუძე, გრამატიკული კლასის, რიცხვისა და ასპექტის გამოხატვის საშუალებანი ზმნაში, გარდამავლობა-გარდაუვლობის გარჩევა და მრ. სხვა. ყოველივე ეს კი შემდეგნაირად იწყებოდა:

1985 წლის 10 ოქტომბერს, მაშინ უფროსმა მეცნიერთანამშრომელმა გენადი ბურჭულაძემ, თხოვნით მიმართა მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილების გამგეს პროფ. არნოლდ ჩიქობავას, ჩაესვათ საგამომცემლო (მოსამზადებელ) გეგმაში მისი ნაშრომი „ლაკური ზმნა“, რაზედაც, ბუნებრივია, რეაქცია დადებითი გახლდათ. ფაქტობრივად ეროვნული ენათმეცნიერების მეტრის შუამდგომლობამ ჩაუყარა საფუძველი პროფ. გენადი ბურჭულაძის აწ უკვე დასრულებული ნაშრომის თანდათანობით მზის სინათლეზე გამოსვლას. არადა, პროფ. არნ. ჩიქობავას შუამდგომლობა, რომელიც 1985 წლის მიწურულითაა დათარიღებული, ერთ-ერთი უკანასკნელი გახლდათ დიდი ენათმეცნიერისათვის...

და ბოლოს, კვლავ ყურადღება გვსურს გავამახვილოთ ოთხ წიგნად ჩაფიქრებული მონოგრაფიის ბოლო მონაკვეთზე - „პირის დაბოლოებათა წარმომავლობა ლაკურში“. იგი განკუთვნილია იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების სპეციალისტთათვის, აგრეთვე სამსახურს გაუწევს და გამოადგება ზოგადი ენათმეცნიერების სპეციალისტებსაც. ნაშრომის რედაქტორი გახლავთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვ. თოფურია, ხოლო რეცენზენტებად წარმოდგენილნი არიან: ფილოლოგიის

მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ო. კახაძე და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ტ. სიხარულიძე.

ნაშრომის საოცრად დახვეწილი ენობრივი ქსოვილის მიღმა აშკარად საგრძნობია, რომ ავტორის ღრმა მეცნიერული მენტალიტეტი ქმნის ადებული საკითხის კვლევის თვალსაზრისით დასრულებულ შთაბეჭდილებას.

მონოგრაფიაში „პირის დაბოლოებათა წარმომავლობა ლაკურში“ პროფ. გ. ბურჭულაძე მიუთითებს: „1993 წელს დაისტამბა „ზმნური სიტყვაწარმოება ლაკურში“, რომელიც 1987 წ. დაბეჭდილი წიგნის – „ლაკური ზმნის (დრო-კილოთა სისტემა)“ – უშუალო გაგრძელებას წარმოადგენდა. ამ წიგნის „შესავალში“ ვწერდით: ვვარაუდობდით, წარმოგვედგინა „პირის დაბოლოებათა წარმომავლობა ლაკურში“, ოღონდ, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ეს ვერ მოხერხდა. დაინტერესებული მას მოკლე სახით იპოვის ჩვენსავე გამოკვლევაში „პიროვანი უღვლილების ჩამოყალიბების საკითხი ლაკურში“. (იკეწ, VI, თბილისი, 1979, გვ. 223–240).

წინამდებარე წიგნი ავსებს ამ ხარვეზს – იგი რიგით მეოთხე მონოგრაფიული სახის გამოკვლევაა ქართულ ენაზე, ლაკურში გრამატიკის საკვანძო საკითხებს რომ ეხება. ლაკური კი ასეთ საგანგებო ყურადღებას სამართლიანად იმსახურებს, რადგან „...თავისი ბუნებით იგი მთის იბერიულ–კავკასიურ ენათა შორის უნიკალურია“.

#### **ლიტერატურა:**

1. გ. ბურჭულაძე, დიდ წინაპართა ნაკვალევზე, თბ., 2005;
2. გ. ბურჭულაძე, შეიცან თავი შენი, თბ., 2003;
3. გ. ბურჭულაძე, პირის დაბოლოებათა წარმომავლობა ლაკურში, თბ., 2002;
4. გ. ბურჭულაძე, ზმნური სიტყვაწარმოება ლაკურ ენაში, თბ., 1986;
5. გ. ბურჭულაძე, ლაკური ზმნა, თბ., 1987;
6. გ. ბურჭულაძე, ბრუნვათა შედგენილობისა და არსებით სახელთა ბრუნვის პროცესების ძირითადი საკითხები ლაკურ ენაში, თბ., 1986;

7. გ. ბურჭულაძე, პიროვანი უღვლილების საკითხი ლაკურში, იკეწ, VI, თბ., 1979.

**FROM THE GEORGIAN-DAGESTANIAN LINGUAL  
RELATIONS HISTORY  
(THE LAK-DARGIN LANGUAGES RESEARCHER  
PROFESSOR GENADI BURCHULADZE)  
Aleksandre Mgebrishvili, Gori Teaching University  
RESUMÉ**

The caucasiologist and linguist professor Genadi Burchuladze was a famous scientist for his tireless and efficient researches in the Lak language which forms its own branch within the family of the Nakh-Dagestanian languages. It is an interesting Northeast Caucasian language of the Lak brotherly people from Dagestan. The language research required more than four decades of tireless work that conditioned later massy and considerable outcomes including approximately one hundred of issued scientific works (in Georgian and other foreign languages either) among which some take pretty significant places; they are the works cycle from “Common Lexics of the Iberian-Caucasian Languages”, “Lingual Paradoxes in the Lak Language”, etc.

G. Burchuladze got famous for his readership not only as an Iberian-Caucasian languages researcher but also as a man of science popularizing various research results. In this regard his radio broadcasts about the Iberian-Caucasian languages are worth to remark. In company with writer T. Khmaladze, he permanently delivered colloquies on the radio which always attracted much public interest.

Professor G. Burchuladze used to be regarded as a live bridge between the Georgian and the Dagestanian language speaking peoples. The fundamental of such attitude had been largely created by his tutors: academician Arnold Chikobava and Varlam Topuria.

## ნიკოლოზ ოთინაშვილი გორის სასწავლო უნივერსიტეტი

### ქსნის ხეობის სტატისტიკური აღწერის ზოგიერთი მორფოლოგიური თავისებურება

ხეობის სტატისტიკური აღწერა მოხდა ორჯერ 1774-81 წლებში. ძეგლი მოთავსებულია ივ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილ „საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლების“ პირველ ტომში (გამოსაცემად მომზადდა ივ. ჯავახიშვილის სახ. კაბინეტში დარეჯან მეგრელაძისა და ნათელა ჯავახიშვილის მიერ 1967 წ.).

აღნიშნული დოკუმენტები საინტერესო მასალას გვაწვდის ზემო ქართლის, ძირითადად კი ქსნის, ლეხურის, მეჯუდის, ისროლისხევის იმდროინდელი ონომასტიკის, ანთროპონიმის, დიალექტოლოგიის, მთელი რიგი ელემენტების შესახებ. აქ კარგად ჩანს გეოგრაფიული ნომენკლატურის ცვალებადობა, მოსახლეობის მიგრაცია, ცოცხალი მეტყველების თავისებურებანი.

მიცემითი ბრუნვა ერთ-ერთი ძველია ქართულში. მისი ფუნქციები დროთა განმავლობაში განსხვავებულია. ზემოხსენებული სტატისტიკის მიხედვით მიცემითი ბრუნვა გაუვრცობელია, გვხვდება ბრუნვის -ს ნიშნით და აღნიშნავს გეოგრაფიულ სახელს, რაც ადგილის გარემოება და გამოხატავს მიმართულებას. მაგალითად: შველიეთ-ს, ხოზოეთ-ს, ახალდაბა-ს, თობთა-ს, გავაზ-ს, კვერიათ-ს, ჭორჭობ-ს, ხარბალ-ს და სხვა.

გვხვდება თანდებულიანი მიცემითი ადგილის გარემოებად: მოჭალიათ-ში ქსნის ერისთავის ყმა ამავე მოურავის სახელო. საქორეთ-ში ქსნის ერისთავის ყმა, ამავე მოურავის სახელო. ილურთ კარ-ში ქსნის ერისთავის ყმა და სხვა.

რაც შეეხება ანთროპონიმებს ძეგლის მიხედვით სხვადასხვანაირი წარმოება დასტურდება. გვართა დასახლებები ზემოხსენებული მიცემითი ბრუნვის პარალელურად გვხვდება - ანთ მაწარმოებლებით, რაც გახაზავს როგორც ადგილს ისე კუთვნილებას. მაგალითად, ქარჩობის ხეობაში ჩიტაშვილებით დასახლებული სოფელი დავთარში ჩაწერილია, როგორც ჩიტანთ

კარი, პავლიაშვილებით დასახლებული - პავლიანთ კარი, თინიკაშვილებით დასახლებული - თინიკაანთი, მიდელაანთ კარში - მიდელაშვილები, მარტიანთ კარში - მარტიაშვილები და სხვა.

ეს კრებითი საგვარეულო სახელება, რომელსაც სიმონ ჯანაშია „შტოგვარებს“ უწოდებს და გეოგრაფიულ სახელებად იქცნენ (ს. ჯანაშია, 1959, გვ. 216).

დავთარში ასევე გავრცელებულია -ან სუფიქსიანი წარმოება, რომლითაც ბევრი ქართული ტომი სარგებლობდა. სიმონ ჯანაშია აღნიშნავდა, რომ ზოგჯერ თვისების და წარმოშობის, წარმომავლობის ნიშანთა გარჩევა ჭირს, ან პირველი მეორის შედეგია, ამიტომ ესევე სუფიქსი წარმოშობასა და წარმომავლობას აღნიშნავს. ამ მნიშვნელობის წარმომავლობას ხელს უწყობდა მისი პატრონომისტიკური ფუნქცია, როდესაც კრებითობის ფორმატი ამავე დროს რეალურად საერთო წარმოშობაზეც მიუთითებდა (ს. ჯანაშია, 1959, გვ. 38).

-ან სუფიქსის წარმოშობის შესახებ აკ. შანიძე აღნიშნავს, რომ -ა ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებს დაერთო -იან სუფიქსი, ი ელემენტი დასუსტდა და დაიკარგა. უნდა გვეხსოვოდნენ თამაზიანი, მაგრამ გვაქვს თამაზაანი (აკ. შანიძე, 1980, გვ. 194). მაგალითად ისროლის ხევში დავთრის მიხედვით სახლობდნენ გინტური გიორგი, ჟამურელი იოსები, ციცაგი სიხარული. დღევანდელ წარმოება იმეორებს წინაპრების სახელებს და ასეთია: გიორგაანი, იოსებაანი, სიხარულაანი.

ქსნის ხეობის ჭურთის ხევში (ქსნის მარჯვენა შენაკადი) სახლობენ ილურიძე ბაცაცი, ოქროპირი, ალხაზი, რომელთა დღევანდელი შტოგვარებია: ბაცაცაანი, ოქროპირიანი, ალხაზაანი. მაშინდელ სოფელ ახალდაბის, დღევანდელ სოფელ ბალაანის - ბალაშვილების შტოგვარებია, მათედან - მათაანი, ფოცხვერადან - ფოცხვერაანი, თამაზადან - თამაზაანი, აბრამადან - აბრამაანი.

საერთოდ ისტორიულად -ძე სუფიქსიანი გვარები წინ უსწრებს -შილ სუფიქსიან გვარებს. ჩანს, რომ -ძე სუფიქსიანი წარმოება პირველი საფეხურია გვარ-სახელის წარმოშობის გზაზე. -შილი ფორმიანიც იგივეს გამოხატავდა ისტორიულად რასაც -ძე აღნიშნავდა. შეიძლება ითქვას, რომ ამგვარ წარმოებას საფუძვლად დაედო მსაზღვრელ-საზღვრულის ერთ ლექსიკურ ერთეულად

ქცევა. ამ გზით წარმოშობილმა გვარ-სახელებმა ზოგიერთ შემთხვევაში შეინარჩუნეს ძველი ნიშანი, რაც ძველ ქართულში ნათესაობითი ბრუნვის ფორმით იყო წარმოდგენილი.

ამ ტიპის გვარ-სახელები გავრცელებულია ზემო ქართლის ხეობებში, რაც ზემოხსენებული ძეგლის გარდა, უფრო ადრე ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატთანე „ძეგლი ერისთავთაში“ გვხვდება, მაგალითად: ბანდაისძე, გრიგოლისძე, ფხუნელაისძე და სხვები. გვხვდება ასევე „1715 წლის რუის საეპისკოპოსოს დავთარში“ და სხვა ძეგლებში. ეს ფაქტები მნიშვნელოვანია ქართული ონომასტიკის ლექსიკის გამოსავლენად და შესასწავლად, ასევე ტიპოლოგიის შესასწავლად როგორც ადრინდელ ძეგლებში, ისევე დღევანდელი ვითარების გათვალისწინებით.

სტატისტიკურ აღწერაში -შვილზე დაბოლოებულ გვარებს უმეტეს შემთხვევაში შენარჩუნებული აქვთ ნათესაობითი ბრუნვის -ის ელემენტი, მაგალითად, ქუუდიდამ უთნის შვილი, დავითურის შვილი, თათრის შვილი, შალბელიქის შვილი, წირქოლიდამ პირქუშის შვილი, ტიკურის შვილი, ბერის შვილი, ცხაოტს პაპის შვილი, ფსუტურის შვილი, ილურთ კარიდამ შათირის შვილი, აბრამის შვილი და სხვა. უსანო ფორმები ძირითადად გვხვდება -ძე დაბოლოებულ გვარებში: ბერიანიძე იმედა, ბერიანიძე ბერო, ოლაძე გიორგი, ჟივიძე ნადირა, ჟივიძე ღთისია, მილაძე ბერუკა და სხვა.

მეთვრამეტე საუკუნის აღნიშნული აღწერის მასალებში, როგორც ჩანს -შვილზე დაბოლოებულ გვარებში ჯერ კიდევ შემორჩენილია ნათესაობითში დასმული სახელების შინაარსობრივი წარმოდგენა და აღნიშნული იყო ესა თუ ის პირი ვისი შვილი ან ვისი ჩამომავალი იყო. ეს იმიტომ, რომ სოფლები ჯერ კიდევ მონოგამურად იყო დასახლებული გვარების მიხედვით, მაგრამ აღსანიშნავი იყო წინაპრის სახელი, რაც აღმწერმა განახორციელა კიდევ იმდროინდელი იდეოლოგიისა და ნორმების შესაბამისად. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქსნის ხეობის აღწერის მასალებში მოცემული „კომლის თავი“ ნიშნავდა ოჯახის უფროსს. მაგალითად სოფელ დაბაკნეთში თეზელაშვილების სხვადასხვა ოჯახის აღწერისას გვხვდება „კომლის თავად“ გივი, სიხარული, გელია, გიორგი, ივანე - ესენი იყვნენ დიდი ოჯახების უფროსები, ხელმძღვანელები. ამ ოჯახთა დაყოფის შედეგად

ჩამოყალიბდა პატრონიმული ერთეულები: გელიაანი, გიორგაანი, ივანაანი და სხვა.

გვარის განაყოფთა ტერმინოლოგია ქართულში მრავალფეროვანია, ქსნის ხეობაში უფრო შემონახულია შტოგვარი, ბიძაშვილობა, განაყარი, რაც იმას ნიშნავს, რომ სხვადასხვა გვარისანი არიან, მაგრამ კარგად იციან, რომ ერთი წინაპარი ჰყავდათ და ერთი ოჯახიდან არიან გამოსულები.

აღწერის მასალებში ყურადღებას იპყრობს „ბერ-ი“ ძირეული სიტყვა, რომელიც გამოყენებულია საკუთარ სახელად ასზე მეტ შემთხვევაში და არის ამავე დროს გვარის ფუძე. ეს სიტყვა ჭანურში ვაჟიშვილის, ბიჭის აღსანიშნავად არის გამოყენებული და ძველი ქართულის ფუძეებისათვის არ არის უცხო. ბერ ამავე დროს შუას, საშუალოს ნიშნავს და ხეობის მთელ რიგ ელემენტებში, მათ შორის გვარებში და ტოპონიმებში არის შემონახული. აღწერის მასალებში სოფელ დადიანეთში გვხვდება: ბერიანიძე ბასილის შვილი, ბერიანიძე ბატატის შვილი, ბერიანიძე სეხნიას შვილი, ბერიანიძე გოგის შვილი.

სოფელ საქორეთში ბერის შვილი ქიტესა და ბასილა, ქარჩოხში ბერის შვილი ივანე და გივი, გოლგოლეთში ბერის შვილი მახარებელი, ძეგნანთ კარში ბერიშვილი კაცია, წირქოლში ბერის შვილი ნინია და პაკუნა და სხვა მრავალი.

„აღწერაში“ დიდი ადგილი უკავია გვარისა და ტოპონიმების მაწარმოებელ მთელ რიგ ელემენტებს, სუფიქსებს, რომელთა ფუნქცია დღევანდელი ვითარების გათვალისწინებით გასარკვევია. ასევე ის გვარები, რომლებიც ხეობაში აღარ გვხვდება. ეს გარემოება სპეციალურ შესწავლას მოითხოვს.

### **ლიტერატურა:**

1. ს. ჯანაშია, თუბალ, თაბალი, ტიბარენი, იბერი, შრომები III, 1959.
2. ს. ჯანაშია, იქვე, გვ. 38.
3. ავ. შანიძე, 1980, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზ. ტ. III, თბ., 1980.
4. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, წიგნი პირველი, თბ. 1967.
5. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ., 1993.
6. პ. ცხადაია, ონომასტიკის შესავალი, თბ., 2005.



# MORPHOLOGICAL PECULIARITIES STATISTIC RECORDING OF KSANI GORGE

Nikoloz Otinashvili, Gori Teaching University  
RESUME

The recording of the Gorge took place in 1774-81. The documents give an interesting material about those days' morphological peculiarities. According to it the accusative case is impersonal and describes the adverbial of place. For example: shveliet-s, gavaz-s, xhozoet-s and so on.

We can meet prepositional accusative case as the adverbial of place for example in Sakoret-shi ksnis eristavis kma.

In the material there are lots of examples of anthroponyms. The surnames are produced by -ant suffixes which refers to places and possession. For example Chitiant Kari, Pavliant Kari.

Or we can meet names after the ancestors' names. They usually end in an suffix:

Giorgi-ant, Ioseba-ant.

-The surnames exndind in shvili have retained the elements of possessive case. Utn-is shvili, Davitur-is shvili, Pirkush-is shvili, Psut-is shvili and others.

Some functions of suffixes are difficult to fix.

**ინგა სანიკიძე**  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**მთვარის თაყვანისცემის რამდენიმე ასპექტის შესახებ**

„წმ. ნინოს ცხოვრების“ ამსახველ თხულებათა შორის ქართულ მეცნიერებაში „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ტექსტი ყველაზე ძველ რედაქციადაა მიჩნეული. „ის ორი ვერსიითაა დაცული: ერთი მოთავსებულია ე. წ. შატბერდის კრებულში, მეორე ჭელიშის მონასტერში მოპოვებულ ხელნაწერში; ამიტომ ამ ძველ რედაქციას ჩვეულებრივ უწოდებენ შატბერდულ-ჭელიშურ რედაქციას“ (კეკელიძე, ბარამიძე 1987: 85). მიჩნეულია, რომ თხზულების ის ფორმა, რომელიც „შატბერდის კრებულშია“ შემონახული, შექმნილია „არა უადრეს მეცხრე საუკუნისა“ და ისიც, რომ შესაძლებელია მისი შემადგენელი ნაწილებიდან ზოგიერთი „მართლაც, შედარებით ძველი იყოს“ (კეკელიძე, ბარამიძე 1987: 88-89).

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში „წმ. ნინოს ცხოვრების“ დათარიღების მრავალგვარი მცდელობაა მოცემული, რომელთა განხილვას ახლა არ შევუდგებით, უბრალოდ დავეთანხმებით რ. სირაძეს, რომელიც წერს: „წმინდა ნინოს ცხოვრების“, თუ მისი ცალკეული ნაწილების, მე-9-10 ს.ს-ზე ადრეული სახით დათარიღება დღეს სრულიად რეალურად უნდა ჩაითვალოს, ხოლო წმ. ნინოს კულტის წარმოშობის მე-9 საუკუნისათვის მიწერა მეცნიერულ ანაქრონონიზმად უნდა მივიჩნიოთ“ (სირაძე 2009: 278).

უპირველესად, დავიწყებთ იმით, რომ უძველესი კერპების სახელდებითა თვალსაზრისით ამოსავალ ფორმებად „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მიერ ფიქსირებული „გაც-ი“ და „გა“ ვარიანტები მიგვაჩნია, რადგან ამის საფუძვლს შიშველი „გა“ მარცვალი [ფუძე] იძლევა. ეს უკანასკნელი სრულიად დამოუკიდებელი კერპი რომ არ არის და ფუნქციურად, ანუ მნიშვნელობით, „გა-ც‘ს“ რომ უკავშირდება, ამაზე მარცვალთა ერთგვაროვნებაც მიუთითებს.

„გა“ ძირი საერთოა და ორი კერპის საერთოენობრივ წარმომავლობასთან ერთად მათს ფუნქციურ კავშირს უნდა ასახავდეს. გამომდინარე აქედან, ბუნებრივად აღიძვრება ეჭვი „ც“ თანხმოვანი ელემენტის შესახებ, რომელიც „გაც“-ის შემადგენლობაშია მოქცეული და, ჩვენი აზრით, კომპოზიციურად მიერთებულია მთლიან ფუძეს. კვლევამ აჩვენა, რომ „ც“ აფრიკატი ძირეული ელემენტია და „თ[ეს]“ ფუძის ენობრივი ვარიანტი; გამომდინარე აქედან, ღვთაება გაცი „ნაყოფიერების, ერესის, სიყვარულის მფარველი“ კერპი უნდა ყოფილიყო; რომელიც თავისი მნიშვნელობით მართლაც ჰგავს ბაბილონურ-ასირიულ ასტარტა-ს - ნაყოფიერების ქალღვთაებას, რომელიც ჩრდ. სირიაში აღმოჩენილ ტექსტებში [ძვ.წ. XIV ს.] მოიხსენიება, როგორც აშერახ-ი , აშერატი, აშტარტი და სხვ. (დაწვრილებით იხ. სხვა შრომაში).

მეორე, არანაკლებ საინტერესო კერპი, რომლის სახელდებანიც ქართული წყაროებისადა მიხედვით საკმაო სიჭრელეს ამჟღავნებს \_ ეს არის „გა“ [მოქც. ქ., და სინური]; „გაიმ“ [ლონტი] და „გატი“ [არსენ მეტაფრასი]. „გა-იმ“ ფუძეში –იმ მრავლობითის ფორმანტია (ნ. მარი) და ადრინდელ ტექსტებში მისი გაჩენა ებრაული ენის გავლენის შედეგი მოჩანს. ვერცხლის კერპის აღდგენილ ენობრივ ვარიანტად \*გათ გვესახება, რადგან ქართული ენის მასალაში იგი იმავე ძირეულ ელემენტად წარმოგვიდგენია, რომელიც მეგრულ „თუთა“-ში გვაქვს და რომელიც ქართული ენის „მ-თ-ოვ-არ-ე“ → „მ-თვ-არ-ე“ ფორმაშიც იკითხება: (სვ. დომედულ). ამასთან, \*თ ძირეული თანხმოვანი ელემენტის ამოკითხვა ძველი ქართულის თთუე [ <\*თუ-თუ-ე//თუე (ძვ.); თვე (ახ.)] ლექსემაშიცაა შესაძლებელი. მიგვაჩნია, რომ ფუძეთა მაწარმოებლების ნაირგვარობა (-ენ → თ-ენ-ება, -ულ → თუ-ალ, -ე → თუ-ე ...) ხელს არ უშლის ამ ფორმებს, რომ „მნათობობა-ნათების; მთიებობა-მთვარეობის“, მისი კალენდარული ციკლის, ანუ „თვ-ის“ და მატერიალურად წრიული (შდრ. თუალ-ი) ფორმის სიღრმეში ერთი საგნის „მთვარის“ აღმნიშვნელი \*თ ძირი ამოვიკითხოთ და ისტორიულად მისსავე კულტს დავუკავშიროთ.

მთვარე წარმართი ადამიანის მსოფლაღქმის მიხედვით, როგორც ჩანს, თეთრი სინათლის (შდრ. ყვითელი, მზიური შუქი - მზის კულტი; მასალა - ოქრო), ამოთენების, ხილული წრიულობის, ასევე ყოველთვიური კალენდრისა და ზამთრობის ის კულტი იყო,

რომელიც სითეთრეს განკარგავდა, ამის გამო ვერცხლით გამოისახებოდა და იდგა „მარცხლ მისა [არმაზისა] -კერპი ვერცხლისაჲ და სახელი მისი გა“ (სინური 2009: 14).

ახლა შევეცდებით, მთვარის თაყვანისცემის რამდენიმე ასპექტზე გავამახვილოთ ყურადღება; მათ შორის საგანგებოდ შევჩერდებით მთვარის მოხაზულობის - მისი წრიულობის დანაწევრების სისტემაზე ქართველი ხალხის კულტურის დონეზე. როგორც ჩანს, დედამიწის თავთან მდგომი მნათობის (და არა - თანამგზავრის) ისტორიული გააზრება, ერთი მხრივ, მისსავე მთლიანობაში, ანუ წრიულობაში [თვალის ფორმაში] იყო აღქმული, ხოლო, მეორე მხრივ, მთვარის დანაწევრებულ რკალებში - ძველ და ახალ მთვარეობაში, რომელიც დროის თვეებად გადანაწილების სისტემაში წარმოიდგინებოდა; ამიტომ ქმნიდა მის სიმბოლურ ხატს ცხოველის, ძირითადად, ხარის რქები. სვანური სახლის აღწერილობისას ე. თაყაიშვილი წერს: „სახლის შენობა არის აგებული ქვისაგან და ძლიერ ძვირად ნახავთ ხის სახლს. სახლი გარედან შელესილია და მერმე კირით შეთეთრებული. ხანდისხან კედლებში გარედან ატანებენ ხარის, არჩვის, ჯიხვის და თხის რქებს შნოსათვის და სილამაზისათვის. ჩემის აზრით კი, ეს არამც თუ არ ამშვენებს, არამედ უფრო აუშნოვებს“-ო (თაყაიშვილი 1913: 8); მაგრამ საქმე ის არის, რომ ისტორიულად მაინცა და მაინც ესთეტიკური დატვირთვის გამოისობით არ უნდა გამოეყენებინა ცხოველის რქათა სამშვენისები მთიელ სვანს. ამგვარი ახსნა დავიწყებული ძველის ახლებურ ინტერპრეტაციას უფრო წააგავს, ვიდრე - გაქვავებული რეალობის საღ (სვანთა აზრით, რქები სილამაზისათვის უკეთდებოდა მათს სახლებს) ანალიზს; ძველი სინამდვილე კი წარმართულ წარმოდგენაში იმალება - მთვარის ღვთაებისა და მასთან დაკავშირებული სამიწათმოქმედო და საკულტო ცხოველის, ხარის, პატივისცემისა და მათი მფარველობის მოსურნეობის გამოხატულება უნდა იყოს სახლის გარეთა კედლებზე საგულდაგულოდ დამაგრებული რქები. ამასთან, მთვარის, როგორც სამეურნეო საქმიანობისა და მხოლოდ მიწიერი ნაყოფიერების მფარველი კულტისადმი თაყვანისცემა, ალბათ, დანარჩენი ცხოველების რქების გამოსახულებითაც ხდებოდა. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს: „ხშირად, როცა მთვარე-ღმერთი ადამიანად გამოსახული არის ხოლმე, მას უკან მცხრალი

მთვარის წვეტები რქების მსგავსად უჩანს; ამ ნიშნით მისი ვინაობის გამოცნობა ადვილია. უეჭველია აგრეთვე, რომ ბოლახკოიში ნაპოვნი ერთი უცნობი ღვთაების ქანდაკება, რომელსაც შუბლზე რქები აქვს გაკეთებული, აგრეთვე მთვარის ღვთაების ქანდაკებად უნდა ჩაითვალოს; ხარის რქებიც ჩვეულებრივ მთვარის ნიშნად ითვლებოდა“-ო,- წერს იგი (ჯავახიშვილი 1960: 59). ეჭვგარეშეა, რომ ახალი და ძველი მთვარის სიმბოლური გამოსახულება, მართლაც, რქოსანი კერპის - მთვარის - სახეში მოიაზრებოდა და ქართულ წარმართ ღვთაებათა პანთეონში საპატიო ადგილი ეკავა.

საერთოინდოევროპული წყვილადი ღვთაებების მსგავსად, თავისი ფუნქციებით ქართული „მთვარეც“, ანუ \*გათ]-ი თავდაპირველად მეორე რიგის კერპი უნდა ყოფილიყო, შედარებით ყოფითი მნიშვნელობებით დატვირთული და „ვერცხლის“ წარმართულ სახე-სიმბოლოში გამოხატული; ხოლო მისი საკულტო ფიგურა ანთროპომორფულისა და ზომომორფულის ნაზავი - სავარაუდოდ, კაცი ხარის რქებითა და, შესაძლებელია, ოთხფეხა ცხოველის კიდურებით (ჩლიქოვანი დაბოლოებებით). „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ტექსტში საგანგებო მინიშნებაა მცხეთის კერპთა ფიგურების „პირუტყვული“ გამოსახულებების შესახებ; ვკითხულობთ: „მაშინ დაუტევა წმიდამან ნინო მცხეთა ქალაქი და წარვიდა მთელთა ხარებად პირუტყუთ-სახეთა მათ კაცთა და შემუსვრად კერპთა მათ“ („მოქცევაჲ ქართლისაჲ“ 1979: 349). როგორც ჩანს, ადამიანური და ცხოველური ფორმების შერევა ორივე კერპის გამოხატულებისათვის იყო დამახასიათებელი.

ჩვენ მიერ ზემოთ წამოყენებულ თვალსაზრისს მთვარე-ღვთაების მეორეხარისხოვნების შესახებ, ერთი შეხედვით, რამდენადმე ეწინააღმდეგება ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება, რომელიც იტყვის: „ქართველების საწარმართო სარწმუნოების მთავარ ღვთაებად მთვარე, ღმერთი მამაკაცი, ითვლებოდა... თავდაპირველად ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ მთავარ ღვთაებად მზე კი არ ითვლება, როგორც ჩვეულებრივ არის ხოლმე, არამედ მთვარე. ეს ცხადი, დამახასიათებელი თვისებაა სარწმუნოებისა. შემდეგ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია აგრეთვე ის გარემოება, რომ მთვარე ქართველი ხალხის შეხედულებისამებრ მამაკაცია და არა დედაკაცი, როგორც ჩვეულებრივ არის მიღებული. ესეც საგულისხმადიერო

დამახასიათებელი თვისებაა სარწმუნოებისა“ (ჯავახიშვილი 1960: 60). მეცნიერი მთვარის კულტის ძირითადობის განსაზღვრისას ქართულ თქმულებებს ეყრდნობა და მთავარ არგუმენტად მისი [მთვარის] ღვთაებრიობის წმ. გიორგის სახეში გადასვლას ასახელებს, ამიტომ იტყვის: „ქართველი ხალხის აზროვნებაში წმინდა გიორგის ძველი წარმართობისდროინდელი, ქართველების მთავარი ღვთაების, მთვარის ადგილი უკავია“ (ჯავახიშვილი 1960: 50).

ვფიქრობთ, რომ ის, რაც უაღრესად საინტერესო ქართულ თქმულებებსა და ხალხურ ლექსებში ხდება, უძველესი რელიგიის განვითარების („გაც“-ისა და „გატ“-ის თაყვანისცემის) შედარებით გვიადელ ეტაპზე უნდა მომხდარიყო. იმის გამო, რომ: „ქართული ხალხური შეხედულებით მთვარე სქესით მამაკაცია“ (ჯავახიშვილი 1960: 58), ხოლო საქართველო მთელი თავისი არსებობის მანძილზე მებრძოლი ერის სახეს იღებს, მეომრობისა და მამაკაცური ძლიერების წარმართულ სახე-სიმბოლოს კი მთვარე წარმოადგენს, ნათლად წარმოაჩენს იმ ისტორიულ გზას, რომელიც „მზე-ღვთაების“ უკან გადაწევისა და, სანაცვლოდ, მთვარის დაწინაურებით შეიძლება, რომ დამთავრებულიყო და საბოლოოდ კი ასეთი სახის ხალხური ინტერპრეტაცია მოეცა:

„ნათელმა მთვარემა ბრძანა:

„ბევრით მე ვჯობივარ მზესა!“

დაჯდა, დასწერა წიგნები,

ზენა ქარი მიათრევსა.

მზეს რომ კაცი მიუვიდა,

მზე ძალიან გაჯავრდესა:

„მე და ვარ და ის მმა არის,

რად ვძულდებით ერთმანეთსა“ .

ღვთაებათა რიგობითობის ამგვარი გადაწევა ქართული სინამდვილის, ჩვენი ერის ყოფა-ცხოვრების შედეგი უფრო მოჩანს, ვიდრე - მისი პირველსახეობა. ივ. ჯავახიშვილის მიერ აღდგენილი სურათი საკმაოდ დაშორებულია დედანს, რომელიც, ჩვენი აზრით, წარმართული სარწმუნოების ძირეულ კულტურაში უცილობლად სხვა რიგისა იქნებოდა; კერძოდ, უზენაესი ქალღვთაება - გაც’ი //მზე (მასალა - ოქრო), ხოლო მეორე რიგის მამაკაცი ღვთაება - გათ’ი //მთვარე (მასალა - ვერცხლი).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცნობა იქცევს ყურადღებას. ვაჟა-ფშაველა ფშაურ ხატებზე, კერძოდ, ლაშარზე საუბრისას წერს: „საზოგადო ხატი, რომლის სამსახურიც ყველა ფშაველს ადევს კისრად, არის თამარ დედოფალი და ლაშარის ჯვარი. ეს ჯვარი არის შეწირული ლაშა გიორგისაგან ალბად ეკლესიისთვის, როგორც ნიშანი ერთმანეთის ერთგულობისა: მეფისა ფშაველების მიმართ და ფშაველებისა მეფის მიმართ. ესე მოგვითხრობს ზეპირგადმოცემა. თამარ დედოფლის ხატი და ლაშარის ჯვარი ერთმანეთს უპირდაპირებენ, ერთი ერთ მთაზედ არის აშენებული, მეორე - მეორეზე. ამ ორს ხატს ფშაველები ეძახიან „მოდე-მომძმეთ“ (და-მმანი)“ („ფშაველები“ 1961: V,25). ცალსახად ნათელია, რომ საქმე „მოდე-მომძმე“-დ მიჩნეულ უძველეს ღვთაებებთან გვაქვს; და, რომ ისინი ერთმანეთს დაპირდაპირებულნი, სხვადასხვა მთაზე მდგომნი, სხვაზე არაფერზე მიგვანიშნებენ, თუ არა წყვილადი პანთეონის არსებობასა და იმაზე, რომ პანთეონის წევრები ქალი და მამაკაცი იყვნენ, ფშაველთა წარმოდგენით, და-მმა. თამარისა და ლაშა-გიორგის დედამამიშვილებად გამოცხადება რომ ისტორიული რეალობის უცხადესი სიმახინჯეა, შესაძლებელია, ეს თვით წიგნიერებას მოკლებული ფშაველისთვისაც კარგად იყო ცნობილი, მაგრამ რა უნდა ექნა მას წარმართული წარმოდგენისთვის, რომელიც ღრმად ჰქონდა გამჯდარი?! ნათელია, რომ ფშაველმა ვერაფერი მოუხერხა წარსულ ტრადიციულ გაგებას ორი მთავარი ღვთაების - ქალისა და მამაკაცის (ჩვენი აზრით, გაც'ისა და გატ'ის წყვილის) თაყვანისცემას და გამოსავალი იმაში იპოვა, რომ ისინი ახალ, ისტორიულ სინამდვილეში არსებულ, შემდეგ კი იდეალებად ქცეულ დედა-შვილს - თამარსა და ლაშას - დაუკავშირა, ძველი წარმოდგენა ნაწილობრივ წაშალა, ზემოდან ახალი დააშენა და რწმენის უწყვეტობა ამგვარ სინთეზში წარმოიდგინა.

ადრეულ კულტურაში მზის უზენაესობის დასტურად „ქართლის ცხოვრების“ ის მონაკვეთიც მიგვაჩნია, რომელშიც ფარნავაზის სიზმარია მოთხრობილი: „მაშინ იხილა ფარნავაზ სიზმარი, რეცა იყო იგი სახლსა შინა უკაცურსა, და ეგულვებოდა განსვლა და ვერ განვიდა. მაშინ შემოვიდა სარკუმელსა მისსა შუქი მზისა და მოერტყა წელთა მისთა, და განიზიდა და განიყვანა სარკუმელსა მას. და ვითარ განვიდა ველად, იხილა მზე ქუე-

მდაბლად, მიჰყო ჯელი მისი, მოჰკოცა ცუარი პირსა მ[ზ]ისასა და იცხო პირსა მისსა. განიღვიძა ფარნავაზ და განიკვრდა, და თქუა: „სიზმარი იგი, ესე არს, მე წარვალ ასპანს, და მუნ კეთილსა მივეცემი“ (ლეონტი მროველი 1955: 21). ნათელია, რომ ლეონტის მიერ მოთხრობილ ძვ. წ.-ის III ს-ის ამბავში „მზე“ ჩვეულებრივ მნათობს არ მიემართება და წარმართული ღვთაების იმ სახესიმბოლოს წარმოადგენს, რომელიც ფარნავაზს სიზმრის მეოხებით აუწყებს მისი „მზით ცხებულობის“ შესახებ ([ფარნავაზ] „...მოჰკოცა ცუარი პირსა მ[ზ]ისასა და იცხო პირსა მისსა“); სიზმრისავე მიხედვით, „უზენაესი ღვთაების“- მზის (ანუ გაც-ის, როგორც ციური ნაყოფიერების) რჩეულობა გადამწყვეტი ხასიათის მინიშნებაა ფარნავაზის მეფური დიდების საჩვენებლად („შემოვიდა ...შუქი მზისა და მოერტყა წელთა მისთა, და განიზიდა და განიყვანა სარკუმელსა მას“). ამ გადმოცემაში „მთვარის“ ღვთაების როლი ნულოვანია, რადგან ფარნავაზის ეპოქაში, ჩვენი აზრით, უწინარესი ადგილი ჯერ კიდევ „მზეს“ უნდა ეკავოს. `ძველი მსოფლიოს მრავალი ხალხის მითოლოგიურ წარმოდგენებში მეფეები უზენაეს ღვთაებებთან არიან გათანაბრებული. ამ მოვლენას რელიგიის ისტორიაში იზოთეიზმი ეწოდება (ბერძნ. ისო-თეოს = ღვთისსწორი)“ (სურგულაძე 1995: 9). ცხადია, რომ „ფარნავაზის სიზმარიც“ იზოთეისტურია და თავისი შინაარსობრივი დატვირთვით ქართველთა რწმენის წარმართულ საფეხურს ასახავს, ამიტომ მისი ქრისტიანობის ეპოქაში შექმნა ფაქტობრივ გამორიცხულია. ლეგენდის ლოგიკური თანმიმდევრობაცა და მითოლოგიური ფორმაც ადრეულია და, ერთი მხრივ, ფარნავაზის ღვთაებრივი რჩეულობის (ლეგენდაში ფარნავაზის „მზის ცვრით“ ნათლობის სცენაა მოცემული), მისი პოლიტიკური (დინასტიური) პრივილეგიის გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ, ხოლო, მეორე მხრივ, „ახალ მისიად“, რაც ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნისა და მისი შემდგომი წინსვლის წინაპირობად უნდა ჩავთვალოთ („განიღვიძა ფარნავაზ და ...თქუა:... მე წარვალ ასპანს, და მუნ კეთილსა მივეცემი“).

კიდევ რამდენიმე უძველესი წეს-ჩვეულება, რომლებიც თავიანთი შინაარსითა და სახელდებებით იქცევენ ყურადღებას, ესენია: ქართლ-კახური „ყენობა“ , აგრეთვე ქართლ-კახური „ყენობა-ბერიკობა“ და მისი ჯავახური ვარიანტი -„ყად-



ბერიკაობა“. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ეს უკანასკნელნი, თავიანთი რიტუალებით, ძალიან ჰგვანან სვანურ დღესასწაულს - „საქმისაჲს“. ივ. ჯავახიშვილი საგანგებოდ მსჯელობს ლექსემა „ყაენ//ყეენის“ ქართულ ენაში გაჩენის თარიღზე და მას მონღოლთა ბატონობის შემდგომ ეპოქას მიაწერს. მეცნიერი წერს: „სვანური საქმისაჲს ჩვეულებასაც რომ ქართლური ყეენობის მსგავსი მერმინდელი გავლენა აქვს, ამას თუნდაც ის გარემოებაც ცხად-ჰყოფს, რომ ორი მოპირდაპირე მეზობელი გუნდის ერთ უფროსთაგანს „ყაინი“, ე.ი. ყაენი ჰქვია. ასეთი სახელი კი საქმისაჲს წესებში მხოლოდ მონღოლთა ბატონობის დროის შემდგომ შეიძლება გაჩენილიყო. მაშასადამე, დროთა ვითარების დამამახინჯებელი გავლენისაგან არც სვანური საქმისაჲსა და მურყვამობის დღესასწაულები ყოფილა თავისუფალი და სქესობრივობისა და შვილიერების ძალის მფარველი ღვთაების თაყვანისცემის პირვანდელი სახე ხელუხლებლად არსად არ არის დატული“ (ჯავახიშვილი 1960: 69).

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც“ ნათქვამია, რომ „ყეენობა“ არის წარმართობის დროიდან მომდინარე ძველი ქართული ხალხური თამაშობა-წარმოდგენა - შვილიერობისა დიდმარხვის პირველ ორშაბათს - ე.წ. შავ ორშაბათს იმართებოდა და აგრეთვე მოსავლიანობის დღესასწაული (ტერმინი „ყეენობა“ შედარებით ახალია)“ (ქეგლ 1962: სვ. 520); ხოლო „ყაენი“ განმარტებულია, როგორც თურქული „კანან“ის“ ქართული შესატყვისი. ბუნებრივია, რომ წარმართულ „ყეენ-ბერიკაობას“, ანუ „ყად-ბერიკაობას“ და მის სახელს შორის მნიშვნელოვანი შეუსაბამობაა, უფრო ზუსტად კი, უცილობელი ანაქრონიზმი („ყეენი“ - [XIII ს-დან] მონღოლთა ეპოქა; „ბერიკა“ - [IV ს-მდე] წარმართობის ხანა), რაც რთული სიტყვის შემადგელობაში მართლაც მონღოლთა ეპოქის შემდგომ განვითარდებოდა; მაგრამ რა შეიძლება ყოფილიყო ადრეულ ვარიანტში? რა ერქვა „ყეენს“? ვფიქრობთ, რომ ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ჯავახური „ყად“ის“ საშუალებით არის შესაძლებელი.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ ნ. მარი ერთ-ერთი ქართული ღვთაების პალმირულ შესატყვისად „ყათე“-ს ასახელებს (მარი 2009: 85) და მისი კულტის გავრცელებულობას ძველი მსოფლიოსათვის დამახასიათებელ მოვლენად მიიჩნევს, თუმცა იგი მეტი

კონკრეტულობისაგან თავს იკავებს და არაფერს ამბობს იმაზე, თუ რომელი ქართული კერპი შეიძლება, რომ ყათე-ს შესატყვისი ყოფილიყო. სირიულ ტექსტებში დადასტურებული ფორმაცა და მისი ღვთაებრიობის შიგთავსიც ქართულ სინამდვილეში აშკარად „გათ“ ფორმად არის ნაქცევი, მაგრამ არ უნდა გამოირიცხოს მისივე გამოყენება წინაპოზიციური „ყ“-თანხმოვანვარიანტითაც (შესამღებელია, თავდაპირველად მწიგნობრული გზით). ასე რომ, თუკი ყათ[ე]//გათ ქართულ ენობრივ გარემოში პარალელური ფორმები იყო, მაშინ ლოგიკურად აღიძვრება ეჭვი უძველესი წარმართული თამაშობის სახელდების თაობაზეც. ჩვენი აზრით, მისი პირვანდელი დასახელება \*ყათ-ბერიკაობა // \*გათ-ბერიკაობა იქნებოდა და არა - ყად-ბერიკაობა, როგორც „თ“ ფშვინვიერის ბოლოპოზიციური გამჟღერებული ვარიანტი (თ—ად: ყათ—ყად). რაც შეეხება ფორმას - „ყეენ-ბერიკაობა“-ს, იგი ცალსახად გვიანდელია და წინა ლექსემის შინაარსის არცოდნის გამო მნიშვნელოვნადაა გადააზრიანებულ-სახეცვლილი. გამოთქმულ მოსაზრებას მხარს ისიც უჭერს, რომ დასახელებულ წარმართულ თამაშობაში ყეენიცა და ბერიკაც გადმობრუნებული ტყავის წამოსახამებით იმოსებოდნენ (შდრ. რქის სიმბოლიკა და მთვარის ღვთაება), ანუ ბეწვით ზემოთ, ეს კი, როგორც ჩანს, ცხოველთა ერთგვარი იმიტაციის შექმნის მიზნით ხდებოდა, ხოლო მამაკაცური ნაყოფიერების დასტურად ქამრის ნაცვლად თივისაგან დაგრეხილ მსხვილს თოკს, ანუ „თულო“-ს უჭერდნენ; ეს უკანასკნელი კი ივ. ჯავახიშვილის სავესებით სამართლიანი შენიშვნის მიხედვით იგივე უნდა იყოს, რაც ლაშხური ჩვეულების სახელში \_ „მელიად ტულეფიად“ - დაცული ფორმა (თულე < > ტულე). საბასეული განმარტებით იგი „თევზთა პეპლვაა“, ხოლო დადესტნურ ენებში კი მამაკაცთა ასოს ნიშნავს (ჯავახიშვილი 1960: 74).

ასეთ ვითარებაში ნათელი ხდება \*ყათ-ბერიკაობისა (—ყად-ბერიკაობისა) და \*ყათობის (—ყეენობის) თამაშობათა სახელდების საკითხიცა და ისიც, თუ რატომ მოსავენ განსაკუთრებული პატივით „ყეენს“, რატომ დაატარებენ მას ასევე პატივისცემის ნიშნად სახედრით სოფელში, რატომ მურავენ შავად (ღამის, მთვარის ღვთაების აღსანიშნავად) და სხვ.

მიხ. წერეთელი „გაც“ და „გა“ ღვთაებათა საკითხის განხილვას ხეთის ქვეყნისა და მისი კულტურის კონტექსტში ცდილობს და დაასკვნის: „ამგვარად, ქართული გაცი და გა მწიგნობართა ფანტაზია კი არ არის, არამედ მართლაც „ძუელნი ღმერთნი მამათა ჩუენთანნი“, რომელთაც ედგათ მცხეთაში „კერპნი სამეფონი“. იგინი უდრიდენ ხეთის ღმერთებს ატტის-სა, ქართ. გატი ანუ გაცი, და საყვარელ მეუღლეს მისას იმტარს, არამეულად ყათარ = ასტარტე, ქართ. გა. თვით სახელი ყათე = გატი = გაცი (ატტის) შეიძლება წმინდა ხეთური სახელიც იყოს: ბოლაზკოის ტექსტებში ჩვენა გვხვდება ძველი, „პროტო-ხატტური“ სიტყვა **kätt**, რაიცა ნიშნავს მეფეს, და სიტყვა **kättah**, რაიცა ნიშნავს დედოფალს, და ეს სიტყვები ღმერთთა ეპითეტებიც იყო, მაგალითად მზის ღმერთისა, რომელიც მსგავსად ქართულის მზისა, ქალ-ღმერთი იყო ხეთელთათვის” (წერეთელი 1924: 100). მართლაც, თვალნათლივ მოჩანს „მოქცევამს“ ტექსტის ფორმათა მსგავსება ხეთური მეფე-დედოფლის აღმნიშვნელ ლექსემებს **kätté / kättah** - (\*გათ //გატ) შორის, რომელნიც, თავის მხრივ, უცილობლად მიემართებიან ძველ ქართულ თამაშობას „ყად-ბერიკაობას“ (← \*ყათ-ბერიკაობას // \*გათ-ბერიკაობას). ასეთ შემთხვევაში სრულიად ნათელია რთული ლექსემის პირველი ფუძის მნიშვნელობა - ის ძველ თამაშში მეუფე ღვთაების ფუნქციის მქონე ერთეული მოჩანს.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ სინამდვილეში მთვარის ღვთაების შესატყვისად ძირითადად „გათ“ (//ყათ [დიალექტურ წრეში]) ფორმა მიგვაჩნია, დასაშვებია აგრეთვე, რომ ქართულსავე სინამდვილეში სხვა, დამოუკიდებელი გზიდან დამკვიდრებული სემიტური „ბალ“ ფუძის კიდევ სხვა ენობრივი ვარიანტებიც იყო. უპირველესად, ასეთად \*„ბათ“ → \*„ბატ“ // \*პათ → პატ > პატ[რ]-ონ-ი; \*ბათ-ივ-ი → პატ-ივ-ი ფორმები მიგვაჩნია, რომელთა –ონ ჭანურაფიქსიანი ფორმა „ბატ-ონ-ი“ სწორედ ღვთაებათა აღსანიშნავად ძალზე ხშირად გამოიყენება ხალხურ პოეზისა და ვაჟა-ფშაველას ენაში. მაგალითად, ქვემოთ მოყვანილ ნიმუშებში „ბატონ“ ფორმაში ლაშარის ჯვრის ღვთაება იგულისხმება, რომელიც წმ. გიორგის სახეში გვიან არის გადააზრიანებული:

„ეგებ ინებოს ბატონმა,  
გაგმარჯვებიყოსთ მტერზედა“  
[ვაჟა - „ბახტრიონი“]

ვაჟას პოემაში „ალუდა ქეთელაური“ იგივე ლექსემა [„ბატონი“] გამოყენებულია გუდანის ღვთაების აღსანიშნავადაც:

„ჟამი მოვიდა საუფლო.

ხალხი ხატობას დიოდა:

უნდა აცნობონ ბატონსა,

ვისაც კი რამა სტკიოდა“.

[ვაჟა - „ალუდა ქეთელაური“]

რა თქმა უნდა, საზოგადოდ ღვთაების სახელად „ბატ-ონ“-ის გამოყენება ადრეულ ენობრივ სიბრტყეზე სავარაუდებელი არც არის. ის კონკრეტული მთვარის ღვთაების სახელი უნდა ყოფილიყო, სავარაუდოდ, შედარებით გვიან შეიძინა მან მიწიერი კაცი „მეპატრონის“, „მფლობელის“, „გამგებელ-წარმართველის“, „სოციალურად დაწინაურებული პირის“ შინაარსი. რაც შეეხება ლექსემაში „თ“ ყრუ-ფშვინვიერისა (ბათ—ატ) და წინაპოზიციური მჟღერი „ბ“-ს (ბათ—ატ) ყრუ-მკვეთრი ბგერებით ჩნაცვლების საკითხს, ეს პროცესი დასახელებულ ფორმებს დასავლურქართულ ენობრივ არეალში უნდა გაეცლოთ, კერძოდ, მაშინ, როცა ქართველური ტომები იბერ-სპერები, თუბალ-მოსხები და სხვანი მცირე აზიის ჩრდილოეთით, ანუ უძველესი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით ცხოვრობდნენ (შდრ. [ჰ]-ი-ბერ //ს-[ი]-პერ) და არა - მას შემდეგ, რაც პირაქეთა იბერიაში მათი მასიური ამოწევა განხორციელდა.

ჩვენი აზრით, საკულტო დანიშნულების თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ივ. ჯავახიშვილის მიერ საკამათოდ მიჩნეული რამდენიმე სიმღერის ჟღერადობაცა და ტექსტიც. იგი XIX საუკუნის ორ ავტორს - პოლიევქტოს კარბელაშვილსა და დ. მაჩაბელს ედავება იმ საკითხში, რომ ზოგიერთი სიმღერა მათ წარმართული დროისად მიუჩნევიათ, მეცნიერს კი ეჭვი შეაქვს ამაში და წერს: „თუ ადამიანი ამ პასუხსაგებ საკითხს მისი მნიშვნელობის სრული შეგნებით მოეკიდება, ამ სიმღერების წარმართობის ხანისათვის მიკუთვნილობისა, თუ არა და გინდა უაღრესად საპატიო ხნიერების დასამტკიცებლად უნდა როგორც მათი ჰანგები ჰქონდეს განხილული, ისე სიტყვებიც და ამ ორივე მხრით მათი საგალობლებზე უწინარესობა დაამტკიცოს“ (ჯავახიშვილი 1990: 9); და აქვე ჩამოთვლის სიმღერებს, რომელთაგან საგულისხმოდ

გვეჩვენება სამი მათგანი: „ბედზედ დაგნატრი ბართო“, „ვამ შენ, ჩემო თეთრო ბატო“ და „ვინცა კაცია“.

ივ. ჯავახიშვილის მთავარი კონტრარგუმენტი ჩვენ მიერ საანალიზოდ გამოტანილ პირველ სიმღერასთან დაკავშირებით ის არის, რომ „ბართი“ თურქული ტერმინია და პირველად XIII ს. დამლევის ძეგლში გვხვდება. ამიტომაც ზემოდასახელებული ხალხური ლექსიც ამაზე მერმინდელი თუ არ არის, ამაზე უწინარესი ხანისა მაინც ხომ ვერ იქნება“-ო, წერს იგი (ჯავახიშვილი 1990: 10); მაგრამ იყო კი ადრეულ სალექსო ვარიანტში „ბა-რა-თი“ ან მეორე სიმღერის შემთხვევაში „ბატი“, ფრინველის მნიშვნელობით? იქნებ, მართლაც, მათს უძველეს ვარიანტებში ბათ//გათ ღვთაებებისადმი მიძღვნილ ხალხურ სარიტუალო სიმღერებთან გვაქვს საქმე? (პოლ. კარბელაშვილი მათ საეკლესიო გალობის დედნებად ასახელებს) და შემდგომში \*ჩემო თეთრო ბათ-ო; ან: ბათ-ონ-ო//ბატ-ონ-ო~ სრულიად გაუგებარ კონტექსტში მხოლოდ იმის გამო აღმოჩნდა, რომ „ბათ“ ღვთაება ახალსპარსულ „ბატ“ [ფრინველში] აირია და კონტექსტურმა ცვლილებამაც არ დაახანა. მ. ოსიტაშვილი გულდასმით განიხილავს ჩვენამდე ფრაგმენტულად მოღწეული უძველესი სიმღერების ტექსტებს და იტყვის: „ქრისტიანულმა გალობამ ორგანულად შეითვისა ჯერ კიდევ წარმართობიდან მომდინარე საკულტო-სარიტუალო საგალობელთა მრავალხმიანობა“-ო, თუმცა იქვე ივ. ჯავახიშვილის აზრს იზიარებს იმასთან დაკავშირებით, რომ ამ სიმღერებზე საეკლესიო გალობის გავლენა შეიმჩნევა: „ამკარაა საგალობლის გავლენა სიმღერაზე. მხედველობაში მაქვს ინტონაციური, ჰარმონიული, მეტრულ-რიტმული მხარე, მელოდიის მდორე განვითარება“ და სხვ. (ოსიტაშვილი მ.: 430-432). ახლა ყურადღებით გადავხედოთ იმ ტექსტებს, რომლებიც მუსიკათმცოდნე მ. ოსიტაშვილს პოლ. კარბელაშვილის ხელნაწერების მოშველიებით აღუდგენია და რომლებშიც დეფექტურობის გამო სტრიქონთა რაოდენობა სამს არ აღემატება:

I - „ბედზედ დაგნატრი, ბართო“:

„ბე...დზედ და...გნა...ტრი ბა...რა...თო  
სუ...ლი...სა მნა...თო“

II - „ვამ შენ, ჩემო თეთრო ბატო“:

„ვამ შენ, ჩე...მო თე...თრო ბა...ტო დე...ლა

ვამ შენ, ჩე...მო თე...თრო ბა...ტო დე...ლა  
ჰა...რი ჰა...რა...ლა...ლო ჰა...რი ჰა...რა...ლა...ლო“

III – „ვინცა კაცია“

„ვი...ნ...ცა კა...ა კა...ცი...ა და ჰა...რუ...ნა...ნო  
ქუ...დი ნა...ა ნაბ...დი...სა და ჰა...რუ...ნა...ნო  
ჩა...ბა...ლა...ი...ა ჩა...ბა...ლა...ხი...ა“

მ. ოსიტაშვილის შენიშვნა, რომ დასახელებული სიმღერები ქრისტიანული გალობის ზეგავლენას განიცდიან, ნაკლებ შეიძლება საკამათო იყოს, მით უმეტეს ლინგვისტის მხრიდან; მაგრამ ასეთი რამ რატომ მოხდა? – ჩვენ კითხვას ამ თვალსაზრისით დავსვამდით. ვფიქრობთ, რომ მაშინ, როცა ისინი ქრისტიანულ საგალობელთა ჰარმონიის, ან ინტონაციისდა მიხედვით გადაეწყო, ისტორიულ მეხსიერებას ჯერ კიდევ კარგად ახსოვდა, რომ ისინიც საგალობლები იყო, ოღონდ წარმართული ხანისა და არა ჩვეულებრივი სიმღერები, მაგალითად, შრომისა ან სატრფიალო; ან იქნებ წარმართული ხანის საგალობელთა მუსიკალური მახასიათებლები მნიშვნელოვნად არც კი განსხვავდებოდა ქრისტიანულისაგან? დღეს ფაქტობრივი მასალის უქონლობის გამო რთულდება ზუსტი პასუხის გაცემა, მაგრამ ქრისტიანული გალობა რომ ერთბაშად ვერ აღმოცენდებოდა (თუნდაც მრავალხმიანობის კუთხით), ამაში ეჭვი არ გვეპარება; თანაც ტექსტებს თუ კარგად დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი არც ერთი სიმღერა თავისი ხასიათით საეროს არა ჰგავს:

I - პირველ მათგანში [„ბედზედ დაგნატრი, ბართო“] „სულის მანათობელისადმი“ მიძღვნა და უკეთესი ბედის ძიება და, ჩვენი აზრით, ამის გამო \*ბა[რა]თ ღვთაებისადმი მუდარა მოჩანს, „რა“ კი მუსიკალური მარცვალი (ივ. ჯავახიშვილის ტერმინოლოგიით „კილოს“ მოსაბმელი), შესაძლოა, გვიან განვითარებულიც;

II - მეორე სიმღერაში [ვამ შენ, ჩემო თეთრო ბატო“] პირდაპირი მინიშნებაა თეთრი ღვთაების „ბათ“ → „გათ“-ის შესახებ (აქვე: უძვ. „თეთრი გათ“-ი → გვიან „თეთრი წმ. გიორგი“);

III - რაც შეეხება მესამე სიმღერის ტექსტს, აქ განსაკუთრებულ ყურადღებას ბოლო სტრიქონი იქცევს, რომელიც სულ ორი სიტყვისაგან შედგება: პირველია „ჩა-ბალა-ია“; მეორე აშკარად მისი სახეცვლილი ვარიანტი - ჩა-ბალა[ხ]-ია.; „ხ“ თანხმოვნის განვითარება გვიანდელი მოჩანს, სამაგიეროდ საინტერესოა

ლექსემის ცენტრში მოქცეული „ბალა“ – „ბალ“ ფუძეები და მათი მიმართება ბალ//ბათ//ბატ//გათ//გატ მთვარის ღვთაებისადმი. ტექსტი გვეუბნება (ჩვენეული წაკითხვით): „კაცი ბალ-ია, მას ქუდი [ვაჟკაცობის ნიშნად] ჰხურავსო“; აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ გვიან ეპოქებში ენობრივად გაუმჭვირვალე მნიშვნელობის „ბალ“ ფუძე „ჩაბალახ“-მა ჩაანაცვლა; წინა „ჩა“ მარცვლის ადგილას, სავარაუდოდ, ისევ \*„ბა“ უნდა ყოფილიყო. ამგვარად, მესამე სტრიქონში გვექნებოდა: `\*ბა...[ა] ბა...ლა...ი...ა \*ბა...[ა] ბა...ლა...ი...ა; შდრ. I სტრ. „კა...ა კა...ცი...ა“ და II სტრ. „ნა... ნაბ...დი...სა“.

ვიტყვი, რომ „მზის“, ანუ „გაც“-ისა (//ციური ნაყოფიერებისა), და „მთვარის“, ანუ „გათ“-ის (//მიწიერი, მამაკაცური ნაყოფიერების) წარმართული ღვთაებების თაყვანისცემა უძველეს ქართულ პანთეონში ორგანული ხასიათის მოვლენა უნდა ყოფილიყო. ქართული რწმენა-წარმოდგენები ამ თვალსაზრისითაც მნიშვნელოვან მსგავსებას ამჟღავნებს ხეთურთან. მიხ. წერეთელი წერს: „ხეთელები თაყვანს სცემდნენ მზეს და მთვარეს, როგორც ეს ხეთურ რელიეფებიდან ჩანს (მაგ. დემონები, რომელთაც ნახევარ-მთვარე უჭირავსთ) - მთვარის კულტი მთელს მცირე-აზიაში იყო გავრცელებული -კარიაში, ფრიგიაში, კაპადოკიაში და სხვაგან, და როგორც დაამტკიცა ივ. ჯავახიშვილმა, იგი მთელს საქართველოშიაც იყო გავრცელებული“ (წერეთელი 1924: 70); რაც შეეხება „არმაზ-ღვთაების“ საკითხს, მიხ. წერეთლის აზრით, ის მსგავსებას „თეშუბ“-თან ამჟღავნებს: „უდიდესი ეროვნული ღმერთი ხეთელთა ყოფილა თეშუბ, რომელიც გამოსახულია ორ-პირიანი ნაჯახითა და სამ-ენიანი ელვით (მეხით) ხელში. იგი წვეროსანიც არის ხოლმე გამოსახული. და ეს, რასაკვირველია, სემიურ გავლენას მიეწერება. მთელს მცირე-აზიაში იყო გავრცელებული კულტი ამ ნაჯახიან ჭექა-ქუხილის ღმერთისა“ და იქვე დასძენს: „მახვილი“ და „ჩაფხუტი“ არის გამოხატულება ხეთელთა ღმერთის თეშუბისა, მხოლოდ მისის წვეტიანის კუდისა და ორ-პირიანი ნაჯახის მაგივრად არმაზს „ჩაფხუტი“ და „წრმალი“ ჰქონია“ (წერეთელი 1924: 70; 81).

ცალსახად ნათელია, რომ ქართული წარმართული პანთეონი თავისი არსით მცირეაზიული კულტურის ნაწილად უნდა მოვიაზროთ. ფარნავაზის მიერ არმაზ-ღვთაების მცხეთაში დადგმა

არ გამორიცხავს იმას, რომ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში უკვე არ იყო გავრცელებული კულტი „თემუბისა“, სხვაგვარად აუხსნელი დარჩება, რატომ ჰგავს ის თავისი გამოხატულების პლანით სწორედ თემუბს და არა - აჰურა-მაზდას. ცეცხლთაყვანისმცემლობა, როგორც ჩანს, ელვა-ჰექისა და „ატმოსფეროს ღმერთის“ (პროტოხეთური - თარო-ს; ანუ ტაროსის) გავრცელებას დააშენდა; ეს უკანასკნელი კი საკმაო სიძლიერის ღვთაება რომ არ ყოფილიყო, ფარნავაზიდან ნინოს ეპოქამდე უცილობლად იცვლიდა სახეს, თუნდაც გარეგნულს. სპარსული სახელმწიფო მოწყობა (ფარნავაზის ეპოქაში) და განსაკუთრებით რელიგიური ზეგავლენა საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ ქართველს უძველეს ღვთაებებთან კავშირი გაეწყვიტა და ძალდატანების შემთხვევაშიც (თუკი მაზდეანობა თავსმოხვეული რელიგია არ იყო, მაშ რატომ დაუტოვა ქართველმა მას ძველი კულტის გარეგნული ფორმები?) რაღაც სახით მაინც არ შეენარჩუნებინა ისინი. ვგულისხმობთ იმას, რომ არმაზის კერპი ფარნავაზმა ძველ, რელიგიურ „მამა-პაპათა“ კერპებს შორის მოათავსა ისე, რომ „გაცისა“ და „გატა“-ს განადგურება არც უცდია. ხომ წარმოუდგენელია, რომ დედით სპარს მეფეს არ სცოდნოდა, თუ როგორ გამოიყურებოდა ცეცხლთაყვანისმცემელთა მთავარი გამოსახულება, მაგრამ მან ის არსებითად, თუ მთლიანად არა, არც კი შეცვალა, იქნებ, სპარსელთა თვალის ასახვევადაც, და მხოლოდ სახელის გადარქმევითა და ახალი კერპის დადგმით შემოიფარგლა. ვფიქრობთ, რომ ეს ეჭვი თავისდათავად ჩნდება და კიდევ უფრო ამყარებს მოსაზრებას, რომელიც ქართული კულტურის სხვა მცირეაზიულ, კერძოდ, ხეთურ კულტურასთან უდიდეს კავშირზე მიგვანიშნებს.

დაბოლოს, რომ ქართველურ ენათა შესწავლა ღვთაებათა გამომხატველი, აგრეთვე სარიტუალო, თაყვანისცემის აღმნიშვნელი ლექსიკის თვალსაზრისით აუცილებელი და საჭირო საქმეა, ქართველურ ენებში დალექილი სიტყვიერი მასალა ამოწურული რომ არ არის, ვფიქრობთ, რომ ჩვენმა კვლევამაც აჩვენა, ამიტომ მისი გამოწვლილვითი შესწავლა სამომავლო მეცნიერული ძიების საქმედ გვესახება.



## ლიტერატურა:

- 1.თაყაიშვილი 1913:** თაყაიშვილი ე., ძველი საქართველო (საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული), ტ. II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით [განყოფილება მესამე, სალექსიკონო და საისტორიო მასალანი], ტფილისი, 1913, ელექტრო მბეჭდავი სპირიდონ ლოსაბერიძისა.
- 2.კეკელიძე, ბარამიძე 1987:** კეკელიძე კ., ბარამიძე ალ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია [V\_XVIII ს.ს.], თბ., 1987, თსუ გამომცემლობა.
- 3.მარი 2009:** მარი ნ., წარმართული საქართველოს ღმერთები ძველი საქართველოს წყაროების მიხედვით, სამეცნიერო კრებულში: „წმინდა ნინო“, თბ., 2009; გვ.77-90.
- 4.ოსიტაშვილი მ.,** ოსიტაშვილი მ., ქართული საერო და სასულიერო მრავალხმიანობის ურთიერთკავშირის შესახებ, [www.polyphony.ge/uploads/symposium/qartulib/ositasvili\\_urtiertkavsiri.pdf](http://www.polyphony.ge/uploads/symposium/qartulib/ositasvili_urtiertkavsiri.pdf).
- 5.სირაძე 2009:** სირაძე რ., „წმინდა ნინოს ცხოვრება“ და დასაწყისი ქართული აგიოგრაფიისა, სამეცნიერო კრებული „წმინდა ნინო“, თბ., 2009, გამომც. „მერიდიანი“.
- 6.სურგულაძე 1995:** სურგულაძე მ., ბაგრატიონთა სამეფო სახლი (გენეალოგიური ტაბულები შეადგინეს: მზია სურგულაძემ და მიხეილ ქავთარიამ), თბ., 1995, გამომც. „კანდელი“.
- 7.ქეგლ 1962:** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (რვატომეული), ტ. VII, თბ., 1962, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა.
- 8.წერეთელი 1924:** წერეთელი მ., ხეთის ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა, კონსტანტინეპოლი, 1924, საბეჭდავი ქართველთა კათოლიკე საჯანისა.
- 9.ჯავახიშვილი 1960:** ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, თბ., 1960, თსუ გამომცემლობა.

## წყაროები:

- 1.ლეონტი მროველი 1955:** „ცხოვრება ქართუელთა მეფეთასა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“, „ქართლის ცხოვრება“ (ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ), ტ. I, თბ., 1955, გამომც. „სახელგამი“.

2. „მოქცევა ქართლისაჲ“ 1979: შატერდის კრებული (X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა), თბ., 1979, გამომც. „მეცნიერება“.
3. სინური 2009: „ცხოვრება წმიდისა ნინოსისი [სინური რედაქცია]“, სამეცნიერო კრებული: „წმინდა ნინო“, თბ., 2009, გამომც. „მერიდიანი“.
4. „ფშავლები“ 1961: ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული 5 ტომად, ტ. V, თბ., 1961, გამომც. „საბჭოთა საქართველო“.

## ON SEVERAL ASPECTS OF WORSHIPPING TO THE MOON

Inga Sanikidze, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

### SUMMARY

In our opinion, according to the world-view perception of a heathen man, the moon had been that cult of the white light (cf. yellow, sunny light – cult of the sun; material – the gold), lighting, circulatory, as well the monthly calendar and the “wintering” which disposed the “whiteness”, and because of this it was depicted in silver and stood “on its left [of Armazi] – an idol of the silver and its name is Ga” [Sinian].

It’s indubitable that a symbolic portrayal of the new and full moon, really had been considered in the image of horned idol – the moon and occupied a distinguished place in the pantheon of the Georgian heathen deities. The oldest rituals such as “Georgian- Kakhétian “Qheenoba” (Carnival) and “Qheenoba-Berikaoba” (Carnival-Georgian Carnival), as well its Javakhian version – “Qhad-Berikaoba” should represent the oldest festive occasions of dedication to the deity of \*”Gat” //qhat (of the Moon).

It is worth mentioning the texts of several songs deemed as the oldest hymns (Pol. Karbelashvili) in which the stems “Bat [bath]” and “Bat” on one hand are directly referred to the Semit deity of the moon – “qhate”, and on the other hand are the same stems which we have in lexeme “bat-on”; And the latter is an [on] affix form of the Chanian origin and in folklore or in the language of Vazha-Pshavela, is really used for indication the deities.

მედია სალიანი  
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

## სვანურ ნუმერატივთა ფრაზეოლოგიური აქტივობა (ქართულთან შეპირისპირებით)

ფრაზეოლოგიური ერთეულის (ფე-ს) მნიშვნელობა, როგორც ეს საენათმეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, ყალიბდება ორი ან მეტი ლექსიკური ერთეულისა და იმ პირველადი კონტექსტის ურთიერთქმედების საფუძველზე, რომლისგანაც არის შემდგარი. ამ მრავალფეროვან ერთეულთა კომპონენტური შემადგენლობის კვლევას კი უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფრაზეოლოგიის ზოგადთეორიული საკითხების კვლევისთვის.

ცნობილია ისიც, რომ **ფე**-თა კომპონენტები წარმოდგენილია:

ა) პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობის მქონე თავისუფალი გამოყენების სიტყვებით, რომლებიც ფუნქციონირებენ როგორც დამოუკიდებლად, ასევე ფრაზეოლოგიური ერთეულის ფარგლებში, ბ) სიტყვებით, რომლებიც მხოლოდ ფრაზეოლოგიური ერთეულის ჩარჩოებში ფუნქციონირებენ და გ) მოძველებული მნიშვნელობის სიტყვებით. ამ სამ ქვეჯგუფთაგან პირველი ქვეჯგუფი ეს არის — აქტიური გამოყენების სიტყვები, რომლებიც შეადგენენ ენის ფრაზეოლოგიური შემადგენლობის ძირითად ნაწილს, ანუ ე. წ. ფრაზეოლოგიზმების „საშენ მასალას“ და ქმნიან ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფთა ვიწრო წრეს (ქორჟოლიანი 2004, 261).

ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფთა წრე, რომელთა კომპონენტები ფრაზეოლოგიურ აქტივობას იჩენენ, დაახლოებით განსაზღვრული იყო სამეცნიერო ლიტერატურაში, თუმცა **ფე**-თა კომპონენტური შემადგენლობის შესწავლა მხოლოდ და მხოლოდ ამით შემოიფარგლებოდა (გაკი 1966, 74).

ბოლო დროს კი გაჩნდა სპეციალური კვლევები კერძო თუ შეპირისპირებით ფრაზეოლოგიაში, სადაც განიხილებოდა სწორედ სხვადასხვა ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფები (არსებით სახელთა ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფი „**სომეხები**“, „**ზონიები**“, „**ფლორალიზები**“, ზედსართავ სახელთა ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფი — „**ფერების აღნიშვნები**“, „**მოძრაობის და გადაადგილების**“, ასევე „**ლაპარაკის**“ აღმნიშვნელი ზმნები და სხვ.), რამაც ეს ხარვეზი გარკვეულწილად ამოავსო.

რა თქმა უნდა, ზემოჩამოთვლილ **ფე**-თა ჯგუფებს უნდა დაემატოს რიცხვით სახელთა ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფი — „**ნუმერატივები**“, რომლებიც კერძო თუ შეპირისპირებით ფრაზე-

ოლოგიაში არ ყოფილა ვრცელი გამოკვლევის საგანი. რაც შეეხება ი. როჟანსკის (1957, 29-32), ა. სუბრუნის (1954, 79-85), ლ. ბოტინას (1983, 34-38) და ს. ოლზოვსკაიას (1967, 74-78) ნაშრომებს, მათში, ძირითადად, აღვნიშნავთ აქვს რიცხვითი სახელის შემცველი ფრაზეოლოგიზმების კლასიფიკაციას, ზოგჯერ რიცხვთა არითმეტიკული რიგის, ზოგჯერ კი ფრაზეოლოგიზმთა სხვადასხვა ტიპების მიხედვით.

ნუმერატივები, როგორც ცნობილია, სხვა აღნიშნულ ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფებთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ ფრაზეოლოგიზაციის პროცესში. ფრაზეოლოგიზაციის პროცესი კი ენის ფრაზეოლოგიური ფონდის გამდიდრების უმთავრეს წყაროს წარმოადგენს, რომელიც ამავე დროს „კანონზომიერია ენაში და მიმდინარეობს არა ქაოტურად, არამედ არჩევითობის პრინციპით“ (სერებრენიკოვი 1955, 41).

ერთადერთი ნაშრომი, რომელიც ქართულ „ნუმერატივებს“ შეეხება, ეს არის ე. ჟორჟოლიანის წერილი „ნუმერატივების ფრაზეოლოგიური აქტიურობის შესახებ“, რომლის მიზანია ნუმერატივების „ფრაზეოლოგიური აქტიურობის“ გარკვევა ფრანგულსა და ქართულ ენებში. მის მიერ გამოკვლეული ფაქტობრივი მასალის ანალიზი (კერძოდ, 7 ფრაზეოლოგიური და 1 განმარტებითი ლექსიკონის მონაცემები) გვიჩვენებს, რომ ნუმერატიული ფე-ები ფრანგულ ენაში წარმოდგენილია საკმაოდ ფართოდ და შეადგენს 852 ერთეულს, რაც შეეხება ქართულს, მასში ასეთი ფრაზეოლოგიზმების რიცხვი შედარებით მცირეა, სულ 216 ერთეული. უნდა ითქვას ისიც, რომ ზემოაღნიშნულ ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფში — „ნუმერატივი“ როგორც ფრანგულ, ასევე ქართულ ენებში ერთიანდებიან სხვადასხვა ტიპის რიცხვითი სახელები, რომელთაგანაც განსაკუთრებით მაღალ ფრაზეოლოგიურ აქტიურობას იჩენენ პირველი ათეულის რიცხვთა აღმნიშვნელი ნუმერატიული კომპონენტები ორივე ენაში, თუმცა ფრაზეოლოგიური აქტიურობით ასევე გამოირჩევიან მრავალი რიცხვების აღმნიშვნელი ნუმერატივებიც (ჟორჟოლიანი 2004, 26-270).

გ. სოკოლოვას კვალდაკვალ ე. ჟორჟოლიანს შემოაქვს ტერმინი „ფრაზეოლოგიური აქტიურობა“ [შემოკლებით AF (სოკოლოვა 1984, 4, ჟორჟოლიანი 2004, 262)], რომლითაც აღნიშნავენ ფე-ის შემადგენლობაში შემავალ ლექსემა-კომპონენტთა რაოდენობრივ განსხვავებებს (იხ. ცხრილი II, იქვე, 268-269).

გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული საკითხის შესახებ ქართველურ ენებში არაფერი გაკეთებულა, აუცილებლად და საინტერესოდ მივიჩინეთ ნუმერატივების „ფრაზეოლოგიური აქტიურობის“ გარკვევა ქართულსა და სვანურში, თუმცა შეუძლებელი იქნება აღნიშნულ ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფის შემადგენელ ლექსემათა რიცხვის განსაზღვრა, ვინაიდან, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, „ნუმერატივების ლექსიკურ-

სემანტიკური ჯგუფის საფუძველს წარმოადგენს რიცხვის ცნება, უფრო სწორად კი მათემატიკური რიცხვი, რომელიც უწყვეტი სილიდია“ (იქვე, 262).

ზოგიერთი ნუმერატივი შედის დიდი რაოდენობის ფრაზეოლოგიზმთა შემადგენლობაში, და, ამდენად, ისინი სხვა შემოდასახელებულ ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფებთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ ფრაზეოლოგიზაციის პროცესში. ჩვენ შევეცდებით მრავალფეროვანი საანალიზო მასალის საფუძველზე შეძლებისდაგვარად გავარკვიოთ ნუმერატივთა „ფრაზეოლოგიური აქტივობა“ ქართულსა და სვანურში<sup>12</sup>.

შესაბამისი ექსტრალინგვისტური (კერძოდ, ისტორიულ-ეთნოგრაფიული და, აგრეთვე, ფოლკლორული) მასალა, რომელიც ამოვკრიბეთ სვანური ენის ოთხივე კილოზე არსებული პროზაული ტექსტებიდან, სვანური ენის ქრესტომათიიდან, ლექსიკონებიდან, აგრეთვე, 2010-11 წლებში მესტიისა და ლენტეხის რაიონებში ჩვენ მიერ სავლე პირობებში მოპოვებული მასალიდან, შევუდარეთ შესაბამის ქართულ მასალას და გავარკვიეთ ნუმერატივთა „ფრაზეოლოგიური აქტივობა“ აღნიშნულ ენებში.

ქართული ნუმერატიული ფე-ის აქტივობა, სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, შეადგენს 216 ერთეულს<sup>13</sup> (იქვე, 262). რაც შეეხება სვანურს, იქ ფრაზეოლოგიურ ლექსიკონთა უქონლობის გამო შეუძლებელია ნუმერატიულ ფე-თა აქტივობის ზუსტი განსაზღვრა, თუმცა, როგორც მრავალფეროვანი ფაქტობრივი მასალის ანალიზმა გვიჩვენა, ნუმერატივების ფრაზეოლოგიური აქტივობა საკმაოდ თვალში საცემია და ქართულისგან განსხვავებული ვითარებაც დასტურდება ზოგიერთ ნორმატივთან დაკავშირებით<sup>14</sup>. უნდა ითქვას

---

<sup>12</sup> სტატიაში ყურადღება იქნება გამახვილებული ასევე **წყველის, დალოცვისა და რელიგიურ გამონათქვამებში** არსებულ ნუმერატივებზეც.

<sup>13</sup> თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს არ არის სრული სია, რაზეც მიუთითებს ის ფაქტი, რომ რამდენიმე რიცხვითი სახელის ფრაზეოლოგიური აქტივობა, რომელიც ქართულში, სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, განსაზღვრული იყო, ჩვენ მიერ მოპოვებული მასალის მიხედვით გაიზარდა. მაგ.: რაოდენობითი რიცხვითი სახელი **ცხრა**, სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, 17 ერთეულს შეადგენდა, ჩვენ კი 28-ჯერ დავაფიქსირეთ, ასევე რაოდენობითი რიცხვითი სახელი **ორი** 28-ჯერ არის წარმოდგენილი, ჩვენ კი 33-მდე გავზარდეთ. რამდენიმე რაოდენობითი რიცხვითი სახელი, მაგ.: **ექვსი, ათი** ნულით იყო წარმოდგენილი, მასალაზე დაკვირვების შედეგად კი გაიზარდა, რომ აღნიშნული ნუმერატივები თითოჯერ დასტურდება ფრაზეოლოგიზმებში.

<sup>14</sup> ამასთან დაკავშირებით იხ. ქვემოთ.

ისიც, რომ ქართულიდან შეთვისებული მასალის გვერდით, დიდი რაოდენობით დასტურდება საკუთრივ სვანური მასალაც, რომელიც სვანური დიალექტებისა და კილოკავების მიხედვით მეტად საინტერესო სურათს წარმოგიდგენს.

თვალსაჩინოებისათვის პარადიგმების სახით წარმოვადგენთ ყველა იმ რიცხვით სახელს, რომლებიც ერთიანდებიან შემდეგ ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფში – ნუმერატივი.

### ცხრილი I ნუმერატივების სია

თვლის სისტემის რიცხვები	მიანლობებითი რაოდენობის აღმნიშვნელი	რიგის აღმნიშვნელი	მთელის წაწილის აღმნიშვნელი	გამრავლების აღმნიშვნელი
ქართ.	ქართ.	ქართ.	ქართ.	ქართ.
ერთი		პირველი	ნახევარი	
ორი	ორიოდე	მეორე	მეორელი	ორმაგი
სამი	სამიოდე	მესამე	მესამელი	სამმაგი
ოთხი	ოთხიოდე	მეოთხე	მეოთხელი	ოთხმაგი
ხუთი	ხუთიოდე	მეხუთე	მეხუთელი	ხუთმაგი
ექვსი	ექვსიოდე	მექვსე	მექვსელი	ექვსმაგი
შვიდი	შვიდიოდე	მეშვიდე	მეშვიდელი	შვიდმაგი
რვა	რვაოდე	მერვე	მერველი	რვამაგი
ცხრა	ცხრაოდე	მეცხრე	მეცხრელი	ცხრამაგი
ათი	ათიოდე	მეათე	მეათელი	ათმაგი
ოცი	ოციოდე	მეოცე	მეოცელი	ოცმაგი
ოცდაათი	ოცდაათიოდე	ოცდამეათე	ოცდამეათელი	ოცდაათმაგი
ორმოცი	ორმოციოდე	მეორმოცე	მეორმოცელი	
ასი	ასიოდე	მეასე	მეასელი	ასმაგი
ათასი	ათასიოდე	მეათასე	მეათასელი	ათასმაგი
მილიონი			მემილიონელი	
<b>სვან.</b>	<b>სვან.</b>	<b>სვან.</b>	<b>სვან.</b>	<b>სვან.</b>
ემხუ	აშხტჷმ ეშხუ		ხენსგა	
ფორი	ფარშჷ ფორი	მერმე  მერმე  მერბე	მერმე ნატი	ფორიმაგ
სემი	საშშჷ სემი	მესმე  მესმე  მესმე	მესმე ნატი	სემიმაგ
ჟომთხტ		მჷმთხტე  მე'უ'უ'მთხტე   მეოშთხტე	მეუ'მთხველ	ოშთხტმაგ
ჟომხუ'მდ		მჷხუ'მდე  მეუხუ'მდე   მეოხუ'მდე  მეუხუ'მტე   მეოხუ'მტე	მეუხუ'მდე	ჟომხუ'მდმაგ
ჟუსგუა		მესგუე  მეუსგუე   მეუსგუე  მეუსგუე	მეუსგველ	ჟუსგუამაგ
იშგუიდ		მეშგუდე  მეიშგუდე   მეიშგუდე  მეიშგუდე	მეიშგუდე	იშგუიდმაგ
არა		მერე  მეარე  მეარე	მეარელ	არამაგ
ჩხარა		მეჩხრე  მეჩხრე	მეჩხრელ	ჩხარამაგ   ჩხარაფა
ფემდ		მე'მდე  მეე'მდე  მეი'მდე   მეფ'მდე  მეე'მტე  მე'მტე	მეე'მდე	ემდმაგ

ფერტიმელ		მეერტიმელე	მეერტიმელ	ერთმელმაგ   ერთმელფა
ერთმელიმელ		მეერთმელიმელე	მეერთმელიმელ	ერთმელიმელმაგ
ფორერტიმელ				ფორერტიმელმაგ
აშირ		მეაშირე	მეაშირელ	აშირმაგ
ათას		მეათასე	მეათასელ	ათასმაგ  ათასფა
ათასერთმელ		ათასმეერთმელე		
მილიონ			მემილიონელ	

ფე-ის შემადგენლობაში შემავალ ლექსემა-კომპონენტთა რაოდენობრივ განსხვავებებს, გ. სოკოლ-ოვას და ე. ჟორჟოლიანის კვალდაკვალ, ჩვენც ტერმინი „ფრაზეოლოგიური აქტივობა“-ით (შემოკლებით AF) გადმოვცემთ და ნუმერატივების ფრაზეოლოგიური აქტივობას ქართულსა და სვანურში ცხრილის მეშვეობით წარმოვადგენთ.

### ცხრილი I ნუმერატივების ფრაზეოლოგიური აქტივობა

ნუმერატივი ბი ქართული ენა	AF ქართული ენა	AF ქვედა ზღვარ ი	ნუმერატივები სვანური ენა	AF სვანური ენა	AF ქვედა ზღვარ ი
ერთი	105		ეშხუ	76	
ორი	33		ფორი	21	
სამი		4	სემი		2
ოთხი	10		ჟომთხუ		4
ხუთი		4	ჟოხუშელ		1
ექვსი		1	ჟუსგუა		0
შვიდი		0	იშგუილ		1
რვა		0	რვა		0
ცხრა	28		ჩხარა	20	
ათი		1	ფელ		4
თორმეტი		1	ფელორი		3
თხუთმეტი		1	ათუთხმეტი <sup>15</sup>		1
ოცი		1	ერთმელ		3
ოცდაოთხი		1	ერთმელიჟომთხუ		1
ოთხმოცი		0	ჟომთხურტიმელ		1
ასი		5	აშირ	10	
ათასი	10		ათას		5
ათასოცი		0	ათასერთმელ	7	
ასიათასი		0	აშირათას		3
მილიონი		0	მილტენ  მილიონ		3
პირველი	10		მანკუი  მანკუ...		0

<sup>15</sup> ზმნის პირიან ფორმაში დადასტურდა.

მეორე		3	მერმე მერმე	5
მეექვსე		1	მელსაზე	0
მეშვიდე		3	მემაგალიდე	0
მერვე		1	მერთე	0
მეცამეტე		1	მეშდსედე	0
ნახევარი		4	ხგნსგა	0
ცხრაშავი		0	ჩხარაფა	3
ათშავი		0	ფეშდმაგ	1
ოცშავი		0	ფერთეშდფა	1
ათასშავი		0	ათასშავ	1
ერთიოდე		0	აშნუშ ეძნუ	2
ორიოდე		0	ფარშუ ფორი	1

ფრაზეოლოგიზაციის პროცესში, რამდენადაც ცნობილია, მონაწილეობას იღებენ როგორც **რაოდენობითი**, ასევე **რიგობითი**, **წილობითი**, **მიახლოებითი** და **გამრავლების** აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები. ვნახოთ რა მდგომარეობაა ამ მხრივ სვანურში და რა ფრაზეოლოგიური აქტივობა გააჩნია თითოეულ მათგანს ქართულთან მიმართებით.

რაოდენობითი რიცხვითი სახელების შემცველი ფრაზეოლოგიური გამონათქვამები სვანურში, როგორც მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, მეტად მრავალფეროვანია. განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას პირველი ათეულის რიცხვებზე: **ეშხუ**, **ფორი**, **სემი**, **ჩხარა** და **ეშდ**, დანარჩენი რიცხვითი სახელები კი მეტნაკლები ოდენობით დასტურდება ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში. ცხადია, აქ შემოგვაქვს წყველისა და დალოცვის ფორმულებიც, რომლებშიც ძალიან ხშირად ფიქსირდება რიცხვითი სახელები. მაგ.:

რაოდენობითი რიცხვითი სახელის **ეშხუ**ს „ერთი“ შემცველი ფე-ები:

**აშუ ადგიჩუ აშუ ხახჩი, მერმ ადგიჩუ — მერმა** (ბქ.) „ხან ერთს იძახის, ხან — მეორეს (ზედმიწ. — ერთ ადგილ-რს<sup>1</sup>-ქვე ერთს \*აკარგებს, მე-ორ-ე ადგილ-რს<sup>1</sup>-ქვე — მე-ორ-ეს)“

**აშუ საფლანჩუ ლიზილინჭურე** (ბქ., ლზმ.) „სირცხვილისგან განადგურება, სიკვდილი, ერთად დამარხვა, ერთად სიკვდილი (ზედმიწ. — ერთ საფლავ-რს<sup>1</sup>-ქვე სვლა|ჩაღაგება|დალაგება)“

**აშხუშეშხუაშუ ლიქანდ** (ბქ.) „ერთადერთხელ შეშლა (ზედმიწ. — ერთით ერთის შეცდენა)“

აღნიშნულ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამში რიცხვითი სახელი ერთი განმეორებულია მხოლოდობითის ცნების გასაძლიერებლად, მკაფიოდ აღსანიშნავად იშვიათობისა.

**ეშხუ ფიცხიშ ლილნე** (ბქ.) „არანაირი ხმაური, ჩუმად, უხმოდ ყოფნა ან კეთება საქმისა (ზედმიწ. — ერთი ფაჩუნის გა-დ-ებ-ა)“.

მართალია, აქ წარმოდგენილი ფრაზეოლოგიური გამონათქვამი რაოდენობითი რიცხვითი სახელის გარეშეც ფიქსირდება სვანურში (მაგ., **ფიცხიშ ლილნე**), მაგრამ ნათქვამის მეტი



ექსპრესიულობისათვის ხშირად სწორედ რიცხვით სახელს ეშუ'ს იყენებენ.

**ეშუ ზექენქა ლეტაბელგშანთე** (ბქ.) „ერთნაირები, მსგავსები (ზედმიწ. — ერთი შემოდანგა გამოთლილი|გამორჩენილი)“

**ეშუ ცანდოლი ლიკონე** (ლშხ., ჩოლ.) „სულ მცირედის დაკლება (ზედმიწ. — ერთი საფეხური<sup>1</sup> და-კლ-ებ-ა)“

**ეშუ ძგლდაშ ლიკინე** (ბქ.) „იოტის ოდენის დაკლება (ზედმიწ. — ერთი იოტის და-კლ-ებ-ა)“

**ეშუთი გუიმი ლიდისგ** (ბქ.) „ყოველთვის ერთ ხასიათზე ყოფნა (ზედმიწ. — ერთი გულ-ის დ-ებ-ა)“

**ეშუთი აშირშ ლაჭონი** (ბქ.) „ყველას მჯობილყველაზე უკეთესი (ზედმიწ. — ერთი ას-ის სა-წონ-ი)“ და ა. შ.

რაოდენობითი რიცხვითი სახელის **აორი**'ს „ორი“ შემცველი ფე-ები:

**აართ შიუშუშუ|ტოტშუ ლიჭუდალი** (ბქ.) „დაუნანებლად, ხელგაშლით, დაუზოგველად, გულუზვად რამის გაცემა, დარიგება, გამეტება (ზედმიწ. — **ორ**-ი ხელით გაცემა|დარიგება)“

**აართ ტუეტშუ|ტოტშუ ლიგუანიე!** (ბქ.) „ხელების დაშენით დატირება (ზედმიწ. — **ორ**-ი ხელით დატირება)“

**აორი სიტყუაშ ლისნათი** (ბქ.) „სათქმელის ვერ თქმა, ან უცოდინრობის, ან სიმორცხვის გამო (ზედმიწ. — **ორ**-ი სიტყვ-ის მოხერხება)“

**აართ მართქა ლიკედ** (ბქ.) „სვანური დაფიცების ერთ-ერთი ვერსია, როდესაც ადამიანს თავისი სიმართლის დასამტკიცებლად შეუძლია ეკლესიაში შევიდეს და დაიფიცოს („**ორ** კაცი<sup>1</sup> კენგა მოსვლა“)“ და სხვ.

რაოდენობითი რიცხვითი სახელის **სემი**'ს „სამი“ შემცველი ფე-ები:

**სემი ქრისდჷ თანდობ|თანდუებ|თანდუდებ** (ბზ.) „ფიცი, პირობის მიცემა (ხელის ჩამორთმევით); თავდები (ზედმიწ. — **სამ**-ი **ქრისტე**-<sup>1</sup> თავ-ს-დ-ებ-ა)“

**სამ ჭუნარ-ლემზირშუ ლიმზირ** (ბქ.) „სამი სეფისკვერით დალოცვა (ზედმიწ. — **სამ**-ი **ჯვარ**-სა-**ზორ**-ავ-ით **ზორ**-ვ-ა)“.

რაოდენობითი რიცხვითი სახელის **ჟოშხუ**'ის „ოთხი“ შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები:

**ჟოშხუშუ ლინელიზი** (ბქ.) „ჭენებით, ჩქარა წაყვანა|სვლა, შდრ. ქართ. ოთხანით სვლა

**ჟოშხუდ ლექუცაქ!** (ბქ.) „გასახეთქი, სასიკვდილე (ზედმიწ. — **ოთხ**-ად გასაჭრელი!)“

აქ საანალიზოდ წარმოვადგინეთ, აგრეთვე, ისეთი ფრაზეოლოგიური გამონათქვამები, რომლებშიც მონაწილეობას იღებენ რაოდენობითი რიცხვითი სახელის „ოთხ“-ის შემცველი

კომპოზიციები. ამ კომპოზიტთა ორივე შემადგენელი ელემენტი ქართულიდანაა შემოსული და მსაზღვრელ კომპონენტად სწორედ ქართულიდან ნასესხები ფონეტიკურად სახეცვლილი რიცხვითი სახელი „ოთხი“ დასტურდება. დავასახელოთ რამდენიმე მაგალითი:

**ჟეთხჟმაღშუ კჟეშნის** (ბქ.) „ბევრი საქონელი ჰყავთ (ზედმიწ. — **ოთხ-მა-ვალ**-ით ტყეებიან)“

**ჟეთხდაროდუ ხოგცე!** (ბქ.) „ღმერთმა დაწყევლოს (ზედმიწ. — **ოთხ-თავ**-ი-მც რა<sup>ა</sup>ქცევს!)“

სვანური ენის ბალქვემოური დიალექტის წყევლის ფორმულაში დაფიქსირებული რელიგიური ლექსემა **ჟეთხდარ** (შდრ. ბზ. **ჟეთხთაჟ** და ბქ. **ოთხთაჟ**) აშკარაა, რომ ქართულიდან არის ნასესხები (შდრ. ქართ. **ოთხთავ**-ი) და მიღებულია სხვადასხვა ფონეტიკური პრაოცესების შედეგად.

რაოდენობითი რიცხვითი სახელის **ჟოხუშდ**'ის „ხუთი“ შემცველი ფე-ები:

**ჟოხუშდ ფხულეშალ ლინალლითერ** (ბქ.) „ზედმიწვენით, კარგად ცნობა, ცოდნა (ზედმიწ. — **ხუთ**-ი თითოვით ცოდნა|ცნობა)“.

რაოდენობითი რიცხვითი სახელის **იშგუილ** ის „შვიდი“ შემცველი ფე-ები:

**იშგუილ ლადელიშ ლიცხპე** (ბქ.) „რამდენიმე დღის ცხოვრება (ზედმიწ. — **შვიდ**-ი **დღ**-ის რეშეშგლა)“.

რაოდენობითი რიცხვითი სახელის **ჩხარა**'ს „ცხრა“ შემცველი ფე-ები:

**ჩხარა თჱკჟჟა ნჱსკინ რჟურალ** (ბქ.) „ცული ყოფაქცევის ქალი“ (ზედმიწ. — **ცხრა თოკ**-ზე ნახტომი ქალი), „შდრ. ქართ. ცხრა თოკში გამძვრალი, ცხრა თოკიდან აშეებული „ათასგვარ გაჭირვებას გადარჩენილი, მეტად გაქნილი, გამოცდილი, ეშმაკი, გაიძვრა“

**ჩხარა ლალბაბარ ხოსიპ** (ბქ.) „მერყევი, ხან ერთს იძახის, ხან მეორეს (ზედმიწ. — **ცხრა** მორგვი უტრიალებს)“

**ჩხარა ქჟინ ხოგ** (ბქ.) „უკვდავია, არ კვდება (ზედმიწ. — **ცხრა** სული უ-დგ-ა-ს)“

**ჩხარა ნუკჟი მახალ** (ჩოლ.) „ეშმაკობა, გაიძვრობა, ორპირობა (ზედმიწ. — **ცხრა** სახი<sup>რ</sup>ს<sup>ა</sup> ცოდნა)“

**ჩხარა ვჱდიშ ლიდჟჱში** (ბქ.) „ორსულობის ბევრჯერ შეწყვეტა (ზედმიწ. — **ცხრა** მუცლის და-შავ-ებ-ა)“ და. ა. შ.

რაოდენობითი რიცხვითი სახელის **აეშდლშდ**'ის „ათი“ შემცველი ფე-ები:

**ეშდმეტრინჱ ნინიშ ლიკჟანე** (ბქ.) „ზედმეტი, არასაჭირო ლაპარაკი (ზედმიწ. — **ათ-მეტრ**-იან-ი **ენ**-ის გდება)“

**ეშდ კრჟუგიშ ლიყერ** (ბქ.) „სოფლის შემოვლა, ხშირი სიარული სოფელში (ზედმიწ. — **ათ**-ი **კრჟუგ**-ის დარტყმა)“

**ეშდ როქ ხორდეს, ეშხუთედესგა როქოდუ ანტენა, ეშხუ როქ ხორდეს, შაბრისგა როქოდუ ლახკიჟენა!** (ბქ.) „ბევრი ჰყავდესო და

მხოლოდ ერთი დარჩესო, ერთი ჰყავდესო და ისიც მოუკვდესო („ათ-ი-ო ჰყავდეს, ერთის<sup>1</sup>კენშიომცა მობრუნებია, ერთიო ჰყავდეს, ხელებშიომცა გაქრობია!“)“ და მისთ.

რაოდენობითი რიცხვითი სახელის **ემდგორი**’ის „თორმეტი“ შემცველი ფე-ები:

**ემდგორი თხუიმ დემე მარ** (ბქ.) „ამდენის თავი არა მაქვს (ზედმიწ. — ათ-ორ-ი თავი არ მაქვს)“

**ემდგარტეთე ლიტეხ** (ბზ.) „ყველანაირი საქციელის ჩადენა, ცელქობა (ზედმიწ. — ათ-ორ-ის<sup>1</sup>-კენ დაბრუნება)“ და სხვ.

რაოდენობითი რიცხვითი სახელის **ფერტემდ**’ის „ოცი“ შემცველი ფე-ები:

**ერტემდ ქა ჰეჟა** (ბქ.) „რამდენჯერ გითხარი (ზედმიწ. „ორ-ათ-ი გითხარი“)

**ერტემდ ფურეშიშ ლიჯდე** (ბქ.) „ბევრი ძროხის საფასურის გადახდა (ზედმიწ. — ორ-ათ-ი ფურ-ის მოტანა)“

**შენიშენა**: ჩვენ მიერ სავლელ პირობებში მოპოვებული მასალის მიხედვით, **ფურეშ** არის სისხლის საფასური, რომელსაც დაზარალებულის ოჯახს უხდიან.

რაოდენობითი რიცხვითი სახელის **ერტემდიშომთხ**’ის „ოცდაოთხი“ შემცველი ფე-ები:

**ერტემდიშომთხ სწათ ლირგადი** (ბქ.) „დღე და ღამე ერთსა და იმავეს ჩიჩინი (ზედმიწ. — ორ-ათ და ოთხ-ი საათ-ი ლაპარაკი)“

რაოდენობითი რიცხვითი სახელის **შომთხტერტემდ**’ის „ოცდაოთხი“ შემცველი ფე-ები:

**შომთხტერტემდ მენ!** (ბქ.) „მეზი დაგაყარე (ზედმიწ. — ოთხ-ორ-ათ-ი მენ-ი)“.

რაოდენობითი რიცხვითი სახელის **აშირ**’ის „ასი“ შემცველი ფე-ები:

**აშირდ ლიქტეც** (ზს., ქს.) „ერთი კაცის მიერ მრავალგვარი საქმიანობისათვის ხელის მოკიდება (ზედმიწ. — ას-ად რგაჭრა)“, შდრ. ქართ. ათასად იჭრებოდა. სვანურში დასტურდება ასევე **ემდდ ლიქტეც** ფორმაც „ათად გაჭრა“, რაც ქართულში ვერ დავაფიქსირეთ.

**აშირთე ლიტხე** (ბქ.) „თავის ჰკუაზე ტარება (ზედმიწ. — ას-ის<sup>1</sup>-კენ დაბრუნება)“

**აშირ ზაჟ ამხენჩუ** (ბქ.) „დიდი ხნის მერე (ზედმიწ. — ას-ი წლის აქეთკენქვე)!“

**აშირდ ლიგენ** (ბქ.) „გამრავლება (ზედმიწ. — ას-ად დგ-ომ-ა)“ და სხვ.

რაოდენობითი რიცხვითი სახელის **ათანს**’ის „ათასი“ შემცველი ფე-ები:

**ათანსქესალა** (ბქ.), **ათასქესალა** (ლშზ.) „არაფრის გულისათვის (ზედმიწ. — ათას-ი ქის-ის-ა<sup>1</sup>-თვის)“, შდრ. ქართ. **ათას ქისად** „არაფრის გულისთვის“ (იგულისხმება: ათას ქისა მარჩილად)

**ათასიშ ლიქუისგ** (ბქ.) „ბევრჯერ თქმა (ზედმიწ. — ათას-ის თქმა)“

**ათასისგა ეშხუ** (ბქ.) „მეტად იშვიათად“, შდრ. ქართ. ათასში ერთი||ერთხელ, თუმცა სვანურში უფრო გავრცელებულია **აშირისგა ეშხუ** „ასში ერთი“, რაც ქართულში ვერ დავადასტურეთ (იხ. ზემოთ)

**ათას ხოხას** (ბქ.) „ბევრი ეშმაკობა, გაიძვერობა იციან (ზედმიწ. — ათას-ი იციან)“.

სვანურში შეგხვდა რამდენიმე ისეთი ფე, რომელშიც მონაწილეობას ღებულობს რიცხვითი სახელი **ათასერტემდ** „ათასოცი“, მსგავსი რამ ქართულში არ დადასტურებულა. მაგ.:

**ათასერტემდთე ლიქარუნე** (ბქ.) „დამალვა, გადაკეთება, გადასხვაფერება სათქმელის||ამბავის... (ზედმიწ. — ათას-ორ-ოც-რის-კენ გადასხვაფერება)“

**ათასერტემდთე ლიხურდანტი** (ბქ.) „რალაც ამბის გადასხვაფერება, ეჭვის შეტანა (ზედმიწ. — ათას-ორ-ოც-რის-კენ გადა-ხურდ-აფ-ებ-ა)“

**ათასერტემდთე ლიტხე** (ბქ.) „გზა-კვალის აბნევა, მის ჭკუაზე ტრიალი (ზედმიწ. — ათას-ორ-ოც-რის-კენ დაბრუნება)“ და მისთ.

რაოდენობითი რიცხვითი სახელის **აშირათას**’ის „ასიათასი“ შემცველი ფე-ები:

**აშირათასისგა ეშხუ** (ბქ.), **აშირათასისა ეშხუნი** (ჩოლ.) „მეტად იშვიათად (ზედმიწ. — ას-ათას-ში ერთი||ერთხელ)“

**აშირათას** ხშირად ფიქსირდება, აგრეთვე, სვანური დალოცვის ფორმულებშიც, მაგ.: „**ლამარია ..., აღჟე, აშირათას ლიკერე ხოჩა გუჟი ანჰი ...!**“ (ბქ.) „წმინდაო მარიამ, აბა, ბევრ ლეწვის დღესასწაულს მოგვასწარი ბედნიერად („წმ. მარიამ, აბა, ას-ი-ათას-ი კევრ-ობ-ა კარგ გუჟლ-ზე მოგვასწარი!“)!“ და სხვ.

რაოდენობითი რიცხვითი სახელის **მილტენ**’ის „მილიონი“ შემცველი ფე-ები:

**მილტენდ ლიგნე** (ბქ.) „გამრავლება, უამრავის მოცემა (ზედმიწ. — მილიონ-ად და-დგ-მ-ა)“

**მილტენდ||მილიონდ ლიგემ** (ბქ.) „დიდ რამედ რომ უღირს ადამიანს რალაცა (ზედმიწ. — მილიონ-ად მიღირს)“ და ა. შ.

რაოდენობითი რიცხვითი სახელების გარდა სვანურ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამთა ჩამოყალიბებაში მონაწილეობას ღებულობენ **რიგობითი რიცხვითი სახელებიც**, მაგ.:

რიგობითი რიცხვითი სახელის **მერმეს** „მეორე“ შემცველი ფე-ები

**მერმე სობ** (ბქ.) „ერთი ამბავი, არეულობა, ატრზაური (ზედმიწ. — მე-ორ-ე ხმაური||ალიაქოთი)“, შდრ. ქართ. მეორედ მოსვლა „საშინელებაა, უბედურებაა, კატასტროფა“

**მერმე სობიშ ლისყი** (ბქ.) „შავი დღის დაყრა, გალანძღვა, გათათხვა, ერთი ამბის ატყევა (ზედმიწ. — მე-ორ-ე მოსვლის კეთება)“

**მერმად ლითაჟე** (ბქ.) „რაიმე კარგის, მეტისმეტად სასიამოვნოს, გამაბედნიერებლის შემთხვევა, ძალიან გახარება, ალტაცება“, შდრ. ქართ. მეორედ დაბადება||შობა და ა. შ.

დანარჩენი რიგობითი რიცხვითსახელიანი ფრაზეოლოგიური გამონათქვამები ვერ დავადასტურეთ.

სვანურში მეტნაკლები ფრაზეოლოგიური აქტივობით გამოირჩევიან ის ზმნისართები, რომლებიც მიღებულია რაოდენობით რიცხვით სახელებზე ჯერადობის||გზისობის -ინ, -გნ, -უნ ნაწილაკების დართვით (**ეშხუნ**, **აჟრინ**, **სუმინ**, **აქეშდუნ**, **აქერაჟეშდუნ**, **აშირგნ**, **ათანგნ**, **ათანერაჟეშდუნ**, **აშირათანინ**), მაგ.:

**ეშხუნ გარ მადეა ერაჟეშდუნ ქა ჯეჟა** (ბქ.) „რამდენჯერ გითხარი (ზედმიწ. — ერთხელ მხოლოდ კი არა და **ორ-ათ-ჯერ** გითხარი)“; **აჟრინ დაგარაშ გოჟარ** (ბქ.) „ორჯერ სიკვდილის ტოლფასი საქმე (ზედმიწ. — **ორ-ჯერ** სიკვდილის **გვარ-ი**)“, შდრ. ქართ. **ორჯერ** მოკლული; **აშირგნ ლიქჟისგ** (ბქ.) „ბევრჯერ თქმა (ზედმიწ. — **ას-ჯერ** თქმა)“; **ათანგნ ლიქჟისგ** (ბქ.) „ბევრჯერ თქმა (ზედმიწ. — **ათას-ჯერ** თქმა)“; **ათანერაჟეშდუნ ლიქჟისგ** (ბქ.) „ბევრჯერ თქმა (ზედმიწ. — **ათას-ორ-ათ-ჯერ** თქმა)“; **აშირათანინ ლიქჟის** (ჩოლ.) „ბევრჯერ თქმა (ზედმიწ. — **ას-ი-ათ-ას-ჯერ** თქ-მ-ა)“ და ა. შ. რაც შეეხება ქართულს, იქ მხოლოდ **ორჯერ** და **ასჯერ** დადასტურდა.

სვანურში გვხვდება აგრეთვე გამრავლების აღმნიშვნელი რიცხვითი სახელების შემცველი ფე-ებიც, მაგ.: **ჩხარაფა მახალ** (ბქ.) „ემმაკობა, გაიძვერობა, ანუ ცხრამაგი ემმაკობა (ზედმიწ. — **ცხრა-ფა** ცოდნა, ემმაკობა)“; **ჩხარაფა ხოხალ** (ლხმ.) „ბევრი გაიძვერობა იციან (ზედმიწ. — **ცხრა-ფა** იციან)“; **ჩხარაფა მახლიშ** (ბქ.) „ემმაკი, გაიძვერა (ზედმიწ. — **ცხრა-ფა**||**ცხრა-მაგი** ცოდნის, ემმაკობის)“; **აქერაჟეშდუნ მახალ** (ბქ.) „ემმაკობა, გაიძვერობა (ზედმიწ. — **ორ-ათ-ფა**||**ორ-ათ-ი-მაგი** ცოდნა, ემმაკობა, ანუ ოცმაგი)“; **ემდმაგიშ ლიტხე||ემდმაგჟეშ ლიტხე** (ბქ.) „1. ენის ტლიკინი, შეპასუხება, სამაგიეროს გადახდა, 2. სიკეთის ათმაგად გადახდა (ზედმიწ. — **ათ-მაგ-ის** დაბრუნება)“ და სხვ.

სვანური ფრაზეოლოგიზმების ჩამოყალიბებაში, ქართულის მსგავსად, მონაწილეობას არ ღებულობენ წილადი რიცხვის აღმნიშვნელი ნუმერატივები (**მეუშთხჟედ**, **მეუხჟედ**, **მეეშდედ** და ა. შ.). ქართულში ერთადერთი გამონაკლისია კომპონენტი — ნახევარი, რომლის ფრაზეოლოგიური აქტივობა დაბალია (AF 4).

რაც შეეხება მიახლოებითი რაოდენობის აღმნიშვნელ ნუმერატივებს (ორიოდე, სამიოდე, ოთხი-ოდე, ათიოდე...), ისინი ქართულში, როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, ფრაზეოლოგი-ურ გამონათქვამთა ჩამოყალიბებაში საერთოდ არ მონაწილეობენ. სვანურში კი დავაფიქსირეთ რამდენიმე

ფრაზეოლოგიური გამონათქვამი აღწერითად ნაწარმოები **მიახლოებითი რაოდენობის** აღმნიშვნელი ისეთი ნუმერატივებით, როგორიცაა **აშტუშ ეშტუილ** და **ძარშუ ძორი**, მაგ.: **აშტუშ ეშტუილ ცდენდ** (ბქ.) „იშვითად, ერთადერთხელ მოსვლა (ზედმიწ. — ერთი ერთთუა მოსვლა)“; **აშტუშ ეშტუშ ეშტუან** (ბქ.) „იშვითად||ერთადერთხელ შეშლა (ზედმიწ. — ერთით ერთის ცდენა)“; **ძარშუ ძორი** (ბქ.) „მხოლოდ ორი, ორზე მეტი არა“, შდრ. ქართ. ორად ორი||ორიოდე, თუმცა, როგორც ზემოდანსახელებული მაგალითებიდან ჩანს, მათი ფრაზეოლოგიური აქტივობა საკმაოდ დაბალია.

ცალკე გამოყავით **ორ და მეტ რიცხვისახელიანი** ფრაზეოლოგიური გამონათქვამები სვანურში (სულ 33 ერთეული), რომელთა ფრაზეოლოგიური აქტივობა საკმაოდ უფრო მაღალია ქართულთან შედარებით (ქართულში ე. ყოჩაღლიანს დაახლოებით 15 ასეთი ფრაზეოლოგიზმი აქვს დაფიქსირებული — 2004, 265), მაგ.:

**ეშტუიფა ძენჟანს ჩხარაფა ესერ ხოხალს** (ლხმ.) „ზოგიერთმა ქალებმა ბევრი გაიძვებოდა||ეშტუიფა იციანო („ერთი-ფა ქალებს||ცოლებს ცხრა-ფა-ო იციან“)“

**ეშტუ||აშტუ შდმისგა სგა ლიფშუდე ი მერმაქა ქა ლიფშუდე** (ბქ.) „ყურადღების მიუქცევლობა (ზედმიწ. — ერთ ყურში შეშვება და მე-ორ-ე-ში გაშვება)“

**ეშტუ ეშტუს ხოტის ი მერმე — მერმეს** (ბქ.) „ორივე სხვადასხვანაირად მსჯელობს, ანუ ერთი ერთ იძახის და მეორე — მეორეს (ზედმიწ. — ერთი ერთს იმეორებს/უბრუნებს და მე-ორ-ე — მე-ორ-ე-ს)“

**აშტუჟი ეშტუს ხეწხი, მერმაჟი — მერმეს** (ბქ.) „უბედურება, გაჭირვება... ყველასთვისაა (ზედმიწ. — ერთზე ერთს სჭირდება, მე-ორ-ე-ზე — მე-ორ-ე-ს)“ და ა. შ.

ასლან ლიპარტელიანის „სვანურ ლექსიკონში“ დავაფიქსირეთ რიცხვითი სახელის შემცველი ზმნის პირიანი ფორმა **ათუთხმეტი** „მოთმინებას, გამძლეობას აკარგვინებს, საცაა ტირილს დაიწყებს (ზედმიწ. — ა-თხუთ-მეტ-ებ-ს)“, რომელიც ქართული **მეთოთხმეტები** ფორმის ანალოგიური უნდა იყოს, შდრ. სვან. (ჩოლ.) **მეტარ ლუთუთხმეტე ლი** „ნამეტანი შეწუხებულია, დაღონებულია, ტირილის ხასიათზეა და ქართული გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი **მეთოთხმეტები** „უბრალო საქმეზე მედავები, მაცივლები უმიზეზოდ“ (მაგ., რას მეთოთხმეტები, შე კაი კაცო, აბა, რომ არაფერი დამიშავებია შენთვის?!).

აქვე შემოგვაქს **ლიშელდე** „თვლა“ ზმნის პირიანი ფორმები — **ხშელდა, ხოშელდე...**, რომლებიც ფრაზეოლოგიზაციის პროცესში აქტიურად მონაწილეობენ, მაგ.: **თხუთმ გარ ხშელდა** (ბქ.) „არავინ არ აწუხებს საკუთარი თავის გარდა (ზედმიწ. — თავი მხოლოდ ა-თვლ-ია)“; **დეძთე ხშელდა** (ბქ.) „არც ცოცხლებში წერია და არც მკვდრებში, არაფერში არ იღებს მონაწილეობას (ზედმიწ. —

არა[ს]კენ ა-თვლ-ია)“; **ხოლა პილარ ხაშელდახ** (ჩოლ.) „ცული ამბავი აქვთ დათული (ზედმიწ. — ცული პირ-ებ-ი ა-თვლ-ია-თ)“ და, ასევე, **შელდ** „სათვალავი“, რომელიც ფრაზეოლოგიურ გამოთქმებში სვანურში ხშირად ფიქსირდება, მაგ.: **შელდიშ ლიუჟმე** (ბქ.) „უბედურება ოჯახში, ხშირი სიკვდილიანობა (ზედმიწ. — სა-თვალ-ავ-ის მოშლა|არევა)“ და მისთ.

ქართველურ ენათა ნუმერატიულ ფრაზეოლოგიზმებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილ სხვა ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფთან ერთად **ნუმერატივები** აქტიურად იღებენ მონაწილეობას ფრაზეოლოგიზაციის პროცესში. **ფე**-თა კომპეტენტური შემადგენლობის შესწავლა, როგორც ცნობილია, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია ფრაზეოლოგიური სისტემის ეროვნული სპეციფიკის შესწავლის საქმეში. ორი ენის ნუმერატიულ ფრაზეოლოგიზმებზე დაკვირვება კი მოწმობს, რომ არსებობს გარკვეული დამოკიდებულება კომპონენტ-ნუმერატივთა ფრაზეოლოგიურ აქტივობასა და რიცხვის სიდიდეს შორის.

შესაბამისი ექსტრალინგვისტური მასალა, რომელიც ამოვკრიბეთ სვანური ენის ოთხივე კილოზე არსებული პროზაული ტექსტებიდან, სვანური ენის ქრესტომათიიდან, ლექსიკონებიდან, აგრეთვე, 2010-11 წლებში მესტიისა და ლენტეხის რაიონებში ჩვენ მიერ საველე პირობებში მოპოვებული მასალიდან, შევადარეთ შესაბამის ქართულ მასალას და „ფრაზეოლოგიური აქტივობის“ გასარკვევად შეძლებისდაგვარად მოვახდინეთ მრავალფეროვანი ფაქტობრივი მასალის ანალიზი, რის შედეგადაც გაირკვა, რომ ნუმერატიულ **ფე**-თა აქტივობა ქართულში სვანურთან შედარებით უფრო დიდია (შლრ. ქართ. 216 და სვან. 196 ერთეული), თუმცა სვანურში ქართლისგან განსხვავებული ვითარებაც დასტურდება ზოგიერთ ნუმერატივთან დაკავშირებით. ამასთანავე, უნდა ითქვას ისიც, რომ სვანურში ფრაზეოლოგიურ ლექსიკონთა უქონლობის გამო შეუძლებელია ნუმერატიულ **ფე**-თა აქტივობის ზუსტი განსაზღვრა.

ჩვენი დაკვირვებით, ქართულ და სვანურ ფრაზეოლოგიზმთა შემადგენლობაში შედის შემდეგი ნუმერატივები, მაგ., ქართულში — **ერთი** (AF 105), **ორი** (AF 33), **სამი** (AF 4), **ოთხი** (AF 10), **ხუთი** (AF 4), **ექვსი** (AF 1), **ცხრა** (AF 28), **ათი** (AF 1), **თორმეტი** (AF 1), **თხუთმეტი** (AF 1), **ოცი** (AF 1), **ოცდაოთხი** (AF 1), **ასი** (AF 5), **ათასი** (AF 10), **პირველი** (AF 10), **მეორე** (AF 3), **მეექვსე** (AF 1), **მეშვიდე** (AF 3), **მერვე** (AF 1), **მეცამეტე** (AF 1), **ნახევარი** (AF 4); სვანურში — **ეშხუ** (AF 76), **დორი** (AF 21), **სემი** (AF 2), **ჟოშხნჟ** (AF 4), **ჟოხჟჟჟ** (AF 1), **იშჟჟიდ** (AF 1), **ჩხარა** (AF 20), **დეშდ** (AF 4), **დეშდორი** (AF 3), **ერჟჟედ** (AF 3), **ერჟჟეშდჟოშხნჟ** (AF 1), **ჟოშხნჟერჟჟედ** (AF 1), **აშირ** (AF 10), **ათჟჟ** (AF 5), **ათჟჟერჟჟედ**

(AF 7), აშირათს (AF 3), მილტენმილიონ (AF 3), მერმეშერმე (AF 5), ჩხარაფა (AF 3), ეშდმაგ (AF 1), ერტეშდფა (AF 1), ათსმაგ (AF 1), აშტუშ ეშხუ (AF 2), დარშუ დორი (AF 1), ამ ნუმერატივთაგან ზოგი მაღალი ფრაზეოლოგიური აქტივობით გამოირჩევა ორივე ენაში, ზოგი მათგანი კი მხოლოდ რამდენიმე ფე-ის შემადგენლობაში დასტურდება. ამ ფაქტის გათვალისწინებით, საენათმეცნიერო ლიტერატურაში შემოაქვთ ისეთი ცნება, როგორცაა AF ქვედა ზღვარი, რომელიც უდრის 5 ფრაზეოლოგიზმს (ე. ჟორჟოლიანი 2004, 262). ჩვენც აღნიშნულ ტერმინს დავესესხეთ და ცალკე გამოყავით ის ნუმერატივები, რომლებიც AF ქვედა ზღვარზე იმყოფებიან სვანურში, ესენია: **ყოშთხუ** (AF 4), **ყოხოშუშდ** (AF 1), **იგუთიდ** (AF 1), **ეშდ** (AF 4), **ეშდორი** (AF 3), **ერტეშდ** (AF 3), **ერტეშდიყოშთხუ** (AF 1), **ყოშთხუერტეშდ** (AF 1), **ათს** (AF 5), **აშირათს** (AF 3), **მილტენმილიონ** (AF 3), **მერმეშერმე** (AF 5), **ჩხარაფა** (AF 3), **ეშდმაგ** (AF 1), **ერტეშდფა** (AF 1), **ათსმაგ** (AF 1), **აშტუშ ეშხუ** (AF 2), **დარშუ დორი** (AF 1).

ფრაზეოლოგიურმოქმენაში ყველაზე მეტ აქტივობას, როგორც ცნობილია, პირველი ათეულის რიცხვები იჩენენ თითქმის ყველა ენაში და, რასაკვირველია, იგივე ვითარება გვაქვს სვანურშიც. რაც უფრო იზრდება რიცხვი, მით უფრო იკლებს მისი ფრაზეოლოგიური აქტივობა, თუმცა პირველი ათეულის რიცხვის აღმნიშვნელი ზოგი სახელი (მაგ., ქართ. — **შვიდი** და **რვა**, სვან. — **ჟუსგჟა** და **რჟა**) არც ქართულში და არც სვანურში ფრაზეოლოგიზმებში არ დადასტურებულა. რაც შეეხება მრგვალი რიცხვების აღმნიშვნელ ნუმერატივებს, ისინი ქართულში შედარებით უფრო დიდი ფრაზეოლოგიური აქტივობით გამოირჩევიან, სვანურში კი **ეშდ** „ათი“ რიცხვითი სახელის გარდა ყველა AF ქვედა ზღვარზე იმყოფებიან.

ქართულისგან განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებენ სვანურში შემდეგი ნორმატივები — **ათსერტეშდ** „ათასოცი“, **აშირათს** „ასიათასი“ და ქართულიდან ნასესხები **მილტენმილიონ** „მილიონი“, რომლებიც ფრაზეოლოგიზმთა წარმოქმენაში აქტიურად ლებულობენ მონაწილეობას. მსგავსი ვითარება ქართულში არ დაფიქსირებულა.

რაც შეეხება **წილადი** და **მიახლოებითი** რიცხვის აღმნიშვნელ ნუმერატივებს, ისინი ქართულში, როგორც ცნობილია, არაპროდუქტიულია და გარდა კომპონენტისა — **ნახევარი**, საერთოდ არ მონაწილეობენ ფრაზეოლოგიზმებში. სვანურში კი დადასტურდა მიახლოებითი რიცხვის აღმნიშვნელი ნუმერატივების შემცველი რამდენიმე ფრაზეოლოგიზმი, მაგ.: **აშტუშ ეშხუ** (AF 2) „ერთიოდე, მხოლოდ“ და **დარშუ დორი** (AF 1) „ორიოდე“, და, ასევე გამრავლების აღმნიშვნელი რიცხვითი სახელების შემცველი



ფრაზეოლოგიური ერთეულებიც (ემუიფა, ჩხარაფა, აერჟემდფა, ეშდმაგ და ა. შ.).

უნდა ითქვას ისიც, რომ ორ და მეტ რიცხვითსახელიანი ფრაზეოლოგიზმები სვანურში უფრო მეტი აღმოჩნდა (სულ 33 ერთეული), ვიდრე ქართულში (სულ 15 ერთეული).

### ლიტერატურა:

**ბოტინა** 1983 — Ботина Л. Г. Из наблюдений над семантикой нумеративных ФЕ в русских говорах. Вопросы семантики фразеологических единиц, Самарканд, 1983

**გაკი** 1966 — Гак В. Г. Беседы о французском слове. In: Сравнительная лексикология французского и русского языков. М. 1966

**ოლხოვსკაია** 1976 — Ольховская С. В. О фразеологических единицах с компонентом-числительным. Лексико-грамматическая сочетаемость в германских языках, вып. 2. Челябинск. 1976

**ჟორჟოლიანი** 2004 — ე. ჟორჟოლიანი, ნუმერატივების ფრაზეოლოგიური აქტივობის შესახებ, საენათმეცნიერო ძიებანი, XVII, თბილისი, 2004

**როჟანსკი** 1957 — Рожанский А. Я. Фразеологизмы с числительными. РЯШ 1957, №1

**სახოკია** 1979 — თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბილისი, 1979

**სერებრენიკოვი** 1955 — Серебренников Б. А. К проблеме типов лексической и грамматической абстракции. In: Вопросы грамматического строя. М. 1955

**სოკოლოვა** 1984 — Соколова Г. Г. Состав компонентов Фразеологических единиц Французского языка. Ленинград, 1984

**სუპრუნი** 1954 — Супрун А. Е. О Фразеологических единицах с числительными. In-Вопросы фразеологии, Ташкент, 1954

**შანიძე** 1938 — ა. შანიძე, კავკასიის ალბანთა ახლად აღმოჩენილი ანბანი..., ენიმკის მოამბე, ტ. IV, 1, თბილისი, 1938

# **TOWARDS THE PHRASEOLOGICAL ACTIVITY OF NUMERICALS WITH RESPECT TO GEORGIA**

Medea Sagliani, Arnold Chikobava Institute of Linguistics

## **SUMMARY**

In the previous work according to the variety of extra-linguistic materials (concretely, historical and ethnographic and also folklore) phraseological activity of one of the lexical-semantic group of numerals - "numericals" is possibly elucidated in Svan and Georgian.

One part of the phraseological units containing numerals in Svan must be submitted from Georgian, though there are also independent origin of the phraseological phrases, which make an interesting picture according to the dialects.

The phraseological phrases containing cardinal numerals in Svan make variety and interesting picture, the rest of the cardinal numerals not very often are confirmed in phraseological phrases.

## გიორგი სოსიაშვილი გორის სასწავლო უნივერსიტეტი

### შიდა ქართლის ზოგიერთი ტოპონიმის შესახებ

უმველეს დროში დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრებ მოსახლეობას შორის მჭიდრო ურთიერთობა არსებობდა. ამ ურთიერთობას, რასაკვირველია თავისი მყარი საფუძველი ჰქონდა, ეს იყო ერთი ეთნიკური წარმომავლობა. საუკუნეების განმავლობაში დასავლურ და აღმოსავლურ კულტურულ ნაკადთა შერწყმა აქტიურად მიმდინარეობდა, ამას ადასტურებს არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიკვლეული მასალა. კულტურათა გავრცელების საინტერესო მაგალითებს ვხვდებით შიდა ქართლის ტერიტორიაზე, სადაც ჯერ კიდევ ენეოლითის პერიოდიდან ჩნდება დასავლეთ საქართველოში მცხოვრები მოსახლეობის კულტურის გავრცელების კვალი. ამას ადასტურებს ქ. ცხინვალში გასული საუკუნეში წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად აღმოჩენილი ნივთიერი კულტურის ძეგლები. ცხინვალის მიდამოებში XX საუკუნის 50-იან წლებში მიკვლეული კაჟის ასიმეტრიულ ქიმიანი ისრის წვერების მსგავსი ნიმუშები გვხვდება ქ. ოჩამჩირეში [8; 15], დასავლეთ საქართველოში არსებული კულტურული წრის ნაკვალევს ვხვდებით ცხინვალსა და მის მიდამოებში ასევე ბრინჯაოს პერიოდში. “ცხინვალის განძში”, რომელიც 1909 წელს აღმოაჩინეს, სხვა ინვენტართან ერთად ხუთი კოლხური ცული შედიოდა [8; 19]. სოფ. დგვრისში აღმოჩენილ ბრინჯაოს ცულს არქეოლოგი ბ. ტეხოვი კოლხურ კულტურის კუთვნილებად თვლიდა [8; 23]. ისტორიკოსი მ. ცოტნიაშვილი აღნიშნავდა: „განხილული მასალებიდან კარგად ცანს, რომ შუა ბრინჯაოს ხანაში ცხინვალსა და მის მიდამოებში, წინა პერიოდებთან შედარებით სწრაფი ტემპით ვითარდება მატერიალური კულტურა, უმჯობესდება შრომის იარაღების ფორმა და დამუშავების ტექნიკა, მოსახლეობა მჭიდროდაა დასახლებული და ახლო ეკონომიურ-კულტურულ

ურთიერთობაშია საქართველოს სხვა რაიონებისა და მეზობელი ქვეყნების მოსახლეობასთან“ [8; 18]. კულტურათა შეხვედრების სხვა არაერთი მაგალითის დასახელებაც შეიძლება, რომელიც დასავლეთ საქართველოსთან შიდა ქართლის მოსახლეობის აქტიურ კავშირზე მეტყველებს. ნივთიერი კულტურის ძეგლების გარდა უძველეს პერიოდში ქართველური წარმოშობის მოსახლეობის მჭიდრო კონტაქტის შესახებ ძალზე საინტერესო ინფორმაციას იძლევა ტოპონიმიკური მასალა, რომელთა ანალიზი ცხადყოფს იმას, რომ ქართლში ზანურ-სვანური მოსახლეობის ცხოვრების კვალი ჩანს. შიდა ქართლის ტოპონიმიკურ მასალას ამ თვალსაზრისით ჯერ კიდევ ჯ. გვასალიამ მიაქცია ყურადღება. ჯ. გვასალია წერდა: “ შიდა ქართლის მოსახლეობა უძველესი დროიდან ქართველური იყო, ამაზე მიუთითებს ქართული წარმოშობის ტოპონიმები და ქართულ-ზანურ-სვანური ტოპონიმიკური შეხვედრები, საუკუნეთა მანძილზე, მთიდან ბარში ეთნიკური გადაჯგუფების პროცესმა მოსახლეობის შემადგენლობას გარკვეული კვალი დაამჩნია“ [3; 164]. ჯ. გვასალიამ შიდა ქართლში არსებული არაერთი ტოპონიმი შეისწავლა, რომელთა ახსნაც სწორედ სვანურის ან მეგრულ-ჭანურის მეშვეობით არის შესაძლებელი. მაგ. დადიანეთში არის ტოპონიმი „ცხრაძმითი“ (მთა), მის მახლობლად მთიან გვერდს ეწოდება „ჩხორეთი“ (ჩხორო“ მეგრ.—ცხრა) [3; 164]. ჭურთის ხეობაში (ქსნის ხეობის ჩრდილოეთ მხარეს) გვხვდება ტოპონიმი “კუცხოეთი” ჭანურში ჯ. გვასალიას განმარტებით “კუცხ”-ღვიძებას ნიშნავს [3; 164]. მეგრულის მეშვეობით იხსნება “სამეგრეთი”. მეგრული “მეგირი” ქართულად ეკალ-ღიჭას ნიშნავს [3;164]. ასეთივე ახსნა აქვს “ცხმორს” ამ სახელწოდებას ადგილობრივი მოსახლეობა ქსნის ხეობაში არსებულ ქარჩოხის ციხეს უწოდებს. “ცხმორი” მკვლევრის აზრით მომდინარეობს მეგრულიდან, კავკასიურ რცხილას მეგრულად ცხიმური ჰქვია. ლეხურის ხეობაში არსებობს ტოპონიმი “წიფური”, ეს სიტყვა მეგრულში წიფელს ნიშნავს [3; 164]. მდინარე მეჯუდის სახელწოდება შესაძლებელია მომდინარეობდეს ზანური “მაჯუდადან”. ჭურთის ხევში არსებობს სოფელი “ჩხუნეთი”, მეგრულად ჩხუნ ნიშნავს ძროხას. მეგრულ და სვანურ ენებთან პატარა ლიახვის ხეობაში

არსებული ბევრი ტოპონიმი ამჟღავნებს მსგავსებას. ასეთია მაგ. სოფ. გერი, სადაც მდებარეობს ქართლში განთქმული გერის წმინდა გიორგის სალოცავი[5; 87]. გერი მეგრულად მგელს ნიშნავს და როგორც ჯ. გვასალია განმარტავს: “ის შესანიშნავად უდგება სალოცავის შინაარსს. გერი და ლომისა შესაძლოა საერთო წარმოშობისანი გამოდგნენ, თუ ლომისაში სვანურ ლომს//ლეშს დავინახავთ, რომლის თაყვანისცემაც გენეტიკურად მგლის(მაღლის) კულტამდე მიდის”[3;164]. ლაზურში “გერ-ი” ნიშნავს “უკან-ს”, ხოლო “გერმა” კი ტყეს[4; 27]. სვანური წარმოშობისაა შიდა ქართლის ტერიტორიაზე არსებული “ისროლის ხევი”, სვანურად “ისრ” ისლს ნიშნავს. სვანურის მეშვეობით იხსნება პატარა ლიახვის ხეობაში ასრებული ტოპონიმი ფაჩური და ასევე აქ გავრცელებული გვარი ლაფაჩი, მათი ფუძეა “ფაჩ”, რაც სვანურად ცაცხვს ნიშნავს [3; 164]. ჯ. გვასალიამ ყურადღება მიაქცია ასევე ტოპონიმ “საცხუმეთს,” VII საუკუნის სომხური გეოგრაფიის მიხედვით საცხუმეთი პატარა ლიახვის ხეობის ზედა ნაწილს ერქვა[5; 8]. “ცხუმ” სვანურად რცხილის სახელწოდებაა. მისი მსგავსია ასევე ცხინვალის ძველი სახელწოდება ქრცხილვანი. სვანურის მეშვეობით არის ნაწარმოები ლარგვისი, როგორც ჯ. გვასალია აღნიშნავს: ”ლა სვანური პრეფიქსია, ხოლო გურ, სვანურად ნიშნავს შუა ადგილს.” [3; 164]. ზემოთ წარმოდგენილი ტოპონიმიკური ერთეულების გარდა, ჩვენი ყურადღება მიიპყრო შიდა ქართლში გავრცელებული სხვა არაერთმა ტოპონიმმა, მათი უმრავლესობა გვხვდება დიდი და პატარა ლიახვის ხეობაში ასევე, ფრონეს ხეობაში. მაგ. ქართულში არსებობს კუართ-ი, მისი შესატყვისი ჭანურში და მეგრულში გვაქვს კურთა[7; 178]. აღსანიშნავია, რომ დიდი ლიახვის ხეობაში არსებობს სოფელი ქურთა. შიდა ქართლში გვხვდება ტოპონიმი თირი, სადაც არსებობს უძველესი თირის მონასტერი [1]. თირი გვხვდება ასევე VII საუკუნის სომხურ გეოგრაფიაში, რომლის მიხედვით პატარა ლიახვის ხეობის ქვედა ნაწილს “ქორდითირიკოს ხევი” ეწოდებოდა. თირი მეგრულში თოვლს ნიშნავს [7; 189]. ლიახვის და ფრონეს ხეობის მიდამოებში გვხვდება ტოპონიმი კუსირეთი, ამ სახელის ფუძე “კუს” მეგრულ-ჭანურში კვნესას ნიშნავს [7; 300]. არაგვის ხეობის

მთიან ნაწილში არსებობს ტოპონიმი “ცხაოტი,” ჭანურ-მეგრულში “ ცხოტ”-სხლეტას, ხტომას ნიშნავს[7; 385]. პატარა ლიახვის ხეობაში გვხვდება სოფელი ჭარები, საინტერესოა, რომ ჭანურ-მეგრულში “ჭარ” წერას ნიშნავს [4; 407]. პატარა ლიახვის ხეობაში არის სოფელი დიცი, საინტერესოა, რომ ლაზურში “დიცხირ-ი” სისხლს აღნიშნავს [6; 133]. პატარა ლიახვის ხეობაში, კერძოდ, სოფელ არბოში XX საუკუნის დასაწყისამდე გავრცელებული გვარი იყო ჟურული. ლაზურში ამ გვარის ფუძე “ჟურ” ნიშნავს ორს[6; 243]. პატარა ლიახვის ხეობაში გვხვდება ფოტრისის ხევი, მას ვახუშტი ბატონიშვილიც იხსენიებს, ფოტრისის ხევი მდ. პატარა ლიახვის ერთ-ერთი შენაკადია, ის სოფელ ბელოთის ზემოთ ერთვის ლიახვს[2; 361-363]. მეგრულში გვხვდება მისი მსგავსი ფოტორი, რაც ფუტურო ხის აღმნიშვნელია [6; 315]. ასეთი ფაქტები გვხვდება ქსნის ხეობაშიც, მაგ. აქ გავრცელებული გვარია-ქენქამე, არსებობს ასევე სოფელი ქენქანი, აღსანიშნავია, რომ ლაზურში გვხვდება “ქანქ,” ხოლო სვანურში “ქინქ,” ენათმეცნიერთა გამოკვლევით ამ სიტყვების არქეტიპია ქენქ, რაც ქექვას ნიშნავს [6; 334]. შიდა ქართლში გვხვდება სოფელი ღრომი, იგი ისტორიულ საამილახვროში შედიოდა. ეს ტოპონიმი მსგავსებას პოულობს, მეგრულ “ღორონთან,” მეგრულში მისი ერთ-ერთი განვითარებული ფორმაა ღრომთ-ი რაც ღმერთს ნიშნავს.[6; 353]. ქსნის ხეობის ჩრდილოეთ მხარეს მდებარეობს ჭურთა, რომელსაც ვახუშტი ბატონიშვილიც იხსენიებს[2; 361-363]. მეგრულში “ჭორთ” ლატანს, ჭოკს ნიშნავს[6; 457]. შიდა ქართლში გავრცელებული ტოპონიმების შესწავლა და ეტიმოლოგიური ანალიზი რასაკვირველია ენათმეცნიერების მომავალი კვლევის საგანი გახდება და ბევრი საინტერესო მასალაც გამოვლინდება, მაგრამ ფაქტია, რომ უძველეს დროში დიდი იყო ქართველური ტომების ურთიერთ-ლტოლვა. ჯ. გვასალია აღმნიშნავს: “თუ უფრო ადრეული ხანიდან არა, გვიანი ბრინჯაოს ხანიდან მაინც, დასავლეთ საქართველოსა და შიდა ქართლის მოსახლეობა, არქეოლოგიურ კულტურათა მიხედვით, კულტურულ-ეთნიკურად მჭიდროდაა დაკავშირებული [3; 167]. საინტერესოა, რომ შიდა ქართლი ფეოდალურ პერიოდში დასავლეთ საქართველოს მმართველთა

დაინტერესების სფეროში მოექცა და აფხაზთა მეფეების ექსპანსიის ობიექტი გახდა. პატარა ლიახვის ხეობაში არსებულ სოფელ ერედვში შემორჩენილი წმინდა გიორგის ტაძრის კარიბჭეზე 906 წელს შესრულებული ასომთავრული წარწერა ცხადყოფს, რომ აფხაზეთის მეფეებს შიდა ქართლში ამ დროს დიდი გავლენა ჰქონდათ მოპოვებული [5; 124]. ამავე პერიოდს უკავშირდება აკად. ს. ჯანაშიას აზრით შიდა ქართლში დასავლეთ საქართველოდან არაერთი ფეოდალური საგვარეულოს გადმოსახლება და დამკვიდრება მაგ. ჩიჯავამეების, მარუშიძეების, ანჩაფამეების [10; 478]. შიდა ქართლში არსებული ტოპონიმები საქართველოს ამ უძველესი კუთხის ცოცხალი ისტორიაა. ქართული ტოპონიმების გაყალბების პროცესი განსაკუთრებით გააქტიურდა 1922 წლის შემდეგ, როდესაც ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ჩამოყალიბდა. ბოლშევიკების მიერ წაქეზებული ოსი მეცნიერები ძალისხმევას არ იშურებდნენ, რათა ქართული ტოპონიმები ოსურით ჩაენაცვლებინათ. შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ტოპონიმთა ახალი ნომინაცია, რომელიც 1934 წელს გამოქვეყნდა. ეს იყო “სამხრეთ ოსეთის დასახლებული პუნქტების, მდინარეების და მთების ახალი სახელწოდებები.“ სადაც ასობით ქართული ტოპონიმის გადააკეთეს. მკვლევარი კ. ხარაძე აღნიშნავს: „ოს მკვლევარებს და მამინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებს ერთი ხელის მოსმით სურდათ ისტორიის ფურცლების წაშლა. თურმე, იმდრინდელი სამხრეთ ოსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დავალებით მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტმა გასწია მუშაობა გეოგრაფიული სახელწოდებების გადასინჯვაზე(?) თავის მხრივ სამხრეთ ოსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1933 წლის 5-6 მარტის სხდომამ დაამტკიცა ტოპონიმთა ახალი ჩამონათვალი“ [9; 34]. საინტერესოა, რომ ოსურ მხარეს განზრახული ჰქონდა ისტორიული ქართული სოფლების თუ დასახლებათა სახელწოდებების შეცვლა შემდეგნაირად, მაგ. გორგაშენი—დალდაგ-ყაუ, ნაგომევი ტიჯითად, ფიჭვნარი კულდიმად, ციხის სოფელი ხუბიათად, წინაგარი ამმარინად, მონასტერი დონგარონად, ქემერტი ჩემერთად და სხვ. [9; 34]. უნდა აღინიშნოს, რომ ე. წ. სამხრეთ ოსეთში არსებული

სეპატისტული წრებისათვის ტოპონიმების გადაკეთება და ისტორიის გაყალბება დღესაც მძლავრ იარაღს წარმოადგენს. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ამან კიდევ უფრო აქტიური ხასიათი მიიღო. ისტორიული ქართული სოფლების სახელწოდებები, რომელთა ფესვები საერთო ქართული ენიდან მომდინარეობს ქრება და მათ ნაცვლად ხელოვნურად შექმნილი ტოპონიმები მკვიდრდება.

### **ლიტერატურა:**

1. ანდლულაძე ნ., თირის მონასტრის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, თბ., 1976.
2. ბატონიშვილი ვახუშტი., აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV თბ., 1973.
3. გვასალია ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983.
4. კალანდია თ., 2000 ლაზური სიტყვა, სალექსიკონო მასალა, გამომც. არტანუჯი, თბ., 2005.
5. სოსიაშვილი გ., ნარკვევები ლიახვის ხეობის ისტორიიდან, თბ., 2011.
6. ფენრიხი ჰ., სარჯველაძე ზ., ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990.
7. ჩიქობავა არნ., ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938.
8. ცოტნიაშვილი მ., ცხინვალის ისტორია, ცხინვალი 1986.
9. ხარაძე კ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფია (შიდა ქართლი), თბ., 1992.
10. ჯანაშია ს., შრომები, თბ., 1952.

## **SOME OF SHIDA KARTLI TOPONYMY** **Giorgi Sosiashvili, Gori Teaching University** **RESUME**

In ancient time the populations of the West and East Georgia had a close relationship between each other. This relationship had a solid basis – the same ethnic origin. Through centuries western and eastern cultures were being actively merged, this fact is proved by the results of archeological



excavations. There are some more examples proving significant relations between the West Georgia and Shida Kartli populations. Toponymic materials display interesting information about a solid contact between the populations of the Georgian origin.

## მურმან სუბიშვილი

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

### უნებლიობის გამოხატვისათვის ქართულში

აფხაზურ-ადიღურ ენათა ზმნის მორფოლოგია განარჩევს უნებურობის კატეგორიას, რომელიც რეალური სუბიექტის მიერ ჩადენილ მოქმედებას გამოხატავს (ლომთათიძე 1955, 135-136; როგავა, კერაშევა 1966, 281-282).

ქართულში ზოგიერთი ენიანი და დონიანი ვნებითის მოდელზე რთული შემო- ზმნისწინის დართვით შესაძლებელია რეალური სუბიექტის ნებისათვის მიუღებელი მოქმედების გამოხატვაც: შემომეჭმება, შემომელანძღება, შემომეფშვნება, შემომელახება... შემომაკვდება, შემომატყდება, შემომაცვდება... მე ის (ფოცხიშვილი 1969, 152-155).

შემო- ზმნისწინი უნებლიობის სემანტიკის გადმოსაცემად ქართულში აფიქსთა ობიექტურ წყობას, მანის რიგს იყენებს (მ. მაჭავარიანი, 1987, 84; ნ. მაჭავარიანი, 2006, 101). მოქმედების უნებლიე შემსრულებელი ამ რთული სტრუქტურის ვნებითებში მიცემით ბრუნვაში დასმული გრამატიკული ირიბი ობიექტია, რომელიც რეალურად სუბიექტის ფუნქციით წარმოგვიდგება, სახელობით ბრუნვაში დასმული სუბიექტი კი რეალურად ამ უნებლიე მოქმედების ობიექტად გვევლინება.

**შემო-** ზმნისწინს უნებლიობის სემანტიკის გამომხატველ ზმნებში დაკარგული აქვს ზმნისწინისათვის დამახასიათებელი ფუნქცია – გეზისა და ორიენტაციის წარმოებისა. მას არ შეუძლია ასპექტის კატეგორიის წარმოებაც, რადგან უამაფიქსო ფუძეები იშვიათად გვხვდება (ფოცხიშვილი 1969, 154).

ამ ვნებითებს აწმყოს მწკრივების გარდა ყველა მწკრივი უკეთდება და, რაც საყურადღებოა, აქვს საპირისპირო კონვერსიული აქტივები. ა. ფოცხიშვილი ოცზე მეტ საოპოზიციო წყვილს ასახელებს:

**ვნებ.** შემომაკვდა, შემომეჭამა, შემომეხარჯა,  
შემომეტყიპა, შემომესვა

**მოქმ.** შემომაკლა, შემომაჭამა, შემომახარჯა, შემომატყიპა, შემომასვა და ა.შ.

ამდენად, ჩნდება მოსაზრება, რომ გვარის საოპოზიციო ფორმათა ერთ ჯგუფში, კონკრეტულად **შემო-** ზმნისწინიან ფორმებში, საქმე გვაქვს უნებლიობის მნიშვნელობის ფარგლებში ჩამოყალიბებულ წარმოქმნის კატეგორიასთან და არა უნებლიობის ვნებითთან (ფოცხიშვილი 1969, 152-155; 2000, 114-126).

განმარტებით ლექსიკონში ამ რიგის ზმნათა შესახებ საჭირო სემანტიკური და გრამატიკული ინფორმაციები სათანადოდაა წარმოდგენილი:

**შემოელანძღებ-ა** (შემოელანძღა, შემოლანძღვია) გრდუფ. ვნებ. უნებლიედ გალანძღავს (ვისმე), ვინმე გაელანძღვინება. თვით პატივცემული მასპინძლებიც ლაზათიანად შემოელანძღვენენ (ი. ეკალ.). ამას წინათ ბანკის დირექტორი... შემომელანძღა (“კომუნისტი”).

**შემოელახებ-ა** (შემოელახა, შემოლახვია) გრდუფ. ვნებ. უნებურად გაელახვინება. “არაფერი, ბაბუა, ჩხუბი მოუვიდა და ამხანაგი შემოელახა ხელში”, – უპასუხა ლევანმა (ე. ყიფ.).

**შემოეჭმებ-ა** (შემოეჭამა, შემოსჭმია) გრდუფ. ვნებ. უნებურად, შეუმჩნევლად შეჭამს. ფული, ქონება... შემოეჭმება საუბ. ფული, ქონება დაეხარჯება, გაეფლანგება, გაუნიავდება. გლეხების ფული რომ შემოეჭამა, მერე ქუთაისის ურიებს მიმართა (გ. წერეთ.).

**შემოეხარჯებ-ა** (შემოეხარჯა, შემოხარჯვია) გრდუფ. ვნებ. 1. თავის და უნებურად, შეუმჩნევლად დაეხარჯება. [ოთარაანთ ქვრივს] ერთი ათიოდ მანეთი შემოხარჯო და მისვლა-მოსვლაში (ილია)... 2. გადატ. ამაოდ ჩაუვლის, მიზანს ვერ მიაღწევს...

**შემოეტყიპებ-ა** (შემოეტყიპა, შემოსტყეპია) გრდუფ. ვნებ. თავს გაატყეპინებს, – ეცემინება. “დღეს მიჩხუბრიშვილი კინალამ შემოეტყიპა” (ა. ბაქრ.).

**შემოეტყუებ-ა** (შემოეტყუა, შემოსტყუებია) გრდუფ. ვნებ. შემოატყუებს ზმნისა – შეეჩეჩება (ამას). “ერთი ვინცა ლაყაფი აზნაური შემომეტყუა და ცოლად ქვე შემირთო” (ზ. ანტონ.). || მოტყუებით შემოუვა, შემოეპარება...

**შემოაკვდებ-ა** (შემოაკვდა, შემოჰკვდომია) გრდუფ. ვნებ. უცაბედად, უნებურად ემსხვერპლება (ვინმე); თავისი სურვილის გარეშე, შემთხვევით მოკლავს. ცეცხლმოკიდებულს იქნება უერად კაცი შემომკვდომოდა (ილია). [გამიხარდის] არ მოუკლავს ვეფხვი ერთის მეტი, და ისიც უნებურად თურმე შემოაკვდა (ვაჟა)...

მოქმედებითი გვარის ზმნებში უნებლიობა ჩანს ისეთ შემთხვევებში, როცა მოქმედება მიეწერება ირიბ ობიექტს, რომელსაც სუბიექტი არასასურველი, მიუღებელი მოქმედების შესრულებას აიძულებს:

**შემოაკლავს-ს...** თავს შემოაკლავს, – თავს მოაკვლევინებს, – შემოაკვდება... “რაისთვის შემოგვაკლა თავი, რაისთვის?... ნების-ნებისად ჩემს მოძმეზე ხელს არ მივიტანდი” (ა. ყაზბ.).

**შემოაღანძვინებს-ს...** აიძულებს გაღანძვლოს, – გააღანძვინებს... “ტყუილად ის ოსტატი ხანუმაც შემომაღანძვინა მაგ კუდიანმა [ქაბატუამ], მაგარ” (ა. ცაგარ.).

**შემოატყუებს-ს...** მოტყუებით მისცემს რამე უვარგისს, – შემოაპარებს, შემოაჩეჩებს... “თვალბისტიანი ქალი რომ შემომატყუე, განა ჯვრის დამწერი ვარ?!” (ა. ხახუტ.)....

უნებლიე/უნებური მოქმედების აღმნიშვნელ ფორმათა განმარტებებში პარალელურად სხვა მნიშვნელობებიც დაჩნდება: შეუმჩნევლად, მოტყუებით, უცაბედად, თავისი სურვილის გარეშე, შემთხვევით – ეს მნიშვნელობები უნებლიე მოქმედების სემანტიკაში (ის, რაც მოქმედის ნება-სურვილს არ შეეფერება, მისი ნება-სურვილის საწინააღმდეგოა, მის ნება-სურვილზე არ არის დამოკიდებული) თავსდება.

უნებლიობის სემანტიკას გულისხმობენ ძირითადად ე.წ. “საზიანო” მოქმედებები: შემოეფლიოთება, შემოეფხრიწება, შემოესრისება, შემოერღვევა, შემოეფშვნება, შემოემტვრევა, შემოეგლიჯება და სხვ.

ფაქტობრივად, უნებლიობის სემანტიკა ვნებითის ფორმებში გამოიხატება **შემო-** ზმნისწინის გარეშეც სხვა ზმნისწინების საშუალებითაც და უზმნისწინო ფორმებშიც, შდრ.: ქეგლი შემოატყდება ფორმის განსამარტავად **შეატყდება** ფორმასთან გვაგზავნის: “იგივეა, რაც შეატყდება”. **შეატყდება** კი ასეა განმარტებული: “უნებლიედ გაუტყდება, ხელში ჩაემტვრევა”.

უნებლიობის სემანტიკა რომ **შემო-** ზმნისწინის გარეშეც გამოიხატება, ეს ფაქტი სამეცნიერო ლიტერატურაშიც შემჩნეულია, შდრ.: “უნებლიეთ მოქმედების მნიშვნელობა აშკარად იგრძნობა სხვა ზმნისწინებით წარმოების შემთხვევაში, მაგ.: ა-მენტო, გა-მელო (თვალები), მი-მელულა (თვალები), დამესწავლა (“კითხვაში ლექსი ზეპირად დამესწავლა”), გამივარდა (ტყვიაზე რომ იტყვიან)”... (დამენია 1982, 86).

ქეგლის მიხედვით წარმოვადგენთ რამდენიმე ასეთ ზმნას, რომელთა მოქმედების “უნებლიობა” განმარტებებშიც აღინიშნება; შდრ.:

**გაელიმება-ა...** ღიმილი მოუვა, უნებლიედ გაილიმებს. პლატონს

უნებლიედ გაელიმა (დ. კლდ.).

**გაეშვება-ა...** 1. უნებლიედ გაუშვებს (ხელს), გაექცევა, გაუსხლტება.

**გაეცინება-ა...** უნებლიედ გაიცინებს, სიცილი აუვარდება, აუტყდება;

სიცილს დაიწყებს.

**გადმოებნევა-ა...** გადმოიბნევა მისი, უნებურად გადმოაბნევის...

**დაებლიტება-ა...** უნებლიეთ დაეხუჭება (თვალები).

**დაეკარგება-ა...** დაიკარგება მისი 1. მის და უნებურად გაუქრება, –

დაკარგავს.

**ჩაკეტება-ა...** ჩაკეტება მისი ან მისთვის, – ჩაუკეტავენ. ||  
უნებურად

ჩაკეტავს.

**ჩაელიმება-ა...** ოდნავ, თავისთვის გაელიმება

**ჩაეცინება-ა...** უნებლიედ ჩაიცინებს, თავისთვის  
გაეცინება

**წასკდება-ა...** 2. უცებ, უნებურად აუტყდება (სიცილი,  
ტირილი)...

**წამო-ს-ცდება-ა...** თავისდა უნებურად იტყვის, –  
წასკდება

**წაეფეთება-ა...** მოულოდნელად თავს წაადგება,  
ანაზღადად შეეყრება,

შეხვდება...

რა თქმა უნდა, სალექსიკონო განმარტებებში მოქმედების  
უნებურობის შინაარსი ყოველთვის არ აისახება. ზოგჯერ ეს  
სემანტიკა სათანადო ილუსტრაციებითაც წარმოჩნდება ხოლმე:

**ამოხდება-ა...** “მისდა უნებურად ამოხდა სიტყვა  
ოტიას (დ. კლდ.).

**მოეკუმშება-ა...** “ჟრუანტელმა დამირბინა ტანში,... მუშტები  
თავის თავად

დამეკუმშნენ” (ილია)...

უნებლიე მოქმედება გამოიხატება დაუსხლტება,  
დაუცურდება, დაუსრიალდება (ფეხი),  
მოემწყვდევს და მისთანებშიც.

უნებლიობას, რეალური სუბიექტისათვის არასასურველ  
სემანტიკას გამოხატავენ უზმნისწინო ვნებითებიც; ცალკეულ  
შემთხვევებში ეს ამ ზმნათა სალექსიკონო განმარტებებით და  
სათანადო ილუსტრაციებითაც ჩანს:

**ეხარჯება-ა...** იხარჯება მისი, ხარჯი, გასავალი აქვს,  
ხარჯი მისდის თავისი სურვილის  
წინააღმდეგ, ელევს. პურამვირ მასპინძელს მარილი  
მეტი ეხარჯებაო (ანდაზა). რასაც უწინ ხარჯავდნენ,  
ახლა ერთი ხუთად მეტი ეხარჯებოდათ (გ.  
წერეთ.)...

**ებლიტება-ა...** 1. უნებლიედ ეხუჭება (თვალები  
უძილობისაგან, დადლილობისაგან...), ებრიცება. 2. ებმის

(ენა). მიცვალეზულის გასვენებაზე უკვე ენა ე ბ ლ ი ტ ე ბ ო დ ა თ “წმინდაოს” გალობაში [შეზარხოშებულეს] (შ. არაგვ.).

**ეკრუნჩხება-ა...** ეკრუნჩხება მისი, – უნებურად ე გ რ ი ხ ე ბ ა (თითები, ხელ-ფეხი და სხვ.). ქეთოს სხეულის ყველა ასო ე კ რ უ ნ ჩ ხ ე ბ ო დ ა (ეკ. გაბ.).

**ეხუჭება-ა...** [დარეჯანს] თვალები აემღვრა და თავისთავად ე ხ უ ჭ ე ბ ო დ ა (ილია)...

**შემო-** ზმნისწინის გარეშე უნებლიობის სემანტიკა აღინიშნება მოქმედებითი გვარის ზმნებშიც:

**წაიცდენ-ს...** 1. წამოსცდება, წასცდება... “ღმერთმან ქათმის ყვილი გათენებისას

ბრძანაო და შენ ვახშამთ უკან რად წაიცდენ ხოლმეო (საბა).

**წამოაცდენ-ს...** თ ა ვ ი ს დ ა უ ნ ე ბ უ რ ა დ ა თქმევინებს, – დააცდენს.

**წამოისვრის...** და უ ფ ი ქ რ ე ბ ლ ა დ ი ტყვის, წამოროშავს.

**წამოარახუნებ-ს...** მ ო უ ფ ი ქ რ ე ბ ლ ა დ წამოისვრის (სიტყვას), წამოროშავს...

უნებლიობის სემანტიკა ფიქსირდება სათანადო ნაზმნარ სახელებშიც:

**წავარდნა...** 1. წინ გავარდნა, ერთბაშად, სწრაფად წასვლა. || უ ნ ე ბ უ რ ა დ წ ი ნ

დაცემა.

**წამოსკდომა...** 2. უნებლიედ, უცებ დაწყება, ატყდომა

**წამოცდომა...** თ ა ვ ი ს დ ა უ ნ ე ბ უ რ ა დ თქმა, წამოცდენა

**წამოცდენა...** თ ა ვ ი ს დ ა უ ნ ე ბ უ რ ა დ თქმევინება

**წამოცდენილ-ი...** რაც წამოსცდათ, – თ ა ვ ი ს დ ა უ ნ ე ბ უ რ ა დ თქმული.

უნებლიობის სემანტიკას გადმოგვცემენ გრამატიკული ირიბი ობიექტისათვის (რეალური სუბიექტისათვის) ე.წ. “საზიანო” შინაარსის გამომხატველი ვნებითები სომატური სუბიექტებით: ებრიცება (თვალები), ეკცეება (მუხლები), ეკვრის (სუნთქვა), ეხუთება (სული), ეხშობა (ყურები, ყურთასმენა), უსხლტება, ერევა (ფეხი), უზიანდება (თვალი...), ეკაწრება, ეფხაჭნება (კანი), ეკვანძება (მარღვი), ემღვრევა (გული,

თვალეში) და ამავე შინაარსის ვნებითები ირიბი ობიექტის კუთვნილი არასომატური სუბიექტებით: უცვდება (ტანსაცმელი), ეგლიჯება (ფეხსაცმელი), ევლითება (წინდა), ევარგება (ქული) შდრ.: ევარგება-ა... მისდა უნებურად უქრება (ქეგლ), ეხევა (კაბა) და მსგავსი ფორმები გრამატიკული ირიბი ობიექტის ნების საწინააღმდეგო, არასასურველ პროცესებს აღნიშნავენ, შდრ.: ეხევა-ა... იხევა მისი, – ეგლიჯება, ევლითება. ფიგურალურად ხმარებისას ეს ზმნა უკვე აშკარად გამოხატავს უნებლიე მოქმედებას: [ქალს] მთქნარებით ყბა ეხეოდა ლოცვის დროს (ვ. ბარნ.). **შემო-** ზმნისწინის დართვა კიდევ უფრო ააქტიურებს ამ მნიშვნელობას: შემო-ეხევა.

“დამეხა ტიპის წარმოება თავისთავად შეიცავს უნებლიობის შინაარსს, შემო- ზმნისწინი კი მას უფრო მეტად გახაზავს” (მაჭავარიანი 1987, 84).

ზმნისწინი **შემო-** თავისი მიმართულების ვექტორით და არააგენტური მეტყველი პირისადმი ორიენტაციით ერთგვარი აქტუალიზატორის როლს ასრულებს უნებლიობის შინაარსის გამოვლენაში.

ასე რომ, უნებლიობა, უნებური მოქმედების გამოხატვა არ არის მაინცდამაინც **შემო-** ზმნისწინიანი ვნებითების ერთი ნაწილის ნიშანდობლივი თავისებურება, ის სათანადო ვნებითებისა და მათი ზოგიერთი აქტიური კონვერსივების სემანტიკური მახასიათებელი ჩანს პოტენციალისისა და მიჩნევა-გუნების მნიშვნელობების მსგავსად და გვარის კატეგორიის კერძო შემთხვევად განიხილება (შანიძე 1982, 141-154)...

### **ლიტერატურა:**

დამენია 1982: მ. დამენია, ქართული ზმნური მორფემების სტრუქტურული მოდელები. თბილისი.

ლომთათიძე 1955: ქ. ლომთათიძე, პოტენციალისისა (შესაძლებლობის) და უნებურობის კატეგორია აფხაზურ-აბაზურ ზმნაში, სმამ, ტ. XVI, თბილისი.

მაჭავარიანი 1987: მ. მაჭავარიანი, ქვევის გრამატიკული კატეგორიის სემანტიკა, თბილისი.



მაჭავარიანი 2006: ნ. მაჭავარიანი, სინტაქსურ მიმართებაში შემავალი ზმნური კატეგორიები აფხაზურსა და ქართულში, “ქართული ენა”, თბილისი.

როგავა, კერაშევა 1966: Г.В. Рогова, З.Н. Керашева, Грамматика Адыгейского языка, Краснодар-Майкоп.

ფოცხიშვილი 1969: ა. ფოცხიშვილი, უნებლობის ლექსიკურ-გრამატიკული კატეგორია ქართულ ენაში, თბილისი.

ფოცხიშვილი 2000: ა. ფოცხიშვილი, კვლავ უნებლობის კატეგორიის შესახებ.

შანიძე 1982: ა. შანიძე, უნებლობის კატეგორია თუ უნებლობის ვნებითი, “მაცნე”, ენისა და ლიტერატურის სერია, 4. თბილისი.

## VERBS DENOTING INVOLUNTARY ACTION IN GEORGIAN

**Murman Sukhishvili**, Arnold Chikobava Institute of Linguistics  
**RESUME**

When a complex preverb *shemo-* (*she+mo*) is attached to a number of bipersonal passive verbs with the *e-* prefix or *-d-* suffix in Georgian, these verbs accept a meaning of unwilling action, i.e. an action that is beyond the will of a real subject: *shemo-melandzgha* ‘he/she made me swear at him/her’, *shemo-melakha* ‘he/she made me beat him/her’, *shemo-mak’vda* ‘he/she made me kill him/her’, *shemo-mat’qda* ‘I broke it accidentally’.

These passive verbs could also have their corresponding converse active forms: *shemo-malandzgha man me tavi* ‘he/she himself/herself made me swear at him/her’, *shemo-mak’la man me tavi* ‘he/she himself/herself made me kill him/her’.

The involuntary performer of an action in these passive verbs with such a complicated structure is an indirect object in the dative case that actually fulfills a function of a subject.

However, expressing an action carried out unwillingly is characteristic not only for a number of passive verbs with the *shemo-*preverb, but this meaning can also be denoted in the passive verbs through some other preverbs.

Cf.: *she-at’qdeba* ‘he/she breaks it accidentally’

***cha-ek'et'eba*** 'he/she locks it accidentally'

***cha-ecineba*** 'he/she cannot help laughing'

***ts'a-sk'deba*** 'he/she cannot help doing something (laugh, cry, etc.)'.

The meaning of involuntariness, unwillingness can also be expressed through the passive verbs without any preverbs:

***ekharjeba*** 'he/she does not want to spend so much money, but he/she has some

unexpected expenses'

***eblit'eba*** 'he/she doesn't want to sleep but he/she can hardly open his/her eyes because of

tiredness, insomnia, etc.'

Besides, the meaning of involuntary, unwilling action in the active verbs can be denoted without the *shemo-* preverb as well.

**ნათია ფონიავა**  
არნ. ჩიქობავას სახელობის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

**ჯანჯუხა-ს ეტიმოლოგისათვის**

მეგრულ-ლაზურში დასტურდება ლექსემა **ჯანჯუხ**-ა „ჩურჩხელა“. ლაზურში იგი თურქეთში მცხოვრები ლაზების უფროსი თაობის მეტყველებას შემორჩა, საქართველოს შემადგენლობაში არსებულ სარფში ამ მნიშვნელობით თურქულიდან შეთვისებული **ქუმე** იხმარება (თურქ. küme „ჩურჩხელა“). ჩვენი აზრით, საანალიზო ფუძე **ჯანჯუხ**-ა შესატყვისი უნდა იყოს ქართული **ძენძეხ**- „წვიმა, ჭყაპი; ტალახი (დიდი წვიმების შედეგად)“ (ქეგლ 1964) ფუძისა. ამავე მნიშვნელობისაა **ძანძახ**-ი ქართლურ დიალექტში, სადაც ის დასტურდება ნასახელორ ზმნაშიც - **აძანძახდება** „ატალახდება“: დაიწყება დიდი წვიმები და ყველაფერი აძანძახდება (კობერიძე 2011:25) (შდრ. მესხ. **ძანძალ**-ი „წვიმა და დიდი ტალახი“. – ამ ძანძალში ძალლი გარეთ არ გაიგდება) (ღლონტი 1984).

მეგრულ-ლაზურში თანხმოვნებში ქართულთან ბგერათ-შესატყვისობის წესები დაცულია (ძ : ჯ, ნ : ნ, ხ : ხ), ხმოვნებში ე:ა გვაქვს პირველ მარცვალში, მეორეში კი უ წარმოჩნდა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ **ჯანჯუხ**-ა მივიღეთ **ძენძეხ** > **ჯანჯახ** > **ჯანჯუხ** პროცესის შედეგად, მაგრამ მაინც გასარკვევია, რატომ გვაქვს ა:უ მეორე მარცვალში?

ზანურიდან უნდა შეეთვისებინა **ჯანჯუხ**-ა სვანურსა და ქართული ენის დიალექტებს. იგი წარმოდგენილია სვანურში (ჩოლორულში) **ჯანჯუხაი** ფორმით, ასევე დასავლურ და სამხრულ ქართულ დიალექტებში გვხვდება (ქვემო იმერული, აჭარული) **ჯანჯუხი**, გურულში - **ჯანჯუხა** (ღლონტი 1984). ეს ფუძე დასტურდება აჭარიდან გადასახლებული მუჰაჯირების მეტყველებაშიც და აქვს რამდენიმე მნიშვნელობა: 1. ნართით (მაფით) გაკეთებული მსხვილი ფოჩვი. 2. მაფის ხვეული. 3. ნივრის, ხახვის, მხალეულის ასხმულა: ნიორი ჯანჯუხებით აქვან

დაკიდული; ფეხზე გამობმული იყო აბრეშუმის ჯანჯუხი (ფუტკარაძე 1993). ჩვენებურების ქართულში ეს ლექსემა გამხდარა ნებისმიერი რამის „ასხმულას“ გამომხატველი.

მეგრულიდან უნდა ესესხებინა ეს ფუძე აფხაზურსაც: ა-**ჯანჯღჷზა** „ჩურჩხელა“. აბარწყჷ არჯარაზგ აჯანჯღჷზა კნარჷადტ „აივანზე გასახმობად ჩურჩხელა ჩამოვიდე“ (ШьаӀрыл, Концъариа, ყаадуа 1987). აფხაზურში მას დართული აქვს ზოგადობის ა-პრეფიქსი, ფუძისეული უ კი მომდევნო ხ ბგერის ლაბიალიზაციის წყარო გამხდარა. ეს ლექსემა აფხაზურის ახლომონათესავე აზაზურ ენაში ვერ დავადასტურეთ.

ქართული **ძენძებ**- ფუძე მიღებული ჩანს რედუპლიკაციის გზით (**ძენ-ძებ**). მისი ა გახმოვანებიანი ვარიანტი **ძანძახ** შეუთვისებია სვანურს: **ძანძახ** (ზს., ლნტ.), **ძანძახ** (ლაშხ.) 1. წვიმიანი; ნესტიანი (ამინდი). 2. გადაუღებელი, ძლიერი წვიმა. მაკჷ ამინდ ლას ლეთი „წუხელ როგორი ნესტიანი ამინდი იყო!“ (თოფურია, ქალდანი 2000). თავდაპირველად მეგრულ-ლაზურშიც **ჯანჯუხ**-ა ქართული **ძენძებ**-ის ანალოგიური სემანტიკის მატარებელი უნდა ყოფილიყო, რასაც გვიდასტურებს მეგრული მიმღეობური ფორმა: **ეჯანჯუხელ**-ი „ტალახში ამოლუმპული, ამოლუფხული“. აღნიშნულ ლექსემას მოგვიანებით მეგრულ-ლაზურშივე უნდა შეეძინა ჩურჩხელის ანუ შესქელებულ ფაფაში ამოვლებული ასხმული თხილის (კაკლის) მნიშვნელობა (მდრ. სვანური (ჩოლურული) ფრაზეოლოგიზმი: **ჯანჯუხაძშალ** ენსურაჷჷნ ტყერისა „ჩურჩხელასავით ამოველო ტალახში“).

**ჯანჯუხი** იხმარება დასავლეთიდან გამოსული მწერლების ენაშიც: ზანდუკის კუნჭულში აღმოჩნდა ყველი და ორი **ჯანჯუხი** (ნ. ლორთქ.). გამომძვრა ატე, ტალახ-გორგალი ჩურჩხელა, **ჯანჯუხი**... რაღაც გვანიშნა, ვერ გავიგეთ (რ. ჭეიშვი.).

ქართულურ დიალექტში დადსტურებულია **ჩანჩუხა** (ქართლ.) „ასხმულა“ და იგი შედარებულია **ჯანჯუხასთან** (ღლონტი 1984). მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ფუძე მიღებულია **ჯანჯუხა**-დან ფონეტიკური პროცესის გზით (ბოლოკიდური ხ-ს გავლენით ჯ დაყრუვდა და მივიღეთ ჩ, ამ უკანასკნელმა კი სრული რეგრესული ასიმილაციით დაიმსგავსა თავკიდური ჯ ბგერა). მეგრულში

ყინულის ლოლუებზეც იტყვიან **ჯანჯუხაცალო მუკობუ** „ჩურჩხელასავით ჰკივია, ასხმულია“.

ს.ქ. \***ძენძებ** „ტალახი“, ქართ. **ძენძებ**- >||**ძანძახ**- „წვიმა, ჭყაპი; ტალახი (დიდი წვიმების შედეგად)“, ზან. **ჯანჯუხ**-ა „ჩურჩხელა (შესქელებულ ფაფაში ამოვლებული ასხმული თხილი (კაკალი))“ < „ატალახებული“, სვან. **ძანძახ** (< ქართ. **ძანძახ**) „წვიმიანი; ნესტიანი (ამინდი); გადაულეხელი, ძლიერი წვიმა“.

### **ლიტერატურა:**

1. არაბული 2001 - ა. არაბული, ზმნური და სახელური ფუძეთქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში, თბილისი, 2011;
2. თოფურია, ქალდანი 2000 - ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი, 2000;
3. კობერიძე 2011 - მ. კობერიძე, ნასახელარ ზმნათა წარმოებისათვის ფრონეს ხეობის ქართლურში, რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, 2011;
4. ლორთქიფანიძე 2002 - ნ. ლორთქიფანიძე, ხელოვანთა ყავახანა, მოთხრობები და მინიატურები, თბილისი, 2002;
5. ღლონტი 1984 - ა. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი, 1984;
6. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VIII, თბილისი, 1964;
7. ქაჯაია 2002 - ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, თბილისი, 2002;
8. ჩუხუა 2000-2003 - მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 2000-2003;
9. ჭეიშვილი 2002 - რ. ჭეიშვილი, ტამის მოგზაურობა საქართველოში, ლიტერატურული საქართველო, 2002;
10. Шьякрыл, Концъариа, Чкадуа 1987 - К. С. Шьякрыл, В. Х. Концъариа, Л. П. Чкадуа, Агъсҭа Бызшәа Ажәар, II, Аҭҭа ,1987;

## TOWARDS THE ETYMOLOGY OF **ŽANŽUXA**

Natia Poniava, Arnold Chikobava Institute of Linguistics

### SUMMARY

In Megrelian-Laz is attested the lexical unit **žanžux** -a “čurčxela (sweets made from grapes’ juice and nuts)”. To our mind this stem is corresponding to the Georgian stem **zenzex**-i “rain, sludge, dirt” (compare to Mesx. dialect **zanzağ**-i “id”). In Svan is attested **žanžuxaij**, in the western and southern dialects of Georgian – **žanžux**-i those seem come from Megrelian-Laz. In the Abkhazian language is also appeared **a-Janəx.a** which may be loaned from Megrelian as well.

In Kartlian dialect is attested **čančuxa** “bunch of something” which may becomes from **žanžuxa**.

**ნატო შავრეშიანი**  
არნ. ჩიქობავას სახელობის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

**სვანურის სინტაქსის შესწავლის ისტორიისათვის**

XVII საუკუნიდან დაწყებული ქართული ენის ძველ გრამატიკებში სინტაქსი, ანუ ლექსთთხზულება, როგორც გრამატიკის ცალკეული დარგი, უმეტესწილად გამიჯნულია მორფოლოგიისაგან.

სინტაქსის საგნის შესახებ ენათმეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. მეცნიერთა ერთი ნაწილი სინტაქსის საგნად სიტყვათა შეხამება-შეკავშირებებს მიიჩნევს, გარკვეულ ნაწილს სინტაქსის საგნად წინადადება და წინადადების წევრები მიაჩნია, ხოლო მეცნიერთა ნაწილი სინტაქსში ერთად განიხილავს სიტყვათა შეხამება-შეკავშირებებსა (შესიტყვებებს) და წინადადებას.

ქართულში სინტაქსის შესწავლის ისტორიას ლ. კვანტალიანი XVII საუკუნიდან ფ. მაჯოს გრამატიკით იწყებს, თუმცა თვლის, რომ „სინტაქსის შესწავლის ისტორიის დასაწყისი ადრეულ საუკუნეებში უნდა ვეძებოთ“ (ლ, კვანტალიანი, 76).

სინტაქსის საკითხებზე ქართულში ბევრ მკვლევარს უმუშავია და სამეცნიერო კვლევა ახლაც გრძელდება, შესაბამისად აღნიშნულ გრამატიკულ კატეგორიასთან დაკავშირებით მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია: **ფრანჩესკო მარიო-მაჯოს** „ღრამატიკა“, **ანტონ I-ის** „ქართული ღრამატიკა“, **დავით ზაგრატიონის** „ქართული ღრამატიკა“, **იოანე ზაგრატიონის** „ქართული ღრამატიკა“, **გაიოზ რექტორის** „ქართული ღრამატიკა“, **ს. დოდაშვილის** „შემოკლებული ქართული ღრამატიკა“, **ი. ნიკოლაიშვილის** „ქართული მოკლე გრამატიკა“, **ილია ფერაძისა და ილია სიხარულიძის** „ენის დაკვირვება“, **იოანე ქართველიშვილის** „ქართული გრამატიკა“, **ა. ქუთათელაძის** „პირველ-დაწყებითი ქართული გრამატიკა“, **მ. ჯანაშვილის** „ქართული გრამატიკა“, **ს.**

**ხუნდაძის** „ქართული გრამატიკა“, **ვ. თოფურის** „შრომები II“, მისივე — „ქართული ენის გრამატიკის სადავო საკითხები“, **არნ. ჩიქობავას** „ქართული ენის ზოგადი დახასიათება“, მისივე — „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“, მისივე — „რათავისებურებანი ახასიათებს ქართული ენის აგებულებას“, **ა. შანიძის** „თხზულებანი“, ტ III, **მ. ციკოლიას** „სიტყვათა რიგი როგორც სინტაქსისა და სტილისტიკის საგანი“, **შ. მიმიგურის** „რთული წინადადების პრობლემა ქართულ ენაში“, **რ. ჭიკაძის** „წინადადების აგებულების საკითხისათვის ქართულში (ერთგვარშემასმენლებიან შერწყმული წინადადების მაგალითზე)“, მისივე — „წინადადების პარატაქსული კონსტრუქცია ქართულში“, **ალ. დლონტის** „ქართული წინადადება“, **ჟ. ფეიქრიშვილის** „ქართული ენის სინტაქსი“, **ა. კიზირიას** „შერწყმული წინადადება ქართულში“, მისივე — „მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში“, **ლ. კვაჭაძის** „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი“, **ლ. კვანტალიანის** „მისამართი სიტყვისა და მიმართებითი ნაცვალსახელის შეთანხმება ქართულში“ და სხვ...

რაც შეეხება სვანურს, სვანური სინტაქსის შესწავლის ისტორია XX საუკუნიდან დაიწყო, მას შემდეგ, რაც ინტენსიურად დაიწყო სვანური მასალის შეკრება-ჩაწერა და ხელმისაწვდომი გახდა სვანური დიალექტების ტექსტები, გამოქვეყნდა სათანადო ნაშრომებიც.

სვანური სინტაქსის კვლევაში დიდი წვლილი მიუძღვით ვ. თოფურის, მ. ქალდანს, ნ. აბესაძეს, ა. კიზირიას, გ. როგავას, ი. ჩანტლაძეს და სხვ... აღნიშნული საკითხის მეცნიერული შესწავლა ამჟამადაც გრძელდება.

ვ. თოფურის თქმით „სვანური და ქართული თითქმის არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან სინტაქსურ საკითხებში. ქართული სინტაქსი მთლიანად მიუდგება სვანურს, მხოლოდ მაგალითები იქნება შესაცვლელი. ერთადერთი ძირითადი განსხვავება ჩანს III პ. სხვათა სიტყვის გადმოგადმოცემაში. ამ მხრივ სვანური ორიგინალურია არა მარტო ქართველურ ენებში: ამ თავისებურებით გამოირჩევა ის სხვა ენათაგანაც“ (ვ. თოფურია, 254).

ზემოთ ჩამოთვლილ მკვლევართა მიერ გამოქვეყნებულმა ნაშრომებმა და თანამედროვე კვლევა-ძიებამ გვიჩვენა, რომ



ქართულთან მსგავსების მიუხედავად, სვანურ სინტაქსში ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით გარკვეული სხვაობები შეინიშნება, სხვაობათა მრავალფეროვნება დიალექტური ნაირსახეობებითაცაა გამოწვეული.

ვ. თოფურიას შრომებში სვანურის სინტაქსს საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს, ძირითადად განხილულია წინადადება შინაარსისა და აღნაგობის მიხედვით, წინადადების წევრები ფუნქციისა და მორფოლოგიური თვალსაზრისით, წინადადების წევრთა სინტაქსური ურთიერთობა და პარალელებია გავლებული ქართულის შესაბამის კატეგორიებთან.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ სვანურის სინტაქსის შესწავლაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნ. აბესაძის კვლევებს: „ჰიპოტაქსის წევრ-კავშირები და კავშირები სვანურში“, „შერწყმული წინადადებები სვანურში“, „გრძნობისა და თქმა-ბრძანების გამომხატველ ზმნათა შემცველი ქვეწყობილი წინადადებები სვანურში“, „რომ კავშირი ქართველურ ენებში“, „განსაზღვრება სვანურში“, „დამატებებისა და შემასმენლის სინტაქსური ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი სვანურში“, „ზმნისწინებისა და თანდებულების ურთიერთობის ზოგი საკითხისათვის ქართველურ ენებში“, „მიმართებითი ზმნიზედები სვანური ენის ქვეწყობილ წინადადებაში“, „მიმართებითი ნაცვალსახელების გამოყენება ქვეწყობილი წინადადებების წევრ-კავშირებად სვანურში“, „ერე (რომ) კავშირისათვის სვანურში“, „ბრუნვათა სინტაქსური ფუნქციები სვანურში ქართულთან მიმართებით“ და სხვ...

ნაშრომში „ჰიპოტაქსის წევრ-კავშირები და კავშირები სვანურში“, რთული ქვეწყობილი წინადადების მაქვემდებარებელი წევრ-კავშირები და კავშირები განხილულია სვანურის ოთხივე დიალექტის მონაცემთა დაყრდნობით, თუმცა როგორც ავტორი აცხადებს, „უხვად წარმოდგენილია ბალსზემოური კილოს მასალები, რადგან ამ კილოში უფრო სრული სახითაა შემონახული სვანური ენისათვის დამახასიათებელი მოვლენა“ (ნ აბესაძე, 107).

განხილული მასალის საფუძველზე მკვლევარი ასკვნის, რომ „ სვანურ ენაში ჰიპოტაქსის განვითარება საკმაოდ მაღალ საფეხურზე დგას, როდესაც მთავარი და დამოკიდებული

წინადადების დაცალკევება უმტკივნეულოდ ვერ ხერხდება“ (ნ. აბესაძე, 144).

ვ. თოფურისა მსგავსად, ნ. აბესაძეც თვლის, რომ რთული ქვეწყობილი წინადადების აღნაგობით სვანური ძირითადად ქართულს ჰგავს (ქვეწყობილ წინადადებაში მიმართებითი ზმნიზედების გამოყენებაც არსებითად ქართულისებურია; მიმართებითი სიტყვების კითხვითი ნაწილი ბევრ შემთხვევაში ქართულთან საერთო ფუძეს შეიცავს; მიმართებითი სიტყვების შემცველ დამოკიდებულ წინადადებასა და მთავარ წინადადებას შორის ძვ. ქართულის მსგავსად გამოყენებულია **ო** (= და) კავშირი; მიმართებითი სიტყვები იწარმოება კითხვით სიტყვათა ფუძეზე **აჰო** ნაწილაკის დართვით, **აჰო** შედგენილობით რთულია, შეიცავს **ო** (> **ა**) ნაწილაკს, რომელიც ქართული **-ცა** ნაწილაკის ბადალია), თუმცა განსხვავებაზეც საუბრობს.

თავისებურებები ძირითადად ქვეწყობილ წინადადებაში მიმართებითი ნაცვალსახელის გამოყენების დროს შეუნიშნავს: „მიმართებითი ნაცვალსახელიც და მისამართი სიტყვაც ბრუნვაში თავის შემასმენელთან არიან შეწყობილი, მაგრამ იშვიათად დასტურდება შემთხვევები, როდესაც მთავარი წინადადების მისამართი სიტყვა მიმართებით ნაცვალსახელს უთანხმდება ბრუნვაში. ეს მაშინ ხდება, როდესაც დამოკიდებული წინადადება მთავრის შიგაა მოქცეული, ჩვეულებრივ ასეთ შემთხვევებში მთავარი წინადადების მეორე ნაწილში მეორდება ნაცვალსახელი, რომელიც ბრუნვაში თავის შემასმენელთან ” (ნ. აბესაძე, 145).

საინტერესოა ნაშრომის ის ნაწილი, სადაც მკვლევარი მიმართებით ნაცვალსახელთა რიცხვზე საუბრობს. გაუთვალისწინებია და განუხილავს სხვა ქართველური ენების მონაცემებიც: „ძვ. ქართულში მიმართებით ნაცვალსახელთა ფორმაცვალებადობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო... ახალ ქართულში შეიმჩნევა ტენდენცია ფორმაუცვლელობისაკენ... ზანურში ძირითადად მიმართებით ნაცვალსახელს მხოლოდითი ფორმა აქვს, შეიძლება მხოლოდითით იყოს წარმოდგენილი მაშინაც, როდესაც კონტექსტით მრავლობითია მოსალოდნელი... სვანურში მრავლობითი რიცხვის ფორმა არც ერთ მიმართებით ნაცვალსახელს არა აქვს... ქართულთან და ზანურთან სვანურის შედარებით ირკვევა, რომ უფრო ძველი უნდა იყოს რიცხვში

ფორმაცვალება, ხოლო უფრო ახალი ფორმაუცვლელობა...“ და მიდის დასკვნამდე, რომ „სვანურში მიმართებითი ნაცვალსახელები ვერ აწარმოებენ მრავლობითი რიცხვის ფორმას, ამდენად თავისთავად მოხსნილია მიმართებით ნაცვალსახელსა და მისამართ სიტყვას შორის რიცხვში შეთანხმების საკითხი...“ (ნ. აბესმე, 116).

მკვლევარს ამ შემთხვევაში ვერ დავეთანხმებით, რადგანაც სვანურის დიალექტებში და მათ შორის ჩოლურულშიც რამდენიმე ნაცვალსახელს (**ხედი** „რომელი“ || **ხედი-არ** „რომლები“, **იმკაიბ** || **მაკაიბ** „როგორი“ || **იმკაიბ-არ** „როგორები“ **მაზუმ** || **მაფუმ** „რამხელა“ || **მაფუმჷ-არ** „რამხელები“) ეწარმოება მრ. რიცხვის ფორმა და გამოყენების თვალსაზრისითაც ძალზედ საინტერესო სურათს გვიჩვენებს.

შესაბამისად მრავლობითი რიცხვის ფორმით წარმოდგენილ მიმართებით ნაცვალსახელსა და შემასმენელს შორისაც გარკვეული სინტაქსური ურთიერთობაა ჩამოყალიბებული: თუ წინადადებაში მიმართებითი ნაცვალსახელი ქვემდებარეა შემასმენელსაც მრ. რიცხვში ითანხმებს, მაგ: **აგითე ლმზუი სგნსიპეხ ალიარდ, ა, ხედარდი ედსიმნეხ ნაგრგმლ** (ჩოლ.) „სახლში წასვლისას შემოიარეს იმათ (მა), აი, რომლებმაც გაიგონეს (ყურად იღეს) ნათქვამი... ამ შემთხვევაში ქართულის მსგავსად, მიმართებითი ნაცვალსახელი, ერთი მხრით მათთანხმებულია, მეორე მხრით– მართული ზმნა–შემასმენლის მიერ ბრუნვაში.

ერთსა და იმავე წინადადებაში გვაქვს ისეთი შემთხვევები, როდესაც მრ. რიცხვით წარმოდგენილ მიმართებით ნაცვალსახელს, რომელიც წინადადებაში პირდაპირი დამატებაა, შემასმენელი შეიძლება შეეთანხმოს რიცხვში, შეიძლება არა, მაგ: ეჩჰა **ეჯკძლი მეგმარტლს** გარ იმტჯახ, **ხედარსი** ლიც **ხენწროლხ** || **ხედარსი** ლიც **ხენწროლ** (ჩოლ.) „მაშინ მარტო ისეთ მორებს ეზიდებოდნენ, რომლებსაც წყალი ერეოდათ || ერეოდა“ (ვრცლად იხილე ნ. შავრეშიანი, მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის სინტაქსური ურთიერთობა სვანურში, სტრუქტურის საკითხები, 2011).

აღნიშნული გამოკვლევა („ჰიპოტაქსის წევრ-კავშირები და კავშირები სვანურში“) სხვა დანარჩენ ნაშრომებთან ერთად,

ფასეული და საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მასში თითქმის დეტალურადაა განხილული სვანურის ჰიპოტაქსის წევრ-კავშირები და კავშირები, ყველა შესაძლო დიალექტური ვარიანტიტურთ.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ნ. აბესაძის „ბრუნვათა სინტაქსური ფუნქციები სვანურში ქართულთან მიმართებით“, რომელშიც ავტორი სათანადო ადგილს უთმობს სვანურის ბრუნვათა რიგს, (ვინაიდან ცნობილია, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში სვანურის ბრუნვათა თანმიმდევრობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა) და გვთავაზობს მისეულ ბრუნვათა რიგს: სახელობითი, მიცემითი, მოთხრობითი, ვითარებითი, მოქმედებითი, ნათესაობითი.

ნ. აბესაძის მოსაზრებით „წარმოდგენილ დალაგებაში არის ცდა ერთდროულად გამოიყენონ მორფოლოგიური, სინტაქსური და ეტიმოლოგიური თვალსაზრისი. ...აუცილებელია გავითვალისწინოთ ბრუნების ორფუძიანობა (ხშირად კი სამფუძიანობაც) სვანურში. ამიტომ სვანურ ბრუნვებს შორის სახელობითს მიცემითი უნდა მოსდევდეს, როგორც ახალი ფუძის მომცემი ბრუნვა. ამასთანავე მას, სახელობითის მსგავსად, შეუძლია გადმოსცეს ქვემდებარეც და პირმიმართი დამატებებიც. ამ ორ ბრუნვას ვერ დავაშორებთ მოთხრობითს, რომელიც მათსავით ქვემდებარეს გადმოსცემს, მაგრამ, მათგან განსხვავებით, არ აღნიშნავს პირმიმართ დამატებებს. ამას გარდა, სამფუძიანობის შემთხვევაში ერთ-ერთ ფუძედ მოთხრობითიც არის გამოყენებული. ამათ შემდეგ ყველაზე მიზანშეწონილია ჯერ ვითარებითი ბრუნვის წარმოდგენა, რადგან ფორმით იგი მოთხრობითის მსგავსია (როცა ორივე მათგანი მიცემითის ფუძეს ეყრდნობა და ფლექსიად -დ ფორმანტი აქვს), ფუნქციით კი ხშირად მიცემითს უახლოვდება. შემდეგ უნდა დაისვას მოქმედებითი, როგორც ასევე მიცემითის ფუძეზე დაყრდნობილი ბრუნვა, ბოლოს კი ნათესაობითი, რომელიც წინა ბრუნვებისაგან განსხვავებით, ამოსავლად სახელობითს ან მოთხრობითს იყენებს. ამასთანავე, მოქმედებითი და ნათესაობითი ფუნქციურადაც ახლო დგანან ერთმანეთთან“ (ნ. აბესაძე, 6).

ნაშრომში განსაკუთრებით დიდი ადგილი უჭირავს ვითარებითი ბრუნვის სინტაქსური ფუნქციის განხილვას და

სწორედ ამ ბრუნვის წარმოებაში შეუნიშნავს ძირითადად ქართულისგან განსხვავებული ვითარებაც.

ჩვენ კონკრეტულად ყურადღება გვინდა მივაქციოთ იმ ნაწილს, სადაც ავტორი ვითარებითი დასმული უბრალო დამატების თანაობის შესახებ მსჯელობს და ამბობს, რომ სვანურში ვითარებით ბრუნვაში დასმული უბრალო დამატება, ქართულისაგან განსხვავებით თანაობას ვერ გამოხატავს: „ვითარებით ბრუნვაში დასმული უბრალო დამატება ქართულში ზოგჯერ თანაობასაც გადმოსცემს, განსაკუთრებით **-იან** სუფიქსიან სახელებთან. სვანურში კი ვითარებითი ბრუნვით თანაობის გადმოცემა არ ხდება, საამისოდ არსებობს საგანგებო თანდებული – **ცახბნ** || – **ცახან** || –**ცხან** (ნ. აბესაძე, 8).

უნდა აღინიშნოს, რომ სვანურის ოთხსავე დიალექტში და მათ შორის პოლურულშიც აღნიშნულ შემთხვევაში თანდებულის დაურთველადაც შეიძლება ვითარებითი ბრუნვით უბრალო დამატების თანაობის გამოხატვა: **ლბეღეხჷ–ლბგზელდ** ოთოგბნხ შუკჷს — „ცოლ–შვილიანად გაუდგენენ შარას (შუკას)“; **ლბზოფშდ** ხამურჯდა ქა ლოტჷს — „ბავშვებიანად აპირებდა გაქცევას“ (ჩოლ.); ზურბლა **ღაჷაჷარცახან** ლიპინჭყე შგჷირ ლას „ქალის კაცებთან დაჯდომა (დასკუპება) სირცხვილი იყო“ (ჩოლ.); **ბლაჷვარცახან** გარგლას ლითში ხაკუ — „ბავშვებთან საუბარს (სალაპარაკოს) გარჩევა უნდა“ (ვრცლად იხილე ნ. შავრეშიანი, თანაობის პირმიუმართავი დამატებისათვის სვანურში, არნ. ჩიქობავას საკითხავები XXI, მასალები, 2010).

ნ. აბესაძეს შესწავლილი აქვს სვანურის შერწყმული წინადადებებიც და ასკვნის, რომ სვანური, ვინაიდან არასალიტერატურო ენაა, ზედმეტ ეპითეტებს გაურბის და იშვიათად გვხვდება ერთგვარგანსაზღვრებიანი და ერთგვარგარემოებიანი წინადადებები; „სვანურში ფართოდ გავრცელებულია ერთგვარშემასმენლიანი და ერთგვარქვემდებარიანი შერწყმული წინადადებები. შედარებით ნაკლებად — ერთგვარდამატებიანი, ხოლო ერთგვარგანსაზღვრებიანი და ერთგვარგარემოებიანი წინადადებები მეტად იშვიათად, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ სვანური არასალიტერატურო ენაა და ზედმეტ ეპითეტებს გაურბის“ (აბესაძე, 1976, 15).

მისივე დაკვირვებით, ერთგვარშემასმენლიან წინადადებას ქართულისაგან განასხვავებს უსულო საგნის აღმნიშვნელი ქვემდებარის მიერ შემასმენლის რიცხვში შეთანხმება: „ერთგვარშემასმენლიან შერწყმულ წინადადებაში სინტაქსური ურთიერთობის მხრივ სავსებით ქართულისებური მდგომარეობა გვაქვს. ის გარემოება, რომ სვანური არასალიტერატურო ენაა, განაპირობებს მცირე განსხვავებას უსულო საგნის აღმნიშვნელი ქვემდებარის მიერ შემასმენლის რიცხვში შეთანხმების საკითხში“ (იქვე, 19).

მკვლევარი ქართულისაგან სხვაობას მეორეულად მიიჩნევს და ენის განვითარების სხვადასხვა პერიოდით ხსნის, თუმცა ერთგვარგანსაზღვრებიან წინადადებებში ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ნაწილობრივ მოკვეცას სვანურის თავისებურად თვლის; „საერთოდ, შერწყმულმა წინადადებებმა სვანურში ქართულის ანალოგიური სურათი წარმოგვიდგინა, ოღონდ რამდენადმე განსხვავებულია ცალკეულ სახეობათა გამოყენების სიხშირე. ერთგვარგანსაზღვრებიანი და ერთგვარგარემოებიანი წინადადებების შედარებით იშვიათი ხმარება დამახასიათებელია არასალიტერატურო ენისთვის, ამავე მიზეზით უნდა აიხსნას მერყეობა უსულო საგნის აღმნიშვნელ ქვემდებარებებთან შემასმენლის რიცხვში შეთანხმების საკითხში. ტოლადშერწყმულ რთულ სახელებთან შემასმენლის რიცხვში შეწყობის მხრივ სვანური აგრეთვე ემიჯნება სალიტერატურო ქართულს, მაგრამ ძნელი არ არის პარალელების დამებნა ცოცხალ დიალექტებში. და ბოლოს, ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ნაწილობრივი მოკვეცა ერთგვარგანსაზღვრებიან წინადადებებში სვანური ბრუნების თავისებურებას მიეწერება“ (აბესაძე, 1976, 26).

ნ. აბესაძეს ცალკე სტატია აქვს მიძღვნილი ისეთი ქვეწყობილი წინადადებისთვის, რომლებიც გრძნობისა და თქმა-ბრძანების გამომხატველ ზმნებს შეიცავს. მკვლევრის დაკვირვებით „გრძნობისა და თქმა-ბრძანების გამომხატველ ზმნათა შემცველი ქვეწყობის დროს დამოკიდებულ წინადადებაში მიმართებით ნაცვალსახელისა და კავშირის გარდა, შეიძლება შეგვხვდეს მიმართებითი ზმნიზედები... გრძნობისა და თქმა-ბრძანების გამომხატველ ზმნათა ქვეწყობაში კითხვითი მნიშვნელობის მქონე დამოკიდებული წინადადებებიც იხმარება,

კითხვითი სიტყვები ასეთ წინადადებებში არ უნდა მივიჩნიოთ საკავშირებელ საშუალებებად, ისინი მხოლოდ დამოკიდებული წინადადების კითხვითობას გადმოსცემენ“ (აბესაძე, 1978, 15–16).

ავტორმა ყურადღება მიაქცია და ცალკე ჯგუფად გამოყო სუბიექტის განწყობის გამომხატველი ზმნების შემცველი წინადადებები: „... აქ შესაძლებელია როგორც კავშირიანი, ისე უკავშირო შეერთება. საკავშირებელ საშუალებებად შეიძლება გამოყენებული იყოს მხოლოდ მაქვემდებარებელი კავშირები, რაც ამ ტიპის წინადადებებს განასხვავებს არამართო დამატებით დამოკიდებული, არამედ „მეტყველება წრის“ ზმნების შემცველი ქვეწყობილი წინადადებებისაგან“ (იქვე, 17).

მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სვანურის სინტაქსის საკითხებს ი. ჩანტლაძის მონოგრაფიაში „ქართველოლოგიური ძიებანი“, სადაც გამოწვლილვითაა განხილული ატრიბუტული მსაზღვრელის რიცხვში შეთანხმების საკითხები სვანურთან ერთად სხვა ქართველურ ენებშიც.

აღნიშნულ ნაშრომში, მსაზღვრელ–საზღვრულის რიცხვში შეთანხმების კვლევისას საკმაოდ დიდი ყურადღება ეთმობა ძველი სვანური ხალხური სიმღერების ენას და მკვლევარი მიდის დასკვნამდე, რომ: „სვანური ენის განვითარების გარკვეულ საფეხურზე ატრიბუტულ მსაზღვრელთან თანდათანობით მოიშალა რიცხვში შეთანხმება... შეთანხმებული ფორმები პირველად პრეპოზიციურ წყობაში გაჩნდა“ (ჩანტლაძე, 1998, 221).

საკითხი „სხვათა სიტყვა სვანურში“ ავტორს სვანურის ოთხივე დიალექტის მიხედვით აქვს შესწავლილი და განხილული, რომელშიც გამოთქმულია ვარაუდი, რომ ნაწილაკოვანი სხვისი ნათქვამის I და II პირში წარმოდგენა სვანურისათვის გვიანდელი მოვლენა უნდა იყოს „...ვფიქრობთ, რომ ამგვარი რამ სვანურისათვის შედარებით უფრო გვიანდელია, მეორეულია და ქართულ ენასთან კონტაქტით უნდა აიხსნას“ (იქვე, 227).

სინტაქსის საკითხთა განხილვის დროს გარკვეული ყურადღება ეთმობა ხოლმე მსაზღვრელ–საზღვრულის კატეგორიას. სწორედ აღნიშნულ საკითხს ეხება მ. ნაჭყებიას მონოგრაფია „მსაზღვრელ–საზღვრულის ურთიერთობა ქართველურ ენებში“.

ნაშრომში განხილული მასალის საფუძველზე ავტორი ასკვნის, რომ „მსაზღვრელ–საზღვრულის სინტაქსური

ურთიერთობისას ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სამსავე ენას საერთო კანონზომიერება ახასიათებდა. ამასთანავე მათ მოეპოვებათ ზოგიერთი თავისებურება, რის მიზეზიც მთის კავკასიურ ენებთან კონტაქტი (სვანური), უმწერლობო ენების შეუზღუდველი განვითარება თუ სამწერლობო ქართულის ნორმათა სტაბილურობა უნდა იყოს. მაგრამ თანამედროვე ქართულ ენაში, მეგრულ-ჭანურსა და სვანურში შეიმჩნევა ამ საკითხში არსებული სხვადასხვაობის თანდათანობით გაქრობის ტენდენცია“.

აღმოჩნდა, რომ მსაზღვრელის საზღვრულთან შეთანხმების ფორმები ქართველურ ენებში ერთნაირი არ არის. ძვ. ქართულში მსაზღვრელიც და საზღვრულიც ერთნაირად იბრუნებოდა, თანამედროვე ქართულში დაწყებულია მსაზღვრელი სახელის ბრუნვის ნიშნის გამარტივება, ხოლო მეგრულ-ჭანურსა და სვანურში ეს პროცესი დასრულებულია

გამოკვლევაში ითვალისწინებს რა სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს, თავადაც თვლის, რომ „ძვ. ქართულისაგან განსხვავებით, ატრიბუტულ მსაზღვრელს საზღვრულის მიმართ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, ზანურსა და სვანურში პრეპოზიციული წყობა ახასიათებს“ (მ. ნაჭყებია, 181).

სვანურის სინტაქსის საკითხთა კვლევაში გარკვეული სინათლე შეიტანა ა. კიზირიას ნაშრომებმა, მათ შორის აღსანიშნავია სტატიები „ქვემდებარის ბრუნვათა მიმართება ქართველურ ენებში“ „ვითარების გარემოების გამოხატვის საშუალებანი ქართველურ ენებში“ და მონოგრაფია „მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში“.

ამ უკანასკნელში ქართულთან და ზანურთან მიმართებაში გამოწვლილვითაა განხილული სვანურის მდიდარი მასალა. წიგნის პირველ ნაწილში შესიტყვების ანალიზთან ერთად წარმოდგენილია საკითხის ისტორიაც, ხოლო მეორე ნაწილი ეხება წინადადების აგებულებასა და წინადადების წევრთა სინტაქსურ ურთიერთობას. ავტორის თვალსაზრისით შესიტყვება და წინადადება ერთმანეთს არ უპირისპირდება და ნაშრომიც ჩიქობავასეული პრინციპითაა შედგენილი, რომ „წინადადება არის ერთ-ერთი სახის შესიტყვება“.



გამოკვლევაში ქართულ-ზანურ-სვანურის სინტაქსურ თავისებურებათა შესწავლისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ცალკეულ საკითხთა თავისებურებებს, რადგანაც ერთნაირი ვითარების გვერდით შეინიშნება გარკვეული განსხვავებებიც.

განიხილავს რა შესიტყვების ყველა შესაძლო ვარიანტს ასკვნის, რომ „ ქართველურ ენებში შესიტყვების პრინციპები საერთოა, განსხვავება იგრძნობა გამოხატვის საშუალებებში“ (ა. კიზირია, 60).

განიხილულ ნაშრომთა ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სხვა ქართველურ ენებთან მსგავსების მიუხედავად სვანურ სინტაქსში ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით გარკვეული სხვაობები შეინიშნება, სხვაობათა მრავალფეროვნება დიალექტური ნაირსახეობებითაა ცაა გამოწვეული.

ზემოთ ჩამოთვლილ მკვლევართა მიერ გამოქვეყნებული ნაშრომებისა და ღვაწლის მიუხედავად, კიდევ ბევრი საკითხია საკვლევია და, აქედან გამომდინარე, სვანურის სინტაქსის საკითხების კვლევა დღესაც გრძელდება.

### **ლიტერატურა:**

1. ნ. აბესაძე, ჰიპოტაქსის წევრ-კავშირები და კავშირები სვანურში, თსუ შრომები, ტ-93, 1960.
2. ნ. აბესაძე, ბრუნვათა სინტაქსური ფუნქციები სვანურში ქართულთან მიმართებით, თსუ შრომები 164, ენათმეცნიერება, თბ, 1975,
3. ნ. აბესაძე, შერწყმული წინადადებები სვანურში, თბ, შრომები, ენათმეცნიერება, ტ-174, 1976.
4. ნ. აბესაძე, გრძნობისა და თქმა-ბრძანების გამომხატველ ზმნათა შემცველი ქვეწყობილი წინადადებები სვანურში, თსუ შრომები, ტ-200, ენათმეცნიერება, თბ, 1978.
5. ანტონ I, ქართული ღრამატიკა, შედგენილი ანტონ I-ის მიერ, ტფ, 1885.
6. ვ. თოფურია, შრომები, II ტ, თბ. 2002.
7. ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ, 1977.

8. ლ. კვანტალიანი, ქართული ენის სინტაქსის შესწავლის ისტორია (XVII – XX სს. 30 — 40-იანი წლები), იკე, XXXII თბ, 1993.
9. ი. ჩანტლაძე, ქართველოლოგიური ძიებანი, თბ, 1998.
10. ა. კიზირია, მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში, თბ, 1982.
11. არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, მეორე გამოცემა, 1968.
12. არნ. ჩიქობავა, რა თავისებურებანი ახასიათებს ქართული ენის აგებულებას, თბ, 1998.

## **TOWARDS THE STUDY OF THE HISTORY OF SYNTAX OF SVAN**

**Nato Shavreshiani, Arnold Chikobava Institute of Linguistics**

### **SUMMARY**

Starting in the 17<sup>th</sup> century syntax is separated from morphology as separate field of grammar in the old Georgian grammars.

Many scientists worked about the syntax issues in Georgian and now this scientific research continues, accordingly, there is rich scientific literature about this grammatical category in Georgian.

The study of the history of syntax of Svan begins since the beginning of the twentieth century, after that has become available texts of Svan dialects, accordingly several papers is published by scientists.

Despite the similarity with the other kartvelian languages there are distinct differences about some issues of syntax in Svan. Despite the many scientific papers, there are much more issues to research and given that the analysis of syntax in Svan is still underway.

## მარკა შერაზადიშვილი გორის სასწავლო უნივერსიტეტი

### ნაწილაკი-ფრაზეოლოგიზმი - არატრადიციული (სიტუაციური) სინტაქსის კომპონენტი

„ენის საგანძურის გამდიდრება ხდება არა მარტო მასში ახალი სიტყვების, ნეოლოგიზმების აღმოცენებით, ნასესხები სიტყვებითა და ცალკეული სიტყვების მნიშვნელობის შეცვლით, არამედ იმითაც, რომ თავისუფალი სინტაქსური შესიტყვებები, სიტყვათა ჯგუფები ე.წ. მყარ შესიტყვებად და, ამგვარად, ენის საგანძურის შემადგენელ ნაწილად გარდაიქმნებიან. ამ სახეობის „მყარ“ შესიტყვებებს (აგრეთვე „ფიქსირებულ სიტყვათშენაერთებს“) უნარი შესწევთ წარმოქმნან განსხვავებული სინტაქსური და სემანტიკური სტრუქტურები“, - წერდა ვ. ფლაიშერი თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „Phraseologie der deutschen Gegenwartssprache“.

ფრაზეოლოგიზაციის პროცესი ენის ფრაზეოლოგიური ფონდის გამდიდრების უმთავრეს წყაროს წარმოადგენს. ამავე დროს იგი „კანონზომიერია ენაში და მიმდინარეობს არა ქაოტურად, არამედ არჩევითობის პრინციპით“ (სერებრენიკოვი, 1955). ფრაზეოლოგიზმის კომპონენტური შემადგენლობის განსაზღვრა - ეს არის თვითონ ფრაზეოლოგიზმის განსაზღვრა (მოლოტკოვი, 1977).

ფრაზეოლოგიური ერთეულების კომპონენტური შემადგენლობა მეტად მრავალფეროვანია. ესაა პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობის მქონე თავისუფალი გამოყენების სიტყვები, რომლებიც ფუნქციონირებენ როგორც დამოუკიდებლად, ასევე ფრაზეოლოგიური ერთეულის ფარგლებში. ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სტრუქტურა იქმნება ჯგუფთა განსაზღვრული წრის განსაზღვრული კომპონენტებით. ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფთა წრე, რომელთა კომპონენტები იჩენენ ფრაზეოლოგიურ აქტივობას, დაახლოებით განსაზღვრულია. ძირითადად შესწავლილია არსებით,

ზედსართავ, რიცხვით სახელთა ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფი. ჩვენ განვიხილავთ ნაწილაკს, როგორც ფრაზეოლოგიზებული წინადადების კომპონენტს.

ფრაზეოლოგიზებული ჰქვია წინადადებას, რომელსაც ახასიათებს კომპონენტთა ინდივიდუალური მიმართება და ინდივიდუალური სემანტიკა. ასეთ წინადადებებში სიტყვათა ურთიერთკავშირი იდიომატურია. აქ მოქმედი სინტაქსური წესების დაცვით არ ფუნქციონირებენ დამხმარე სიტყვები, ნაწილაკები, შორისდებულები.

რთულ ნაწილაკებში გამოიყოფა ნაწილაკი-ფრაზეოლოგიზმები - ერთად შერწყმული რამდენიმე დამხმარე სიტყვა (ან დამხმარე სიტყვა და მისი კლასისაგან იზოლირებული ზმნიზედა, შორისდებული ან ზმნა), რომელთა შორის ცოცხალი კავშირი თანამედროვე ენაში აღარ არის. ეს ნაწილაკი-ფრაზეოლოგიზმები (მასში შემაჯავალი სიტყვებითურთ), გრამატიკულ-სტილურად გაჩარხული, ფაქტობრივ ერთი სემანტიკური ველისაა (მეშველ ზმნა-შემასმენლიანი და მასთან გათანაბრებული სხვა ზმნები), მათ განვიხილავთ, როგორც ფრაზეოლოგიზებული წინადადების კომპონენტს.

ფრაზეოლოგიზებული ნაწილაკებია: ცოტა არ იყოს, სხვა საქმეა, ეჭვი არაა, ცოტას გაწყდა, არა-არა და, ერთი კია, ვიღაც იქნება, ეს კია, ლამის არის, მაინც არის, ეგეც არის, ერთი ვნახოთ, კარგი და, ვიცოდე ნეტავი, თუ იცი, ხომ იცი შენ, ერთია კიდეც, რა არის კიდეც, კიდეც ეგ არის და სხვ.

1. რა ფრთხილად ივლიდა დედის კალთას მოწყვეტილი ყმაწვილი, მან რომ იცოდეს წინასწარ უმცირესი ვნების გამოც განიკითხავს **ვიღაც იქნება** მას (გამს., 292);  
აქ **ვიღაც** განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი **იქნება** ზმნასთან ერთად გვაძლევს ფრაზეოლოგიზებულ წყვილს.
2. სპარაპეტა? - დაფვიქრდი, ნეტა ვინ უნდა იყოს-მეთქი. - არ მაგონდება...სპარაპეტა! -**ცოტა არ იყოს**, შემრცხვა კიდეც, რომ უსატოვის ნათქვამიდან არც ერთი არ ვიცოდი (ამირ., 494);

**ცოტა არ იყოს** შედგება **ცოტა** გაურკვეველი რიცხვის აღმნიშვნელი რიცხვითი

სახელისაგან, **არ** უარყოფითი ნაწილაკისა და **იყოს**

ზმნისაგან.

3. არ შეიძლება ჩემი წასვლა. ბატონ ირაკლისთან **არის და** ხელშეკრულებით ვარ დაკავშირებული, როგორც კლიენტი ვეჯილთან (ამირ., 336);

**არის და** ფრაზეოლოგიზებული სიტყვათმწიქართი შედგება **არის** ნაწილაკ-აქტუალიზატორისა და **და** კავშირ-ნაწილაკისაგან.

ცნობილია, რომ ტრადიციული სინტაქსის გვერდით არსებობს სემანტიკური მრავალფეროვნებით გამორჩეული გარკვეული სქემები, რომლებიც ვლინდება ფრაზეოლოგიზმის დონეზე. ამ უკანასკნელს პირობითად ფრაზეოლოგიზმის ან სიტუაციური სინტაქსი ვუწოდოთ. ფრაზეოლოგიზებულ წინადადებაში შეიძლება გამოვყოთ: ა) მთავრის ბადალი წინადადება, ბ) დამოკიდებულის ბადალი წინადადება, გ) თანწყობილის ბადალი წინადადება.

**ა) მთავრის ბადალი წინადადება:**

1. ქურდებისა და დათას ომის დროს საკანში რა ხდებოდა, დაწვრილებით ამისას ვერაფერს ვიტყვი, სხვებისთვის არ მეცალა. **ერთი კია** - ჩხუბში მონაწილეთა რაოდენობამაც იმატა, ტემპმაც და გამზაგებამაც (ამირ., 671);

**ერთი კია** ნაწილაკ - ფრაზეოლოგიზმი შეიძლება მივიჩნიოთ მთავრის ბადალ წინადადებად.

ანალოგიურად:

2. რა დროს ეგ არის, იმ დალოცვილმა არ იცის ეხლა რა გვეჭირვება?  
**კიდევ ეგ არის**, რომ კარგად იცის, გულსაც ეგ უტეხს და ეგ აღონებს (აკაკი., 224);
3. განა დედა ყველაზე საყვარელია ამ ქვეყანაზე? ან მძა ყველაზე ძვირფასია? **ეგეც არის**, ვერც დედობას გაგიწევს სხვა ვინმე, ვერც ძმობას (გამს., 312);
4. **ერთია კიდევ** ჩვენი გარიგება საიდუმლოდ უნდა დარჩეს ყველასათვის, აუცილებელია ეს (ამირ., 264).

**ბ) დამოკიდებულის ბადალი წინადადება:**

1. განა მართო ეს იყო საფრთხე?

ყველისციხის პატრონი ისეთი თავაწყვეტილი ვინმეა, **ერთიც ვნახოთ**, მოეწყინა მცხეთაში მომწყვდეულს მარტოობა და ამ ჟამიანობს დროს ქორწილი მოუღდა? (გამს., 313);

**ერთიც ვნახოთ** ფრაზეოლოგიზებული წყვილი

შეიძლება მივიჩნიოთ

თანწყობილის ბადალ წინადადებად;

2. სოსოია უდღეურო, რა დღეში ჩამაგდე, **თუ იცი?** (დუმბ., 255);
3. რატომ უნდა მეშინოდეს თქვენთან შეხვედრის, ნეტავი? პირადი ნაცნობობა გვქონია როდისმე, გინახივართ და გარეგნობა იცით ჩემი, **თუ რა არის კიდევ?** (ამირ., 90).

**გ) თანწყობილის ბადალი წინადადება:**

1. - დავბერდით,მარტო ვეღარ შევძელით, და... - ბებია თეკლეს ძილი მოუვიდა.

- ეჰ, **კარგი ერთი**, - ბაბუამ კოლოფიდან პაპიროსი ამოიღო, მოუკიდა, შემდეგ ღრმად შეისუნთქა ბოლი დაგრძელ სწორ ხაზად ამოუშვა ფილტვებიდან (რჩ., 53);

**კარგი ერთი** ფრაზეოლოგიზებული წყვილი შეიძლება მივიჩნიოთ თანწყობილის ბადალ წინადადებად;

2. აბა, მოდი, ეს მეთოდი ჯერ მარტენის საამქროში ვსინჯოთ, რა მოჰყვებაო.

**ერთიც ვნახოთ** და და ჩავფლავდით. მთელი ქარხნის სასაცილო გავხდებით (ფანჯ., 235).

**ლიტერატურა:**

1. კვარაცხელია, 1995 - გ. კვარაცხელია, მხატვრული ენის შესწავლის ლინგვისტური ასპექტები, თბ., 1995;
2. კვანტალიანი, 1990 - ლ. კვანტალიანი, ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები, თბ., 1990;
3. მოლოტკოვი, 1977 - Молотков А. И. Основы фразеологии русского языка. Л.1977;

4. სერებრენიკოვი, 1955 – Серебренников Б.А. К проблеме типов лексической и грамматической Абстракции. Вопросы грамматического строя, М., 1955;
5. სკიბა, 1969 – Скиба Ю.Г. Семантика и функции частицы как служебного слова. Черновцы, 1969;
6. ფლაიშერი, 1982 – W. Fleischer, Phraseologie der deutschen Gegenwartssprache.VEB Bibliographisches Institut, Leipzig, 1982.

### **წყარო:**

- აკაკი - ა. წერეთელი, „ერთობა ჩვენთვის ტახტია“, თბ., 1991;  
 ამირ. -ჭ. ამირეჯიბი, „დათა თუთაშხია“, თბ.,1978;  
 გამს. -კ. გამსახურდია, „დიდოსტატის მარჯვენა“, თბ., 1966;  
 დუმბ. - ნ. დუმბაძე, თხზულებანი ოთხ წიგნად, I, თბ., 1988;  
 რჩ. - გ. რჩეულიშვილი, მოთხრობები, პიესა, თბ., 1965;  
 ფანჯ. - გ. ფანჯიკიძე, „ავგისტოს ცხელი დღე“, თბ., 1983.

## **PHRASEOLOGICAL PARTICLES-COMPONENTS OF NON-TRADITIONAL (SITUATIONAL) SYNTAX**

**Marika Sherazadishvili, Gori Teaching University**

### **RESUME**

The phraseological particle is a complex type of particle, which consists of a cluster of merged words (or several words+ an isolated adverb, interjection or a verb). The link between the elements of the particle is frozen. Functionally phraseological particles are identical to simple particles. The paper considers the phraseological particle to be a component of a phraseological sentence. The phraseological sentence may consist of clauses equal to principal, subordinate and compound ones.

Along with the traditional syntax, there are definite schemes, that differ by semantic variety and it appears at the phraseological level. Relatively, the latest is called phraseological or situational syntax.

We can also single out in the phraseological sentence a) main similar sentence, b) subordinate similar sentence, c) composed similar sentence.

## ნატო წულისკირი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ენა და სოციალური მოტივაცია

კომუნიკაციური წარმატება კულტურათა კონტრასტულ სიტუაციაში დამოკიდებულია რიგ ფაქტორთა ზემოქმედებაზე. თავად ფაქტი, რომ კომუნიკანტები მიეკუთვნებიან განსხვავებულ ლინგვო-კულტურულ ერთობებს, ბევრ სირთულეს წარმოშობს.

კულტურული (ენობრივი, სემიოტიკური) საზღვრების ფაქტორი ერთ-ერთი უმთავრესია კულტურათაშორისი კომუნიკაციისათვის. კომუნიკაციური ბალანსი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომუნიკანტთა შორის სემიოტიკური საზღვრებისა და კულტურათაშორისი სხვაობების დაყვანა საერთო მიზნის მიღწევამდე დადის.

სემიოტიკური ლინგვისტიკის ფარგლებში ენის, როგორც ნიშანთა სისტემის ფუნქცია განისაზღვრებოდა როგორც კომუნიკაციური ფუნქცია, მაგრამ როგორ ესმოდა სემიოტიკურ ლინგვისტიკას კომუნიკაცია და როგორი იყო კომუნიკაციის სტატუსი ლინგვისტური კვლევის დროს? ამ ორი მომენტის განსაზღვრა გვიჩვენებს, რომ კომუნიკაციის ფუნქციის ენის ძირითად ფუნქციად აღიარება სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ საქმე გვაქვს კომუნიკაციურ პარადიგმასთან.

კომუნიკაცია გაიგებოდა როგორც რაღაც ისეთის რეალიზაცია, რაც უკვე არსებობდა კომუნიკაციამდე და, რა თქმა უნდა, გულისხმობდა თავის არსებობაში ამგვარი რეალიზაციის შესაძლებლობას. საუბარი იყო ან ენობრივი კოდის რეალიზაციაზე (აქტუალიზაციაზე), ან ადამიანის ენობრივი უნარის (კომპეტენციის) რეალიზაციაზე.

ამრიგად, კომუნიკაციის ცნების შინაარსი მთლიანად იყო დამოკიდებული იმ რეალობაზე, რომლის რეალიზაციაც ხდებოდა კომუნიკაციის დროს. რომელი სინტაქსური თეორიაც არ უნდა ავიღოთ, არც ერთი ცნება არ გულისხმობდა კომუნიკაციას. განმსაზღვრელი იყო წინადადების შინაგანი სტრუქტურა და თუ



როგორ ასახავდა ის გარე სინამდვილეს და არა წინადადების კომუნიკაციის შინაარსი.

ამრიგად, კომუნიკაციის ცნება გაიგებოდა, როგორც:

ა) აქტუალიზაციის ისეთი რეალობა, რომელიც კომუნიკაციამდე არსებობდა (ენობრივი კოდი, ადამიანის ენობრივი უნარი) და ბ) კომუნიკაციის ფუნქცია მოქმედებდა მხოლოდ უბრალო დასკვნების დონეზე. იგი არ წარმოადგენდა წამყვან იდეას ლინგვისტური კვლევის დროს.

ლინგვისტური კვლევის დროს საუბარი იყო ენობრივი ერთეულის კომუნიკაციურ ბუნებაზე. ეს ნიშნავდა იმას, რომ მოცემული ერთეული უკვე მზა სახით გვექონდა ენობრივ სისტემაში, ხოლო საკომუნიკაციო ქმედების დროს ხდებოდა მისი გამოყენება, ე. ი. აქტუალიზაცია გულისხმობდა მოცემული ზოგადი ფუნქციის, ზოგადი სემანტიკის მხოლოდ კონტექსტუალურ სიტუაციურ დაკონკრეტებას, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს თვით მის ფორმირებას ქმედების პროცესში. მასასადამე, კომუნიკაციური ქმედების აქტიური, ძირითადი ფუნქცია და როლი სწორედ აქტუალიზაციის სახით ვლინდება.

ადამიანისთვის, როგორც სოციალურ-ბიოლოგიური არსებისთვის, დამახასიათებელი ერთ-ერთი ნიშანია აქტიური ქმედება მიმართული ერთის მხრივ სამყაროს მიმართ, ხოლო მეორეს მხრივ-სხვა ადამიანის მიმართ.

როდესაც ვსაუბრობთ ქმედებაზე, როგორც ადამიანის მაკონსტრუირებელ ნიშანზე, იგი უნდა გავიგოთ ადამიანის აქტივობად სამყაროსა და მეორე ადამიანის მიმართ. ერთ შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს ქმედება, მეორე შემთხვევაში - ურთიერთობა. ის, რაც დამახასიათებელია ქმედება-ურთიერთობის აქტისათვის, დამახასიათებელია, აგრეთვე, კომუნიკაციის აქტისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, კომუნიკაციის აქტი არასოდეს არ არის ჭეშმარიტად და ბოლომდე ავტონომიური აქტი. იგი უფრო ტევადი და უფრო მეტის მომცველი ადამიანური ქმედების კომპონენტია.

იმდენად რამდენადაც ადამიანური ქცევის რეგულაცია ხდება სუბლოგიკურ დონეზეც, იგი არ არის არა მხოლოდ ბიოლოგიური, არამედ ანთროპოლოგიური, სოციალური და

ლინგვისტური. ყოველი ლინგვისტური სოციალურია, მაგრამ ყოველი სოციალური, რა თქმა უნდა, არ არის ლინგვისტური. ლინგვისტური კორელატი სოციალურ ურთიერთობებში არის ენობრივი ერთობა, ენობრივი კოლექტივი, სოციუმი. ინდივიდის ქცევის სემანტიკური ინსტრუქცია გასაგებია მხოლოდ ენობრივი კოლექტივის შიგნით.

რასაც უ. ბრაიტი შესაძლებლობად მიიჩნევდა დღეს უკვე რეალობაა. მით უმეტეს, რომ ენა, როგორც საზოგადოებრივი ფენომენი, შესაბამის მაგალითებს თვითონვე გვთავაზობს მრავლად. ეს არ უნდა გავიგოთ ისე თითქოს იგი სარკისებურად ასახავდეს საზოგადოების სოციალურ იერარქიას. ამგვარი მიდგომა პრინციპულად გაუმართლებელია. არ შეიძლება მივაზომოთ ენას სოციალური სტრუქტურის „თარგი“ პირდაპირ. წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება სისტემური კორელაციის არა გამოვლენა, არამედ მისი ხელოვნური მოდელის შექმნა, რაც სინამდვილის ამსახველ შედეგს აგვაცილებს.

გ. გლისონი წერდა: „ენას იმდენი შეხების წერტილი აქვს ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა სფეროსთან, რომ მისი შესწავლა სულ სხვადასხვა მხრით შეიძლება. ყველა შემთხვევაში ეს იქნება საფუძვლიანი, სასარგებლო და საინტერესო“.

სოციოლინგვისტური კვლევის უპირატესობა ენის ამ მხრივ შესწავლაში ვლინდება. ყოველი საკომუნიკაციო აქტი, თუნდაც პრიმიტიულ ვითარებაში წარმოებული, სოციალურად დეტერმინირებული პროცესია.

იმდენად, რამდენადაც სიციოლინგვისტიკაში ნაკლებად დგას კონსტანტის დაშვების შესაძლებლობა, თვით საკომუნიკაციო ქმედებაც არ ავლენს მუდმივ სახეს, ამიტომ მისი უნივერსალური მოდელისა და პარამეტრების დადება ძალიან ჭირს და, პრაქტიკულად, შეუძლებელიცაა.

ამ შეუძლებლობას ყოველი ენის თავისთავადობაც განაპირობებს. თითოეული მათგანი სამყაროს სხვადასხვაგვარი „ხედვაა“. სწორედ ამიტომ სოციოლინგვისტიკაში მართებულია ამ განსხვავებათა მიერ სოციოლინგვისტური ოპოზიციების შექმნის საკითხის დასმა.

ჩვენი აზრით, ერთია იმის აღიარება, რომ ენობრივ და საზოგადოებრივ სტრუქტურებს შორის ნამდვილად არსებობს

ენათმეცნიერებისათვის საინტერესო და ღირებული კავშირები, ხოლო მეორეს იმის გარკვევა, თუ კონკრეტულად რა კანონზომიერებებს ემყარება მათი ურთიერთობა და ურთიერთქმედება. ამ ორი სტრუქტურის ურთიერთქმედებაში მიზეზობრივი კავშირების წარმოჩენის თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიგვაჩნია გამოვლინდეს არა მხოლოდ სოციალურად, არამედ სოციოლინგვისტურად რელევანტური ფაქტორები, რაც თავისთავად იმის აღმნიშვნელი იქნება, რომ ამ ფაქტორებს ძალუბთ ზეგავლენის მოხდენა ენობრივ მექანიზმზე ან ენობრივ ერთეულთა შერჩევაზე მოცემულ სამეტყველო ერთობაში. პრაქტიკულ-ბიოლოგიური მოთხოვნების და ამოცანების მიხედვით ენობრივ კოლექტივებს შორის ზოგჯერ დიდი მსგავსებაა ხოლმე, მაგრამ ენები, ამავე დროს, საოცრად დიდ განსხვავებებს იძლევიან.

სახელწოდებათა რიგი, რომელიც ყოფის რეგისტრაციას ახდენს, სიტყვის მნიშვნელობას ყოფითი საგნიდან ამოსვლით განმარტავს: ასეთ დროს სიმბიოზი სახელწოდებისა და საგნისა მეტყველთა კოლექტიურ ცნობიერებაში არანაკლებ მყარია, ვიდრე ჩვეულებრივი სიტყვებისა; გარდა ამისა, ყოფითი კულტურის ცოდნა ასეთი ლექსიკით, სახელწოდებებით, ყოველთვის ითვლებოდა ნივთიერი კულტურის შესახებ ცოდნის მოპოვების საშუალებად.

მნიშვნელობაში მოცემული კულტურის ერთეულები მეტისმეტად მწელად გამოსაცალკეებელია თავად ამ მნიშვნელობათაგან. ეს შეეხება თვით აბსტრაქტულ ცნებათა ისეთ რიგს, რომელიც ერის ცხოვრებაში ჰუმანიტარულ სექტორს ქმნის: მორალის, სამართლის, ესთეტიკურ ღირებულებათა იმ შკალას, რაც კულტურის სპეციფიკის უდავო შთაბეჭდილებას ახდენს და ამავე დროს ერთი ენიდან მეორე ენაში გადატანისას დიდ სიმნელებს აჩენს.

გ. რამიშვილი წერს: „ყოფითი სიტუაციებისაგან მოწყვეტა ხშირად ისე გაიგება, როგორც არსებობის ბუნებრივი საყრდენების მორღვევა, რადგან ადამიანის გარემოსთან ჰარმონიას არა მხოლოდ ტერიტორიული და ბიოლოგიურ-ეკონომიკური, არამედ ენობრივი კავშირების ტრადიციაც ქმნის.

ადამიანებს შორის საუბარი არის არა კომუნიკაციის მარტივი აქტი, მხოლოდ ინფორმაციის უბრალო გადაცემა საგნობრივი ვითარების, სიტუაციის შესახებ, არამედ ურთიერთგაგება, რაღაც შეთანხმება ან შეუთანხმებლობა, რაღაც შეფასება ან მსჯელობა საგანთა ვითარების შესახებ. სწორედ აქ იჩენს თავს ენა არა როგორც ბგერითი გადამტანი, არამედ როგორც კოლექტიური ინერპრეტაციის ერთ-ერთი ანონიმური ფორმა. ენასა და საზოგადოებას შორის ურთიერთქმედება და სამეტყველო ქმედების სოციალურობა იმის მიხედვით უნდა განისაზღვროს და გაიზომოს, სანამდისაც ენობრივი ენერჯის თანამონაწილეობა გასწვდება.“ (გურამ რამიშვილი, 1995)

კომუნიკაცია ადამიანის (ერის) აქტივობის ერთ-ერთი ფორმაა და ამიტომ გამოიჩინა ფსიქოლოგიამაც მის მიმართ ინტერესი. ენობრივ საშუალებათა მთელი იერარქიული სისტემის ცოდნა საფუძველია ადამიანის სამეტყველო აქტის დეტალური აღწერისა: ამდენად ლინგვისტური მეთოდებით კონკრეტული ადამიანის მეტყველების შესწავლა ნიშნავს ამ ადამიანის ქცევის (ქმედების) იმდენად დეტალურ ანალიზს და გულისხმობს ამ რთული ელემენტის ექსპერიმენტული ვარიანტების ისეთ შესადრებლობას, რომელიც ქცევის ნებისმიერი სხვა ფორმის შესწავლის დროს შეუძლებელია. სწორედ ამიტომაც, რომ თანამედროვე ფსიქოლოგიაში ფეხი მოიკიდა ფსიქოლოგიურ პრობლემათა ენობრივი „არხით“ და შესაბამისი მეთოდით კვლევის პრინციპმა.

ბევრ შემთხვევაში-კონკრეტულ საკომუნიკაციო აქტსა თუ მოვლენაში, ორმხრივი აღიარება სემიოტიკური საზღვრებისა კულტურათაშორისი კომუნიკაციისათვის კონსტანტის ღირებულებას იძენს და წარმატების გარანტორიცაა.

თანამედროვე კომუნიკაციურ თეორიებში გამოიყოფა ეთნოკულტურული სტერეოტიპიზაციის ოთხი სახესხვაობა: მარტივი ავტო- და ჰეტეროსტერეოტიპები(რას ვფიქრობთ ჩვენ საკუთარ თავსა და „უცხოებზე“) და გადატანითი (არაპირდაპირი) ავტო- და ჰეტეროსტერეოტიპები(რას ვვარაუდობთ ჩვენ იმაზე, თუ რას ფიქრობენ „უცხოები“ ჩვენზე და საკუთარ თავზე).

სხვაობებს კულტურათაშორის კომუნიკაციებს შორის ნათლად წარმოაჩენს კონკრეტულ ენაში საკომუნიკაციო აქტის არაერთგვაროვნება, რაც დგინდება მისი ანალიზით:

საკომუნიკაციო აქტის პირველადი ანალიზი შეიძლება გამოისახოს შემდეგნაირად:

წყარო	შეტყობინება და ფორმა	ადრესატი და ტიპი	არხი	მიზანი და ფუნქციები
ვინ?	რას ატყობინებს?	ვის?	რა საშუალებით?	რატომ?

ე. ი ანალიზის დროს მნიშვნელოვანია ვიცოდეთ: ვინ არის გამგზავნი/შეტყობინების წყარო (ინდივიდი თუ ორგანიზაცია), რა არის შეტყობინების შინაარსი და რა ფორმითა და სახეებით ხორციელდება კომუნიკაცია, ვისკენაა მიმართული შეტყობინება, ვინ წარმოადგენს ადრესატს და როგორია კომუნიკაციის ტიპი (ჯგუფური, მასობრივი, კულტურათაშორისი), რომელი არხით გადაეცემა და მიიღება შეტყობინება (ვიზუალური, სმენითი, წერითი და ა. შ.), როგორია მოცემულ სიტუაციაში კომუნიკაცია მიზნები და ფუნქციები.

საკომუნიკაციო აქტის ტიპოლოგიური მოდელი მოიცავს შემდეგ მახასიათებლებს:

- ა) კომუნიკაციის წყარო.
- ბ) კოდი-ვერბალური და არავერბალური.
- გ) შეტყობინების ფორმა - წერითი, ზეპირი, ვიზუალური, შერეული.
- დ) არხი-სმენითი, ვიზუალური, წერითი.
- ე) კომუნიკაციის საშუალებები - ბუნებრივი, ტექნოლოგიური.
- ვ) კომუნიკაციის სახეები-ინტრაპერსონალური, პიროვნებათშორისი, ჯგუფური, მასობრივი.
- ზ) ადრესატი.

კომუნიკაციის აქტივიზებული ენობრივი ფორმების დიაპაზონი ძალზე ფართოა და შეიცავს როგორც დაბალი რეპუტაციის ენობრივ ნიშნებს, ასევე პირიქით ოფიციალურ,

საქმიან, მაღალფარდოვან, ნეიტრალურ და სხვა კონოტაციათა შემცველ სამეტყველო ერთეულებს.

იმის გამო, რომ კომუნიკაციის აქტი მუდამ დაკავშირებულია ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების რაიმე კონკრეტულ აუცილებლობასთან, ასევე კომუნიკანტთა განსხვავებულ ურთიერთობასა და ფსიქოლოგიურ განწყობასთან, ყველა ცალკეულ შემხვევაში შეუძლებელია არ დავინახოთ კომუნიკაციის აქტზე მოქმედი ამა თუ იმ სოციალურად ტიპიზებულ ფაქტორთა მოქმედების კვალი. ვერბალური კომუნიკაციის ნებისმიერი გამოვლინება უნდა განვიხილოთ არა როგორც გათიშული სამეტყველო წარმონაქმნი, არამედ ერთი ორგანული მთლიანობა, რომელიც კომუნიკანტთა ერთიანობით გვეძლევა.

კულტურათაშორისი კომუნიკაცია მეტწილად აგებულია შინაგანად ურთიერთდაკავშირებულ ორ მომენტზე. პირველი დაკავშირებულია თვით ნიშნის ამ მოდელის ისტორიასთან, მეორე კი-ლინგვისტური აზროვნების შინაგან ისტორიასთან.

პირველი მომენტი ენობრივი ნიშნის სამგანზომილებიანი მოდელის სემიოტიკური მოდელია. ამ უკანასკნელის მიხედვით, ყოველი ნიშანი - იქნება ის ენობრივი თუ არაენობრივი - ხასიათდება მიმართებათა სამი კოორდინატით: პირველი კოორდინატი მოთავსებულია გარე სინამდვილეში, მეორე კოორდინატი მდებარეობს იმ სისტემაში, რომელშიც შედის ნიშანი, მესამე კოორდინატი კი ფაქტიურად ის კოორდინატია, რომელმაც განაპირობა ნიშნის ამ მოდელის ის მნიშვნელობა ლინგვისტური აზროვნებისათვის, რომელიც მას დღეისათვის აქვს.

### **ლიტერატურა:**

1. რამიშვილი გ. (1995): ენათა შინაარსობრივი სხვაობა ენათმეცნიერებისა და კულტურის თეორიის თვალსაზრისით. თსუ გამომცემლობა. თბილისი.
2. Брайт У. (1975): Введение: Параметры социалингвистики// «Новое в лингвистике», VII, М., 1975.
3. Глисон Г. (1959): Введение в дескриптивную лингвистику, Москва.

**LANGUAGE AND SOCIAL MOTIVATION**  
**Nato Tsuleiskiri**, Akaki Tsereteli State University  
**RESUME**

Communicative success in the contrastive situation of cultures depends on the impact of various factors. The very fact, that communicators belong to distinct linguo-cultural entities, generates a number of complications.

The factor of cultural (linguistic, semiotic) limits is one of the most principal for inter-cultural communication. A communicative balance can be reached when the semiotic limits and inter-cultural distinctions are deemed to the accomplishment of a common goal.

In many cases, within a specific communicative act or event, the reciprocal recognition of semiotic limits, acquires a relevance of a constant for inter-cultural communication is a guarantor of success.

In contemporary communication theories, four kinds of ethno-cultural stereotypization have been identified: simple auto- and hetero-stereotypes (what we think of ourselves and “others”) and figurative (indirect) auto- and hetero-stereotypes (what we assume of what “others” think of us and of themselves).

**ნინელი ჭოხონელიძე**  
არნ. ჩიქობავას სახელობის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

**კერტ სიტყვის ომონიმური ცალეების ისტორიისათვის**  
**1. ყურძნის მტევნის ღერო; 2. ბუძუს თავი**

**კერტი: 1.** „ყურძნის მტევნის ღეროს“ მნიშვნელობით „სახისა სიტყუაჲსაში“ გვხვდება ლექსემა **კერტი**, რომელსაც ამ ძეგლის გამომცემელი ნ. მარი ძველი ქართულის არქაიზმად ან იშვიათ სიტყვად მიიჩნევს.

დაუტევის კერტი იგი ტევნისაჲ მის ცუდი (ფიზ. XVII, 16) – აბულ.

**კერტჩჩვლი** ჩვილყლორტიანი. ლედჷ ფურცელტყრპელ და კერტჩჩვლ არს (უდაბნ. მრავალთ 81r) – სარჯ.

გვიჩნდება ეჭვი, რომ ამ მნიშვნელობის **კერტი** შესაძლოა გადატანითი მნიშვნელობით უკავშირდებოდეს მეგრულში დადასტურებული **კირტე \ კგრტე** „ყბის“, „ქვედა ყბის გვერდითი ძვლის“ აღმნიშვნელ სიტყვას. ფერი მეუგამუდუ, კირტე ქიდნუტა ხაფუდუ – ისეთი გაურტყამს, ყბა ჩაუმტვრევია. (მეგრ. ქაჯ.). მით უმეტეს რომ მსგავსი სემანტიკური გადასვლები უცხო არაა ქართულში. შდრ. ვაზის კულტურასთან დაკავშირებული სხვა ტერმინები: მხარი, ტანი, ფეხი, ქუსლი, ყელი, ნეკი, წელი, თავი და სხვ. (ასათიანი, 1978).

**კერტისაგან** ფონეტიკური ცვლილებით უნდა მიგველო ლექსემა **კლერტი**, რომელიც შემდგომში „ყურძნის მტევნის ღეროს“ მნიშვნელობით ძირითად სალექსიკონო ერთეულად წარმოჩინდება ლექსიკონებში და ახალი მნიშვნელობებითაც იტვირთება. საბასთან **კერტი** უკვე კლერტის სახით დასტურდება. **კლერტი** ყურძნის ღერო, ბურძღენი (საბა); ხმელი ღერო ფიჩხისა ან გაკრეფულის მტევნისა (დ. ჩუბ.). ქეგლში **კლერტი** კვალიფიცირებულია, როგორც 1. ყურძნის მტევნის ღერო რომელზედაც კიშპლები ასხია. ყურძნის მტევნის მთავარ ღეროს



კლერტი, მის ტოტებს კი ბურძღენი ჰქვია (ივ. ჯავახ.). 2. ფოთლებგაცლილი წვრილი შტო (ხისა, თამბაქოსი). დადამდა. ახლა ველს აოხრებულს, ცარიელ კლერტებს, დასრიალებდა თავზე ნიავი (ვაჟა); [კაცმა] ჩიბუხში დაუწყო თითით ტენა ხელისგულზე გაფშვნიტილ კლერტებს (ვაჟა).

რომ გამოვკენკავთ ყურძენს დარჩება კლერტი კლერტი (ქართლ. ბერბუკი); კლერტი მარცვლის გაცლის შემდეგ რაც დარჩება (კახ. გავაზი); როცა ამაიწევდა დუდილში ზევით კლერტი და თხლე, სარცხით გასტეხდნენ ხოლმე და ქვევით დააბრუნებდნენ (გ. კახ. შინამრეწ.). „**კლერტი მტევნის**“ (იმ. სხვიტორი). ზ. იმ.შინამრეწ., ასათ.). (ყურძენი თონეში) ისევ ჩხირებიანად, ისე როგორც ჩაჰკიდეს, ინახება, გაღება აღარ შეიძლება, კლერტი დამწვარი აქვს და დაიშლება (ქიზ. მრეწ. ტ. III, ნაწ. II, 19).

ქეგლის მიხედვით **კლერტი** კლერტოს სახითაც გვხვდება. ხეხილის კლერტოებით და ფოთლებით მოიფინა გარშემო ადგილები (ნ. ლომ.). ზ. იმერულში კი დასტურდება როგორც კლერტო, ისე კერტო: მარცვალს რო გაკრიფავ მტევანს, რაც დარჩება – კლერტო (ზ. იმ., მრეწ. IV, III, 1989, 118); რომ გამოვკენკავთ ყურძენს დარჩება კლერტო (ქართლ., ყანჩავეთი); კლერტო მტევანს რომ მარცვალს მოვაცლით, რაც დარჩება (ზ. იმ. შინამრ., ასათ.). ქათმებმა შემიჭამა ყურძენი, მარტო კერტოებია (ზ. იმ. ძოწენ.).

გვხვდება **კლერტ**- ფუძიანი ზმნური ფორმებიც.

**აჰკლერტამს** ჭაჭას. ზოგიერთი წითელ მაჭარს დუდილშივე იღებს ერთ კვირაზე, მითომ ტკბილი დადგებო., კლერტი არ გაჰკრეჭამს, ფერი მუქი ექნებაო. ზოგი საფერავი ჭაჭას აჰკლერტამს და იგრე აძლევს დედას მარტო მარცვლისას (ქიზ., მრეწ. IV, III, 1989, 80). **გადაკლერტამს** კლერტებისაგან გაწმენდს, კლერტებს გამოაცლის. ყურძენს დაწვურამთ, მერე გადავკლერტამთ, – გამოვაცლით კლერტს (მოხვა); **გადაკლერტილი** კლერტებგაცლილი. ჭურისთვინ ამევიღებთ გადაკლერტილ ჭაჭას (მოხვა) (ზ. იმერ. ძოწენ.). **გაკლერტვა** ღეროზე დაყენება. ფოთლების (მარცვლების) შემოცლა შემოჭმა და კლერტის დატოვება (ქართლ. ძიძიგ., კეცხ., ხუბ.).

ზემოდასახელებული მნიშვნელობის გარდა **კლერტ-** ფუძიანი ზმნური ფორმები გადატანითი გზით საინტერესო სემანტიკური ცვლილებებითაც დასტურდება: **გაკლერტავს** შეჭამს. მგლებმა გაკლერტეს ცხვარი. მგლებმა ცხვარს ხორცი შემოაცალეს და ძვლებიდა დატოვეს (ქართლ. მიძიგ., კეცხ., ხუბ.).

**გაკლერტავს** მოიპარავს; შეჭამს. ორი კაი მოქცეული დედალი მყამდა, გასულიყვენენ ეზოს გარეთა, ხელათ ვილასაც დეეჭირნა და გეეკლერტან (ქვახვ.) (ქართლ. მესხ.). **გაკლერტვა** გაწიწვნა, გაფცქვნა. მოცვივდნენ ემმაკები და გაკლერტეს ეს სოვდაგარი (ქართლ. ღლ. 286).

ვფიქრობთ, ძველქართულისეული **კერტი** „მტევნის ღერო“ გადატანითი მნიშვნელობით შემონახულია ზმნურ ფორმაში **მოკერტა** პირის მოშაბ(ვ)ასავით – საბა. მაგრამ ბევრის ამა ზღმარტლის ჭამა კაცსა გულსა მოუკერტავს, პირსა და გულსა წყალს მოადენს (იადიგ. 195, 31); ასრე უნდა კაცმან თავად მხურვალი მაჯუნები ჭამოს და ან თავლითა შექნილი სიქანჯუბინი ლოკოს, რომე გულის მოკერტვა და პირის წყლის დენა ორივე უშველოს (იადიგ. 195, 35). სემანტიკური ცვლილებით: **მოკერტავს** გაამაგრებს (მარილი ყველს, წამალი ჭრილობას), სისხლის დენას შეაჩერებს. „მაგარი წათხი უნდა ამ ყველსა, რომე მოკერტოს, თვარა გეემთხლევა, გუუშვეფს, ლოლო გახდება“ (ინ.); მოკერტილი: „ახალი ყველია, ახლათ მოკერტილი“ (თ. ქ.) (ჩვენ. ფუტკ.).

ამავე წარმომავლობისა ჩანს **კლერტი** პირის უგემურობა; **კლერტიანი**; **მოკლერტვა** ან **მოფუკლერტავ** პირსა, პირის უგემურობას მივსცემ – დ. ჩუბინაშვილი. **კლერტვა**: ისეთი ღვინოა, რომ პირს ჰკლერტავსო ამბობენ (გრიშ.). **მოკლერტვა** ძვ. ნაფიფქის, ნალექის გაჩენა (ქეგლ).

შდრ. მსგავსი სემანტიკური გადასვლა შემდეგ შემთხვევაშიც: ძველქართულისეული **მჭახი** „რქა მისი (ვენაჯისად) და მასკნე და მჭახი და ტევანი“ (ბ. კეს.-ექუს. დღ. 70, 22). **მჭახე**, მაგალ. ღვინო ან ისრიმი, ე. ი. ჭმახე, მომძარებული ღვინო ან ისრიმი წამხდარი (დ. ჩუბ.); **მჭახე** (მკვახე, უმწიფარი) (აჭ. ჯაჯან.). **მჭახე** მეტისმეტად მჟავე, ძალიან მჟავე (გურ. ღლ.). **მჭახე** მომძარებული; მჭმახე მჟავე. მჭმახე ბია (შომახეთი); **ამჭახევს**

ამჟავებს. კასრულში ჩავამჩახე ჭაჭაი (ტაბაკინი) (ზ. იმ. ძოწ.). **მჭაყე** ძალიან მჭაყე (ქიზ. მენტ.).

ფონეტიკურად ცვლილი, „ყურძნის მტევნის ღეროს“ აღმნიშვნელი **კერტი** → **კლერტი** ომონიმურ ცალად გვევლინება ძველსავე ქართულის, „მწუანვილი“, gramen აღმნიშვნელი სიტყვისა და ხშირად კონტექსტებში ჭირს კიდევ მათი ცალ-ცალკე გააზრება.

**კლერტი** (ბალ.) მდელოა მწარე (საბა); მცენ. (დ. ჩუბინ.). **კლერტი** ხმელი ღერი ფიჩხისა, ანუ გაკრეფულის მტევნისა (ნ. ჩუბ.).

ვითარცა წვამა კლერტსა ზედა და ვითარცა თოვლი თივასა G, – ვითარცა წვამა მწუანვილსა ზედა და ვითარცა თოვლი თივასა ზედა (M, II, 32, 2); ვითარცა კლერტი ჯმელი შეიჭამოს ცეცხლისაგან (I, ეს. 9, 18); აღმოსცენდეს ვითარცა კლერტი საშჯელი ოჯერსა ველსა (O, ოვს. 10, 4); კონა კლერტთა კანაფთაგან კალათურად კარაულო (ვახტ. VI, 64, 18).

**კლერტი** მსხვილი ბალახ-მცენარის, უმთავრესად თამბაქოს ხმელი ღერო ჯოყარი (ფშ. ხორნ.). გამხმარი ჩალის ღერო, ფოთოლგაცლილი (მესხ. ფეიქრ.); დამუშავებულ ნაკვეთში (ხნულში, ნაბარში) მცენარეთა დარჩენილი ფესვები და ღეროები. კლერტდ ასაკრეფათ ბავშვები მეფეყანათ სკოლიდან (გ. კახ. სახლთხ.); **კლერტ** სარეველა ბალახ-ბულახი ნახნაფში, მეტწილად გამხმარი (ინგ. ღამბ.); ბარვაშივე ბარის წვერით აიკლერტება. კლერტი ბალახის ძირებს ეწოდება. აიკრიფება კლერტი ფოცხით, დაიფოცხება, ნაპირში გაიზიდება (ქიზ. მრეწ. ტ. IV, ნაწ. III, 9). ამოკლერტას უკან (ამოკლერტვის, ბალახის ფესვების მოყრის შემდეგ) მოკნულ-დაფარცხულ ფუნტარ (ფხვიერ, გაფხვიერებულ) მიწას (ადგილს) ...– ანაწილებდნენ (საინ., მრეწ. IV, III, 1989, 19); გარე კახურშიც **კლერტ**- ფუძიანი სიტყვები ამავე მნიშვნელობით იხმარება: **აკლერტავს** კლერტს გააცლის, გაწმენდს, გაასუფთავებს (ნაბარს). „სანამ კარგათ არ ავკლერტამთ ვენახ, პაპაჩემი შიგ არაფერ დაგათესინეფს; **აიკლერტება** გაიწმინდება, გასუფთავდება (ნაბარი). „აი, ნახავ, აიკლერტება და ისეთი კვლები გაკეთდება, შენი მოწონებული!“; **კლერტვა** კლერტისგან გაწმენდა, გასუფთავება (ნაბარის). „ყურძნის ჭამა თუ გიყვართ, ვენახი აკლერტვა არ უნა გეზარებოდეთ“; **აკლერტილი** კლერტისაგან

გაწმენდილი, გასუფთავებული (ნაბარი). „ნაბარი ისეა აკლერტილი, ბალახი ფესვი რა არი, იმაჲ ვერ იპოვით“ (გ. კახ. სახლთხ.).

საგულისხმია, რომ პოლისემიური **კლერტ**-ფუძეში სხვადასხვა დროს წარმოქმნილი მნიშვნელობებმა მოიყარა თავი. შდრ. **კლერტავს**: 1. კლერტსა კრეფს ნაკვეთში. ქალები ბაღასა ეკლერტამენ. 2. სათითაოდ აცლის ფოთოლს, გააგდე ედ თხა ნახე როგორა ეკლერტამს ნამყენეფს. 3. გადატ. მარცვლებს აცლის და ისე ჭამს ყურძენს. პატარა ბავშვივით დაუჭერია მტევანი და ეკლერტამს (გ. კახ. სახლთხ.).

ვფიქრობთ, ძველქართულისეული **კლერტი** → ახ. ქართული **კლერტა, გლერტა**.

ქეგლში მითითებულია: **გლერტა, კლერტა** [Cynodon dactylon] ბოტან. მრავალწლოვანი სარეველა ბალახი (მარცვლოვანთა ოჯახისა), აქვს გრძელი და მძლავრი ღეროები, მძლავრი ფესურები და მიწისზედა მხოხავი ღრო, – კლერტა, კლანჭა. სამყურითა და გლერტით დაფარულ მინდორზე ობლად აზვავებულიყო ახალი საფლავი (ა. ჭუმბ.). [საყანეს] მოედო ქამენიე ბალახი, გლერტაც კი დაჩრდილა და დაჯაბნა (ო. იოს.). ალბათ ჩემი დარგული ყვავილები გლერტა ბალახმა დახრჩო, ფიქრობდა ვარდენი (დ. კვიცი.) – ქეგლ ახ. რედ.

**კლერტა** ბალახი. „კლერტა ბალახი თევექელი არ გახმება (ჩვენ. ფუტკ.). **კლარტა** მავნე ბალახია (გურ. შარამ.). კლარტა მრავალძარღვა ბალახი (მ. ჩიქ.). კლარტაე-ი კლერტა, გლერტა. ტყეში იყო: ძმერხლი, ეკალი, ბარდი,... ქასრაჲ, კლარტაჲ (გურ. იმნ. 154, 4). **აკლერტავს** კლერტებს, ფესვებს აკრეფს. ბარვი დროსა თანდითან ვკლერტამ ხომე, რო კარქა გაიწმინდოს ნაბარი (გრაკ.). **აკლერტვა**: მიხომ იცის, ჯერ სუ დაბარამს ბოლომდისინა, მერე დაიწყებენ აკლერტვასა (ნიჩბ. ქართლ. მესხ.).

ალ. მაყაშვილის ბოტანიკურ ლექსიკონის მიხედვით **გლერტა, კლერტა** სიტყვების სინონიმებად დასტურდება: ფმ., კხ. **კაპუეტა, კანჭა, კლანჭა**; ზმ. იმ. **ჭანგა**; ლეჩხ. **ცირცხა, უნჩხა**; გურ. **კლარტაი**; ინგ. **ჩვირ**; ჭნ. **ჭანგა**; მგრ. **დოლოკეტი, ლეჯიში კეტი, ჯოლოკეტი** (მაყ.).

როგორც ქეგლში, ისე სხვადასხვა დიალექტურ ლექსიკონებში ამ სიტყვების შესახებ ვკითხულობთ: **კანჭი** (ქიზ.).

სარეველა ბალახი ერთგვარი ქეგლ. **კლანჭა** (კახ.) გლერტა. კლანჭას ეთქვა: „ცხრა წელიწადი ღობეზე ვიდევ, კინლამ არ გავხმარიყავო! (ხალხ.) – ქეგლ.

**კანჭა, კლანჭა** ბალახი მარცვლოვანთა ოჯახის მრავალწლოვანი ფესურიანი სარეველა მცენარეა. ფესურას ვირი ჭამს. ფესურა არა ხმება და, თუ ერთი ვენახში გაჩნდა, ძნელი მოსასპობია. თქმულება: „კანჭა ბალახმა თქვაო: ცხრა წელიწად სხვენზე ვეგდე, მემრე ერთმა პატარამაღმა, ღმერთმა უშველოდ, გადამამგდო და ვიხარეო“ (ქიზ. მენთ.). **კლანჭა** ჭანგა ბალხი. კლანჭას ფესვი აქ მაგარი და გამოუსადეგია (ქართლ. მესხ.). ჩვენს მიერ მოძიებული გარეკახური მასალების მიხედვით ამავე მნიშვნელობით დასტურდება **კლარჭა**.

ჩვენი აზრით კლანჭა → კლარჭა → კლარტა → კლერტა → გლერტა. შდრ. ამავე მნიშვნელობის ჭანგა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საბას მიხედვით **ჭანგი** არს მწეცთა ფერვის ფრჩხილი; **კლანჭი** არს ბაზთა და ფრინველთ(ა) ფრჩხილი.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ს. ქართვე. **\*კ(ლ)ერტ-** „გლერტა“ → ქართ. კლერტა → \\\ გლერტა: ზან. **ოვნატო** ← \*ო-კართო: \*სვან. **ლაკჭრტ** ← \*ლა-კერტ (ჩუხუა, გვ. 121).

**კერტი: 2.** კერტი ძუძუს თავი (ა)ღნიშნავს საბა. ძუძუსთავი რამც იყოს; ნათლისღების საკითხავი, იწე ტობია ქალაქის ეპისკოპოსის თქმული: „რამეთუ კვალად უქორწინებელმა სანათლომა მეორედ გვშვნა და ახალშობილთა ამათ კერტი იგი გონიერებისა მოგვეცა, რომელ არს სული წმიდა ჩვენ მარადის სიწმიდისასა მას სძესა დაუწყვედელად ვსვამთ“ E. ასევე მიუთითებს დ. ჩუბინაშვილიც – კერტი ძუძუს თავი.

ქეგლშიც ამ სიტყვის შესახებ საბაზე დაყრდნობით აღნიშნულია „ძუძუსთავი“. გული ღია ჰქონდა თითქმის კერტამდე (ი. მაჭავ. თარგმ.). თუ ძუძუს კერტს ორი თითით გამოვწურავთ, მისგან წამოვა სითხე... – ხსენი (ბ. ლოღობ.).

შ. ფუტკარაძის „ჩვენებურების ქართულის“ მიხედვით **კერტი** პოლისემიური სიტყვაა: **კერტი 1.** ძუძუს თავი. 2. შედედებული სისხლი. „ძუძუს კერტები დუუსკდა, კუ მუუდა ქალსა“ (თ. ქ.); ბადვი წეიქვა, ცხვირი ქვაზე დაარტყა და დიდუანი კერტები დააყრევია სისხლისა“ (თ. ქ.) (ჩვენ. ფუტკ.).

სავარაუდოა, რომ ძუძუს თავის აღმნიშვნელი კერტი წარმომავლობით იგივე წარმომავლობისა იყოს რაც ქართ. მკერდი.

**\*მკერდ-**

ქრთ, მკერდ-\\ მკრდ- მკერდ-ი, მკრდ-ის-ა, მკრდ-ით-ა...

მეგრ. კიდირ-\\ კვდგრ- კიდირ-ი \\ კვდგრ-ი „მკერდი“.

გვხდება ძველ ქართულში: მიეყრდნა მკერდსა იესუმსა, ი. 13, 25; იცემდა მკერდსა და იტყოდა, ლ. 18, 13; და-ნუ-ივიწყოსა სძალმან... მკრდისა სამკაული, იერემია 2, 32] და სხვ.

ქართ. მკერდ-ს შეესატყვისება მეგრ. კიდირ- \\ კვდგრ- (მ მეგრულის ანლაუტში დაკარგული ტ. გუდავას წესის მიხედვით, ტ. გუდავა, 1979 გვ. 80-84); შეფარდება ქართ. ე: მეგრ. ი პოზიციურია, იხ. მელიქიშვილი, 1975, გვ. 122-128); მეგრულში მომხდარია მეტათეზისი და განვითარებულია ი.

ქართ. მკერდ-ს უკავშირებენ სვან. მუჭჳედ \\ მუჭოდ ფორმებს (იხ. G. Deeters, 1930, გვ. 44; ЭСКЯ, გვ.135).

ქართულისა და მეგრულის მასალა შეაპირისპირა არნ. ჩიქობავამ (ფუძის აგებ., გვ. 99). გ. კლიმოვმა საერთო-ქართველური ფუძე-ენაში აღადგინა \*მკერდ- არქეტიპი (ЭСКЯ, გვ.135) (ფენრიხი, სარჯველაძე, თბ. 1990).

**მკერდ** ლექსემის გავრცელებულობას ძველ ქართულში და მის წარმომავლობას ეხება ლ. გელენიძეც. ზემოდასახელებული შესატყვისობების გარდა მას შენიშული აქვს, რომ ინდოევროპულ \*კერდ- k'erd- „გული“ ფუძეს უკავშირებდა ქართულ მკერდს ილიჩ-სვიტიჩი. და რომ ამ ფუძეთა მსგავსებაზე გ. კლიმოვიც მიუთითებს (ეტიმ. 135) (გელენიძე, 1974, 95).

ვფიქრობთ, რომ კერტის, „ძუძუს თავის“ სემანტიკური ცვლილების შედეგად მივიღეთ მნიშვნელობა „შედეგებული სისხლი“. აქედან კი ამავე შინაარსის ლეკერტი. „ლეკერტი სისხლი“ (იმ. გაჩ.). სახეზე სისხლის ლეკერტები ჰქონდა (რაჭ. კობახ.). ლეკერტი შედეგებულ-შესქელებული სისხლი. „ჰიდამდი ცხვირიდან ლეკერტები არ ვანქრევიე, არ მომეშვა“ (აჭარ. ნიყ). ლეკერტ-ლეკერტ ზმნს. ლეკერტებად, ღვარად (სისხლი) „დურთო და დურთო მჯილი... ლეკერტ-ლეკერტ წამუვდა სისხლი ცხვირიდან“ (აჭარ. ნიყ.). დალეკერტდება შედეგდება, გასქელდება. „სისხლი რო გაცივდება, დალეკერტდება“ დალეკერტება შედეგდება, გასქელება. დაოულეკერტდება

დალეკერტდება მისი, – შეუდედდება, გაუსქელდება. „დამილეკერტდა სისხლი დაბეჭილ ქუსში“ (იმერ. გაჩ.). დიალექტურმა სიტყვა **ლეკერტმა** სათანადო ასახვა ჰპოვა ქეგლშიც. **ლეკერტი** (იმერ. გურ.) შედედებული, დაკვეთილი სისხლი. **ლეკერტ-ლეკერტ** (იმერ. გურ.) ზმნს. ლეკერტებად – ქეგლ.

სიტყვაში **ლეკერტი** გამოიყოფა **ლე-** პრეფიქსი. შდრ. **ლე-ჟვერი** „ნედლი, ცუდი შეშა“ (შდრ.: ჟვერი, „ფოთლიანი რტო“), **ლე-ყეპ-ო** „დამდგარი წყლის ზედაპირზე მოყენებული მწვანე ლაბისებური მასა“ (შდრ.: ყეპ-ო „წყლის ზედაპირზე მოდებული ხავსი“) (ვ. თოფურია, ფ. ერთელიშვილი); შდრ.: **ლე-პრეფიქსი**: **ლე-შდიქ** „საკბილო“, **ლე-ფული** „შესაბერი“... (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988).

როგორც ვხედავთ, **კერტი** სიტყვის ომონიმურმა ცალემბმა განვითარების სხვადასხვა გზა გაიარეს. თუ ერთ შემთხვევაში „მტევნის ღერო“ აღმნიშვნელი **კერტი** ფონეტიკურად იცვალა და ბგერითი დამთხვევის შედეგად ძველსავე ქართულში დადასტურებული **კლერტის** „სარეველა ბალახის“ ომონიმურ ცალად წარმოჩინდა. შდრ. **კლერტი** „მტევნის ღერო“ და **კლერტი** „სარეველა ბალახი“. შემდგომ კი ენამ ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად გამოიყენა როგორც ფონეტიკური, ისე ფორმათწარმოება. შდრ. **კლერტი** „მტევნის ღერო“ და **გლერტა, კლერტა** „სარეველა ბალახი“. აქვე უნდა შევნიშნოთ, რო ენამ ორივე ფორმა როგორც ძველი – **კერტი**, ისე ახალი – **კლერტი** „მტევნის ღერო“ მეტაფორიზაციისას ერთი და იმავე მნიშვნელობის „პირის უგემურობის“ შინაარსის გადმოსაცემად გამოიყენა. შდრ. **მოკერტა და მოკლერტვა**. მეორე შემთხვევაში კი „ძუძუსთავის“ მნიშვნელობის **კერტი** მეტაფორიზაციით ახალ ლექსიკურ მნიშვნელობას – „შედედებული სისხლი“ – იძენს და სიტყვა პოლისემიური ხდება. მის თავიდან ასაცილებლად კი ენა მიმართავს ახალ ფორმათწარმოებას და შესაბამისად სიტყვა სხვა ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფის წევრად გვევლინება. შდრ. **კერტი** „ძუძუსთავი“ და **ლეკერტი** „შედედებული სისხლი“

#### წყაროები და ლიტერატურა:

ი. აბულ. – ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

- აჭარ. ნიქ.** – შ. ნიჭარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი, 1971.
- აჭარ. ჯაჯან.** – პ. ჯაჯანიძე, აჭარული ლექსიკონის მასალები, აღ. წულუკიძის სახ. ქუთაისის პედაგ. ინსტიტუტის შრომები, XXIII, 1961.
- გ. კახ. სახლთხ.** – უ. სახლთხუციშვილი, გარეკახური ლექსიკონი, თბ. 2003.
- გელენიძე, 1974** – ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკა ძველ ქართულში, თბ.
- გურ. ღლ.** – აღ. ღლონტი, გურული ფოლკლორი, I, თბ., 1937.
- გურ. შარაშ.** – გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი, „ქართველურ ენათა ლექსიკა“, I, ვ. ბერიძის რედაქციით, თბ., 1938.
- გურ. ჯაჯან.** – პ. ჯაჯანიძე, გურული დიალექტი, I, თბ., 1977.
- ვახტ. VI** – ვახტანგ მეექვსე, ლექსები და პოემები, აღ. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1975.
- იადიგ.** – დ. ბაგრატიონი, იადიგარ დაუდი, გამოსცა ლ. კოტეტიშვილმა, თბ., 1985.
- ზ. იმ. ასათ.** – ლ. ასათიანი, ვაზის კულტურასთან დაკავშირებული ლექსიკა ქართულში, თბ., 1978.
- ზ. იმ. ძოწ.** – ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974.
- იმ. ასათ.** – იხ. ზ. იმ. ასათ.
- იმ. ბერ.** – ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, სპბ. 1912; თბ., 1986.
- იმერ. გაჩ.** – პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1976.
- ინგილ. როსტ.** – ნ. როსტიაშვილი, ინგილური ლექსიკონი, თბ. 1978.
- ინგილ. ღამბ.** – რ. ღამბაშიძე, ქართული ენის ინგილური კილოს ლექსიკონი, თბ. 1988.
- კლიმოვი, 1964** – Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М.
- მეგრ. ქაჯ.** – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, 2002; IV, (დამატებანი), თბ. 2009.
- მესხ. ფეიქრ.** – ჟ. ფეიქრიშვილი, მესხური დიალექტის სალექსიკონო მასალა, ქუთაისი, 1992.



- რაჭ. კობახ.** – რაჭული დიალექტის ლექსიკონი, შემდგენელი ალ. კობახიძე, თბ., 1987.
- საინგ. IV, III** – მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის აკად. ი. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით 5 ტომად. ტ. IV, ნაწ. III, თბ., 1989.
- საბა** – ს. ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული ორ წიგნად. წიგნი I, თბ., 1966; თხზულებანი, ტ. IV<sup>2</sup>, გამოსცა ი. აბულაძემ, თბ., 1966.
- სარჯ.** – ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1995.
- საჩინ შარაშ.** – ნ. შარაშენიძე, საჩინოური ლექსიკონი, თბ., 2008.
- ქართლ. ასათ.** – იხ. ზ. იმ. ასათ.
- ქართლ. ძიძიგ., კეცხ., ხუბ.** – შ. ძიძიგური, ნ. კეცხოველი, პ. ხუბუტია, ქართლური ლექსიკონი. დაიბეჭდა „შ.“ ასომდე არ გამოცემულა.
- ქართლ. ლექსიკ.** – ქართლური დიალექტის ლექსიკონი (მასალები) შემდგენლები: თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, თბ., 1981.
- ქართლ. მენტ.** – სტ. მენტეშაშვილი, ქართლურის სალექსიკონო მასალა, იკე, XVII, თბ., 1970.
- ქართლ. მესხ.** – მ. მესხიშვილი, ქართლური ლექსიკონი (მასალები) თბ., 2006
- ქართლ. ღლ.** – ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1974.
- ქეგლ** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. IV, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბ., 1955.
- ქეგლ. ახ. რედ.** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, II, მთავარი რედაქტორი – ავთანდილ არაბული, თბ., 2010.
- ქიზ. მენტ.** – სტ. მენტეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბ., 1943.
- ქიზ. მრეწ.** – იხ. საინგ. ტ. III, ნაწ. II; თბ., 1986.
- ჩვენ. ფუტკ.** – შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.
- დ. ჩუბინ.** – დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ, თბ., 1984.

**ნ. ჩუბინ.** – ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, ალ. ლლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1961.

**ჩუხუა** – მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი თბ., 2000 – 2003 .

**ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988** – ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ.

## **ON THE SUBJECT OF THE HISTORY OF HOMONYMOUS WORD - KERT**

### **1. THE BODY OF THE CLUSTER OF GRAPES 2. A TEAT**

**Nineli Chokhonelidze, Arnold Chikobava Institute of Linguistics  
RESUME**

In the Georgian language there are two homonymous words with the root – kert: 1. kerti -“the body of the cluster of grapes. 2. kerti – “teat”. These words have different history of development. The word – kert (the body of the cluster of grapes) changed phonetically and became a homonymous form of the word –klerti “weed” that existed even in Old Georgian (klerti - The body of the cluster of grapes; weed.). Later the language used Phonetics as well as the word formation to avoid ambiguity and the word with the meaning “weed” became glerta, klerta. So, we had klerti - “The body of the cluster of grapes” and glerta, klerta - “weed”. We should mention that during the methaphorization the language used both forms (old form- kerti and new one- klerti) to express one meaning “unpleasant taste in a mouth” e.g. mokertva and moklertva. As for the second meaning of the word “kerti”- teat, it took another lexical meaning – “blood clot” and became polysemantic. In order to avoid polysemantic meanings the language used the word formation again and as a result we had kerti “teat” and lekerti “blood clot”.

## გოდერძი ჩოხელის ენისა და სტილის ზოგიერთი ასპექტი

მწერლის ენის კვლევა დღემდე ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება. მკვლევართა ინტერესს იწვევს არა მხოლოდ მწერლობის განვითარების ცალკეული პერიოდები, არამედ საკუთრივ შემოქმედი თავისი ინდივიდუალურობით. სწორედ ზოგიერთი ლექსიკური თუ გრამატიკული თავისებურების სტილისტური ფუნქციის გამოვლენას შევეცადეთ ჩვენ გოდერძი ჩოხელის ნაწარმოებებში. გამორჩეული მხატვრული ენის მქონე და ადამიანთა ყოფნა-არყოფნის ბედზე მოფიქრალი ამ მწერლის შემოქმედება, ენობრივ-სტილისტური თვალსაზრისით, მართლაც განსაკუთრებულია ქართულ ლიტერატურაში. მას ხშირად ვაჟა-ფშაველას ადარებენ და თავადაც არაერთგზის გამოუთქვამს აზრი იმის თაობაზე, რომ თავს ვაჟას მემკვიდრედ მიიჩნევდა, თუმცა საკმაოდ დიდია განსხვავებაც და იგრძნობა მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალიზმი, განუმეორებელი ხიბლი, რომელიც გოდერძი ჩოხელის მთელი შემოქმედების თანამდევია და რომელსაც სწორედ მისი ენა და სტილი ქმნის. გოდერძი ჩოხელის ენა ბუნებრივია, მწერალი ძალდატანების გარეშე, ჩვეულებრივი მოსაუბრესავით ყვება ამბავს და მისი ლექსიკა გაჯერებულია გუდამაყრის ხეობაში მარგალიტებით შემორჩენილი ძირძველი ქართული სიტყვებით. მწერალმა მრავალ მივიწყებულ სიტყვას ჩაჰბერა სული, ამოიტანა მთების ბუნებრივი და საიმედო „არქივიდან“ და საკუთარ ტკბილ-მწარე შემოქმედებას გემოვნებით შეურია. მისი წერის მანერასა და სტილს მნიშვნელოვნად განაპირობებს გუდამაყრის ხეობასა და მის სოფელში - ჩოხში გავრცელებული დიალექტი. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, დიალექტი განმარტებულია შემდეგნაირად: „დიალექტი-ი [ბერძ.] იგივეა, რაც კილო (მნიშვ.1) ქართული ენის დიალექტები.” [1; 462] ეს არის კუთხური მეტყველების თავისე-

ბურებათა ერთობლიობა, რომელზეც მეტყველებს ენობრივი კოლექტივის ტერიტორიულ-ეთნოგრაფიული ნიშნით გამოყოფილი ჯგუფი. სალიტერატურო ენისაგან განსხვავებით დიალექტისთვის არ არსებობს დადგენილი გრამატიკული ნორმები, „ნებისმიერი თანამედროვე ენა არის რთული ერთიანობა, მოიცავს სახესხვაობათა მთელ კომპლექსს - სალიტერატურო ენას სოციალური და სტილური, დიალექტურ მეტყველებას კი - ტერიტორიული ვარიანტებით.” [2; 146] გოდერძი ჩოხელი კი, ამ ფონზე, შესანიშნავად ახერხებს მის მიერ გამოყენებული დიალექტური ფორმების ისეთ დინამიკაში მოყვანას, ისეთ შეთავსებას სალიტერატურო ენასთან, რომ იოტისოდენადაც კი არ იწვევს მკითხველის გაღიზიანებას, პირიქით, ადგილობრივი კოლორიტის გაცოცხლებას ემსახურება, უზადო გემოვნებით შერჩეული საკმაზის ეფექტს ანიჭებს სიტყვას და მკითხველამდე მიაქვს დახვეწილი ნაწარმოები როგორც შინაარსით, ისე მისი გამოხატვის ფორმებით, რაც ერთიორად უფრო სასიამოვნოს ხდის კითხვის პროცესს.

განსაკუთრებული სტილური, შინაარსობრივი და ემოციონალური დატვირთვა აქვთ მის მოთხრობებში მწერლის მიერ გამოყენებულ ფერებს: „რძისფერი სიმყუდროვე“, „შემომგლისფერებული მიდამო“, „მზისფერი თმა“, „ხორბლისფერი ნაწნავები“, „პეპელაის ფერი სამოსელი“... ამ, და სხვა მსგავსი ფორმების გამოყენებით აღწევს ავტორი ენის ექსპრესიულობის მაქსიმუმს.

„გ. ჩოხელის დღევანდელი სალიტერატურო ქართული უშუალო გაგრძელებაა ილია ჭავჭავაძის მიერ ჩამოყალიბებული პრინციპებისა, რომელთა მიხედვითაც მწერლის ენა სრულიად გასაგები უნდა იყოს ხალხისათვის, მაგრამ ამავე დროს ფონეტიკურად განსაკუთრებით თავისუფალი უნდა იყოს ენობრივი ნორმების შეგნებულად და უხეშად დარღვევისაგან, რაც სამწუხაროდ ხშირად გვხვდება ამ ბოლო ხანებში.

ისიც უნდა ითქვას, რომ გ. ჩოხელის ენა არის თანამედროვეულად განვითარებული მწერლის ენა” [3, 88;] გოდერძი ჩოხელის ენასა და სტილს განსაკუთრებით ამდიდრებს და ამრავალფეროვნებს ხალხური თქმები, იდიომები, ლოცვისა და წყევლის ფორმულები, მათი ჩართვით მწერალი სათქმელს გარკვეულ მიმართულებას აძლევს და ბუნებრივად აქსოვს თხრობაში: „ღმერთო, მაღალო, შეიწყნარე ამ მიწაზე ყოველივე სახელი ჩვენი და უადგილოდ ნუ

დასვამ წერტილს და მოგვივლენ განსაცდელს,” „მეშვიდე თაობაზე გაწყდება შენი გვარი“...

მწერლის პოეტური ენის ერთ-ერთი სტილური ნიშანია სიტყვათა საყოველთაოდ ცნობილი სემანტიკური კავშირის მოშლა და მეტაფორული გააზრების საფუძველზე განსაკუთრებული ემოციური მუხტით დატვირთული ფრაზების შექმნა, რაც წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს მკითხველზე, მაგალითად: „მთვარის მიერ დათოვლილი დილის ძილში ჩაძირული დედამიწა,” „შემოდგომის ფერწასულ ძაფზე ყვითელი მძივივით ასხმული მზიანი დღეები,” „აფეთქებული გაზაფხული”, „შემოდგომის ყვითელი ფერხული”... ეს ის სურათებია, რომელსაც მხოლოდ გოდერძი ჩოხელის ენა თუ აღწერს, მხოლოდ მისი თვალით თუ დაინახავ. ამ სიტყვათა მეშვეობით სრულიად განსხვავებულად ტრანსფორმირდება მკითხველის თვალში სამყარო.

აღსანიშნავია, რომ ქართლის მეტყველებისათვის დამახასიათებელი მოვლენა ი-ხმოვნის დამატებისა ხმოვნით დაბოლოებულ საკუთარ და საზოგადო არსებით სახელებზე, თითქმის ანალოგიურად არის შემორჩენილი მთის მეტყველებაში. როგორც ცნობილია, ეს არის ძველი ქართულის გადმონაშთი, რომელიც იმდენად მყარად არის ჩადულაბებული ქართულ მეტყველებაში, რომ ხშირად თანამედროვე მწერლები ცდილობენ დააბრუნონ იგი სალიტერატურო ენაში. მაგალითად, ოთარ ჩხეიძე, რომელიც თავის ნაწარმოებებში უხვად იყენებს ქართლური დიალექტისთვის დამახასიათებელ ფორმებს, აღნიშნულ შემთხვევაში -ი ხმოვნის დამატებას სალიტერატურო ენისათვის აუცილებელ კომპონენტად მიიჩნევს. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ ორ თვისობრივად განსხვავებულ არეალში - ქართლსა და მთიულეთში - ფართოდ არის გავრცელებული ერთი და იგივე დიალექტური ფორმა, ვფიქრობთ, სერიოზული არგუმენტია ო. ჩხეიძის პოზიციის გასაზიარებლად.

გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია განსაკუთრებულად შერჩეულ ქალ-ვაჟთა საკუთარ თუ შერქმეულ სახელებს, მის გმირებს ხშირად ორიგინალური სახელები ჰქვიათ და სწორედ მათი მოშველიებით ხდება პერსონაჟთა პორტრეტები ბევრად უფრო შთამბეჭდავი. ეს არ არის ხელოვნურად გამოგონილი სახელები, ისინი რეალურად ჰქვიათ გუდამაყრელებს, მხოლოდ გ. ჩოხელი რუდუნებით გამოკრეფს მათ და

გზას უხსნის მომავლისაკენ, ბევრი მათგანი ძვირფასი სალექსიკონო მასალაა: ქალთმაზე, გამიხარდაი, ჯღუნაი, ბიბლა, ახიელი, ბატატური, ბათალა, ქორა, წიოკა, სამტილიანა... (ადამიანის) მესკვლია, მთორია (საქონლის) და რამდენი ასეთი მეტყველი სახელია, რომლებიც ჩვენს ირგვლივ, პრაქტიკულად გამქრალია, არადა თითოეულ მათგანს მნიშვნელოვანი ლექსიკური დატვირთვაც გააჩნია და მათმა ეტიმოლოგიამ შესაძლოა ქართული ენის ისტორიის ბევრ საიდუმლოს ახადოს ფარდა. თუმცა გოდერძი ჩოხელის წმინდა სალიტერატურო ენით, დიალექტურ ფორმათა გამოყენების გარეშე დაწერილი მოთხრობებიც ასევე ინდივიდუალური ნიშნითაა აღბეჭდილი და უძლიერესი ემოციური მუხტითაა დატვირთული. „გოდერძი ჩოხელის ნაწარმოებები დიალექტიზმებით გაჯერებული ან, მით უმეტეს, გადატვირთული ნამდვილად არ არის. მას აქვს მთელი რიგი მოთხრობებისა, რომლებიც ქართული სალიტერატურო ენითაა დაწერილი და საერთოდ არ შეიცავენ კუთხურ ლექსიკას, ზოგიერთ მოთხრობაში კი პირიქით, გვხვდება მეტად საინტერესო დიალექტიზმები და თანაც საკმაო რაოდენობით.” [3,96] ესე იგი, გოდერძი ჩოხელის ენობრივი სტილის თავისებურება და ლაზათი გუდამაყრული დიალექტისა და სიღრმისეულად გათავისებული სალიტერატურო ენის სინთეზშია, რაც ცალკეულ მოთხრობათა წიაღშიც გამოვლინდა და მთელი მისი შემოქმედების ვრცელ არეალშიც. ავტორი ერთნაირი ოსტატობით იყენებს როგორც ამ სინთეზის ერთობლიობას, ისე მასში შემავალ თითოეულ კომპონენტს და გვთავაზობს განსაკუთრებული სტილით ნასაზრდოებ შემოქმედებას. მას განსაკუთრებულად ფაქიზი დამოკიდებულება აქვს დიალექტიზმებისა თუ მივიწყებული სიტყვების მოძიებისა და გაცოცხლების საკითხთან მიმართებაში, რაც ერთგვარი არქაიზაციით შეფერილს ხდის მის სტილს. დაფარული სევდა გამოსჭვივის მის მოთხრობაში „სიყვარულის ცეცხლი”, სადაც გოდერძი ჩოხელი წერს: „როცა გზაზე ადამიანები ხშირად აღარ დადიან, გზამაც მოწყენა იცის. თანდათან ბელტდება და ვიწროვდება. მერე კი სულ ნაგზვეი ხდება და ემატება იმ სიტყვებს, როგორიცაა: ნასოფლარი, ნასაყდრალი, ნასახლარი, ნაფუძარი, ნაცოლარი და ვინ იცის, კიდევ რამდენი სიტყვა შეემატოს ამ სიტყვებს. ვინ გაიგებს, როგორ ქარს წამოხერავს ზენაარი დედამიწაზე, თუ ადამიანე-

ბი საერთოდ დაივიწყებენ ისეთ სიტყვებს, როგორცაა - სიყვარული!" [4, 37;]

სიტყვის ძალა უმნიშვნელოვანესია შემოქმედისათვის. მას გათავისებულებული აქვს, რომ მხოლოდ მონათხრობი ამბავი არ კმარა სულში მოძალეებული განცდების შემოქმედებაში განსაზღვრებად, ამისთვის სწორედ ენისა და სიტყვის ძალაა აუცილებელი, თვითმყოფადი სტილის დამკვიდრება უმნიშვნელოვანესი და ამას მხოლოდ მცდელობა და მეცადინეობა ვერ შეავსებს, თანდაყოლილი ნიჭიერებაა საჭირო, რომელიც ვის ვის და გოდერძი ჩოხელს უდაოდ უზვად უბოძა უფალმა. ამრიგად, გოდერძი ჩოხელის შემოქმედება ხასიათდება მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალიზმით, რაც ძირითადად ენისა და სტილის თავისებურებითა და განსაკუთრებულობით მიიღწევა.

#### **ლიტერატურა:**

1. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, ნაკვეთი პირველი, თბ., 1990.
2. ქართული ენა, ენციკლოპედია; თბ., 2008.
3. წიკლაური მ., გოდერძი ჩოხელი ერის და მთის შვილი, „ბაკმი“, 2006.
4. ჩოხელი გ., თხზ. ტ II, თბ., 2008.
5. კოშორიძე ე., მწერლის ენისა და სტილის საკითხები, თბ., 2005.
6. ლლონტი ალ., ფილოლოგის ჩანაწერები, თბ., 1980.

## **LINGUAL AND STYLISTIC ASPECTS OF GODERDZI CHOKHELI**

**Giorgi Khorbaladze, Gori Teaching University  
RESUMÉ**

The literal legacy of Goderdzi Chokheli is stilistically and linguallly distinguished in the Georgian Literature. His special language and different style make all his works individual and inimitably charming. His vocabulary contains a number of old Georgian words still existing in Gudamakari gorge. The writer has given spirit to many frogotten words and tastefully merged them to his own writings. That is why we consider the language and style of G. Chokheli to be pretty worthy to be specially studied for further researches in regard to the Georgian language and literatuer in general.

## ელენე ხოჯევანიშვილი გორის სასწავლო უნივერსიტეტი

### დავით ბატონიშვილი და ზოგიერთი ცნობა მისი „მცირე დრამმატიკის“ შესახებ

ცნობილია, რომ ერეკლე მეორის შთამომავლობა, მისი ოჯახის თითქმის ყველა წევრი, მწიგნობარი იყო. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ძმები დავითი, იოანე და თეიმურაზი. გაცეხას იწვევს დავით ბატონიშვილის მოღვაწეობის მრავალმხრივობა. როგორც მის თანამედროვეთა თუ მისი ბიოგრაფიით დაინტერესებულ შემდგომი ხანის მკვლევართა ნაშრომებიდან ჩანს, მის აღზრდას, ერეკლე მეორის კარზე გამოჩენილი ქართველი და უცხოელი სახელმწიფო მოღვაწეები და მეცნიერები - დავით ალექსი-მესხიშვილი, ავსტრიელი სწავლული იოსიფ გეტიკი, გერმანელი მოგზაური იაკობ რეინეგსი და სხვები ხელმძღვანელობდნენ. მის ნიჭიერებასთან ერთად ალბათ ამანაც განაპირობა ის, რომ მისი სამხედრო, კულტურული და საგანმანათლებლო მოღვაწეობის დიაპაზონი საკმაოდ ფართოა: იგი იყო საუკეთესო სტრატეგი და მამაცი მეთაური, მიაღწია გენერალ-ლეიტენანტის ჩინს, მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროში შედიოდა ლექსიკოგრაფია და ძმასთან (იოანესთან) ერთად მუშაობდა სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაზე“ და შეავსო იგი საილუსტრაციო მასალით და განმარტებებით, ფრაგმენტულად არის მოღწეული მისი სტატიები ენციკლოპედიური ლექსიკონისათვის, არის საქართველოს ისტორიის შესახებ არა ერთი ნაშრომის ავტორი, მნიშვნელოვან მოვლენად არის შეფასებული მისი მოღვაწეობა სამართლის დარგში, ხოლო „სამართალი ბატონიშვილის დავითისა“ მიჩნეულია როგორც ძვირფასი წყარო ქართული სამართლის განვითარების ხაზის შესაცნობად, წერდა ლექსებს, არის რომანის („ახალი შიხი“) ავტორი, ქართველ ვოლტარიანელთა პირველი წარმომადგენელი, მონტესკიესა და ვოლტერის თხზულებათა მთარგმნელი, მუშაობდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში.



ჩვენი ნაშრომი დავით ბატონიშვილის მრავალფეროვანი მოღვაწეობიდან ეძღვნება მის ხელნაწერ „მცირე ღრამმატიკას“<sup>16</sup>, რომელიც პირველად ალ. ცაგარელმა მიმოიხილა (A.Л. Цагарели, 1872), შემდეგში იგი აღწერა ექვთიმე თაყაიშვილმა თავის მონოგრაფიაში, სადაც იგი წერს, რომ „ეს წიგნი ერთი საუკეთესო ეგზემპლარია დავით ბატონიშვილის ღრამატიკისა თვით დავითისავე ნაქონი“ (ექ. თაყაიშვილი, 1933, 51-52). დავით ბატონიშვილის გრამატიკაზე ვრცლად საუბრობს ალ. ფოცხიშვილი მონოგრაფიაში „ქართული ენათმეცნიერების ისტორია“ (ალ. ფოცხიშვილი, 1995, 309) და განიხილავს დავითის გრამატიკის ერთ-ერთ ხელნაწერს (E-174), რომელიც, როგორც ავტორი ბრძანებს, სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ფილიალშია დაცული და არის მარი ბროსეს მიერ გადაწერილი პირი იმ ეგზემპლარისა, რომელიც თეიმურაზ ბატონიშვილს პარიზის სააზიო საზოგადოებისათვის უჩუქებია 1832 წელს, რასაც აღნიშნული გრამატიკის პირველ გვერდზე თეიმურაზის მიერ გაკეთებული წარწერა ასაბუთებს. ალ. ფოცხიშვილი გვაუწყებს იმასაც, რომ „ეს პირი მ. ბროსეს თავისი ხელით გადაუღია და რუსეთში ჩამოუტანია. ხელნაწერის დედანი, რომელიც ახლა პარიზის სააზიო საზოგადოებაში ინახება, ავტოგრაფი უნდა იყოს.“ (ალ. ფოცხიშვილი, 1995, 309)

სწორედ ამ ხელნაწერით და მისი გაცნობით დავინტერესდით, პარიზში კერძო ვიზიტით ყოფნისას და მივაკვლიეთ კიდევ მას პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ფილიალში, მოვიპოვეთ მისი მიკროფირები და სპეციალური ნებართვის საფუძველზე ხელნაწერი გრამატიკის ქსეროასლის გაკეთების შესაძლებლობაც მოგვეცა.

აღნიშნული გრამატიკა დათარიღებულია 1790 წლით, მოიცავს 163 გვერდს და შედგენილია კითხვა-მიგების პრინციპით, რაც მიღებული ფორმა ჩანს ძველი გრამატიკებისთვის.

ძალიან საინტერესოა ისტორია იმის შესახებ, თუ როგორ მოხვდა დავით ბატონიშვილის გრამატიკა მარი ბროსეს ხელში. მე-

---

<sup>16</sup> გაუგებარია, რომ აღნიშნული გრამატიკა არ არის მითითებული ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის II ტომში, სადაც საუბარია დავით ბატონიშვილის ბიოგრაფიასა და მოღვაწეობაზე

19 საუკუნის 20-იან წლებში, მარი ბროსემ პარიზში ფართო აღმოსავლეთმცოდნეობითი მუშაობა გაშალა რამდენიმე თანამოაზრესა და პარიზის სააზიო საზოგადოებასთან ერთად. ქართველოლოგიით დაინტერესებულმა ბროსემ ქართული ენის შესწავლაც დაიწყო და ამ მიმართულებით რამდენიმე ნაშრომიც გამოაქვეყნა (გ. შარაძე, 1972, 104-105) მას ქართველოლოგიური პრობლემების კვლევისას სჭირდებოდა მეცნიერ-ხელმძღვანელი და ამ მიზნით დაუკავშირდა იგი პეტერბურგში მყოფ თეიმურაზ ბატონიშვილს და მას პარიზიდან ქართულ ენაზე დაწერილი წერილიც გამოუგზავნა. ამ ამბით აღფრთოვანებული თეიმურაზის წერილში ვკითხულობთ:

„მრავლისა მხიარულებითა აღივსო გული ჩემი, ვინაჲდგან, პირუჭლად მე მივიღე შრომილი შენი და ეგრეთვე წიგნი მოწერილი ბუნებითა ენასა ზედა ჩუჴსნა ქართულსა, რომელმანცა განმაკვირვა მე დიდად.“ (თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი, 1964, 7)

მ. ბროსეს წერილს ჩვენამდე არ მოუღწევია, თუმცა თეიმურაზის პასუხიდან ჩანს, რომ ბროსეს თხოვნას, დახმარებოდა ქართული ენის უკეთ შესწავლაში, თეიმურაზი პასუხობს: „მე მოსწრაფე ვარ და უეჭველად დიდისა კმაყოფილებითა მზა ვარ... ვითარცა მოყუარესა მამულისა ენისა ჩემისასა, მე თუთ გექმნები შენ თანამოსაუბრე.“ ((თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი, 1964, 8)

მ. ბროსეს გულთან მიუტანია თეიმურაზის მოკრძალებული თხოვნა პარიზის სააზიო საზოგადოებაში ჩარიცხვის შესახებ და მისი რეკომენდაციით გამხდარა კიდევ ამ საზოგადოების წევრი, რასაც თეიმურაზი დიდ პატივად მიიჩნევდა. ყოველივე ამის შემდეგ გაუგზავნია თეიმურაზ ბატონიშვილს ბროსესთვის, პარიზში, სხვა წიგნებთან ერთად ანტონ პირველის და დავით ბატონიშვილის გრამატიკები.

როგორც აღვნიშნეთ, გრამატიკის პირველ გვერდზე ვკითხულობთ თეიმურაზ ბატონიშვილის მინაწერს, ანდერძს: „ღრამმატიკაჲ ესე, ვინაჲდგან არს ქართულსა ენასა

შეა ურჩეულესი ამისთვის უძღვნი დიდებულსა პარიჴის ყ~დ ბრძენსა მეაზიელსა საზოგადოებასა, რათა წევრნი მისნი ქართულისა ენისა მეცნიერნი სარგებლობდნენ ამით:

უპატივცემულებსად სრულიად ზემოისა საქართველოისა და სხვათა მეფეს

გიორგი მეათცამეტის მე თეიმურაზ“. [იხ. დანართი 1]

ვფიქრობთ, თეიმურაზის მშვენიერი კალიგრაფიით დაწერილი ეს ანდერძი საყურადღებოა იმით, რომ მასში კარგად ჩანს, თუ როგორაა მოწადინებული ბატონიშვილი დაეხმაროს ყველას, ვინც კი ქართული ენის შესწავლით დაინტერესდება. მათ შორის სააზიო საზოგადოების წევრებს და ამ მიზნისთვის მას დავით ბატონიშვილის გრამატიკა საუკეთესოდ მიაჩნია. მართლაც, ერთ-ერთი ავტორი, ვისაც მარი ბროსე 1834 წელს პარიზში მის მიერ გამოცემულ წიგნში „L'art liberal ou grammaire georgienne“ („კელოვნება აზნაურობითი გინა ქართულისა ენისა თვითმასწავლებელი“) ეყრდნობა, სწორედ დავით ბატონიშვილია (ანტონ პირველთან და ფრანცისკ მარია მაჯოსთან ერთად).

გრამატიკის ბოლო გვერდზე ავტორის მიერ წაწერილია ათი რუსული სიტყვა შესატყვისი ქართული თარგმანით, რასაც მოსდევს თეიმურაზის კიდევ ერთი მინაწერი:

„ეს მეფეს ძის დავითს დასახსომლებლად ყდაზე მიეწერა ამ ადგილს,

თუთ მისის კელით და ამისთვის აღარ წავშალე.“ [იხ. დანართი 2]

ეს წარწერა აძლევს საფუძველს ალ. ფოცხიშვილს ივარაუდოს, რომ პარიზში დაცული დედანი დავით ბატონიშვილის ავტოგრაფი უნდა იყოს. ჩვენი აზრით, არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, რომელიც ამავე მოსაზრებას უჭერს მხარს, კერძოდ: გრამატიკის პირველ გვერდზე ფრანგულ ენაზე გაკეთებულია წარწერა: „Ce livre est le premier exemplaire, qui a ete comprose, pour ce raison je ne l'ai pas donne a copie“, [იხ. დანართი 1] რომელიც ასე ითარგმნება: „ეს წიგნი არის პირველი შედგენილი ეგზემპლარი, სწორედ ამ მოსაზრებით მე ის არ მივეცი კოპირებისთვის“.

გრამატიკას შესავლის სახით წამძღვარებული აქვს ავტორის ვრცელი მიმართვა მეფე ერეკლე მეორისადმი და მისი დედნის ასლის ფოტოფირს მთლიანად ვურთავთ ნაშრომს, რადგანაც ვთვლით, რომ იგი მრავალმხრივ არის საყურადღებო: [იხ. დანართი 3,4,5] მიმართვაში ნათლად ჩანს დავით ბატონიშვილის

მსოფლმხედველობა; იგი თვლის რა გრამატიკას სიბრძნის საფუძვლად და „მეცნიერების კლიტედ“, აუცილებლად მიიჩნევს მის შესწავლას და არ იშურებს ენერგიას და გულმოდგინებას მის დასაწერად. სწორედ სიბრძნისკენ გზის გაკვლევა შეადგენს მისი შრომის მიზანს და სახელოვანი პაპის და მთლიანად ქართველი ერის დიდი სიყვარული და ერთგულება აღუძრავს მას ამ სურვილს. იგი გვაუწყებს, რომ კითხვა-მიგების წესით აგებული ეს წიგნი მან ძველ და ახალ გრამატიკებზე და პორფირიოს ფინიკიელის ლოგიკურ-ფილოსოფიურ მსჯელობებზე დაყრდნობით შეთხზა. და ბოლოს, დავითი მიტევებას ითხოვს, თუკი ნაშრომში რომელიმე საკითხი სათანადოდ ვერ წარმოაჩინა, რადგან მცირე ასაკის გამო გამოცდილებაც აკლია (დავითმა 23 წლის ასაკში დაწერა თავისი გრამატიკა) და ეს აბრკოლებდა მას, მაგრამ ისევ ქვეყნის სიყვარულმა სძლია და შეთხზა ისე, როგორც „შესწევდა ძალა“.

დავით ბატონიშვილის გრამატიკის ავტოგრაფიულ ნუსხაზე არსებული წარწერა- მიმართვების და მარი ბროსეს მიერ გადაწერილ E-174 ეგზემპლარის<sup>17</sup> ამავე მონაკვეთების შედარებისას აღმოჩნდა, რომ ისინი აზრობრივად ფაქტიურად იდენტურია, (გამოტოვებული ორიოდ სტრიქონი შინაარს არსებითად არ ცვლის) მაგრამ თავს იჩნს განსხვავებანი ორთოგრაფიული თვალსაზრისით, განსხვავება ფიქსირდება სიტყვათა დაწერილობაში, სასვენ ნიშანთა ხმარებაში, მთავრული ასოებისა და ქარაგმების გამოყენებაში, რაც გვაფიქრებინებს, რომ გრამატიკის გადაწერთა მიერ დედნის ავთენტურობა და სიზუსტე არ იქნა დაცული. ამიტომ მიგვაჩნია აუცილებლად დავით ბატონიშვილის გრამატიკის ძირითადი ნაწილის ავტოგრაფიული ნუსხის დეტალური შესწავლა, რათა სათანადოდ იქნეს მისი ღვაწლი შეფასებული.

---

<sup>17</sup> E-174 ეგზემპლარზე ჩვენ ვმსჯელობთ ალ. ფოცხიშვილის დასახელებულ ნაშრომზე დაყრდნობით.

### ლიტერატურა:

1. ბაბუნაშვილი ე., უთურგაიძე თ., ანტონ პირველის „ქართული ღრამმატიკა“ და მისი ეროვნულ-ისტორიული მნიშვნელობა, თბ., 1991.
2. თაყაიშვილი ექ., პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერები, პარიზი, 1933.
3. თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი, თბ., 1964.
4. ფოცხიშვილი ალ., ქართული ენათმეცნიერების ისტორია, თბ., 1995.
5. ქუთათელაძე ლ., დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები, თბ., 1967.
6. შარაძე გ., თეიმურაზ ბაგრატიონი, თბ., 1972.
7. Цагарели А.Л., О грамматической литературе грузинского языка. С.П., 1872.

## **DAVIT BATONISHVILI AND SOME INFORMATION ON HIS WORK „SMALL GRAMMAR”**

**Elene Khojevanishvili, Gori Teaching University**

### **SUMMARY**

Several versions of Davit Batonishvili's Grammar are known, which are dated back 1790. Based on the author's manuscript, which is reserved in the Paris National Library Manuscript Department, we discuss the existing notes-applications, which are noticed on the pages of Grammar. They belong to the author himself-Davit Batonishvili and his brother-Teimuraz Bagrationi. From this course, many important details become known about the author and his work on Grammar. The photocopies of the pages of the author's manuscript are published for the first time in our work.

Le livre appartient  
à la Société Asiatique  
de Paris.



Le livre est le premier Exemplaire, qui a  
été composé, pour ce raison je ne lui pas  
donné à copie.

ნაწილობრივად დასრულებულია ეს წიგნი და მისი  
დასრულება დასრულებულია და დასრულებულია დასრულებულია  
დასრულებულია დასრულებულია დასრულებულია დასრულებულია  
დასრულებულია დასრულებულია დასრულებულია დასრულებულია

Cette gravure de la langue géorgienne est très bonne  
je la donne à la ma-son lithographique de Paris, afin qu'elle  
soit utile à ceux de nos membres qui aiment le géorgien; en signe de ma gratitude  
le fils du roi de Géorgie le héraut Karthli, ce sont les choses qui  
me honorent.



2

ԾՆԴՐՈՂՆ ԱՅ՝ ԶԵԴՐՈՂՆԵՐ ԱՆՔ  
 ԿՅԶԲՈՒՆԵՐՆԸ ԴՅԵԿՆԻ ԶՊՈ  
 ԺՆԸ ԱՊՈԺԿՈ ՅՆ ԱՐՈՅ  
 ԱՆՆ ԱՊՈԺԿՈՆ ԺՆԸ  
 ԶԱՆԵ ԿՊԵՔՊ  
 ԿԸՅ:

ՅՊԵՆ: ԻՈՎ:

Ի ԿԸՅԻՆ ԱՐՈՅՆ ԱՆՔ: ՈՍԻ:
-------------------------

Երկրորդական փոստով քաղաքում

- 2/ կրկն  
 - 2/ 2/ կրկն





თუ შედომებოდათ. ეს ღვთის სიყვარული ნიშნად თქვენთვის  
 აღმოჩნდება. თუ ვინმე თქვენს მიმართ უკეთესი  
 მოქმედებას იკეთებს, ეს არის ღვთის ნიშანი. ღვთის  
 სიყვარული თქვენს მიმართ არის. ღვთის სიყვარული  
 თქვენს მიმართ არის. ღვთის სიყვარული თქვენს  
 მიმართ არის. ღვთის სიყვარული თქვენს მიმართ  
 არის. ღვთის სიყვარული თქვენს მიმართ არის.  
 ღვთის სიყვარული თქვენს მიმართ არის. ღვთის  
 სიყვარული თქვენს მიმართ არის. ღვთის სიყვარული  
 თქვენს მიმართ არის. ღვთის სიყვარული თქვენს  
 მიმართ არის. ღვთის სიყვარული თქვენს მიმართ  
 არის. ღვთის სიყვარული თქვენს მიმართ არის.

ღვთის სიყვარული თქვენს მიმართ არის. ღვთის  
 სიყვარული თქვენს მიმართ არის. ღვთის სიყვარული  
 თქვენს მიმართ არის. ღვთის სიყვარული თქვენს  
 მიმართ არის. ღვთის სიყვარული თქვენს მიმართ  
 არის. ღვთის სიყვარული თქვენს მიმართ არის.

## ფოტოგალერეა კონფერენციიდან











